დავით ჯაბუნია

ცისა და მიწის თხზი ხეთვანი

პ ო ე ზ ი ა

ციანი
II

კეთილან სამრეკლოს ზარები!!!



დავით ჯაბუნია

ცისა და მიწის ითხი სიყვანი

ნაწილი



წიგნი II

კეთილ საძრიკლის ზარები!!!

კოშკებს საზარეთისას ნისლი ჯადაჭაღლა
და იქ მიქანება სული ჯანწირულებით!..

ჯ. ცგაბაძე

ცაოლალ სთე მაინცა არ ჩაიკლის
ეს ჯანწირულის სულისკვეთება?!

ნ. ზარათა შეილი

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2012

© დ. გაბუნია, 2012

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2012
თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E–mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-17-801-6

წინათქმა

ყველა საუკუნეს გააჩნია თავისი კოშმარები, მაგრამ მე-20 საუკუნე, მათ შორის, ყველაზე მეტად დაუნდობელი და სასტიკი აღმოჩნდა!!!

ათვალიერებთ: მაიდანეკს და დახაუს, ბუხენვალდსა და ოსვენციმს და უკიდურესად შეშფოთებული ფიქრობთ, ნუთუ ეს ყველაფერი ადამიანებმა შექმნეს თავიანთი თანამოძმეების საწამებლად?! უსმენთ ზარების კოშმარულ რეკვას ხიროსიმასა და ნაგასაკიზე, ხედავთ მოცახცახე, შიშით გათანგულ მიწას, სადაც 200 ათასზე მეტი მოქალაქე ატომურ ნანგრევებს მოჰყვა და შემზარავი ტკივილით შეპყრობილი ეკითხებით საკუთარ თავს: ვინ ჩაიდინა – ეს, საყოველთაო, საკაცობრიო დანაშაული?!

დღემდე იმდენი ბირთვული, თერმობირთვული, ქიმიური და ბიოლოგიური იარაღია დაგროვილი პოლიტიკოსების ხელში, რომ მათი სრულყოფილად გამოყენების შედეგად, ზედმეტია ფიქრი დედამიწაზე სიცოცხლის გადარჩენაზე! და ამით, კიდევაც გაუდაბურდება მზის სისტემა სიცოცხლისათვის. ერთი სრულიად უბრალო შეცდომა და ასიათასობით ბირთვული და თერმობირთვული რაკეტები გახლეჩენ სივრცეს და პლანეტის ყველა განედს მიაწყდებიან, რათა აღგავონ ყოველივე მიწის პირიდან!!!

ისმება კითხვა: სად არის აქ კაცობრიობის განვითარების პროგრესი?! ჰომეროსისა და ევრიპიდეს, ომარ ხაიამისა და ნიზამ განჯელის, რუსთაველისა და ვაჟა-ფშაველას, შექსპირისა და ბაირონის, დანტე ალიგიერისა და პეტრარკას, გოეთესა და შილერის, პუშკინისა და მიცკევიჩის, თაგორისა და ქვაზიმოდოს, ბარათაშვილისა და გალაკტიონის ადამიანური სიყვარულით დამუხტული ხმები: „რჩება ღაღადისად უდაბნოსა შინა!!!“

მე-20 საუკუნეში ჩემი სამშობლო-საქართველო აღმოჩნდა უკიდურესად რთულ ვითარებაში! დავითისა და თამარის სალოცავი ხატი – დიდი საქართველო გადაშლილი ნიკოფსიიდან დარუბანდამდე, ჯერ მონღოლებმა და თემურლენგმა გადათელეს, ხოლო მოგვიანებით სპარსეთი და თურქეთი შეეცადნენ ძირფესვიანად ამოეთხარათ მიწის პირიდან აღმოსავლეთში ეს, ქრისტიანული სარწმუნოების ფორპოსტი!

მე-4 საუკუნის დასაწყისიდან – ეს, მაღალი კულტურის ცივილიზებული ქრისტიანული სახელმწიფო, რომელმაც გენიალური ლიტერატურული და ისტორიული ძეგლები აჩუქა კაცობრიობას, რუსეთმა გაიხადა სათარეშოდ და მე-20 საუკუნის მიწურულს, კიდევაც ნაწილობრივ, დაუნდობლად გაავერანა ის!..

როგორ შეიძლება დაივიწყოს ისტორიამ: 1924, 1956, 1989, 1992-93 და 2008 წლების სისხლიანი ტრაგედიები ჩემს სამშობლოში?!

ამას წინათ, ერთმა რუსმა ვაი-პოლიტიკოსმა, უსირცხვილოდ, ყინჩად განაცხადა, რომ საქართველოს სისხლის აბანოში ვაბანავებთო! მომაგონდა გამოჩენილი თურქი პოეტის ნ. ჰიქმეთის სტრიქონები: „არამზადა ხარ, აყვანილი კვადრატში, კუბში, არამზადა ხარ, არამზადა და მაწანწალა!“

ჩემი ხალხის ამდენი ტრაგედიით სულით ხორცამდე შეძრწუნებულმა, სატანურ ძალებთან ანგარიშსწორების მიზნით, ეს პატარა წერილი წაუმძღვარე მეორე წიგნს, რომელსაც ეწოდება: „კივიან სამრეკლოს ზარები!“

10.07.09.

მოსკოვი

კიევიან სამრეკლოს ზარები!!!

ლიბრეკა

ლურჯი მანდილით ამოდის მთვარე

მე მაგონდება დღეები მკაცრი და ჩემს სიხარულს
ემსხვრევა ქიმი!
როცა მრისხანე ქარები დაცხრა
და ახლა, როცა ვიბრუნებ ღიმილს!..

მე მაგონდება დღეები მკაცრი და ახლა მხოლოდ
სიზმრები მტანჯავს!..
სიკვდილი მარჯვნივ!..
სიკვდილი მარცხნივ!..
და გრძნობებს ხშირად ცრემლებად ვხარჯავ!..
მზე, მახსოვს, მაშინ სულ მაღლა იდგა და გვაბრუებდა
ივლისის სიცხე!..
მზე, მახსოვს, მაშინ სულ მაღლა იდგა
და ჟრიამული ავსებდა სივრცეს!..

მაშინ ოცნებით ვიყავით სულ სხვა და გავცქეროდით
ზღვის ლივლივს ლხენით!..
მაგრამ უეცრად დაჰქროლა სუსხმა,
ცხოვრების ხალისს წაართვა ფერი!
როცა მოვარდა მრისხანე ღვარი და ცა დაგვეშხო
ხმაურით თავზე!..
მე კვამლიანი შემომრჩა თვალი
და გული ცხელი ცრემლებით სავსე!..

მზის ნაფეხურებს ვითვლიდით ცაზე და არ ვიცოდით რა
იყო შიში!

შენ, მეგობარო, დაეცი გზაზე
და გაგყვა სუნთქვა ზღვისა და ქვიშის!..
ბევრჯერ დავკარგე ყველაფრის რწმენა,
მეჩვენებოდი სიზმრებში ხშირად!..
ეს აღარ იყო უბრალო წყენა, ეს იყო კვამლში
ჩამქრალი დილა!..
როცა დადგება საღამო სრული, ლურჯი მანდილით
ამოდის მთვარე,
დამყვება შენი ლამაზი სული
მოწყურებული მზესა და ქარებს!..

17.09.46
სოხუმი

მდუმარების წუთი

თქვენი მოგონების იყოს, ო, ეს მდუმარების წუთი!..
წლები მაგონდება სიყრმის, ეზოს შორდებოდით ხუთი!
მზერა დაზაფრული დედის! მამის მორღვეული სახე!
იყო უმკაცრესი ხვედრი,
ფიქრი მოგონებებს არხევს!..
სკოლის ჩამოსცილდით მერხებს, თვალი გაუსწორეთ არწივს!..
კართან შრიალებდა ვერხვი
ქარით დალეწილი აწი!
წუთი განშორების დადგა, რაღაც უჩვეულოს მთქმელი!..
სევდის შრიალებდა ყანა,
იდგა ცრემლიანი რთველი!..
გულში დაგუბული ღვარი, ვეღარ ჰპოულობდა ღარებს!
დარჩა დარდიანი ეზო,
გახდა ცრემლიანი მხარე!..
დედას გაუხუნდა კაბა, მამას – ახალუხის ყელი,
მერე მიაშურეს საფლავს,
მაინც მომავალზე რწმენით!..
და დროს გამოვსტაცე ბავშვმა, ო, ის ტკივილები უხვად,
სადღაც ჭახჭახებდა შაშვი
და ცრემლს იმშრალებდა მუხა!
ჟამის სარეველა კაფეთ, ურდო ველურების ტომის!
ახლა დარიალის კართან
წევხართ მოქანცული ომით!..

02.09.67

ბანძა

მზე სიყვარულის ზეიმობს!

მზეს თალხი გადაეფარა, ჩიტმა შესწყვიტა ტია,
ყველგან სიკვდილი გამეფდა,
მხოლოდ ცეცხლი და ტყვია!..
შენი ოცნების ლაჟვარდზე გაწვა ღრუბელი სქელი,
რამდენის ბედი გაშავდა,
რამდენი გული ცხელი!
ეყარა კლდეთა ნაშალი, ჰგავდა ცხოვრება მღვიმეს,
კვამლის და ცეცხლის ლაშქარი
მიაბიჯებდა მძიმედ!..
სახრჩობელებით მოჰფინეს ხმელეთი კიდით–კიდე,
მზეს სძულდა წუთისოფელი,
გადაიხვეწა კიდეც!..
პლანეტა ერთობ დაბერდა, ჰოი, რა ვნახე, ღმერთო!
რომ მისი ყველა განედი,
როგორ გმინავდა ერთობ?!
სიცოცხლე გააჩანაგეს, თვალებშიც შეაფურთხეს,
გახდა სიკვდილის ბანაკი, –
ყველა ეზო და კუთხე!..
სოფლის თვალებში ეწერა ჰოი, რამდენი სევდა!..
დედის კალთაში ეძებდა
საბრალო ბალღი დედას!..
ცეცხლი ბუგავდა სანახებს, შიშით კვნესოდა ჩიტიც!..
რამდენი ბავშვი მინახავს
კაბა არ ეცვა ჩითის!
ხემ სიცოცხლისა იხარა, მაინც გადარჩა იგი!
ვინც ცეცხლს უნთებდა სიყვარულს,

თვითონ ჩაიწვა შიგნით!..
აღდგა სიცოცხლე ფერფლისგან, როგორც ფენიქსი დგება,
მზე სიყვარულის ზეიმობს,
მზე სიცოცხლის არ ქრება!..

06.05.48
სოხუმი

წითელი პლანეტა

ავუნთოთ სიკვდილს სანთლების წყება!..
დავუკრათ ტაში სისხლიან დროშას!
ნუთუ მხოლოდ ეს გვასწავლეს წლებმა,
რომ დავამსგავსოთ
პლანეტა კოშმარს?!
დავწყვიტოთ სიმის სიცოცხლის ყველა!
რომ მთელ სამყაროს ვახსოვდეთ დიდხანს!..
სიკვდილმა მეტი რა უნდა გვითხრას,
ო, როცა ირგვლივ
სისხლის ზღვა ღელავს?!
ანგელოზებმა გვიცქირონ ზიზღით,
უნდა მოვეშვათ ბარსა და ერქვანს!
რომ დედამიწა შევღებოთ სისხლით,
რომ მას წითელი
პლანეტა ერქვას!

22.11.48
სოხუმი

რა გელანდებოდა?!

ო, დღესაც ცახცახებს პლანეტა მშობელი,
რომ ბომბით დალეწე ის დაუნდობელით!
და გახდი შედეგით
შენ განაოცები,
როდესაც დაფერფლე ქალაქი ოცნების!..
წამებში სიცოცხლე ერთბაშად ალაგმე!
ქალაქი დასწვი და სულ გააჩანაგე!..
სიცოცხლის ბაღები
უდაბნოდ აქციე,
შედეგი პრეზიდენტს აცნობე რაციით!..
და მერე ბღაოდი უმწეო ბალღივით,
ნგრევის და მოსპობის ქარიშხლით დაღლილი!!!
ხან დაბარბაცებდი,
ო, როგორც უჟმური,
ხან კიდევ ყვირილით, ხან კიდევ ჩურჩულით!..
შენ ნგრევის ხომ ყველა რეკორდი მოხსენი
და მერე საშინლად ყვიროდი ოზერლი!
რა გელანდებოდა?!
ცა გადახეული,
თუ თავის ქალები ნახშირად ქცეული?!
ბუდიდან სცვივოდნენ თვალები ბავშვების!..
სიკვდილი ღრეობდა ცის აგანგაშებით!!!
რამდენი კოშმარი –
კოშმარებს მიება!..
რა იყო? – შიში თუ ცრუმონანიება?!

21.08.49,
სოხუმი

შენს სამსხვერპლოზე ვანთივარ

მსდევენ მახინჯი ლანდები, მთელი სისწრაფით მივქრი,
მე ერთიანად დარდი ვარ
                  და ერთიანად ფიქრი!..
ხიდი ქანაობს ბეწვის, ვუახლოვდები ჯიხურს,
გული ჭრილობით მეწვის,
სული ტკივილით მიხურს!..
შენს სამსხვერპლოზე ვანთივარ, მუხლმა არ იცის
                  მოღლა!
მე ერთიანად დარდი ვარ
და ერთიანად ბოღმა!

16.06.50
ბანძა

აწყდება ფრთებით მაღალ სამრეკლოს!..

ბინდი მეხვევა შემოღამების, ნისლები დააქვს
მთაზე ნიავქარს,
ცაზე მიქრიან ღრუბლის ნავები
და ზღვა მიარხევს მთვარის იალქანს...
კვლავ ცახცახებენ სველი ტოტები და ირხევიან
ლურჯი სიმები...
სული ღელავს და მიწას შორდება,
ო, მოქანცული ქარით, წვიმებით!..
გზებზე დაღლილი ბრძოლით, ტკივილით, აწყდება
ფრთებით მაღალ სამრეკლოს!..
რომ დაუბრუნოს
მიწას ღიმილი
და ვარსკვლავების ზარი დარეკოს!..

13.06.50
სოხუმი

ხსოვნის სიმები

აგერ ნაპირზე გდია ჩემი პატარა ლანჩა,
ჩიტი იძახის ტიას,
დგას ლაქაშებში ყანჩა.
ბინდი ეცემა ჭალას, როგორც სიმღერა მწუხრის,
მე აქ მოვსინჯე ძალა
და აქ ვიტკინე მუხლი!
აქ გაიტაცა წყალმა ჩემი პატარა ხიდი
და ახლა მომსდევს ჟამი,
ვით მტაცებელი დიდი!..

24.06.50
ბანძა

მე მახსოვს ღამე!..

ლ-ს ხსოვნას

ჩვენ დაწყვეტაზე გვქონდა ძარღვები,
ჟამი ხელიდან გვაცლიდა იმედს!..
ეზოში ისევ ყეფდნენ ძაღლები
და იდგა ღამე
მკაცრი და მძიმე!..
და ხეივანში თოფების, უხმოდ,
მიაბიჯებდა ამაყად მამა!..
მე მახსოვს ღამე ცივი და შავი
და შემზარავი
ტკივილი დამაქვს!.
ახლაც ჩამესმის თოფების სროლა,
ვერ გაიხარა მას შემდეგ ჭერმა!
დრო ილოკავდა სისხლიან თათებს,
დაგლიჯა გული
ტყვიების ჯერმა!..
ჩვენ დაწყვეტაზე გვქონდა ძარღვები,
ჟამი ხელიდან გვაცლიდა იმედს!..
ეზოში ისევ ყეფდნენ ძაღლები
და იდგა ღამე
მკაცრი და მძიმე!..

14.10.50
ბანძა

როგორმე გაუძლებ!

შენ ცრემლით ფარულით მარადის ივსები,
ხან კიდევ ხმაურით ხანძარი გედება!..
ო, შენში ათასი სართული იმსხვრევა,
ო შენში ათასი
სართული შენდება!..
როგორმე გაუძლებ შენ ამდენ წამებას,
გუმბათებს აანთებს ფერადი ალები!..
სივრცეში ატყდება გუგუნი ზარების,
და მოვა აპრილი
და ფერიცვალება!..

22.02.51
სოხუმი

საქართველოს

შენით მიღელავს სისხლი და გული შენით მიცემს!
მე მიყვარს შენი ნისლი,
შენი ფერადი სივრცე!..
მე მიყვარს შენი მთები ფრთებით ზეცას რომ ერწყმის
და სული ანანთები
შენი თვალების ცეცხლით!..
მიყვარს ბილიკზე, როცა წყვილად მღერიან დები,
ღამე ნაქსოვი მორცხვად
სერაფიტების თმებით!..
მინთებს ოცნების სანთელს სვეტიცხოველი ჩემი
და მეუბნება რამდენს
ნიკორწმინდა და გრემი!
დაუცხრომელი ღელვა, მარად ახალს რომ ელტვის,
შენი თვალების ელვა
და შენი ოქროს სვეტი!
მწვანე სიმღერა მინდა, ღირსი მაღალი ჯერის!
სულში მეღვრება წმინდად
შენი ვარსკვლავის ფერი!..

10.05.52
სოხუმი

ღელავს ზვირთების ურდო

ვერ შეეჩვიე ლოდინს ო, ამ უმკაცრეს ზღუდეს,
მიგაქვს სიზიფის ლოდი
                და სიმაღლეებს უტევ!..
მიგაქვს სიზიფის ლოდი, წინ ქარაფები უნდო,
მიგაქვს სიზიფის ლოდი,
ღელავს ზვირთების ურდო!..
გარღვეულია გზები და გრიგალები მოდის,
ახალ მწვერვალზე დგები, –
ახალი დროის ლორდი!..

22.07.53
სოხუმი

* * *

გულო, რის ეძებ მიზეზს? რა გაქვს ნეტავი მიზნად?
კვლავ ის თვალები მიმზერს
და ძველს მიბრუნებს სიზმარს!..

შენ იხედები მაღლა და მზის უცქერი გვირგვინს,
ჩუმად, იყუჩე ბალღო!
და ნურაფერი გიკვირს!..

უკვე დღეებმაც იკლო, იწყებს ნიავი სისინს,
არ ჩანს გელა და ნიკა,
არც ის სიმღერა ისმის!

12.08.53
ბანძა

დინოზავრი

იფერფლებოდნენ ქალაქები და გზებზე ყველგან
მხოლოდ მიხრწნილი
            და უფორმო გვამი ეყარა!
და ცას ლოკავდნენ მეწამული ხანძრის ენები!..
დააბიჯებდა დინოზავრი –
ახალი დროის.
თესავდა ირგვლივ შხამსა და სიკვდილს!..
ოთხივე მხარეს აწყდებოდა
            ზვირთები მღვრიე
და სვასტიკები სრიალებდნენ
კივილით ცაში!..
გაუდაბურდა სივრცეები!... და დედამიწა
დაემსგავსა დიდ სასაფლაოს!..
დააბიჯებდა დინოზავრი – ახალი დროის,
ტორავდა ქვეყნებს სისხლიანი
მძიმე თათებით!..
და ათასობით ფერფლი მართალ ადამიანთა
ცას აწყდებოდა ოსვენციმის
და ბუხენვალდის
შემზარავი შავი მილებით!..

25.09.56
სოხუმი

ღიმილით შეხედა ჯალათებს!

მივიდა სიკვდილთან ამაყად, ის იყო მესამე რიგით,
უღმერთოდ, უღმერთოდ, უღმერთოდ,
უღმერთოდ აწამეს იგი!..
გახადეს ნაგლეჯი ხალათის, დაუგეს ნამსხვრევი შუშის,
ღიმილით შეხედა ჯალათებს
და ფურთხი ესროლა სულში!..

03.04.54
სოხუმი

მეგზვაურის სიმღერა

ღამე ნისლებში ქროლვა, უდაბურება შორი,
ღამე ნისლებში ქროლვა
მე ვეღარ მოვიშორე!
ღამე ნისლებში ქროლვა, მარად ღელვა და ქარი,
შორს ღრუბლები და მთვარე
და თეთრი იალქანი!
ქარში ხომალდი კივის ღელვით, ხმაურით სავსე,
ქარში ხომალდი კივის და მღვრიე ზვირთებს ამსხვრევს!..
ღამე ნისლებში ქროლვა
და ცაზე თეთრი ზოლი,
ღამე ნისლებში ქროლვა, მიუწვდომლობა შორი!..
სულს ვერ ვამშვიდებ ღელვილს
ამ გრიგალ–ქარში ქროლვით,
სულს ვერ ვამშვიდებ ღელვილს,
მიუსაფარს და ლტოლვილს!
მე ახლა მიდუღს სისხლი და ახლა მინდა შეხლა,
მინდა უსაზღვროდ ქროლვა,
სხვა არაფერი ეხლა!
რაა ხმაური მეხთა, რაა ხმაური ზღვათა,
მე ახლა მინდა შეხლა,
რომ ქარს დავგლიჯო კალთა!

ღრუბლებს დავგლიჯო კალთა და შორს გავფანტო ქარში,
ძარღვებში რეკავს სისხლი,
როგორც საბრძოლო მარში!
მე არაფერი არ მწამს ო, შენსკენ ლტოლვა მხოლოდ,

მე მინდა ტრფობამ დამწვას
ფერფლად გამფანტოს ბოლოს!..
მე გადავსერავ ქროლვით მღელვარე ზღვებს
                                  და ხმელეთს,
მე შენ მოგძებნი მხოლოდ
და შენთან მოვალ მერე!
შენ გადამაღვრი გულზე ღიმილს ფანტელის დარად,
შენ დამიფარავ დაღლილს,
შენ დამიფარავ მარად!..

22.04.54
სოხუმი

შენ სხვა ხარ მაშინ!..

შენს მაღალ შუბლზე ირეკლება ჩრდილები მწუხრის
და სიშორეებს უჩვეულო
ფიქრებსაც ახლი!..
შორს, გალაქტიკებს მიანათე გონების შუქი
და არასოდეს არ იღლები
ძებნაში ახლის!..
არ გიძებნია დიდება და სახელი სხვაგან,
არ გინატრია არასოდეს
სამეფო სკიპტრა!
შენ შეიყვარე და შიგ სულში ჩახედე საგანს
და საიდუმლო თვით ბუნებამ
გაგანდო, გითხრა!..
დადიხარ უხმოდ და სივრცეებს ოცნებით ზვერავ,
სულ უბრალო ხარ,
გული გიცემს უმანკო ბავშვის!..
შენი სამყარო, მეგობარო, სხვა სხივით ელავს!..
და სხვა ხარ მაშინ, როცა
ფიქრთა იალქნებს გაშლი!..

22.07.54
სოხუმი

ახლა შენთან მაქვს დავა

ახლა შენთან მაქვს მარტო გაუთავები დავა,
ვერ მოგერიე, ვდარდობ,
ამბოხებული დავალ!..
შენ ხარ უსაზღვროდ ურჩი და ცბიერი ხარ თანაც,
ვერ დაგილეწე ზუჩი,
ველარ გაგიპე ქალა!

ვართ ოდითგანვე მტრები, ჭიხვინებს ჩემი ლურჯა!..
ველზე რეკავენ ხმლები
და ცეცხლი სცვივა ბღუჯად!..
შენი სხეული კივის, როგორც ქარაფზე ზვავი,
რეკავს თვალები ცივი
და გუმბათები შავი!..
ახლა შენთან მაქვს მარტო გაუთავები დავა,
ვერ მოგერიე ვდარდობ,
ამბოხებული დავალ!..

09.09.54
სოხუმი

დაჰკრავს საათი!

დაჰკრავს საათი! აიმღვრევა სისხლი ველური,
დაჰკრავს საათი!
იკივლებენ ველზე ქარები!
დაჰკრავს საათი და არავის შეებრალები
და ყველაფერი შემდეგ
ბინდით დაიფარება!..
დაჰკრავს საათი და ვიცი, რომ მოგაგონდება
ლურჯი ტალღები
და პატარა კვალი სილაზე!..
თეთრი აფრები – შორეული მთვარის სინაზე
და დაღონდები!..

21.09.54
სოხუმი

ქარბუქი, სიკვდილის ქარბუქი!!!

სიცოცხლე, ასე ვინ დაბუგა! რა ვუთხრა
ატომის მომგონს?!
ქარბუქი, სიკვდილის ქარბუქი
და ორი „მრისხანე სოკო!..“
არ გზარავს შენ ამის შეხედვა? — ქალაქი
ქცეული ჩონჩხად?!
ო, თითის ორი შეხება
და ორი ზღაპარი მორჩა!..
წყევლა და ცრემლები სიცოცხლის ზვირთებად
აწყდება ხმელეთს!!!
მიგქონდათ სიკვდილი – იცოდით!
ასეთი სიკვდილი მერე?!

06.09.56
სოხუმი

ზღვა

დაუფლებია დუმილი ვრცელი
            და ვარსკვლავებით სავსე აქვს უბე...
მთვარე ნებივრობს ხავერდზე ღრუბლის
და შინდისფერი
ფათურობს შუქი...
დაუფლებია დუმილი მკაცრი
            და ფარავს სივრცეს ფერი ფოლადის...
მრავალი ახსოვს მრისხანე წელი
და აქანავებს
დაღლილ ხომალდებს...

12.08.56
სოხუმი

მოდის საღამო

საით მიდიან ეს ნისლები ასე ნაკადად?
ნიავს კვლავ მოაქვს
შემოდგომის ბალის სურნელი!
ჩემი ცხოვრების ჰორიზონტი ნუთუ დაქანდა?
მოდის საღამო –
ჩუმი სევდა განუკურნელი!..
მოდის საღამო, როგორც ლურჯი ტყეების ფიქრი
და მდინარეზე დაცხრილული
გავდივარ იჭვით!..
მოდის საღამო და ცისფერი მდინარის იქით,
ისმის სიმღერა შორეული, –
პატარა ბიჭის!..

29.08.56
ბანძა

ჟამი აბრუნებს ბორბალს

თქვენი არა და არ მწამს, როგორც ნიანგის ცრემლის!
სულში ზვირთები გაწვა
უდაბური და ცხელი!..
სახეს რამდენჯერ იცვლი, მაგრამ ვერაფერს გშველის!
ზედ შხამს აყოლებ სიცილს,
არ მწამს სიცილი შენი!
და არც თვალები მომწონს, ბევრი სიცოცხლე ცელე!
ახლა ჩამოგდის ცრემლი,
მართავ სისხლიან ქორწილს!..
საკუთარ კანში ძვრები და იღიმები მორცხვად,
ჩახერგილია ძვლებით
შენი ლაფარო როცა!..
ვერ გაექცევი მსჯავრს და საბედისწერო რკალებს,
თუმცა იფარებ ჯავშანს
და ცხელ ქვიშაზე როკავ!..
ნუ გავიწყდება, რომ კვლავ
ჟამი აბრუნებს ბორბალს!..

15.04.57
სოხუმი

ვდგავარ დანანებით!

ისევ ლურჯად აბიბინდა ყანა, ისევ ლურჯად
ხასხასებენ ზვრები,
დედა ტკბილად აქ მიმღერდა ნანას
და აქედან შორს მიდიან გზები!..
ახლა რატომ ვდგავარ დანანებით?
რას ბუტბუტებს ჩემი სოფლის ღელე?
შორს მიქრიან
ღრუბლის ქარავნები
და მიქნევენ სასოებით ხელებს!

24.05.57
ბანძა

ხიროსიმას ზარები!!!

ორმოცდაორი გავიდა წელი, მაგრამ იმ ტკივილს
ჟამი ვერ აქრობს...
მიფრინავს ცაზე დაღლილი წერო...
მიწას წყეული აჩნია ლაქა!..

ორმოცდაორი გავიდა წელი და სული ღიმილს
მაინც ვერ ბედავს!
ბაგეზე უხმოდ გადირბენს წყევლა
და დუმს ძაძებში დაღლილი დედა!!!

მე ვხედავ ისევ სადაკოს თვალებს და ოკეანე
ბობოქრობს ლურჯი!..
და როგორც წერო მიცურავს მთვარე,
რომელსაც უკვე ფერი აქვს თუჯის!

აქ უთვალავი გადატყდა სხივი!.. და შორს მიფრინავს
ღრუბელი ლეგა...
ზეცა სადაკოს თვალებით ტირის
და ხიროსიმას ზარები რეკავს!!!

06.08.57
სოხუმი

შემომეშველე, ბერდედავ!

ძარღვებში სისხლი გახელდა, დრო რას არ გიზამს მოძალე!
გამომეღვიძა, რას ვხედავ,
გულს განმეწონა ბოძალი!
გადატყდა ტარი ანაზდად და შინ ბუნიკი ბერდება,
ტკივილი გამიათასდა,
შემომეშველე, ბერდედავ!
როგორც სანთელი ჩამოვდნი, სიცოცხლე გამიტიალა,
სისხლი წვეთ-წვეთად ჩამოდის,
ნაკადულებად კი არა!
ტკივილმა უფრო იმატა, ცეცხლი მომედო ბრიალა,
ხან ღაწვებს ვარდი მიმადებს,
ხან მეფერება ხვიარა!..
მზე უკვე გადაიფერდა, ნიავმაც ჩამოიარა...
ვცოცხლობ მომავლის იმედით,
ლექსით ვიშუშებ იარას!..

14.09.57
ბანძა

იყო ტკივილით სავსე

ის მალავს რამდენ რამეს და არც არაფერს ითხოვს,
მე ვნახე იგი წუხელ, –
მზე რომ კარგავდა სითბოს!
მე ვნახე იგი წუხელ, არც ახსენებდა წარსულს!
და ჰგავდა კაცი უღვთოდ
სიცოცხლე შემოძარცულს!
ზღვაც თანაგრძნობით დუმდა, არც ცა
ამბობდა რამეს!
იყო ტკივილით სავსე,
ვით ფოთოლცვენის ღამე!..

25.09.57
სოხუმი

მიდის თავის გზით ყველა

რამდენი რამე გაბედე, ო, ზღვა ბორგავდა მღვრიე!..
ნუთუ უდროოდ დაბერდი,
                  რომ სივრცეს ვეღარ სძლიე?!
რამდენი რამე გაბედე, ჩატყდა რამდენი ხიდი!
აკრთობს ჭაღარა საფეთქელს,
ვით დღეს მიმავალს ბინდი!..
წუთისოფელი რამხელა, რა მღვრიე ფერით ფეთქავს!
ქრება რამდენის სახელი,
                  გლოვობს ადგილის დედა!..
კვლავ სცვივა ტოტებს გირჩები, იმ გზას
                  გავსცქერი დღესაც!..
ჭრილობა აღარ გირჩება
და მაინც იმედს თესავ!..
ისევ ქრის გზებზე ქარბუქი და მთებს ნისლები
                  მოსავს,
მტკვარს ფერფლი უცხო ჭაბუკის
ჰკიდია ავგარო ზად!

12.10.57
სოხუმი

გამოთხოვება

დაგვემშვიდობე მეგობრებს კოცნით და შეღამების
გრძელი ჩრდილები მთელი სხეულით
აწყდებოდნენ გრანიტის კედლებს!..
დაგვემშვიდობე მეგობრებს კოცნით!
დატოვე ყველა მოძმე, ნაცნობი!
შორს გაჩნდა ველზე ფერადი ბორცვი,
როგორც სიმბოლო შენი კაცობის!

20.11.57
სოხუმი

თეთრი დუმილი

მაღალი მთები დაბურა თოვლმა, რად მიყვარს ასე
თეთრი დუმილი?
მე ვიცი, იგი ოდესმე მოვა
და ამიხდება ყველა სურვილი!..
თოვლზე ეცემა სხივები მკრთალი და ემატება
სივრცეს სინაზე,
სულს ამჩნევია ჭრილობის კვალი,
როგორც ალმასის კვალი მინაზე!
მაღალ გუმბათებს ფიქრით მივარღვევ, მოჩანს ქედები
თოვლში ცურვილი...
რად მიყვარს ასე თეთრი სიმაღლე,
რად მიყვარს ასე თეთრი დუმილი?!

28.01.58
სოხუმი

კიდევ შორსაა

კიდევ შორსაა ჩემგან სიბერე, ზამთრის სუსხი
                  და უამინდობა!
მე გამოვყევი ცისფერ სიმღერას
და შევიყვარე ლურჯი მინდვრები!..
მე შევიყვარე შენი ჩურჩული და მეწამული
                  მთვარის სიმები,
სადღაც დავტოვე ღამე უქმური
და ულმობელი ზამთრის წვიმები...
ჯერ კიდევ მიცემს გული ყმაწვილის და ვდგავარ
                  დიდი ღელვის წინაშე!..
ისევ დამყივის ციდან არწივი: —
ქარში, ყინვაში, თოვლში, წვიმაში!..

09.04.58
სოხუმი

მწუხარე სერაფიმი

მიერეკება ჟამი ყველაფერს და მე შენი ხმა მესმის!..
მწუხარე სახით ვხედავ სერაფიმს
და გულის ჩამწყდა ფესვი!
იქნებ მოელის დღეებს საშინელს
და ჩუმი ცრემლი ახრჩობს?!
იქნებ დაირღვა დროთა კავშირი
და სული ამსხვრევს ჩარჩოს?!

15.07.58
სოხუმი

ახლა იდუმალ ოხრავს!...

ო, როგორ მოაოხრა სიავემ დემონების,
ახლა იდუმალ ოხრავს,
            დალეწილი აქვს ფრთები!..
დღე გაზაფხულის პერანგს რა ნაღვლიანად იცვლის?!
იკლებენ სივრცეს ფერადს,
ო, ეს ქარები ფიცხი!..
მაინც ამ ყორნის ჩხავილს ვეღარ ვიშორებ ტიალს!
ის მგალობელი ჩიტი
            აღარ იძახის ტიას!...
ამ ბუმბერაზ მთებს ფიქრით დაღარული აქვთ შუბლი,
მზე ამოდის და ოხვრით
მისდევს ორღობეს ღრუბლის!..

22.09.58
სოხუმი

ქარს

ისე ცახცახებს ზეცა, როგორც მდინარე მწუხრის,
ნისლმა დაფარა უკვე
კლდეთა გრეხილი რუხი...

გაუდაბურდა სივრცე, მხოლოდ გრიგალი დაქრის,
ვის ემუქრები, ქარო?
ქარო, რა გინდა, მარქვი!

ზღვა ეომება ჯებირს და ფრთებს მრისხანეს ახლის,
ისე ქვითინებს პალმა,
როგორც უმწეო ბალღი!

აჰა, საცაა, იგი ქალაქს ააგლეჯს სარქველს!
ქარო, რა გინდა, მითხარ!
ქარო, რა გინდა, მარქვი!

არ დამილეწო ვერხვი კლდეზე მძლავრად რომ ფეთქავს!
არ წამიშალო, ქარო,
ეს ღამეები თეთრი!

არ მომაყარო სეტყვა, როგორც ნამსხვრევი სარკის,
ქარო, რა გინდა, მითხარ!
ქარო, რა გინდა, მარქვი!

არ გამიფანტო ცაზე თეთრი ღრუბლების ხატი!
არ ამიტირო დედის
ჩუმად მლოცველი ლანდი!

რას ემუქრები, მითხარ, ვის ემუქრები წარღვნით?!

ქარო, რა გინდა, მითხარ!
ქარო, რა გინდა, მarქვი!

შიშით ცახცახებს ცაზე ოქროს ჩიტების ბადი,
ისე გუგუნებს მიწა,
თითქოს ხეთქავდეს საყვირს!

მიქრის, მიკივის სადღაც და წყვეტს ფოლადის აღვირს,
ქარო, რა გინდა, მითხარ!
ქარო, რა გინდა მარქვი!

06.10.58
სოხუმი

რწმენა

ო, თუკი წამართვი რწმენა, მითხარი,
რაღა ვარ მაშინ?
მე მარად გიგზავნი წყევლას
შენს ხელში გაზრდილი ბავშვი!

ო, თუკი წამართვი რწმენა, რად მინდა
სიცოცხლე მაშინ?
მე მარად გიგზავნი წყევლას
შენს ხელში გაზრდილი ბავშვი!

ო, თუკი წამართვი რწმენა, სიცოცხლეც
წაიღე მაშინ!
მე მარად გიგზავნი წყევლას
შენს ხელში გაზრდილი ბავშვი!

01.08.59
სოხუმი

გახსოვდეთ!!!

გახსოვდეთ ხიროსიმა, გახსოვდეთ ნაგასაკი,
ადამიანებო, თქვენ!
დააწყდა პლანეტას ტკივილით ძარღვები, –
ეს იყო ღვთისმშობლის თვეს!!!
ჩამოკრეს ავბედად სიკვდილის ზარებმა,
ცა თითქოს დაემხო ძირს,
ეს იყო სიცოცხლის
უსაზღვრო წამება!..
ვიხსენებ და ტანზე მცრის!..
აორთქლდა რამდენი ხატება უმანკო! დახედეთ
გრანიტზე ჩრდილს!
შეხედეთ პლანეტას, ო, როგორ ცახცახებს!...
შეხედეთ პლანეტას, ო, როგორ კრთის!..
იმ სიმებს დაწყვეტილს დრო ვეღარ ამრთელებს,
ეს იყო ღვთისმშობლის თვეს!!!
მშვიდობას აუნთეთ
თეთრი ტყე სანთლების,
ადამიანებო, თქვენ!

11.08.59
სოხუმი

მზისადმი

სული იმედებით მზეობს, ელავს ოქროსფერი ზვარი,
შვება მომიტანე, მზეო,
შვება მომიტანე ხვალის!..
ფრთები დამაფარე ვრცელი, გზებზე ვხეტიალობ სანამ,
გული მიღელავდეს ცხელი,
ქარი მიმღეროდეს ნანას!

შენ ხარ სილამაზის წყარო, შუქი მწვერვალებზე
დგება,
გული მომავალით ხარობს,
გული უმომავლო კვდება!

სული იმედებით მზეობს, ელავს ოქროსფერი ზვარი,
შვება მომიტანე, მზეო,
შვება მომიტანე ხვალის!..

10.09.59
სოხუმი

ვაჟა-ფშაველას მონოლოგი

ეს რა ხმაური ჩამესმის, ან რა ღრუბელი ირევა?!
მზემ სხივი ვეღარ ალესა
და ღამეც აღარ ილევა!
ეს რა ხმაური ჩამესმის, რა შემზარავი ზრიალი?!
მე მზის ამოსვლას ველოდი
და ღამეც ჩაქრა მზიანი!..
წარღვნის ჟამინდელ კიდობანს ვაწყდებით საცოდავები,
ამას ვეძახით მშვიდობას,
რომ მხრებზე გვადგას თავები!
გაცვთა ომებში ბექთარი, რა ვართ? – მხოლოდ ხე ფუღურო!..
არ შემიძლია, ღმერთმანი,
საცოდავობას ვუყურო!
მიგვდენის გადამთიელი, უდაბნოს ქვიშა ირწევა,
მწყურვალეცა ვართ, მშიერიც,
საცოდაობით ვიწვები!..
ხმალი არ ხმლობს და რა გინდა, არც შუბებს უჭრით პირები!
ის დრო ჩიტივით გაფრინდა,
მივდივართ მოთენთილები!..
ეს რა ხმაური ჩამესმის, ან რა ღრუბელი ირევა?!
მზემ სხივი ვეღარ ალესა,

და ღამეც აღარ ილევა!

12.09.59
სოხუმი

ხომალდი

ზღვაზე ღელვაა დიდი და უიმედო ჟამი!..
ხომალდი საით მიდის
ამ უდაბური ღამით?!
ცაა კუპრივით შავი და ზღვას არა აქვს დონე,
ნუთუ გაუძლებს ქარებს,
ნუთუ ეყოფა ღონე?!
გრიგალი გრიგალს მისდევს, ზვირთი ზვირთებზე
მოდის,
დგას უნაპირო ნისლი,
არსად მთები და კორდი!..
ზღვაზე ღელვაა დიდი და უიმედო ჟამი!..
ხომალდი საით მიდის
ამ უდაბური ღამით?!

19.11.59
სოხუმი

ის მეძახის!..

ვისი ხმა არის ეს საკვირველი?
ნ. ბარათაშვილი

ის მეძახის მარად იდუმალი გზნებით!..
ახლა ირგვლივ ღამე,
შორეული გზები!..
და მივარღვევ მღვრიე, გახელებულ ქარებს
და უსაზღვრო ღელვა
იქით მიმაქანებს!..

შორს დავტოვე სადღაც, უშფოთველი მხარე,
სად ღრუბლების თეთრ მკლავებზე
სძინავს დაღლილ მთვარეს...
სად ნიავი შუქზე მთვარის არხევს საროს ნაზად
და ოცნება გედის ფრთებით
შორ ლაჟვარდებს ხაზავს!..

ახლა გზების, გზების, გზების, აჰა, გზების ტყვე ვარ!..
და იღვიძებს სულში მხოლოდ
წუხილი და მტვრევა!..
მინდა ქროლვა, ქროლვა მინდა მხედარს მიუსაფარს,
მე ამ დემონს გაავებულს
ველზე დავგლეჯ ფაფარს!
ვინ რა იცის, მე რამდენი აღმაფრენა მახლავს!...
გადავლახავ ყველა სივრცეს
დღემდე გადულახავს!..
შენთან მოვალ და მოგიტან გაშლილ ატმის რტოებს,

გზებზე ბევრი ვიქარიშხლე,
ბევრიც ვიმარტოვე!
ო, ძვირფასო! დამიბრუნებ მღელვარების წამებს,
და ავანთებ მაგ შენს თვალებს
დაღლილს, განაწამებს!..
ის მეძახის მარად იდუმალი გზნებით!..
ახლა ირგვლივ ღამე,
შორეული გზები!..
და მივარღვევ მღვრიე, გახელებულ ქარებს
და უსაზღვრო ღელვა
იქით მიმაქანებს!..

02.02.60
ბანძა

იქნებ გადავარჩინოთ?!

ჟამი მიედინება და დღე იცვლის სამოსელს,
მოვა ვინმე უგნური
ხმელეთს მოაქაოსებს!..
მაშინ, ვინღა შეხედავს ამ პლანეტას საშინელს?!
მასზე ფიქრიც არ მინდა!
მასზე ფიქრიც მაშინებს!..
და დაიწყებს მზე ცაზე უფერულად ხეტიალს,
შენ მარწმუნებ, ამაზე
ახლა ფიქრიც მეტია!
და ზარების განგაშში წუხს და მოთქვამს სოფელი,
ზის და ჩუმად ქირქილებს
ბნელში მეფისტოფელი!..
მაშინ, ვინღა გაარჩევს: პარიზს, ლონდონს, ქაიროს?
შეიერთებს ქაოსი –
შექსპირს, ბალზაკს, ბაირონს!..
მაშინ, ვინღა გაარჩევს: რუსთველს, დანტეს, გოეთეს
და რა ვუყო – არ ვიცი,
სხვა მწერლებს და პოეტებს?!
როგორ გადავარჩინოთ რაფაელის „მადონა“?
ლეონარდო და ვინჩის
„ჯოოკონდას ღიმილი!“
ალბათ მიქელანჯელო სივრცეს გახევს ყვირილით
და რამდენი ტიტანი
კიდევ აღიმართება!..
განა უნდა მოისპოს ბეთჰოვენის გენია?!

ბახს და მოცარტს, შეხედე,
ეს რა შუქი ჰფენია!..
პაგანინიც, შოპენიც, ნუთუ მოიცელება?!
ვინმე გადაურჩება ამ
ატომურ ცხელებას?!
ვინ გაუძლებს ამ სხივებს, ამ შემზარავ აირებს?!
აპატიებს ფშაველა
ფერმს და ჰოპენ ჰაიმერს?!
რომ მიწაზე მარადის ვარდებს უნდა ეხარათ
და პლანეტის სამოთხეს
ფერფლი გადაეყარა!..
მოვლენების მსვლელობა აერევა ქრონოლოგს,
უსმენს ახლა მსოფლიო –
მხოლოდ პრინცის მონოლოგს!..
ჟამი მიედინება და დღე იცვლის სამოსელს,
მოვა, ვინმე უგნური
ხმელეთს მოაქაოსებს!..

03.08.60
სოხუმი

ყველას ეკუთვნის

ყველას ეკუთვნის ეს მზე, სიო დილით რომ მოქრის,
მწიფე ნაყოფი ხეზე
                და ვარსკვლავების ოქრო!..
ყველას ეკუთვნის ეს ცა, მთვარით ნაქსოვი რიდე,
ვარდების მღვრიე ცეცხლი
და ცისარტყელას ხიდი!
ყველას ეკუთვნის ეს ზღვა, მზის ალმაცერი ცქერა,
მწიფე ნაყოფი ხეზე
                და თავთავები ქერა!
მითხარ, შენ რატომ ღელავ? არ გაქვს უფლება ნგრევის!
მოვსპოთ ბირთვები ყველა
და რაკეტმზიდი გემი!
აღარ შეეხოს გენებს ნეიტრონების ზვავი,
თორემ მზე სივრცეს შესძრავს,
                მიწა დაიწყებს ბღავილს!..
ყველას ეკუთვნის ეს მზე, სიო დილით რომ მოქრის,
მწიფე ნაყოფი ხეზე
და ვარსკვლავების ოქრო!..

06.08.60
სოხუმი

საით მიემართება?!

მზემ ღრუბელთა კოშკები სულ მუხლებით ამტვრია,
ვხედავ მუხას ნამეხარს
და შუბლს კიდევ ნატყვიარს!
ეს ბილიკი ცისფერი საით მიემართება?!
გულო, შენ რა გეტკინა,
მითხარ, რა გემართება?!
იმ დღეების კოშმარებს არ დანებდე მთლიანად,
ის ღრუბელი მოშალე,
რომ მოგირჩეს იარა!
ზეცა გამიხალისე ვარსკვლავების მტევნებით
და შორეულ ზარის ხმას
ღელვით ავედევნები!..

14.08.60
ბანძა

სასაფლაოზე

სასაფლაოზე ხეტიალი მკრთალი ლანდების
და აკლდამებზე
გადაღლილი სხივთა კანკალი!..
ცაზე ინთება ლურჯი ფერის წყვილი სანთელი
და აქ ჩერდება წუთისოფლის
ყველა ქანქარა!
ძვირფას საფლავებს ფეხაკრეფით ვუახლოვდები,
ო, მე მიხდება უამრავი ტანჯვის ატანა!..
აქ ჩემს თვალებში ხმაურობენ მხოლოდ ლოდები
და აკლდამებზე დაფარფატებს
ლანდი პატარა...
და ირევიან შეღამების მუქი ბინდები
და ფიქრი ჩემი
წლების იქით გადაფრინდება!..
რა იდუმალი ხმაურია მთვრალი ზარების
და სივრცეების
უდაბური გადაფითრება!..

17.08.60
ბანძა

იციმციმეთ...

იციმციმეთ, ვარსკვლავებო ჩემო,
და მათოვეთ ლურჯი შუქი ციდან!..
იციმციმეთ, ვარსკვლავებო ჩემო,
იციმციმეთ, იციმციმეთ მშვიდად!..
იციმციმეთ, ვარსკვლავებო ჩემო,
ზღვის ნაპირზე ხავერდს მაფენს მთვარე,
იციმციმეთ, ვარსკვლავებო ჩემო,
ამიყვავეთ შუქით ჩემი მხარე!..
იციმციმეთ, ვარსკვლავებო ჩემო,
თქვენ ხართ ჩემი ოცნებების წყარო!..
იციმციმეთ ვარსკვლავებო, ჩემო,
ნუ ამავსებთ სევდით უმოწყალოდ!..

26.08.60
სოხუმი

მგლოვიარე ფერები

გზა იყო უდაბური,
უსახო, უპირქუბო...
გ. ტაბიძე

იყო საღამო უდაბური ლურჯი ფერების,
მიჰქონდათ კუბო...
შემზარავი იყო ზმანება!..
მიქროდნენ სადღაც გრიგალივით ლურჯა ცხენები...
რა უცნაური იყო
შენი გარდაცვალება?!
მზემ მთებს შუბები შეალეწა გულისფიცარზე
და დასასრული იგალობეს
მწუხრის ზარებმა!..
რა საოცრება იყო შენი მოსვლა მიწაზე,
რა უცნაური იყო შენი გარდაცვალება?!
თითქოს ჩამოწვა გუმბათები კავკასიონის,
კიოდა ქარი,
ნუთუ იგი არასდროს მოვა?
მიჰქონდათ მაღლა — მთაწმინდისკენ ერის დიდება
და იყო მხოლოდ
იდუმალი ფერების გლოვა!..

12.09.60
სოხუმი

მიასვენებდნენ პოეტს!..

დენა არ შეწყდა ხალხის, მიასვენებდნენ პოეტს!...
ეცვა საშობლოს თალხი
და ქარი ხეთა რტოებს –
არხევდა, როგორც სიმებს ანთებულს მწუხრის
ქნარით!..
ჩანდა პოეტის შუბლი,
როგორც თიბათვის მთვარე!..
სიოს მოჰქონდა ფრთებით შორი ზღაპარი
ველის!..
და მიცურავდა კუბო
მერის ცრემლებით სველი!..

15.09.60
თბილისი

მიკივის გზას ელმავალი

დრო ტკივილს ვეღარ ანელებს, ამ გულს არ ვიცი რა ვუყო!
მიდის დღეები რა ნელა,
მიდის დღეები რა უხმოდ?!
მუხას დასცვივდა ფოთოლი, მზეც მკრთალია და უფერო!
ღრუბლის გადარბის კოტორი,
თითქოს ზღვაური უბერავს!..
შორს, ციხე მოჩანს ბებერი უსარკმელო და უკარო,
ნისლს ვერ იცილებს შეფენილს,
მაინც დგას, როგორც მუქარა!..
მიკივის გზას ელმავალი, ექო მთებს შეაზანზარებს
და მიაქვს სევდა ტრამალის,
მიტოვებს ნაღველს საზარელს!
დრო ტკივილს ვეღარ ანელებს, ამ გულს არ ვიცი რა ვუყო!
მიდის დღეები რა ნელა,
მიდის დღეები რა უხმოდ?!

17.10.60
სოხუმი

თეთრი მხედარი

გესმის შორი ძახილი, სივრცეებს რომ ახელებს?!
მოქრის თეთრი მხედარი
ქარიშხლებთან მოდავე!..
მოქრის უცხო ჩვენებით, მოქრის შეუჩერებლად
და ხმაურში ზარების
ღამე გაიბზარება!..
მთებზე გადმოენთება ელვის ნიაღვარებად,
გზებზე არსად ჩერდება,
სადღაც მიექარება!..
ხან ღრუბლებში ტრიალებს, ხან ქარიშხლებს ედება
და უსაზღვრო კივილით
ველზე გადაჭენდება!..
უდაბური ნისლები ქარიშხლებმა მოშალა,
აჰა, ღამე კოშმარი
ნიაღვრებით ივსება!...
გზები ქარმა დაბურდა, დგება სისხლი იმდენი,
სივრცე გაუდაბურდა,
ქარი ღრუბლებს მიდენის!..
გესმის შორი ძახილი, სივრცეებს რომ ახელებს?!
მოქრის თეთრი მხედარი,
ქარიშხლებთან მოდავე!..
გადიქროლებს ხმაურით, როგორც შმაგი ზღვაურო,
მხარე რჩება თელილი,
ელვით გადაბელილი!..

გადივლიან ქარები, მარად ქროლვით მთვრალები!..
იდუმალი ფერებით,
ზეცა გადიფერება!..
გესმის შორი ძახილი, სივრცეებს რომ ახელებს?!
მოქრის თეთრი მხედარი
ქარიშხლებთან მოდავე!..

18.10.60
სოხუმი

* * *

ჟამი არ ინდობს არვის, ეს რა ქარები ქრიან?!
გამეფდა ფერი ქარვის
და სევდა მოაქვს ნიავს...
შლიან ნისლები კარავს, სივრცეს ფარავენ მზიანს
და ჟღერს მწუხარე ქნარი
შემოდგომაზე გვიან!..

21.10.60
ბანძა

ლურჯი ზმანება

ვერ მოვიშორე ნისლები გზიდან, თუმც მზის ამოსვლას
მაინც ველოდი,
ჩემს ტკივილს შენი ცრემლები ზრდიდა
და ცახცახებდნენ
მთები მელოტი!...
დაქროდა ცაზე ღრუბლების რემა, ჩამოდიოდა
ნოემბრის თქეში,
მექცა ტკივილი ლექსების თემად,
მე დაბადებულს
მაისის თვეში!
ვერ გამიბზარეს სული ზარებმა, თუმცა მიჩენდა
ჟამი ტკივილებს,
შენ იყავ ჩემი ლურჯი ზმანება,
რომელიც სივრცეს გადიკივილებს!..
მე მოვდიოდი ქარით ნაცემი და ცა მინდოდა
ჩემი მქონოდა,
მე ბევრჯერ ვნახე ჟამი დაცემის
და დრომ მაინც ვერ გამაბოროტა!
ცა ბარბაცებდა ძლიერ დახრილი, ვუცქერდი მწვერვალს
შუქით შეფერილს,
შენ იყავ ჩემი სულის ძახილი
და დაკორძილი
მუხა ბებერი!
ვერ მოვიშორე ნისლები გზიდან, თუმც მზის ამოსვლას
მაინც ველოდი,
ჩემს ტკივილს შენი ცრემლები ზრდიდა
და ცახცახებდნენ
მთები მელოტი!..

24.10.60; ბანძა

არავინ იცის!

ო, ეს ბილიკი სად იწყება არავინ იცის!
არავინ უწყის სად
დარეკეს ზარი პირველი!
ამ უთვალავი ღელვისა და ფერების იქით
დაფარულია ფერფლით
გზები პირველყოფილი!...
არავინ იცის სიმაღლეთა გაჩენის წუთი,
სიმაღლეები კვლავ იწყება
სიმაღლის იქით,
უნაპირო კიდეები დროის და სივრცის
და სფეროების
ხეტიალი ნისლოვანებში...
დროის ეკრანზე ქანაობენ მხოლოდ ლანდები,
სადაც ნისლი და უდაბური
ღელავს მორევი!...
ხმაურით სცვლიან ლანდები ლანდებს
და ოკეანის სიღრმეებში
ქრებიან ისევ...
ო, ეს ბილიკი სად იწყება, არავინ იცის!..

14.01.62
ბანძა

* * *

ახლა სიზმარივით მოჩანს ო, იმ
მდინარეზე ხიდი,
ალვა ირხეოდა ნორჩი,
თოვდა ყვავილები ხიდან...
ახლა სიზმარივით მოჩანს და ფიქრს
ღრუბელივით აშლის,
ახლა სიზმარივით მოჩანს
ჟამის მოგუგუნე ქარში!..
გულს კი ტკივილებით ნიღბავს – ეს მზე
ჩამავალი ზღვაზე,
ნისლი მიქანაობს მიღმა
და მე მწუხარებით მავსებს!..

25.02.61
სოხუმი

სული ქამმა ამიკივლა მძაფრად!..

მე მესმოდა შენი ჩუმი ლოცვა, მთვარიანში
ხელაწვდილი იდექ,
შორს ვარსკვლავი ციმციმებდა მომცრო,
ღრუბლის ფრთებმა
არ დაფარა ვიდრე...
ალვის ხე კი ირხეოდა ოდნავ, ქვითინებდნენ
ყვავილები მინდვრის,
სული მწარე ტკივილებით თრთოდა,
ფეხქვეშ თითქოს
მეცლებოდა ხიდი!..
გულს სასტიკად მიმძიმებდა სევდა, სულის ფირზე
მოგონებას ვწერდი!..
მე მესმოდა შენი ლოცვა, დედა,
და ვუსვამდი ჩემს ბავშვობას წერტილს!
მოახლოვდა ოქტომბერი შავი, შენი კუბო
მიცურავდა ქარში!..
იდგა ფოთლის მოყვითალო შვავი
და ობლობა ჩამდგომოდა კვალში!..
სული, როგორ შემიშფოთდა მაშინ და ფოთლების
გავცქეროდი რიალს...
ვერ გავშალე სიხარულის აფრა
და მივკივი წუთისოფლის ტრიალს!..

06.07.61;
ბანძა

წინ ისწრაფოდა სამება

შენი მაცდური ღიმილი სულს რად მიწეწავს აგრე?!
ღელვით დავწყვიტე სიმები
                და ვგლეჯდი დღეთა ბაგირს!..
ენთო შუქურა იმედის და ის მეძახდა გაღმა,
არ მახსოვს, როგორ მივედი
და გონს მოვდივარ ახლა!..
არ მახსოვს მე ის წამები, არც ის ღრუბელი თალხი,
წინ ისწრაფოდა სამება
                და მიჰყვებოდა ხალხი...
ანგელოზები გალობით წნავდნენ ვარსკვლავთა გვირგვინს,
ენთო სინათლე უხვად
და შუქს გზავნიდა ირგვლივ!..

10.09.61
სოხუმი

* * *

ო, ეს ჯადარა ტოტები, ვერ იკავებენ ნაყოფს,
მზემ სხივი ვერ მოისხლიტა,
ნისლი ედება მაღლობს...
მისდევს ნიავი ჩურჩულით მინდვრებს
ფოთლებით ფენილს,
სულს მიმღვრევს მე ეს სიჩუმე
შემოღამების ფერი!..

14.09.61
სოხუმი

* * *

ვინ იცის, სად რა მოგთელავს? ვინ იცის, სად რა მოგელის?
შესძლებ ყველაფრის მოთმენას? –
არც თუ გრძელია სოფელი!
შესძლებ ყველაფრის ატანას – უსახურის და სიავის?!
როდესაც მოგსდევს სატანა
ცოფმორეული ღრიალით?!

22.09.61
ბანძა

თეთრი ხომალდი

ირევა მღვრიე და ფერადი ღრუბლები
და მინდვრებს
ესაზღვროდ ფარავენ ბინდები...
ირევა მღვრიე და ფერადი ღრუბლები
და ქარში აფრებით
გაფრენა მინდება!..
მე ფიქრებს ამიშლის ბინდისი უჩუმესს,
მივალ და შორეულ
ლანდებთან ვჩურჩულებ...
თვალები გარბიან, გარბიან თვალები,
თვალები გარბიან
ფერებით მთვრალები!..

და ღელვას, და ღელვას ვერ დავემალები,
სიცოცხლე დაშლილი
რამდენი მინახავს!..
ჯერ მღვრიე დღეები ვერ გადამილახავს
და როგორ კივიან
წყეული ზარები!..

ვინ იცის რამდენჯერ ცა გამიავდარეს,
მშიშარა არ ვიყავ
და დღესაც არა ვარ!
ეს ჩემი ცხოვრება იმ ხომალდს ვადარე,
ღელვით რომ მიარღვევს
ზვირთების ქარავანს!..

არ უფრთხის არასდროს შორეულ გრიგალებს,
ზარების ხმაურში
მიკივის გარეწარს!..
ქარიბდებს ეწევა და სადმე დალეწავს

დარჩება ამ ქვეყნად,
ვით უცხო იგავი!..
და უახლოვდება შორეულ ნაპირებს
და როგორ ინთება
ფარული ხილვებით!..
ფიქრებით სამყაროს დალაშქვრას ვაპირებ
და მინდა ხმაური,
ღელვა და მხილება!..
მრისხანე ბაგეებს რამდენჯერ ვეურჩე,
რამდენჯერ ნისლებსაც
ცა გადაუფარავთ...
გუმბათებს გუგუნით გრიგალი შეუჩნდა,
ვით ჯოჯოხეთური
წყევლა და მუქარა!..
მე სულის ღელვანი სტრიქონებს გავანდე,
ვიგრძენი მღელვარე
ცხოვრების რაობა!..
ვინ იცის, ეს სული რამდენჯერ ავანთე,
რომ ქროლვით გადავცე
მომდევნო თაობებს!..
და სულის მაღლობზე კივიან ქარები,
ელვარე თვალები
სივრცეებს ზომავენ!..
და მიქრის! და მიქრის!... შორს მიექანება
უსაზღვრო ქაოსში
ეს თეთრი ხომალდი!..

12.12.61
ბანძა

მივდივარ მარტო!..

ღრუბელი, ღამე და სივრცე უსაზღვრო,
მიწაზე მარადის ღელვა და კვეთება!..
ღრუბელი ღამე და სივრცე უსაზღვრო,
ქარი ქრის, სალ კლდეებს
ხმაურით ედება!..
ქარი ქრის და წეწავს ფოთლებს და ყვავილებს
და ხეებს ჰკიდიათ ნარბევი რტოები!
მთებიდან ქორბუდა ჩამორბის ბღავილით
და ახლა მოუნდა
სულს განმარტოება!..
კვლავ მარტო მივდივარ, არ მოჩანს არავინ,
და ქარში ვიშუშებ უსაზღვრო ტკივილებს!..
ტრამალზე კივის და ტრიალებს არავი
და შემდეგ ედება
კვლავ სივრცეს კივილით!..
მიქრის და უდაბურ კლდე-ღრეებს მიარღვევს,
ვარსკვლავებს შეიპყრობს შიში და ზმანება!..
მიქრის და ეძახის თოვლსა და ნიალვარს
და სივრცე აიკლეს
კივილით ზარებმა!..
მივალ და ნანგრევში ნაკვალევს დავეძებ
და ღამე ედება გუმბათებს ფითრივით!..
ვინ იცის, ბილიკზე რამდენჯერ დაეცა
და მესმის შორიდან
წყევლა და ქვითინი!..
და ახლა მოუნდა სულს განმარტოება,

ქარს გაეჯიბრება ტრამალზე ქროლვაში!..
და ახლა მოუნდა სულს განმარტოება,
და ახლა მოუნდა
ქარსა და თოვაში!..
ღრუბელი, ღამე და სივრცე უსაზღვრო,
მიწაზე მარადის ღელვა და კვეთება!..
ღრუბელი, ღამე და სივრცე უსაზღვრო,
ქარი ქრის, სალ კლდეებს
ხმაურით ედება!..

14.03.62
ბანძა

ზვირთი განგაშით მოდის

ხედავ, ნაზამთრალ მინდვრებს მზემ შემოავლო ქარგა,
როცა სიმაღლეს მისდევს,
სული სიმშვიდეს კარგავს!
მიწა სხივს იწოვს ხარბად, ვით ბავშვი
დედის ძუძუს!
და არხევს ტოტებს ქარი,
ნაყოფით გადახუნძლულს...
სული ტკივილთან შებმით საუკუნეებს უძლებს,
ზვირთი განგაშით მოდის,
რომ ამიმღვრიოს ფუძე!
რომ დავიწყებას მისცეს გზები განვლილი ბრძოლით
და დამამსხვრიოს თავზე
ცა გამჯვირვალე ბროლის!

23.03.61
სოხუმი

მომეცი ხელი

მე ისევ შენი სიმღერა მესმის
            და ალუბლების ტოტების რწევა...
მინდა სიცოცხლის დავლოცო ფესვი
და სულში ცისკრის
სხივების მტვრევა!..
მე მიყვარს შენი თვალები სველი,
            ოღონდ ალერსით, ცრემლებით არა!
მოდი, ძვირფასო, მომეცი ხელი!
ცრემლები ჩემში
ისედაც კმარა!

14.06.61
სოხუმი

* * *

ტოვებს ნანგრევებს კართაგენის დრო მოთარეშე,
გულს მწუხარების უსაშველო
ზვირთი მოება!..
არაფერია ეს ცხოვრება ბრძოლის გარეშე
და ყველაფერი არის
მხოლოდ ამაოება!

07.02.62
სოხუმი

უსახელო რაინდები

ქედს არ ვიხრიდით უმწეოდ, ასე მოგვდგამდა ოდითგან!
ჩვენ ვაჟკაცობით მოვიწევთ,
ჩვენ ერთგულებით მოვდივართ!..
აჩნია ჩვენი ნახმლევი შაჰის და სულთნის კარიბჭეს
და უსახელო რაინდებს, —
ეს უკვდავებას გვანიჭებს!

ვიომეთ, როგორც გვშვენოდა, ჩვენ არ ვიცოდით დახევა,
ო, გულს ვაძლევდით სამშობლოს
და არა გულის ნახევარს!
აღარ ვაყმუვლეთ ნადირი ამ სათაყვანო მიწაზე!
ბევრი გრიგალი დაიმსხვრა
მამულის გულის ფიცარზე!..
ვედექით, როგორც გმირები ციხის ბურჯებს და გალავნებს
და მხრებით ჩამოვიტანეთ
მზე რუსთველის და თამარის!..
ხმლების კვეთებით ვიარეთ, მაგრამ ჩვენი მზეც ჩამოტყდა!
ვერ შეძლო მემატიანემ
ჩვენი გმირობის ჩამოთვლა!..
ქედს არ ვიხრიდით უმწეოდ, ასე მოგვდგამდა ოდითგან!
ჩვენ ვაჟკაცობით მოვიწევთ,
ჩვენ ერთგულებით მოვდივართ!..

17.02.62
სოხუმი

ღრუბელს

ღრუბელო, რას ერჩი, მითხარ, ამ მზეს და
უმანკო სხივებს?
ო, როგორ ათრიე დიდხანს
ძაძები ზარივით მძიმე?!
მითხარი, რას ერჩი ამ ცას? რად აკრთობ
ხასხასა მინდვრებს?!
დროულად სჯობია გაცლა,
მზე, ფერფლად გაქცევდეს ვიდრე!..

17.04.62
ბანძა

ხსოვნა

შენს ხსოვნას ჩემში დავიწყება არ უწერია,
თუმცა ხუნდება
ყველაფერი ფერიცვალებით!
მას შემდეგ უკვე, მეგობარო, ოცი წელია,
მას შემდეგ ოცჯერ ახმაურდა
სივრცე ქარებით!..
ქროლვას ჟამისას ქედს არ უხრის შენი ჩინარი
და ცისკენ ლტოლვის
კლავს სურვილი დაუოკები!..
შენ, მეგობარო, საუკუნოდ გაუჩინარდი,
თითქოს დაგაბეს ღამის ფსკერზე
მძიმე თოკებით!
შენ არასოდეს მინდობიხარ დროის დინებას,
ხარირემივით გასცქეროდი
სივრცეს ამაყი!..
მას შემდეგ მიწა თოვლის ხავერდს ოცჯერ მინებდა,
მას შემდეგ ოცჯერ ახმაურდა
მინდვრად ბალახი!..
მას შემდეგ ოცჯერ ჩამოღვარა ჟამმა ფოთოლი,
მას შემდეგ ოცჯერ დაიწურა,
ბიჭო, მტევანი!
ყველგან დამყვება მხოლოდ შენი ლანდი გრძნეული
და შენი სული
გრიგალივით დაუტევარი!..
ოცი წელია დედაშენი წუხს და კანკალებს,

უშენოდ, როგორ მოწყენილან
                    სოფლის შუკები,
თუმცა ერდოზე ძველებურად ყივის მამალი
და გაზაფხული დაბრძანდება
მზით და ბუკებით!..
შენს ხსოვნას ჩემში დავიწყება არ უწერია,
თუმცა ხუნდება
                    ყველაფერი ფერიცვალებით!
მას შემდეგ უკვე, მეგობარო, ოცი წელია,
მას შემდეგ ოცჯერ ახმაურდა სივრცე ქარებით!..

12.05.62
ბანძა

* * *

მოვედი ჩუმად, მოვიშორე ნისლები ღამის,
მოვედი ჩუმად და ყოველდღე
მოშრიალე ფოთლების წყება
მავსებდა თრთოლვით და ჩიტების სიმღერა წრფელი
შემოდიოდა ჩემს სივრცეში ნაკადულებად!..
მე ყოველ დილით მზეს ვხვდებოდი
და ბალახებში ვეხვეოდი, როგორც
ვინმე მეუდაბნოე,
და ძოწისფერი კელაპტრები
მიწაზე ენთო!..

21.05.62
ბანძა

ზღვა ძლიერ ღელავდა

ცას შავი ეხურა რიდე და იყო გუგუნი სივრცის,
ზღვა ძლიერ ღელავდა იმ დღეს,
ზღვამ უცბად მოვარდნა იცის!..
პორტიდან შორს იდგა ხომალდი, მახსოვს
ის წელიც და რიცხვიც!
ზვირთები ნაპირთან ბორგავდნენ,
ზღვამ უცბად მოვარდნა იცის!..
დღეები კვლავ სადღაც მიქრიან, ზღვა
ისევ საშოსელს იცვლის,
სად არის პატარა ფიფქია –
ზღაპარი ცისა და მიწის?!

10.06.62
სოხუმი

* * *

ო, მაზიარე შენი სულის შუქს მიუწვდომელს
და გადმოენთე
ცისარტყელას ფერადი ეტლით!..
მე ლურჯი მთების, ლურჯი მთების რძისფერი ნისლით
და მთის ბალახის ცრემლითა მაქვს
თვალები სველი!..
მე შეშლილივით მომკიოდა სივრცე ვეება
ნიაღვარებით და ზვავებით
ცოფმორეული!..
ო, მაზიარე შენი სულის შუქს მიუწვდომელს
და გამინათე, გამინათე
გზა შორეული!..

22.06.62
სოხუმი

მითრევს სიჩუმე!..

უხმოდ ეშვება ფარდა შემოღამების ფერი,
გზაზე სიჩუმე ჩადგა
დაუნდობელი მტერი!..
ღრუბლებს მიარღვევს მძლავრად ელვის მრისხანე დენი,
ღმერთო მომეცი ძალა,
ღელვით ავანთო დღენი!..
ბევრი ვეომე ზვირთებს, ქარი მიკლებდა სტვენით!..
ახლა სიჩუმე მითრევს
ჩემი სასტიკი მტერი!..

16.07.62
ბანძა

ქალაქის სიკვდილი

ეძინა ქალაქს... მოწმენდილ ცაზე შორს ვარსკვლავების
სილურჯე ენთო!..
ეძინა ქალაქს და ნათურების
ბრჭყვიალა შუქზე
ქუჩის საათი ამსხვრევდა დუმილს!..
ეძინა ქალაქს, ო, ღრმა ძილით ეძინა ქალაქს!..
ხანდახან მხოლოდ
სახურავებზე გადარბოდა
ფეხშიშველი ყვითელი ქარი...
ეძინა ქალაქს და ბავშვების რძიან ტუჩებზე,
როგორც აპრილში
აფეთქებულ ატმის კვირტებზე
მიირწეოდა სინათლის სხივი...
ეძინა ქალაქს! ეძინა ქალაქს!,
და ამ დროს და ამ დროს მხოლოდ,
ო, მოტორების, მოტორების
მძლავრი გუგუნი ეზიდებოდა სიკვდილის ტვირთს
ათასტონიანს!..
და რკინის ფრთები
შემზარავი მძაფრი შხუილით
ამსხვრევდა სივრცეს!
ამსხვრევდა სივრცეს!!
ამსხვრევდა სივრცეს!!!
ახლოვდებოდა უფრო და უფრო!..
ეძინა ქალაქს და მის თავზე ბრუნავდნენ უკვე
შემზარავი ტაიფუნები!..

განთიადისას, როდესაც
მზის თეთრი ხომალდი
მოაწვა სივრცეს და გაარღვია ჟანგისფერი
ღრუბლების ფარდა...
ნახა სიცოცხლე აზელილი ტალახში, შლამში!..
ეძინა ქალაქს, ყორნის ფრთებზე ეძინა ქალაქს!..

17.08.62
ბანძა

ისევ იცინის პირიმზე

გულს კვლავ ტკივილი მითელავს, ჟამის
ქარები მქანცავენ,
მოირღვა ფერი ყვითელი,
კიდევ ცოტა ხანს მაცალე!
ზღვაზე ფეთქავენ აფრები, სხივი იღვრება ბილიკზე,
ისევ იცინის პირიმზე
და სულს მოუნდა გაფრენა!..

22.08.62
სოხუმი

* * *

გამოქცევია სული ჩემი მრისხანე ქარებს,
რომ იგრძნოს შვება,
კვლავ დავუბრუნდი ბავშვობის მხარეს,
იდუმალ ვნებას!..
სად მთვარის შუქი მწვანე მოლზე
ზოლებად წვება
და უჩვეულოდ ლივლივებენ თეთრი ჭავლები...
შორს ვარსკვლავების ლურჯი ცეცხლით
ცა იფერფლება...
გამოქცევია სული ჩემი მრისხანე ქარებს,
რომ იგრძნოს შვება!..

08.09.62
ბანძა

ციხე

ციხეს შემორტყმულს დიდი კედრებით
ჩემი წინაპრის
სისხლი ეტყობა!..

ისევ პირქუშად დგანან კედლები,
მაგრამ არავის
თხოვენ შენდობას!

ვუცქერ წინაპრის თვალებს ნაწამებს,
რამდენ ტკივილს
და უიმედობას?!

ჟამი მთვლემარე არხევს წამწამებს
და საიდუმლოს
თითქოს მენდობა!..

14.09.62
სოხუმი

თეთრი სტუმარი

შენ შთამაგონე, ძვირფასო ჩემო, შენ შთამაგონე!
და თან მაჩვენე ამ სამყაროს
გზა იდუმალი!..
შენ მეცხადები, სულო ჩემო! შენ მეცხადები,.
ო, ამ სამყაროს უნაზესი
თეთრი სტუმარი!..
რა მომცა ბედმა? – მზე, დედამიწა, ცა–ვარსკვლავებით
და უცნაური
ღელვის უნარი!..

26.09.62
სოხუმი

ზღვა ღელავს

თავზე ღრუბლებმა მერამდენედ გადამიარეს,
ცა ხმაურობს და
სეტყვას მაყრის გაუთავებლად...
და სადღაც სულის შევარდენმა შეკრა კამარა,
რომ საუკუნოდ გაარღვიოს
რკალი წამების!..
ზღვა ღელავს, საით იჩქარიან ასე ნავები?
შეხედე ზეცას,
უდაბური ღრუბლის ძაძებით!..
შეხედე, როგორ მიკივიან სივრცეს ანძები,
ცა ხმაურობს და
სეტყვას მაყრის გაუთავებლად!..

12.11.62
სოხუმი

მირზა გელოვანს

ქათქათა თოვლის იხურავდი მინდორზე საბანს
და ცახცახებდა დაცხრილული
სივრცე ტყვიებით!
უბით დაგქონდა: რუსთაველი, ვაჟა და საბა,
ფანტავდა ქარი, შორეული
დღეების ზღაპარს!..
პოეტს ცხოვრება გიყვებოდა შემზარავ ამბავს,
აანთე გული სიყვარულით
და ახლაც იწვის!..
უბით დაგქონდა: რუსთაველი, ვაჟა და საბა
და დაცხრილული ცახცახებდა
ტყვიებით სივრცე!..

22.01.63
სოხუმი

არ გამეფანტოს!

ო, ჩემში კივის შენი ცრემლის ყოველი წვეთი
და ულმობელი ზამთრის ქარი
აწყდება ბაღებს!..
არ გამეფანტოს სიყვარულის ყვავილი თეთრი,
არ დამეკარგოს საკუთარი
ფერი და სახე!
ჩემი თვალები, მაგ შემზარავ სივრცეებს გახევს!
თუ დავიწყების გადმოქანდა
ქარაფზე ლოდი!
თუ დამეკარგა საკუთარი ფერი და სახე,
თუ დამელეწა სიყვარულის
ლამაზი ტოტი!

11.06.63
სოხუმი

ამოვა ქარი

უცნაურია ამაღამ მთვარე და ეს ფოთლები დუმილით მთვრალი,
ვარსკვლავნი ისე ახელენ თვალებს,
ო, ალბათ მალე ამოვა ქარი!..
უცნაურია ამაღამ ეს ცა და უჩვეულო მდინარის წყალი!
ზღვა არის ისე საოცრად წყნარი,
ო, ალბათ მალე ამოვა ქარი!
ახმაურდება მთვლემარე მხარე, გადაიქროლებს ღრუბელი ჩქარი...
ისე ციმციმებს ლაჟვარდი მკრთალი,
ო, ალბათ მალე ამოვა ქარი!..

30.06.63
სოხუმი

* * *

რად არ შრიალებთ, ხეებო ალვის,
        რატომ ხართ ასე გატრუნულები?
ნუთუ გაშინებთ წყეული გვალვა, –
ეს ულმობელი
რისხვა ბუნების?!
რად არ შრიალებთ, ხეებო ალვის,
        სად არის თქვენი თრთოლვა ულევი?
რად შეიჩვიეთ ფერები ქარვის,
რატომ ხართ
ასე გარინდულები?!

14.08.63
ბანძა

იყო ორომტრიალი!..

ვერ გაუძლო წამებას და კივილით დაიმსხვრა!..
მოდის შემოღამება,
იცრიცება დაისი!..
ვერ გაუძლო წამებას და იმ შხამით დათრობას,
ვერ გაუძლო წამებას,
ჟამის მუხანათობას!
იყო ორომტრიალი, ძაღლი პატრონს ვერ ცნობდა!
ჟამი იდგა ტიალი,
მხოლოდ წყევლა მესმოდა!..
ის მოთქვამდა ლოდებთან, იყო ცრემლით ნაოსი!..
ქარს მოჰქონდა გოდება
და ღრუბლების ქაოსი!..
ყეფდა ჟამის ათთარი, ქროდა ქარი ორპირი
და ფრთებს შლიდა ავდარი
სივრცეებში ორბივით!..
ვერ გაუძლო წამებას და კივილით დაიმსხვრა!..
მოდის შემოღამება,
იცრიცება დაისი!..

14.11.63
ბათუმი

მე ვამსხვრევ სიცილის ტალღას

ეგ შენი სიცილი მაცდური, იცოდე არავის უნდა!
რამდენი მორევი გავცურე,
მეხვია ლანდების გუნდი...

ამ კედლებს გავსცდები საცაა, არა მაქვს არავის შიში!
თვალებში მაყრიდით ნაცარს,
თვალებში მაყრიდით ქვიშას!...

მე ისევ ჩემი გზით მივალ, მომავალს ვუცქერი საღად!..
იცინეთ, რამდენიც გინდათ,
მე ვამსხვრევ სიცილის ტალღას!..

02.02.64
ბანძა

დარეკეთ, დარეკეთ ზარებო!

დარეკეთ, დარეკეთ ზარებო!
ამინთეთ ტკივილი ყველა!
დაქრიან თებერვლის ქარები
და სულის მდინარე ღელავს!..
ვერ წაშლი ხსოვნათა მწვერვალებს,
მივენდე იალქანს ბედის!...
ო, ეს რა ზვირთები ღელავენ,
მომძახის მწუხარე დედა!..
დარეკეთ, დარეკეთ ზარებო!
ამინთეთ ტკივილი ყველა!..
დაქრიან თებერვლის ქარები
და სულის მდინარე ღელავს!..

12.02.64
სოხუმი

შენ გეძახი!

რბიან დღენი ... შენ არ ჩანხარ მაინც! ტკივილებით
დანაღმული დავალ!
მზე ფეთქავს და ვუცქერ ზღვაზე დაისს,
ხან ქართან მაქვს ბილიკებზე დავა!..
რბიან დღენი და ტკივილებს ვებრძვი, მოვდივარ და
შენი ლანდი მახლავს...
სული მიწუხს და თვალები მეწვის
და ირწევა ვარსკვლავების ტალღა...
ხან დანისლულ თვალებს ვუმზერ სივრცის, ხან ღრუბლიდან
მზის ჭრილობა ჟონავს!..
შენ ვერასდროს გაექცევი სირცხვილს,
თუ დარჩები ამ ცხოვრების მონა!
სანამ ჟამი იდუმალი რეკავს! რად არ ჩანხარ,
მეგობარო, მიკვირს!
დრო არ იცდის დრო არ იცდის ახლა!
ფაფარაშლილ თეთრონივით მიქრის!..
მზე ეშვება და ზღვა ხავერდს უფენს და ჩრდილები
სეირნობენ ხეთა...
შენ გეძახი! კვლავ დუმილი სუფევს
და კოცონი სიყვარულის ფეთქავს!

22.06.64
სოხუმი

დავდივარ შენი სინათლით სავსე

შენ წახველ, მაგრამ მაინც ჩემთან ხარ,
შენ წახველ, დარჩა
მრავალწერტილი!
მინდოდა ეს დღეც ერთად გვენახა
და რად დამტოვე
გულდაწყვეტილი?!
შენ წახველ!.. და რა სევდა მათოვე?
დამყვება შენი
ლანდი ბედივით!..
ასე უღმერთოდ რად მიმატოვე,
ვით ნავი
ათრებშემოფლეთილი!
დაეხეტიალობ, ამღვრეულ ზღვაზე
და მაწევს გულზე
ბოლმა უჩვევი!
დავდივარ შენი სინათლით სავსე
და ჟამის ზვირთებს
კვლავ ვეურჩები!..

10.06.64
სოხუმი

დარეკავს ოდეს!

ზარები ცისკრის დარეკავს ოდეს!..
შენ ღამეული უღრანიდან გამოხვალ მგზავრი,
უკან დარჩება კოშმარები ათასწლოვანი
დამძიმებული დინოზავრთა ნაფეხურებით!..
ზარები ცისკრის
დარეკავს ოდეს!..
შენ გამოგყვება უთვალავი ცოდვა და მადლი
და უსაშველო სიშორიდან გამოჟონავს
ამღვრეული თვალები მხეცის,
რომლის ცივ ფსკერზე აილანდება
შემკრთალი ნიმფა
მინდვრის ქორფა
ყვავილით ხელში!..

14.10.64
ბანძა

* * *

ყვითელ ფოთლებზე ვწევარ და სიო
რტოებს მირხევს,
სივრცეს მიკივის წერო,
როგორ გაფრინდა სიყრმე!..
ყვითელ ფოთლებზე ვწევარ და ზეცა
სხივებს მაღვრის,
გული გრძნობს ბედისწერას,
ვით ზამთრის მოსვლას ბალი!

20.10.64
ბანძა

შავი გედი

ფოთოლცვენაა ხშირი ამ შემოდგომის პირას,
ხეთა ქანაობს ჩრდილი,
მოწყენილია დილა!..
გავცქერ სივრცეებს მდუმარს და დღე
ნისლებში შედის,
ცვივა ფოთოლი ჩუმად
და მღერის შავი გედი!..

21.10.64
სოხუმი

თქვენ გვასწავლიდით სიყვარულს!

(სახელოვან წინაპრებს)

თქვენ გვასწავლიდით სიყვარულს და სისხლი
ისევ ხმაურობს!..
ვინ არის ძმა და მოყვარე,
რატომ ქრის ხშირად ზღვაური!..
რას ნიშნავს გრძნობა ფხიზელი ან ერთგულება
მამულის?
თბილია ზეცის სიზმარი,
ვით თრთოლვა სიასამურის!..
ქარი ლეწავდა ქარაფებს, კვეთება
იყო როგორი?
როცა მოზღვავდა არაბი,
როცა გვჩეხავდა მონღოლი!..
დრო ბობოქრობდა მედინი და ჰგავდა
კვამლით შემურვილს!..
სისხლს გვწოვდა ჯალალედინი
და ვინმე კოჭლი თემური!
ხვდებოდა მკერდი ქართველის არავს
აზიით მობერილს!..
და ვღვარეთ
სისხლი რამდენი!..
ბორგავდა წუთისოფელი!..
თქვენ გვასწავლიდით სიყვარულს, მან ყველა
გრძნობა დაჩრდილა!..
თქვენ გვასწავლიდით
სიყვარულს
და იმან გადაგვარჩინა!..

14.01.65
სოხუმი

აიმღვრა სივრცე?!

აიმღვრა სივრცე? მაშ გაშალე მძლავრად აფრები
და ნუ აჰყვები ლანდთა ქროლვას
                  და მთვრალ მირაჟებს...
თუ საჭიროა აღარ შედრკე ღმერთის წინაშეც
და არ შეჰბედო
ამ ცხოვრებას გაარაფრება!
აიმღვრა სივრცე? – შეაგებე ფრთები ქარიშხალს
და შეუვალი გქონდეს
                  მარად რწმენის კედელი!
თუ საჭიროა, ზღვას და ხმელეთს ერთად ედავე
და ნუ იქნები,
მეგობარო, გაუბედავი!.

22.05.65
სოხუმი

მესმის ბღავილი ხარის!..

მახსოვს, დასვრილი იყო ბალახი ტალახით არა, სისხლით!
დღემდე ვერ იქნა, ვერ გადავლახე
ეგ შემზარავი ზიზღი!..
ო, მე სიკვდილის ვნახე თარეში და დავიხიე უკან!
ჩაქრა სიცოცხლე ფართო თვალებში,
უცბად გაცივდა გუგა!
და შემზარავი მიწყდა ბღავილი ჩემი წითელი ხარის!
იკლაკნებოდა სისხლის მდინარე,
ზედ დასჩხაოდა ყვავი!..
ბალახში ეგდო დანა პრიალა, მოქმედი თითქოს ცოდვის!
დიდხანს მესმოდა ხარის ბღავილი
და შიშისაგან ვთრთოდი!..
ჩემთვის ცხოვრებამ მხოლოდ იმ დღიდან,
მკაცრად იცვალა მხარი!
და, როცა წარსულს მივაყურადებ, —
მესმის ბღავილი ხარის!..

27.09.65
ბანძა

აჩრდილი გზვასთან

ეხეთქებიან ნაპირს ზვირთები, კივის გრიგალი
მკერდში დაჭრილი!..
მე ვამბობ ახლა — შენს გზას დიდება!
და ვხედავ მოდის თეთრი აჩრდილი!...
ის მეჩვენება თითქოს დაღლილი და მაინც იწყებს
ღელვას, შეტევას!..
დაჭიმულია ჟამის აღვირი
და ფიქრი, როგორც
ნაღმი ფეთქდება!
დრო ბრუნავს ისე, როგორც მორევი და ქარი ამსხვრევს
ცაში მნათობებს,
ეს რა დარდი გაქვს მოუშორები,
რომ საუკუნეს გადაათოვე!..
ეს რა დარდი გაქვს და რა ტკივილი? — მკერდში რამდენი
მძიმე ჭრილობა!
პირზე გაჩნია მწარე ღიმილი!
ღელავს მორევი უამინდობის!..
ეხეთქებიან ნაპირს ზვირთები, კივის გრიგალი
მკერდში დაჭრილი!..
მე ვამბობ ახლა – შენს გზას დიდება!
და ვხედავ მოდის თეთრი აჩრდილი!..

02.10.65
სოხუმი

ბედისწერა

მე გამომყვა ღელვა ო, იმ დღეთა, ბედისწერას
გაექცევა ვერვინ!..
იმ შეხვედრებს ვერ
ვივიწყებ შენთან
და საოცრად მიხურს ყველა ნერვი!..
ჩემში ჩადგა აურწყავი სევდა და ბინდები
მოეფინა ბილიკს,
ხვალ შემიტევს
ქარიშხალი მედგრად
და ჩემს სულში მზეს დაამსხვრევს დილის!
ჟამი მიქრის უსწრაფესად მხედრის და არისხებს
წუთისოფლის ზარებს,
სიყვარულის გამიფრინდა მტრედი
და დღეს უკვე ველოდები ზვავებს!..

22.10.65
სოხუმი

* * *

ამ როიალის კლავიშებს ზედ შეაცივდა თითები,
გული შეჩერდა წამისად,
            დღე დარჩა განაფითრები!..
და გაზაფხულის სიზმარი ო, რა ტკივილით გაფრინდა!
დარჩა ცისფერი ოთახი
იმ შორეული ზღაპრიდან!

12.04.66
სოხუმი

მე შევიყვარე შენი ჩურჩული

ჯერაც შორსაა ჩემგან სიბერე, ზამთრის სუსხი
და უამინდობა,
მე გამოვყევი ცისფერ ბილიკებს
და შევიყვარე ჭრელი მინდვრები!..
მე შევიყვარე შენი ჩურჩული და მეწამული
მთვარის სიმები!..
სადღაც დავტოვე ღამე უქმური
და ულმობელი ზამთრის წვიმები!..
ისევ დამყივის ციდან არწივი, როცა მოდგება მთებზე
რიჟრაჟი...
ჯერ კიდევ მიცემს გული ყმაწვილის
და ვდგავარ დიდი ღელვის წინაშე!..

24.04.66
სოხუმი

მე მინდა ვიგრძნო

მე მინდა ვიგრძნო შენი სიმაღლე, როგორც ლაჟვარდში
თრთოლვა გედების!..
მე მინდა ვიგრძნო შენი სიმაღლე
და უნაპირო შენი ედემი!..
მე მინდა ვიგრძნო შენი მეობა და იდუმალი
სულის ტკივილი!..
როცა აღვიძებს ქარი ხეობას
და მზე მიარღვევს სივრცეს კივილით!..

მე მინდა ვიგრძნო უკიდეგანო და მოოჭვილი
შენი თავანი!..
მე მინდა ვიგრძნო სივრცე რუსთველის!...
მე მინდა ვიგრძნო ზეცა თამარის!..

17.05.67
სოხუმი

პოეტი

სალვატორე ქვაზიმოდოს

შენ დგახარ მარტო და სივრცეებს დუმილით უმზერ,
შორს, ჰორიზონტზე
იისფერი ლანდების რიგი...
მოდის ნიავი, – ლურჯი ფრთებით გეხება წყლულზე
და მეწამული მზე ეშვება
ღრუბლების იქით!..

ქანაობს შენში უდაბური სტიქიის ძალა
და კივის, კივის, შენი სული, —
ქარიშხლის ფრთები!..
ხან ხანძარივით შეთრთოლდება, იფეთქებს მძლავრად
და გადაბურულ ოკეანეს
მიარღვევს მხრებით!..

ხან მეტად ნაზი მზის სხივივით კანკალებ მარტო,
და იცრემლები, როცა ყვავილს
ეცემა მტვერი!
ხან ვარსკვლავების უნაპირო ციმციმი გათრობს
და გეშინია სუსხიანი
ქარიშხლის სტვენის!

შენ დგახარ მარტო და სივრცეებს დუმილით უმზერ,
შორს ჰორიზონტზე
იისფერი ლანდების რიგი...
მოდის ნიავი, – ლურჯი ფრთებით გეხება წყლულზე
და მეწამული მზე ეშვება
ღრუბლების იქით!..

12.05.67;
სოხუმი

ზღვის ტკივილი

როცა ხომალდი ზღვის სიღრმეში ჩაუშვებს ღუზას,
წავა ბარბაცით ნაპირისკენ
შეშლილი ზვირთი...
ის რკინის სხეულს ღრღნის კბილებით, ამაოდ თუმცა,
დაიღლება და გააბრუებს
სიმძიმე ტვირთის!...
როცა სივრცეში შორს, ნისლების გაწვება ხიდი,
ზღვა თვალს დახუჭავს,
ვარსკვლავების ჩააქრობს სანთელს!
გრძნობს უსაშველოდ, სულში ბრუნავს ტკივილი დიდი,
გაიტრუნება და დათვივით
ილოკავს თათებს!..

10.07.67
სოხუმი

დაღუპულია ვითომ?!

შენ რამდენ რამეს ითმენ, ო, დასწყევლილო ბედო!
ხედავ ღრუბელი შავი,
კვლავ ფრთების გაშლას ბედავს!
შენ რამდენ რამეს ითმენ, გული სხვა რამეს ითხოვს,
სივრცეს ედება ფითრი,
დაღუპულია ვითომ?!
მოგონებათა წყება სულის მდინარეს ერთვის,
ვერ მისცემ დავიწყებას,
ვინც კი ეწამა შენთვის!..
ო, რამდენ რამეს უძლებ! გული შემუსრავს ლითონს!
ცეცხლი ედება ფუძეს,
დაღუპულია ვითომ?!

22.07.67
სოხუმი

* * *

ყველა იმედი გადაიწურა, თუმც ბევრი რამე
გქონდა სადაო!..
მერე ჩააქრე ღამის სანთელი,
დარჩა კერაზე
მხოლოდ ღადარი...
ზურგით მიაწექ ჟამის ყრუ კედელს,
ღელავდა მთვარის ლურჯი ჯეჯილი!..
და ნახეს დილით ცივი ცხედარი,
შუბლი ტყვიებით გადაგლეჯილი!..

11.09.67
სოხუმი

წავიდა ის დრო!..

წავიდა ის დრო, რომ გათრობდა
ფერები მინდვრის!..
წავიდა ის დრო
გაიარა რამდენი ხიდი!...

წავიდა ის დრო, მოიტოვა ტკივილი დიდი,
ხედავ, რომ მიდის
და არ იცი საითკენ მიდის?!

გაფრინდა ის დრო მოგალობე ჩიტების გუნდით
და მაღალ ხეზე ცარიელი
ქანაობს ბუდე...

წავიდა ის დრო საოცნებო, ვარდისფერ დღეთა,
წავიდა ის დრო, რომ გელოდა
ღიმილით დედა!

წავიდა ის დრო და გულს ახლა განსჯა უხდება,
წავიდა ის დრო, –
არასოდეს არ დაბრუნდება!

წავიდა ის დრო, ხედავ, სიმი სიცოცხლის კრთება,
წავიდა ის დრო და
ტკივილთან გიხდება შებმა!..

წავიდა ის დრო, სათაყვანო ოცნების ხანა

და აწი უნდა შეაბერდე
დარდსა და ვარამს!..
წავიდა ის დრო და იმ მინდვრის
ფერები მოკვდა,
ნუთუ ამ ქვეყნად
ყველაფერი ყოფილა მოდა?!

17.09.67
სოხუმი

შემოდგომა

რა უდაბური იმზირება სექტემბრის ჭალა?!
აქ ქარი მხრებით
ეზიდება მინდორზე ჩალას...
და ქანაობენ მოთენთილი ლანდები ხეთა,
რა ფიქრით სავსე თვალები აქვს
ადგილის დედას?
ეს ვინ მოდენის სიშორიდან ღრუბლების ლაშქარს?
დენა ძარღვებში
მწვანე სისხლის ასე რად დაშრა?!
ან ეს მდინარე დაღალული საითკენ ილტვის?
თითქოს საკუთარ მხრებზე აწევს
ეპოქის ტვირთი!...
შორს კიდევ იქით, სულ ჭაღარა მწვერვალი მოჩანს,
როგორც იაკობი ერკინება
ღმერთსა და დრო-ჟამს!..
აქეთ ჰეფესტო ამირანის ბორკილებს ჭედავს,
რა ფიქრით სავსე თვალები აქვს
ადგილის დედას?!
მდინარეს ტანზე მოსდებია ღრუბელი შლამის,
ვინ ჩააქსოვა ამ დუმილში
ამდენი შხამი?!
და ქარი მხრებით ეზიდება მინდორზე ჩალას,
რა უდაბური იმზირება
სექტემბრის ჭალა?!

25.09.67
ბანძა

მე ვამბობ ქამის სამდურავს!..

სად განისვენოს სულმა,
სად მიიდრიკოს თავი?
ნ. ბარათაშვილი

მიწურულია ნოემბრის, სივრცე ავდარმა აიკლო!
სულს კვლავ ტკივილი მოება,
სადა ხარ, ჩემო მაიკო?!
ჩამოაბნელა ღრუბელმა – აქ თითქმის ირგვლივ ყოველი,
ეს რა ზღვაური უბერავს
ურჩი და დაუნდობელი?!
იქ სევდამ დაისადგურა, სად გაზათხული ხარობდა!
მე ვამბობ ქამის სამდურავს
და მზე ქვითინებს ხაროდან!..
მიწურულია ნოემბრის, სივრცე ავდარმა აიკლო,
სულს კვლავ ტკივილი მოება,
სადა ხარ, ჩემო მაიკო?!

12.11.67
სოხუმი

სივრცეს მიკიოდა სისხლი!..

ყრმობას გახსენებდა ოხვრით, სივრცეს მიკიოდა სისხლი,
გედგა ცისფერთვალა ქოხი,
ქოხი დახურული ისლით!..
მხოლოდ გაზაფხულის გწამდა, ცრემლი
გადგებოდა თვალზე
და სულს იმედებით რწყავდი,
რომ არ მოგდებოდა ხავსი!
გქონდა გულუბრყვილო ბავშვის სული მზის ნათელით სავსე,
და შორს ჭიხვინებდა რაში,
ქარი ზუზუნებდა გზაზე!..
და წლებს გაგონებდა ყრმობის და იმ უჩვეულო ძმობას!
დარდით შორდებოდი ყოფილს,
რწმენით უცქეროდი მყოფადს!..
მუხა დალეწილი იდგა ჟამის ულმობელი ფრთებით,
ჩანდა ჩამუხლული ხიდი
და შორს იისფერი მთები...
ყრმობას გახსენებდა ოხვრით, სივრცეს მიკიოდა სისხლი,
გედგა ცისფერთვალა ქოხი,
ქოხი დახურული ისლით!..

29.11.67
ბანძა

* * *

ყინვამ შებოჭა ჩემი მდინარე,
ო, როცა ზამთრის ქარი მოვარდა!..
ყინვამ შებოჭა ჩემი მდინარე
და იალქნები შეკრთა ხომალდის!

ყინვამ შებოჭა ჩემი მდინარე და
სევდიანი ვდგავარ ჩინართან!
ყინვამ შებოჭა ჩემი მდინარე
და ცა ღრუბლებში გაუჩინარდა!..

24.12.67
ბანძა

მე ლექსად დავიხარჯები

მე ლექსად დავიხარჯები, გამოვექცევი ღამეს
და მზის ამოსვლას შევხვდები,
მიწა გამიფენს ხავერდს!..
მე ლექსად დავიხარჯები, ღამეს გავარღვევ მღვრიეს,
მე ლექსად დავიხარჯები,
ცას სულს შევუნთებ ძლიერს!..

მებრძვის გრიგალი გზადაგზა და ფეხქვეშ
მიყრის ლოდებს,
ხან კი უდაბნოს მივარღვევ,
ხან გადვუქროლებ კბოდეს...
ჩემი თეთრონი ფრთამალი მზისკენ მიილტვის მარად
და საუკუნის გზა-შარას
რაღაც წამებში ფარავს!
რამდენი დამრჩა სავალი, ეს ხომ არავინ იცის?
მივარღვევ დროის სამანებს
და მღვრიე ზვირთებს სივრცის!..
ჩემი ფრთოსანი ფრთამალი მზისკენ
მიილტვის მარად
და საუკუნის გზა-შარას,
რაღაც წამებში ფარავს!

12.05.68
სოხუმი

დრო და შენ

რისთვის დადიხარ ამ მიწაზე უნდა იცოდე!
უნდა გიყვარდეს, გიხაროდეს,
უნდა იწვოდე!..
ის არ დაგინდობს, – კლანჭები აქვს
ბასრი, ვერაგი!
იჩქარე, ტანზე ჩამოხიე
ჯაჭვის პერანგი!

დრო–კლდის ვეფხვია, შენ იშიშვლე
ხმალი მოყმემან,
ან გაიმარჯვებ,
ან დაცემა შენი მოჰყვება!
არაფერია ქვეყანაზე მოულოდნელი, ასე იტყოდა
თურმე ბოდლერი!
ნუ გჯერა ჟამი არიგებდეს კარტებს იღბლიანს,
როგორც გვიყვება
ხოლმე ბიბლია!
რისთვის დადიხარ ამ მიწაზე უნდა იცოდე!
უნდა გიყვარდეს, გიხაროდეს,
უნდა იწვოდე!..

22.07.68
სოხუმი

წასულა ჩემი თიბათვე

რა არის ქვეყნად უცვლელი? — ფიქრი მუმლივით მესევა,
ირხევა ჟამის ფურცელი,
ცრემლით თვალები მევსება!..
მომაგონდება იმ დღეთა ნიავის გამოქროლება
და ხსოვნის ლამაზ ბილიკზე
ყრია ბავშვობის ქონება!..
ჩემი ტანადი ალვის ხე ქარმა რად გადამიმსხვრია?
ჟამის ფერადი რაშები
ნეტავი, ახლა ვისია?!
წასულა ჩემი თიბათვე, მზე ალმაცერად მიცქერის,
ვდგავარ მდინარის ნაპირას,
ვით გაძარცული ცირცელი!..

16.08.68
ბანძა

ის

ისევ მიმართავს ის, რაღაც უცნაურ სვლებს,
ისევ მოითხოვს სისხლს,
ისევ მოითხოვს მსხვერპლს!..
კვლავ ეხეთქება ცას, კვლავ ეომება მზეს,
სერავს ხომალდი ზღვას
და შორს დაეძებს გზებს...
სანამ ვუცქირო ასე თვალებს ურჩსა და ცივს?
მახსენდება და ტანზე,
ო, რა საშინლად მცრის!..

17.08.68
სოხუმი

დუმილის ზღვარი

მე გადავლახე დუმილის ზღვარი, ზღვაზე ქარები
იალქნებს შლიან!..
მე გადავლახე დუმილის ზღვარი,
ვინ იცის, იქნებ არ არის გვიან?!
მე გადავლახე დუმილის ზღვარი და იდუმალი
მედება თრთოლვა!..
მე გადავლახე დუმილის ზღვარი
და სივრცეები მიხმობენ ქროლვად!..

შორს, ვიღაც ანთებს იმედის სანთლებს და ქარიბდები
აქრობენ ქშენით!
სული ტკივილებს ბოლომდე ათრევს,
ოღონდ ეღირსოს ღიმილი შენი!..
მე მივაბიჯებ ნაპრალებს შორის, დავცქერი ცივად
უდაბურ ხრამებს,
დღეები ისევ მიდიან ქროლვით
და ჰორიზონტზე მიცურავს ღამე...

22.11.68
სოხუმი

მზეო, აღმართე ალამი!

მზეო, აღმართე ალამი სიხარულის და რწმენის!
წყლულზე წამისვი მალამო,
მასვი შუშხუნა წვენი!..
მზეო, აღმართე ალამი ჩემი პლანეტის თავზე,
მაჩუქე გული ალალი
და სათნოებით საგსე!..
ლამაზად გადმოაშუქე: მთები, ხევი და ბარი,
შენი სილაღე მაჩუქე,
შენი სინათლის ქარი!..
ო. გამიცინე ყვავილი, ამიჩურჩულე ვნებით
და გამიტეხე ყამირი
ნაგვემი ქარიშხლებით!..
მზეო, აღმართე ალამი სიხარულის და რწმენის!
წყლულზე წამისვი მალამო,
მასვი შუშხუნა წვენი!..

14.03.69
სოხუმი

გულს ღელვა მოეძალება

მაოცებს ფერიცვალებით – ეს ცა, მთები
და მინდვრები,
გულს ღელვა მოეძალება,
სივრცე, რომ აიზვირთება!..
შეხედე მინდვრებს ნაზამთრალს, მზე ხოხბის
ფრთებს რომ აფარებს,
რომ ცა და მიწა დაზავდა,
ხომ არ გგონია ზღაპარი?!
რად კვნესი, ჩიტო ჩიორა? – კვლავ შენი
ჩანგი აყღერე!..
რა ვუყოთ, თუკი იოლად
სივრცეს ქარები ამღვრევენ?!

17.03.69
სოხუმი

ზღვაზე წევს ხიდი

ზღვაზე წევს ხიდი და მოაჯირთან
კვლავ მოდის შენი მაღალი ლანდი,
როგორც ცხოვრების ერთგული ჯილდო
დაგაქვს ღელვა და
ცრემლები დაგდის!..
ზღვაზე წევს ხიდი და მთვარის ხელებს
იხუტებს გულთან მომწვანო ჭავლი,
სიმებს იდუმალს შეარხევს ხემი,
გულს ნაფოტებად
დააპობს ჯავრი!..
ზღვაზე წევს ხიდი და ლურჯ სიჩუმეს
დრო ღეჭავს, როგორც მერანი ლაგამს!..
ხასხასებს სივრცე, ვით აბრეშუმი
და სული ღელვით
მიიწევს მაღლა!..

ზღვაზე წევს ხიდი, ცა არხევს სანთელს,
ირგვლივ ყვითელი ფოთლები ყრია...
ზღვაზე წევს ხიდი და ასე გვიან,
რად ღელავს შენი,
მაღალი ლანდი?!

17.04.69
სოხუმი

* * *

შევაღე ფრთხილად განთიადზე კარები ბაღის,
ღელავს მდინარე – ყვავილების
ფერადი ტალღა...
და ატმის რტოებს არხევს ნელა ნიავი დილის,
გაქრა უეცრად მთვარის
ლურჯად დაღვრილი ჩრდილი.
მზე გაზაფხულის მოირწევა აფრების გაშლით,
ჩიტუნა გალობს და ქარს მიაქვს
ყვავილი ვაშლის...

18.04.69
ბანძა

შენი აჩრდილი თანამდევს

შენი აჩრდილი თანამდევს, სადაც არ უნდა ვიყო,
შენი აჩრდილი თანამდევს,
მაგრამ არაფერს ითხოვს!

არ კრთის, არ ტირის, არც ღელავს და არც
ტკივილებს მიქრობს!
გამოვლე სივრცე რამხელა,
არც გზა განვლილი მიქო!

არ ვიცი, კვლავ რა მომელის! და გული
რატომ ცხარობს?
ღელავს ისევ ის მორევი,
მზე კივის უმოწყალოდ!

დღე მიდის ნაღველ-ნასვამი!.. ფერებს
დაისის არხევს,
მიდის მდინარე სავსავით
და ჟამის სევდას მახვევს!..

11.07.69
ბანძა

ვერ მოვიშორებ!

ვერ მოვიშორებ ვერასოდეს ხორბლისფერ სახეს,
რომელიც მუდამ საოცარი
თვალებით მიმზერს!..
ო, სულის სიმებს შეღამების ნიავი არხევს
და ჩემს თვალებში მეწამული
ცახცახებს სივრცე!..
მე ვერ ვიშორებ იმ თვალების სანუკვარ ლაჟვარდს!
და ვხედავ ქარი მინდვრის ყვავილს
რომ თელავს ქუსლით!..
ო, თუ მიწაზე სიყვარულის გალობა დაშრა,
მაშინ ყველაფერს უმოწყალოდ
დალეწავს სუსხი!..

06.08.69
სოხუმი

არ შეჩერდე!

სიცოცხლე მოძრაობას მოითხოვს!
არისტოტელე

ო, ვინ ჩივის ისევ უგზოობას?
მთებს ნისლები მოხვევია სქელი!..
მზეს მერცხლები მიჰყვებიან მწყობრად
და ცრემლებით
თვალები აქვთ სველი!..
ყველაფერი ეთხოვება ყრმობას,
ბალახები ქვითინებენ ველის!..
მინდვრის ფერებს შეჰპარვიათ ჭკნობა,
ცას გალობით
გადაღლია ყელი!..
ჩუმი ოხვრით მიირწევა ღელე,
ღამე ისევ იზმორება შავი...
არ შეჩერდე! არ მოგედოს შლამი!
თორემ რამე
გეშველება მერე?!

27.08.69
ბანძა

მთვარით შენაფერი

გული ანთებული ისევ გეფერება
და სულს უანკარესს მუდამ ენატრები!...
შენი ჩამოქნილი ტანი მელანდება,
მთვარით ანარეკლი
მთვარით შენაფერი!...
სულის ოკეანე ღელავს შეშლილივით,
სულში ჩამეღვარა შუქი შენმიერი!..
როგორ გიფრთხილდები, როგორ მეშინია,
რომ არ გამეძარცვოს
ტოტი მშვენიერი!

29.08.69
სოხუმი

სანამდის?!

სანამდის, სანამდის, სანამდის გაგრძელდეს
ამ სულის ღელვა და
ფარული მოტივი?!
მიდიან დღეები და უფრო გაძნელდა,
ძვირფასო, ლოდინი!..
ო, ნუთუ ეს ასე ხდებოდა ოდითგან?
ჟამის ცივ მკლავებზე
ცახცახებს ტოტები!..
ო, მოდის საღამო, ზღვის ღელვა მოდიდდა
და ღამე ეცემა
მიწაზე ლოდივით!..

01.10.69
სოხუმი

აჰა, მიიწურა!

აჰა, მიიწურა ეს დღე შემოდგომის,
ქარებს გაუძარცვავთ ლურჯი იალქნები!..
აჰა, მიიწურა ეს დღეც შემოდგომის,
როგორ იცრიცება
მთვარის მინანქარი!...
აჰა, მიიწურა ეს დღე შემოდგომის
და გულს უდაბური სევდა მოერია!..
დგანან მწვერვალები, დგანან მწვერვალები,
დგანან მწვერვალები
და ქარს მოელიან!..
აჰა, მიიწურა ეს დღე შემოდგომის,
რეკავს შორეული, რეკავს თეთრი ზარი!..
აჰა, მიიწურა ეს დღე შემოდგომის,
მწარე დუმილისგან
გული გაიბზარა!..

19.10.69
სოხუმი

ჰამლეტი

ტერასზე მკაცრი ნაბიჯების ხმა ისევ ისმის,
ზღვას ბებერ მხრებზე
დასწოლია მგლისფერი ნისლი!..
და ბნელ ღამეში მოაბიჯებს აჩრდილი მამის,
რა შემზარავად იზმორება
სხეული ღამის!..
ზვირთები ჯებირს ეხეთქება მღვრიე და შმაგი,
კაცი ბექობზე მოაბიჯებს
მდუმარე ბაგით!..
მოდის მრისხანედ, უდრტვინველად ბილიკზე ღამის,
მოსასხამივით მოიტოვა
ლანდები შავი!..
ბარბაცებს სივრცე უჩვეულო ტკივილით მთვრალი
და მისდევს პრინცი
მამის აჩრდილს ნაბიჯით ჩქარით!..
შედგა აჩრდილი კლდის კიჩოსთან და ისმის ფიცი,
ააცახცახა სულის ღელვამ
მდუმარე სივრცე!..
ხვალ და ზეგ იგი ბოროტებას ჩამოგლეჯს ნიღაბს,
რომ გაიწვიოს სივერაგე
სიბნელის მიღმა!..
თვალები პრინცის ამ უდაბურ სიბნელეს გახევს,
რომ სიმახინჯეს
საკუთარი აჩვენოს სახე!...
მამის სახელი თურმე ლაფში მოსვრილი გდია

და ემალება საძზეოზე
ძზის შუქის ბდღვრიალს!..
დროთა კავშირი დარღვეულა, ამას რას ხედავს?!
მეუღლის სისხლით დასვრილია მშობელი დედა!..
იგი მიიწევს და ჩირაღდნებს გზადაგზა ანთებს,
ჭეშმარიტებას, რომ გაუღოს
კარები ფართედ!..
მიერეკება ზღვის სივრცეში ფიქრების ლაშქარს
და რეკავს ბნელში სისხლიანი
ელვარე დაშნა!..
ო, ავკაცობავ!!! თვალებიდან იღვრება ცეცხლი
და მის ფეხთაქვეშ
განგმირული ეცემა მხეცი!.
ზღვა კი დანიის ნაპირებთან ბობოქრობს ისევ
და ბებერ მხრებზე დასწოლია
მგლისფერი ნისლი!..

25.10.69
სოხუმი

* * *

მიუშვი ლექსის აღვირი, სიტყვა ელვარებს ნალესი,
გუგუნებს ჟამის საყვირი,
ნუთუ არავის არ ესმის?!
არ დამიჩლუნგდე, კალამო! ცას გავცქერ სხვა მოკრძალებით,
მთაზე გავშალე კარავი,
ვთვრები მზის ამობრძანებით!..

29.05.70
სოხუმი

შორს იწურება მზე ჩამავალი!..

ქარში ვფანტავდით ყვავილებს ფერადს... ცაზე ვიჭერდით
ფერებს უნაზესს!..
შემოდიოდი ჩემში სიმღერად და
ცეცხლს მინთებდი
სულის ქურაზე!..
ქარმა დაფლითა აფრა მრავალი და ბაგეებზე
გაქრა ღიმილი!..
შორს იწურება მზე ჩამავალი...
მე შემრჩა ღელვა
და სიმძიმილი!..

01.03.70
სოხუმი

მოვღალეთ გზები ბრძოლებით

შეხედე ციხის ქონგურებს, რა ტანჯვა გადავიტანეთ?!
და დღესაც გლოვობს ჩონგური
და დღესაც ტირის გიტარა!..
მოვღალეთ გზები ბრძოლებით, კიოდა სისხლის მდინარე!..
და სივრცეს ვეფხვისზოლიანს
ამსხვრევდა ხმა უჩინარი!..
მკვეთრად იცვლიდა ცა იერს და ღმერთსაც აღარ უკვირდა,
რომ ჩემს მყინვარს და იალბუზს
სდიოდათ სისხლი შუბლიდან!..
ზღვის ღელვას გავუთანაბრეთ კივილი სულის ქარების
და აწყდებოდა ქარაფებს
რეკვა ვარსკვლავთა ზარების!..
შეხედე ციხის ქონგურებს, რა ტანჯვა გადავიტანეთ?!
და დღესაც გლოვობს ჩონგური
და დღესაც ტირის გიტარა!..

04.10.70
სოხუმი

მზეო, გაშალე აფრა!..

მზეო, გაშალე აფრა! ქარო, დარეკე ზარი!..
მოარღვევს სივრცეს სწრაფად
ღრუბელი– დინოზავრი...
ეძებს სიცოცხლე საფარს, ხმაში გაუჩნდა ბზარი!
მზეო, გაშალე აფრა,
ქარო, დარეკე ზარი!..
სულს ტკივილებით ზაფრავს მღვრიე ლანდების ჯარი,
ვხედავ მდუმარე საფლავს,
მოჩანს წამების ჯვარი!..
შენ, იმ შორეულ დღეთა ხსოვნას
მშვილდივით მოხრი!
ნუ გეშინია, დედა,
ო, ამ ფარული ოხვრის!..

მზეო, გაშალე აფრა! ქარო, დარეკე ზარი!..
მოარღვევს სივრცეს სწრაფად
ღრუბელი – დინოზავრი...

17.10.70
სოხუმი

არ გაგიკვირდეს!

თუმც შემიყვარებს აწი ვერავინ,
მსურს სიყვარული!..
ლორდ ბაირონი

აღარ გაგიკვირდეს შენ ეს დამარცხება!
მოვა ნოემბერი,
ქარიც დაგაცხრება!..
ვეღარ მოიშორებ ტკივილს შეღამების,
სადღაც მიხვალ შორეთს, –
არვინ გეყვარება!
ტყეთა მწვანე ფარჩას მზე რომ აფერადებს,
კიდევ ცოტა დარჩა
ფოთლის დაფენამდე!..
ეს რა მოგივიდა, ან რა გემართება? —
ყვირის დევგმირივით
ძველი შემართება!..
დღეებს გაზაფხულის აფრა უხუნდება!
სული ერთხელ გავლილს
აღარ უბრუნდება!
აღარ გაგიკვირდეს შენ ეს დამარცხება,
მოვა ნოემბერი,
ქარიც დაგაცხრება!..

22.10.70
სოხუმი

რეკავდა დროშა

ამოიგმინა საქართველომ ო, კიდევ ერთხელ!
მამულის გულმკერდს
უსაშველო მოაწვა ლავა!..
შენი ხმის ექო ამხნევებდა ბრძოლებში მამას,
თუმც თავი შენი
შაჰაბასის ფეხებთან ეგდო!
ავარდა ალი, უდაბური ავარდა ალი!...
გადმოარღვია სივრცეები,
ეკვეთა დრო–ჟამს!..
და შენი ფიცის საქართველოს ეჭირა ფარი
და შენი სისხლით შეღებილი
რეკავდა დროშა!..

02.02.71
სოხუმი

თეთრი ზარები!..

მე მთელი ღამე გავცქეროდი ზეცას მკრთომარეს
და შორეული იდუმალი
შუქი მეფინა...
ამობუბუნდა ირემივით მთაზე მთოვარე,
ჩამოიქროლა ლურჯი ფრთებით
მთიდან ზეფირმა...
ფიქრის მერცხლები ეხლებოდნენ ფრთებით კაბადონს
და ცა უსაზღვროდ გადაღლილი
იყო ქარებით!..
თუმცა ვეჩურჩულე, არაფერი აღარ გამანდო,
მხოლოდ რეკავდნენ შორეული
თეთრი ზარები!..

12.06.71
სოხუმი

მუხა

შევყურებ რიდით მუხას ნამეხარს და ზედ რამდენი
ჭრილობა ფეთქავს!
მიცურავს მაღლა ღრუბელი რუხი
და უტევს ქარი სივრცეებს მედგრად!..
არ მოუხარა ჟამთა სვლას ქედი და არც მრისხანე
ზეცის ბრძანებას!
მას უცნაური ტკივილი სდევდა
და უჩვეულო ჰქონდა ზმანება!..
ის არ ყოფილა ბედის მორჩილი, მიტომ ამდენი
წამება ერგო!
ისევ ისე დგას ტანდაკორძილი,
ჩასჭიდებია ამაყად ბექობს!

სივრცეს უსაზღვროდ ამღვრეულს ვხედავ, სიზმარში
რაღაც მენიშნა წუხელ!..
ტანზე რამდენი ჭრილობა ფეთქავს
და ტკივილს მაინც არავის უმხელს!

26.09.71
ბანძა

ის რა გზებით მოვა?!

სიო ველარ ეფერება მინდორს, მთას ღრუბელი
მოხვევია სქელი,
ქარიშხალი სივრცეს აღარ ინდობს
და ვარსკვლავებს თვალები აქვთ სველი!..

მე არ ვიცი, ის რა გზებით მოვა, რას ჰპირდება
რას მოუტანს მნახველს?
გაზაფხულის ყვავილების თოვას,
თუ ყველაფერს დაუკარგავს სახეს?!
ეს მდინარე ისევ მიქრის თავქვე, მოთმინების
მეკარგება ძალა!
სულო მითხარ, საიდუმლო მარქვი,
თორემ ფიქრის ქარიშხალი მზარავს!..

07.10.71
სოხუმი

ეს სხვაა!

გავიდა რამდენი წელი, რამდენი
ზამთარი ცივი!
მიფრინავს დაღლილი წერო,
ხმაურობს ქარი და წვიმა!..

შენს ხსოვნას ვინახავ თბილად, რაზე ჟღერს
ეს სამი სიმი?!
ღრუბლები ეშვება რბილად
და მთვარის ირეკლავს ღიმილს...

მოფრინდა პატარა ჩიტი, ქანაობს
ტოტები სველი,
იცინის გულღია ზამბახი,
ხასხასებს ათასი ფერი!..
მე ჩიტი მრავალი მინახავს: ცისფერი,
მომწვანო, ჭრელი!
ეს სხვაა! სად მოსწყდა კამარას,
სინათლის ქათქათა ფრთებით?

გადმოვლო ზღვები და მინდვრები, უდაბნო,
ტრამალი, მთები,
ეს სხვაა! სხვა ფერით ხასხასებს,
ეს სხვაა! სხვა ხმაზე მღერის!..

და არ ჰგავს სხვა ჩიტებს ათასებს,
არც ფრთებით,
არც ხმით და ფერით!..

14.04.72;
ბანძა

* * *

აკაციების ტევრი სურნელს საამოს გვაღვრის,
მთვარე ღრუბლებში შედის
                და ამხელს ფარულ ნაღველს!..
სივრცე ირწევა უხმოდ, ჩიტი გვიგალობს ხიდან,
ო, რა სინაზით ფეთქავს
მთვარის მოლურჯო რიდე!..
და ბაგეები ჩვენი კოცნით ვერ გრძნობენ დაღლას,
ზღვა კი ირწევა ლურჯი
და ათამაშებს ტალღებს...

04.05.72
სოხუმი

როგორ მენატრები!..

სული აღტაცებით იწვის, შენ ხომ სათნოების ზღვა ხარ,
ვისმენ ყვავილების სიცილს,
                  როგორ მენატრები ახლა?!
უკვე ყინულები გალხვა, სისხლში გაზაფხული ღელავს,
როგორ მენატრება ახლა, –
                  შენი გაღიმება, ლელა!
ნისლი მიზოზინებს გაღმა, ისმის სიმღერები მთების,
როგორ მენატრება ახლა, –
                  შენი ჩამოღვრილი თმები!...
როგორ მენატრება ახლა სოფლის შარაგზაზე ბინდი,
როგორ მენატრება ახლა
ფერი ენძელას და შინდის!
სული აღტაცებით იწვის, შენ ხომ სათნოების ზღვა ხარ,
ვისმენ გაზაფხულის სიცილს,
როგორ მენატრები ახლა!..

25.05.72
სოხუმი

მოგონება

ბევრი ვზილე წუთისოფლის ტალახი,
ბევრი ვსდიე მერნებს
ბინდში გაფრენილთ,
გულზე ბევრჯერ დავიფინე ბალახი
და ვუცქერდი ზეცას
ლურჯად დაფერილს!..
სილაჟვარდე შენი თბილი თვალების,
იყო ჩემი ტკივილების მალამო!
ახლაც მესმის რეკვა ცისკრის ზარების,
თქვენ, ვერხვებო,
ჩემი შორი სალამი!..
ჩემი სოფლის თვალკამკამა მდინარევ,
ფეხშიშველა ახლაც
აგედევნები...
შენს ნაპირზე ისევ დამაბინავე,
დამიბრუნე პირველქმნილი ფერები!
გამიფანტე წუთისოფლის იჭვები,
ამაშორე წუხილი
და ცრემლები!
ჩემი სოფლის, თვალვარსკვლავა ბიჭებო,
თქვენთან მოვალ
თავზე შემოგევლებით!
თუმცა ბევრჯერ ავყოლილვართ ცდუნებას,
მაინც ერთად
დაგვიცლია ჭიქები!

მერე ღამით გვიქროლია ცხენებით
და კივილით
გვიფრენია ჭინკები...
ბევრი ვზილე წუთისოფლის ტალახი,
ბევრი ვსდიე მერნებს
ბინდში გაფრენილთ,
გულზე ბევრჯერ დავიფინე ბალახი
და ვუცქერდი ზეცას ლურჯად დაფერილს!..

08.06.72
სოხუმი

რამ შეაშფოთა?!

დავით აღმაშენებელს

ეს ვინ მოადგა ჩემი ციხის მაღალ გალავანს,
ლოდსატყოცრნებით, რომ
შემუსრონ მისი კედლები?!
რამ შეაშფოთა ჩემი სული ამ გვიან ღამით?!
მეციხოვნენი რატომ დუმან
ნეტავი ამ დროს?!
ფოლადის სხეულს ნუთუ აკრთობს
სიკვდილის შიში?!
რად არ რეკავენ სამრეკლონი
სპილენძის ზარებს?!
რად არ კივიან ფარ-შიმშერნი კედლებთან ციხის?!
რად არ იღვრება
მღვრიე ცეცხლი
პირიდან ხმლების?!
ეს ვინ მოადგა ჩემი ციხის
მაღალ გალავანს,
რომელი ურდო?!

24.09.72
ბანძა

ХАРИСКАЦИС СИКВДИЛИ
(ბალადა)

მოაბიჯებდი თოვლიან გზაზე, მოულოდნელად შეტორტმანდი
ო, როგორც ნორჩი ალვის ხე ქარში!..
და შენი სისხლის ყოველი წვეთი
კიოდა ისე, როგორც თოვლში ვარდი წითელი!
ემატებოდა სხეულს სიმძიმე უფრო და უფრო,
გარბოდნენ თითქოს ხეები ოხვრით
და ედებოდა ბურუსი თვალებს...
ებრძოდი სიკვდილს, ზეზეულად ებრძოდი სიკვდილს!
ხმა არსაიდან! ხმა არსაიდან! ხმა არსაიდან!!!
არ ქროდა ქარი
და მდინარის ტალღები მხოლოდ,
აკრთობდნენ სმენას და გარინდული ხეების მიღმა,
ო, ხმაურობდა
მდინარე ისევ!..
არ ნებდებოდი ულმობელი სიკვდილის კლანჭებს,
არა და არა! არა და არა!
ო, ახლა უფრო გწყუროდა ქარი!
ო, ახლა უფრო გწყუროდა მზე!
და ცა ზღვასავით ლურჯი და ვრცელი და
სევდიანი დედის სიმღერა,
რომელიც სადღაც დატოვე ქოხთან!..
და საყვარელი ქალის თვალები, რომელიც მუდამ
გავსებდა თრთოლვით!..
და ცრემლიანი ბავშვის ხელები შენ გეხებოდა,
როგორც სიო დაღლილ სახეზე
და სიყვარულით გეძახოდა: —

დაბრუნდი მამა!
გულისტკივილით გეძახოდა: —
დაბრუნდი მამა!
ვიწროვდებოდა თვალებში სივრცე უფრო და უფრო,
დედის ხელები ადნებოდა
ჭრილობას ისევ!..
არ გშორდებოდა ცრემლიანი ქალის თვალები
და ბავშვი ისევ მოგძახოდა: —
დაბრუნდი მამა!..

10.10.72
სოხუმი

თბილისის კართან

გმირი ქართველი იუნკრების ხსოვნას

თქვენ თბილისის კარიბჭესთან იბრძოდით,
ცეცხლს უნთებდით
ბოროტების საბუდარს!..

მამულისთვის, რომ კვდებოდით იცოდით
და თებერვლის
ზეცა გაუდაბურდა!..

იყო ოხვრა!.. თოვლზე სისხლი დაღვრილი!
და რაშივით
ყალყზე იდგა ქალაქი!..

ბარბაცებდა მტკვარი ღელვით დაღლილი
და კიოდა
თმაგაშლილი არაგვი!..

გადარჩენა თურმე აღარ გეწერათ,
მტერს უტევდით
არაგველთა კვეთებით!..

გადარეცხა ერთობ სისხლის მეწყერმა
ფერდობები, ქუჩები
და კედლები!...

მზე ამოდის და ცა გავარდისფერდა,
სულს მოედო
რწმენის სხივი ცინცხალი!

დარჩა ხალხში ის ლეგენდა, ის სევდა,
მარად დაუვიწყარი!.

16.02.73
თბილისი

დასაბამიდან

დასაბამიდან ჩვენ არ ვიცით არც ერთი წელი!
დასაბამიდან ჩვენ არ ვიცით
დღე და საათი!
დასაბამიდან ჩვენ არ ვიცით არც ერთი წუთი!
რომ არ ამღვრევდეს სისხლი
ჩვენი მდინარის ზვირთებს
და არ ავსებდეს წყალუხვ ზღვებს
და ოკეანეებს!..
ო, გადავხედოთ ისტორიის გაცრეცილ ფურცლებს, –
ნანგრევებიდან ნანგრევებზე
გადარბის კვამლი...
დაფარულია დედამიწა სისხლის ლაქებით
და ბრძოლის ველზე
თაობები თაობებს სცვლიან...
ადამიანო! რას ჩადიხარ?! – უკაცრიელს ნუ
გახდი მიწას!
ნუ გადაივლი დაცემული
ბავშვის სხეულზე!
ო, ნუ გათელავ ფეხქვეშ დედის ფაქიზ ძუძუებს,
რომელიც აძლევს ამ სამყაროს
საოცარ ნაყოფს!

20.03.73
სოხუმი

საითკენ მიხვალ?

მშვიდობით, გაზაფხულამდე ვეღარ გიხილავ აწი!
ცა გაძარცული მახურავს,
სევდის ღრუბელი მაწვიმს!..

შორს, სადღაც მიექანები, საითკენ მიხვალ, მზეო?
მოგსდევენ ურჩი ქარები
და უთვალავი მზერა!..

ტოვებ: მთებს, მინდვრებს, ქალაქებს და არც
არაფერს ითხოვ,
ჩუმად ქვითინებს ბალახი,
ცრემლი ასველებს მინდორს!..

21.09.73
სოხუმი

ეს რა ხმა ისმის?!

კვლავ აღიმართა კედელი შემზარავი და სალი!..
ეს რა ხმა ისმის ვედრების,
სადღაც შორს კივის ზარი!..
კვლავ აღიმართა კედელი და გავცქერ
ღამეს წკვარამს!..
კვლავ აღიმართა კედელი,
როგორც მრისხანე ძალა!
მოგორავს ზვირთი ვეება, მოსდევს
ზუზუნით ქარი!..
მითხარი, რა ეშველება? —
ქანაობს ბალავარი!..

22.09.73
სოხუმი

ო, ჰორაციო!

არ ვგავარ იმას, ვინც ადვილად იშორებს ფარ-ხმალს,
ო, თუმცა სევდის ნიაღვარი
გადამდის გულზე!..
ოცნების ვარდი, ეჰ, ვინ იცის, რამდენი გახმა!
მოდის და ვიღაც უსახური
მაბიჯებს წყლულზე!
ო, ჰორაციო გელოდები, შენ კი არ ჩანხარ!
ვაშიშვლებ დაშნას,
ბოროტებას ბრძოლაში ვიწვევ!
არ ვგავარ იმას, ვინც ადვილად იშორებს ფარ-ხმალს
და ცრემლების ღვრას
უსუსური ბავშვივით იწყებს!
არც იმას ვგავარ, ვინც მსხვერპლია საკუთარ განცდის,
არც იმას ვგავარ, ვინც
უმწეოდ გასცქერის სივრცეს!
მე ბოროტებას მარტოდმარტო ბრძოლაში ვიწვევ!
და კარგად ვიცი, თუ
რა არის ღირსება კაცის!

26.01.71
სოხუმი

არ დაგავიწყდეს!

არ დაგავიწყდეს, რომ ხარ – ამ მთის, ზღვისა და ბარის!
აღარ დაგძლიოს ოხვრამ
        და სიცრცის სიფერმკრთალემ!
არ დაგავიწყდეს, რომ ხარ შენ რუსთაველის ჯიშის!
აღარ გჯირდება მოხრა,
არც იდუმალი შიში!
აბა, შეხედე აწყურს! აბა, შეხედე ფარცხისს!
რამდენჯერ ღმერთი გაწყრა,
        სული მაინც არ დაცხრა!
აბა, შეხედე მარტყოფს! ციხის ნანგრევებს თმოგვის!
თუ ეკიდება ხავსი,
თუ ეკიდება ობი?!
შეხედე, სად აზიდულა მძლე სვეტიცხოვლის ტანი!..
ნიკორწმინდას და გელათს
        დრომ ვერ შეჰბედა ბზარი!
აბა, შეხედე დიდგორს! აბა, შეხედე კლდეკარს!
პირს რომ ვერ უხსნის დანა,
მაინც დუმილით რეკავს!..
ჟამს ჩააცივდა კბილით ლომი მაღალი ანძის!..
ფეხქვეშ გრიგალი კივის
        და იალქანი ხანძრის!..
არ დაგავიწყდეს, რომ ხარ – ამ მთის, ზღვისა და ბარის!
აღარ დაგსძლიოს ოხვრამ
და სივრცის სიფერმკრთალემ!

10.06.74
სოხუმი

ო, რას ფიქრობენ?!

ცაზე ირწევა მთვარე, როგორც ფანარი ლურჯი
და გადარბიან გზაზე
ჩემი ალვები რხევით...
რატომ ხმაურობს ტალღა? რატომ გუგუნებს ხევი?
რატომ მოაწვა თვალებს,
ო, ისევ ჩუმი ცრემლი?!
რატომ იშლება ზღვაზე ლურჯი აფრები ისევ?
რად აქანავებს ქარი
სერზე ვარხვისფერ ნისლებს?
ცაო, ნათელი შენი გულს თრთოლვით მოენთება,
ო, რას ფიქრობენ, ნეტავ,
ჩემი მაღალი მთები?!

22.07.74
სოხუმი

. . . და არის ორთა მტრობა

მუდამ კოშმარებს უხმობს და გზებს
შეღებილს სისხლით,
ის დააბიჯებს უხმოდ,
მტერი მზისა და ცისკრის!
მუდამ კოშმარებს უხმობს და ავბედობას ჟამის,
და მას ფრთები აქვს რუხი,
და მას გული აქვს შავი!
მღერის სიცოცხლე გზებზე, როგორც ყანები ჭვავის,
ყვავის მზე გაზაფხულის,
ფეთქავს ფერადი ჭავლი!..
და არის ორთა მტრობა დასაბამიდან ყოვლის!
ვინ, ვის აჯობებს ბოლოს?
მზე თუ ჩხავილი ყორნის?!

25.07.74
სოხუმი

გათელე ჟამის უღრანი

შორს, ჰორიზონტის კიდეზე შუქურვარსკვლავი აინთო,
გათელე ჟამის უღრანი,
იქითკენ გასწი, რაინდო!..
ლოკავენ ცეცხლის ენები მღვრიე ნისლების სარეცელს,
იქითკენ გასწი, რაინდო,
ყველა ჯაბირი დალეწე!..
ავდარს ნუ შეუშინდები, ელვის თვალების სატევარს,
შუქურვასრკვლავი ანათებს
მზესაც რომ აღემატება!..
თუ ვინმე შეგედავება, არ შედრკე, აღარ დაინდო!
გათელე ჟამის უღრანი,
იქითკენ გასწი, რაინდო!..

17.08.74
სოხუმი

რომ არ მოირღვეს კედელი რწმენის!

მე ეს ტკივილი მომიღებს ბოლოს და უცნაური
ქარების მოსვლა!..
რამდენი უნდა ებრძოლო ბოროტს,
რომ აკაფო და ბოლომდე მოსრა?!
რამდენი უნდა ებრძოლო ველურს, ან სანამ უნდა
გაუძლო რკენას?
რომ შემზარავი გაჰფანტო ბნელი,
რომ ნაღვერდალი შემორჩეს კერას!..
რამდენჯერ უნდა ჩამოჰკრა ზარებს, რომ არ მოირღვეს
კედელი რწმენის!
რომ გულებს აღარ გაუჩნდეთ ბზარი
და სული აღარ გადაჰყვეს წყევლას!
რამდენი უნდა დაღვარო სისხლი, რომ მაგ თვალებში
სინაზე ენთოს!..
რომ აღტაცებით შეხედო ცისკარს
და გაზაფხულის ნიაღვრებს ენდო!..

16.10.74
სოხუმი

შემთხვევა ქუჩაში

მე ვნახე ყვავილი უღვთოდ გათელილი!
კიოდა ასფალტზე
სისხლი დაგუბული!..
მე ვნახე სიკვდილი თვალებგახელილი!..
მე ვნახე ქუჩაში
ბავშვი დაღუპული!
იყო ფოთოლცვენით სივრცე დაზნექილი!..
ეყარა ნამსხვრევი მინის!..
ის იწვა ასფალტზე
ხელში დედაენით,
უმანკო ყვავილი, –
პატარა ლილი!

19.10.74
სოხუმი

მე არაფერი მეუცხოება

მე არაფერი არ მავიწყდება, რადგან არა ვარ
კაცი უგულო!
ჩემი ცხოვრება ისე აეწყო,
როგორც ზვირთის და ქარის გუგუნი!..
მე არაფერი მეუცხოება, – ცრემლი, წუხილი
ჩანგის წკრიალი!...
რა არის ქვეყნად ჩემი ცხოვრება? –
მხოლოდ თოვლის და ქარის ტრიალი!..

24.10.74
სოხუმი

* * *

ვიხსენებთ იმ დღეებს საოცარს,
რომელიც დრომ ველარ დაბინდა!
ნიავმა, რომ გრძნობით გვაკოცა
და მერე შორს,
სადღაც გაფრინდა...

25.04.75
სოხუმი

წუთისოფელი

წუთისოფელი ასეა, – ნუ გაიოცებ ნურაფერს!
ის შემთხვევებით საავსეა, –
მზის ფერში ურევს მურა ფერს!
ხან შუქით აფერადდება, ხან ხოშკაკალას ჩამოყრის,
ხან თოვლი მოგენატრება,
ხან გრიგალების ხმა მოგღლის!
ხან ბოღმით დაიტენები, ხან მოგადგება ღიმილი,
ხან სულს გიხარებს თენება
და ფრინველების ხივილი!..
ხან გამოჩნდება მღვრიე ცა, ხან კი
ვარსკვლავებს ეწვევი...
ხან მოვარდება მეწყერი
და სულ ყველაფერს მილეწავს!..
წუთისოფელი ასეა, – ნუ გაიოცებ ნურაფერს!
ის შემთხვევებით საავსეა,
მზის ფერში ურევს მურა ფერს!..

08.08.75
სოხუმი

კვლავ ფრთების გაშლა ინებე

ხარ ბედისწერით დაბმული და მაინც ცოცხლობ იმედით!
კვლავ მოჩანს გზა უდაბური,
            თუმც შუქიც ფეთქავს მცირედი!..
შენ ფრთების გაშლა ინებე,
მზეს ელტვი იკაროსივით,
მიხვალ და მიეფინები,
ცა მოჩანს ნათელმოსილი!..
გზებზე ქარები რიალებს და ფრთებს უხეშად გახლიან,
გულს დემონები ტიალი
გიჩეხენ ჟამის მახვილით!..

10.10.75
ბანძა

მზე ეშვებოდა ზღვაზე

ის მალავს რამდენ წუხილს და არც არაფერს ითხოვს!
მე ვნახე იგი წუხელ,
მზე, რომ კარგავდა სითბოს!

მე ვნახე იგი წუხელ, არც ახსენებდა წარსულს!
მე ვნახე იგი წუხელ
და კაცი ჰგავდა ჯვარცმულს!

მზე ეშვებოდა ზღვაზე და თვალს ახელდა ღამე...
იყო ტკივილით სავსე,
ვით ფოთოლცვენის ჟამი!..

27.10.75
სოხუმი

რაღაც ეიმედება!

ის ტკივილი, ის ღელვა, იცი, მუდამ თანამდევს!..
ჟამის ზვირთით მოირღვა,
ეს ჯებირი სანამდე?!
ისმის ხმა გაზაფხულის, ნეტავ, მოდის საიდან?
ცის კიდურზე ზღაპრული
შუქის აფრებს აიტანს!..
აგერ ხე დგას ფულურო და რა ხავსი ედება!..
მაინც სივრცეს გაჰყურებს,
რაღაც ეიმედება!..

14.02.76
ბანძა

მითხარი, ქარო!

მითხარი, ქარო, ამ ტირიფებს რატომ ატირებ?!
შეხედე, თვალებს, –
ეს რამდენი სხივი ანთია!..
მოვა აპრილი და ღრუბლების ქაოსს გადირეკს
და ნაკადულის იგალობებს
თეთრი გადია!..
შეხედე ნისლებს ხიდზე, როგორ ჯუფთად გადიან
და გაზაფხულის სუნთქვა მოაქვს
თრთოლვით ნიავებს...
ჩემი პლანეტა, მზეო, ვიცი, შენი ხატია,
შენი სიმღერა, შენი თრთოლვა,
შენი სიმაღლე!..
ფერიცვალება არასოდეს არის ადვილი,
უსასრულობა მოაქვს
მხოლოდ ფრთებით განთიადს!..
ეს შენ დაცურავ, მზეო, თუ ეს შენი ლანდია?
მითხარი, ქარო, ამ ტირიფებს
რატომ ატირებ?!

04.03.76
სოხუმი

მამულს

რა ნაღვლიანი თვალებით მიცქერ
            და სულს აკივლებს ცეცხლის მოდება!..
სავსეა ჟამის ტკივილით სივრცე
და მიაქვთ ქარებს სულის გოდება!...
ჩემი მამული ჟამმა დატორა,
            ახლა ვიგრძენი ერის ობლობა!
ო, ის დგას, როგორც გლადიატორი
და ებრძვის ბედის დაუნდობლობას!..
რა ნაღვლიანი თვალებით მიცქერ,
            თითქოს ათასი მჩეხავს ხანჯალი!..
იმედის მტრედი გამექცა ცისკენ
და ღებავს სისხლით ზეცის ფანჯარას!..
გრძნობას მოწოლილს ვერ ვიმორჩილებ,
            სივრცეს ლეწავენ ღამის მდგმურები!..
გულს შემზარავი ეცემა ჩრდილი
და მემუქრება განადგურებით!..
რა ნაღვლიანი თვალებით მიცქერ
            და სულს აკივლებს ცეცხლის მოდება!..
სავსეა ჟამის ტკივილით სივრცე
და მიაქვთ ქარებს სულის გოდება!..

29.04.96
ბათუმი

გზა დამილოცე!

გზა დამილოცე, დედაჩემო, გზა დამილოცე
და მეწამული ხარის რქებზე
ამინთე თაფლის სანთელი წყვილი!
გზა დამილოცე, დედაჩემო, გზა დამილოცე,
ამ მღვრიე ღამით
მარტოდმარტო გავდივარ ქარში
და ვეძებ ბილიკს, რომელიც სადღაც
უკიდეგანო ვარსკვლავეთში მიემართება...
გზა დამილოცე, დედაჩემო,
გზა დამილოცე!..

09.08.76
ბანძა

უდაბურ გრიგალში

კონსტანტინე გამსახურდიას

სად არის ის შუბლი მაღალი, თვალები
დამჭერი ელვის?!
ო, ნუთუ ბრძოლებმა მოღალეს
და ერთობ დაიმსხვრა ღელვით?!

სად არის ის გული მედგარი, მკლავები
მამაცი მხედრის?!
ო, სიკვდილს რამდენი ედავა,
როდესაც დაუდგა გვერდით!

აჰყარა დემონმა ფარ-ხმალი ო, თუმცა
რამდენჯერ შეკრთა!
რას ყეფდა სიკვდილის ბახალა,
რა სურდა მუზების ღმერთთან?!

უმზირა მზის ამობრძანებას, რა უთხრა
არავინ იცის!..
და ატყდა გუგუნი ზარების
უდაბურ გრიგალში ისიც!..

14.09.76
სოხუმი

ბაქცევა

(სიზმარი)

ჩემს მეგობარს – შოთა ლაბარტყავას

ო, ახლა შენი სასთუმალი სველია ცრემლით!..
და ნაშუაღამევს მავთულების ღობურებს იქით
მიარღვევს ღამეს შუქი
მძლავრი პროჟექტორების...
და ნაფეხურებს გადათოვლილ მინდვრებზე გავლით,
ადამიანზე მონადირე ძაღლებთან ერთად,
მისდევენ ყეფით ულმობელი ჯარისკაცები!!!
ო, ახლა შენი სასთუმალი სველია ცრემლით!..
ვერ იმორჩილებს ანთებული სხეული ბოლმას
და საკუთარი ტკივილების
აწყდება ჯებირს,
როგორც ეკლიან მავთულხლართებს
შეშლილი ქარი!..

28.09.76
სოხუმი

დაჭრილი ვწევარ!

შენ ტრიალებდი სინათლის წრეში და გაზაფხულის
ფერები კრთოდენ!..
ეს გული ო, რა საოცრად კვნესის,
როცა აწყდება გაძარცულ ტოტებს!..
ჟამთან ჭიდილში ვერაფერს გავხდი და ნანგრევებში
დაჭრილი ვწევარ!
კვლავ ღელავს სული სუფთა და ნაღდი
და უჩვეულოს ამზადებს რევანშს!..
მოჩანს სინათლის პატარა ხვრელი და გული მაინც
იმედით ფეთქავს!
დალეწა ქარმა ტოტები ძველი
და უტევს ახლა მწვერვალებს მედგრად!..
შენ ტრიალებდი სინათლის წრეში და გაზაფხულის
ფერები კრთოდნენ!..
ეს გული ო, რა საოცრად კვნესის,
როცა აწყდება გაძარცულ ტოტებს!..

05.11.76
ბანძა

შეხედე თვალებს!

შეხედე თვალებს, ამ უმანკო და ლამაზ თვალებს,
ო, რა უსაზღვრო სიყვარულის
ძალაა მათში!..
მითხარ, რად უნდა გავატანოთ ქარსა და წვიმას,
სიცოცხლე მისი სილამაზის
სურნელს რომ აფრქვევს?!
შეხედე ბინულს, მოქათქათე შხეფებს რომ ისვრის
და მოზეიმე ვარსკვლავებით
სავსე აქვს უბე!..
როგორ ჰგავს იგი ამ პატარა ბავშვის სიცოცხლეს,
ბალახებში რომ დაგოგმანებს
და ეფერება მოფარფატე პეპლების ჩრდილებს!..
შეხედე თვალებს, ამ უმანკო და ლამაზ თვალებს,
ო, რა უსაზღვრო სიყვარულის
ძალაა მათში!..

12.06.77
სოხუმი

მე სიყვარულის ფერი მაოცებს!

ნუ გეშინია, დედა, დამლოცე, სული ქაოსებს
სადღაც მიკივის!..
მე ხომ სიცოცხლის
ფერი მაოცებს
და არა ფერი ნგრევის, სიკვდილის!
ნუ გეშინია, დედა, დამლოცე, არ მყოფნის სივრცე
ვეღარ ვეტევი!..
მე ხომ აპრილის
ფერი მაოცებს.
არა დაღლილი ფერი სექტემბრის!

ნუ გეშინია, დედა, დამლოცე და აგისრულდეს
იქნებ ვედრება?
მე სიყვარულის
ფერი მაოცებს
და სიყვარული როდი ბერდება!..
ნუ გეშინია, დედა, დამლოცე, გამოვიარე
გზები წამების!..
მე ხომ გაჩენის
ფერი მაოცებს
და არა ფერი გარდაცვალების!

05.07.77
ბანძა

სადაკო სასაკი

რა დარჩა? – მიწა და ცა გადარუჯული!..
როდესაც ქალაქი დაფერფლა ურჯულომ!..
ნანგრევში ბობღავდი ორი წლის ასაკის, –
სადაკო სასაკი!
სადაკო სასაკი!
დაანთეს ველური ხანძარი სიკვდილის
და რამე იგრძენი? – უბრალოდ იტირე!
მაგ თოთო სხეულში რა ჭირი ჩასახლდა? –
სადაკო სასაკი!
სადაკო სასაკი
სიკვდილმა სიცოცხლის ქალაქი მოშალა,
შენ მაშინ ვერ იგრძენ პატარამ კოშმარი!..
ო, როგორ გაგწირეს უღმერთოდ ესოდენ!
შენ ტირი, შენ მოსთქვამ,
რომ ყველას ესმოდეს!..
სიცოცხლე შეგზარდა, იტანჯე რამდენი!..
გინდოდა აგენთო ათასი სანთელი!
ცის ლაჟვარდს წეროთა გუნდები გაკვრია,
მაგრამ მას, – კვლავ
სამას ოთხმოცი აკლია!
შენ ითვლი წეროებს, თვალები დაგღლია!
მე ვხედავ მაგ თვალებს საოცრად ნაღვლიანს!
ო, წელი გავიდა ორმოცი, მასაკენ, —

სადაკო სასაკი!
სადაკო სასაკი!
რა დარჩა? – მიწა და ცა გადარუჯული!..
როდესაც ქალაქი დაფერფლა ურჯულომ!
ნანგრევში ბობღავდა ორი წლის ასაკის, –
სადაკო სასაკი!
სადაკო სასაკი!

06.08.77
სოხუმი

მზეს ითხოვს!

მზეს ითხოვს სიმაღლე მთების, მზეს ითხოვს სიცოცხლე თოთო,
მზეს ითხოვს ტირიფის თმები,
        მზე არხევს ოცნების ფოთოლს...
მზეს ითხოვს რტოები ატმის, მზეს ითხოვს დეკა და ღვია,
მიდიან დღეები მარტის
და ზამთრის იალქნებს ხრიან!..
მზეს ითხოვს თვალები შენი! მზეს ითხოვს თვალები ჩემი,
მზეს ითხოვს პატარა ლელა,
მზეს ითხოვს პატარა რეზო,
მზეს ითხოვს მშფოთვარე ზღვები,
მზეს ითხოვს ყოველი ტოტი,
        მზეს ითხოვს სივრცე და გზები,
ის, როგორც სიმღერა მოდის!..
მზეს ითხოვს აფრები თეთრი, მზეს ითხოვს აკვანში ჩვილი!
მზეს ითხოვს ყვავილის ჩრდილიც,
        ის ყოველ ღეროში ფეთქავს!..
მზეს ითხოვს ნანგრევი ძველი, მზეს ითხოვს მთვლემარე მღვიმე,
მზეს ითხოვს ფოთლები სველი,
მზეს ითხოვს ის, როგორც იმედს!
მზეს ითხოვს სულდგმული ყველა, მზეს ითხოვს პლანეტა ცხრავე,
უმზეოდ შიშისგან ვღელავთ
        და სულსაც იჭვები ხრავენ!..
მზეს ითხოვს ოცნება კაცის, უმზეოდ არ არის შველა,
მზე არის პირველი განცდა,
მზემ იცის სიმაღლე ყველა!..
მზეს ითხოვს სურათი მხატვრის და ქვაში ნაკვეთი სახე,
მზე არის სამყაროს ხატი,
        მზე არის სამყაროს სარკე!..
მზემ იცის სიმაღლის ფასი, უმზეოდ სული ვერ ძღება!

ვადიდოთ შინდისფერ თასით
და ვუთხრათ მის მოსვლას ქება!..

12.03.78
სოხუმი

ქრის იალქნების წყება

ხედავ? მზემ ფერებს უმატა და გაზაფხულმა ხმაურს,
აწყდება შუქი გუმბათებს
და იალქნები ზღვაურს!..
ღელვამ ხომალდი გაბზარა, სივრცე გუგუნით სკდება!..
ჩემი პლანეტა ზანზარებს,
ქრის იალქნების წყება!..

22.03.78
სოხუმი

აქ ყვირის ჟამი!!!

აქ, თითქოს ახლაც იზმორება კვამლი უხეში,
ო, ბუხენვალდი! ოსვენციმი!
ფერფლი, ნაცარი!...
რამ დააგუბა სიძულვილი გულის უბეში?!
შეხედე, თმების ოკეანე
ღელავს, ცახცახებს!..
შეხედე, ირგვლივ დაგლეჯილი ყრია სიცოცხლე
და გევედრებით: ო, ამდენი
ტანჯვა მაკმარეთ!..
აქ ჟამი თითქოს ხავსმოდებულ ქვებზე მიცოცავს,
ათასი ზარი ერთად
კივის შურისძიების!!!
და სული ისევ ეხეთქება რკინის ღობურებს,
შეხედეთ, კედლებს დახეთქილს
და კვამლით შემურვილს!..
რაა ჯელალი, ან ჩინგიზი, ანდა ატილა,
აყვირდებოდა შიშისაგან
თვითონ თემურიც!..
დაუგლეჯიათ ხორცი, სული რკინის მანქანებს
და წლები წაშლას ამ სურათის
განა გაბედავს?!
ან შეუძლია გამოსახოს ფუნჯს და აკვარელს,
თუ დედამიწა ამ ოთხ წელში
როგორ დაბერდა?!
რაა ამასთან – შემზარავი გრგვინვა ვეზუვის,
რაა ამასთან – თვით
პომპეი ნაქალაქარი?!
აქ ყვირის ჟამი, ყვირის ჟამი! შიშით შეძრული

და ეს გრიგალი
ოკეანეს ააქანავებს!..
წარღვნა რა არის, ან ხანძრების აბობოქრება?
ან ტროა რაა? კართაგენი
არის ზღაპარი!..

აქ ძვლების რუხი მთა–გორების ღელავს მორევი,
შეხედეთ, ფერფლით გადათოვილ
მიწის საფარველს!..
აქ აღარ სწყდება შემზარავი მოთქმა–გოდება
და შემაზრზენი ხავილი
და ბრდღვინვა მხეცების!..
აქ ყველგან სისხლით დაჟანგული ყრია ლოდები
და ულმობელი ნახვრეტებით
გიმზერს კედლები!..
შენ, დედამიწავ, როგორ უძლებ ამდენ ჯოჯოხეთს?!
და უსაშველო უსაშველო,
ბოღმა მერევა!..
ამგვარი ტანჯვა თვით ღმერთებსაც აღარ უნახავთ,
ო, პირველ დღიდან, პირველ დღიდან
ქვეყნის გაჩენის!..
სულს ეს კოშმარი უკვე ველარ გადაულახავს
და ის ფრინველს ჰგავს
საუკუნის ქსელში გარჩენილს!..

28.06.78
სოხუმი

აანთე გული!

აანთე გული დღევანდელი სიცოცხლის ეშხით,
ჩახედე სულში ყველა მოძმეს
და ყველა მოკვდავს!..
ჩამოიშორე გზიდან ყველა ცოცხალი ლეში,
ვის გულში უკვე სათნოების
ყვავილი მოკვდა!
ვინც ავდრის შიშით ამოჰქოლა სარკმელი ყველა
და ვინც ყველაფერს მხოლოდ
ვაჭრის თვალებით წონის!.
ის ვერასოდეს ვერ შეიგრძნობს ცხოვრების ღელვას,
ვინც კი უღელი საუკუნოდ
დაიდგა მონის!..
ვინც სასიკვდილო სარეცელზე დატოვა დედა,
რომელიც მწარედ იკრუნჩხება,
სულს უკვე ღაფავს!
ვის შუბლზე ოდნავ სინანულის ძარღვიც არ ფეთქავს
და მშობლებისთვის მოშორებით
დაეძებს საფლავს!
ვინც თავისთავში ერთი დაკვრით კაცობა მოკლა,
ვინაც არ იცის მწუხარება,
შფოთვა და დარდი!
ვეთაყვანები ყველა მოძმეს და ყველა მოკვდავს,
ო, ვინც ქუჩაში დიოგენეს
ფარანით დადის!
მხოლოდ კაცობა, ერთგულება გაუძლებს დრო–ჟამს

და სხვას ყველაფერს
უმოწყალოდ ეცვლება ფერი!
რა ვუთხრა იმას, ვინც სინდისი გაყიდა გროშად
და თვალს უმშვენებს ნაბახუსევს
ნიანგის ცრემლი!
აანთე გული დღევანდელი სიცოცხლის ეშხით,
ჩახედე სულში ყველა მოძმეს და ყველა მოკვდავს!...
ჩამოიშორე გზიდან ყველა ცოცხალი ლეში,
ვის გულში უკვე
სათნოების ყვავილი მოკვდა!

14.07.78
სოხუმი

მზეს ამოზიდავ ფრთებით!

ცა ვარსკვლავებით ციაგებს, გული კი
ტრფობით მხოლოდ!
ყველას სიკეთე მიაგე
და გაიმარჯვებ ბოლოს!
არ შეგეშინდეს ჟამის, შენი შუქურა გენთოს,
ღამე გაივლის შავი,
დღე შუქს მოგაღვრის ერთობ!
მზეს ამოზიდავ ფრთებით და ამაღლდები ცამდე,
ოღონდ სიმართლე გწამდეს
და ეს ლამაზი მთები!..

16.08.78
სოხუმი

ეს საუკუნე!..

შემოიჭრება კივილით ჩემში ეს საუკუნე
და ყველაფერი
            შიშნარევი თვალებით მიმზერს!..
მიგუგუნებენ გიგანტური შავი ბორბლები
და მიარღვევენ
დროსა და სივრცეს!
შემოიჭრება კივილით ჩემში ეს საუკუნე
და როგორ მკაცრად
            ეუფლება მიწას ასაკი!..
შემოიჭრება კივილით ჩემში ეს საუკუნე,
ო, ხიროსიმა
და ნაგასაკი!

22.08.78
ბანძა

მე არ ვყოფილვარ!

მე არ ვყოფილვარ ფლორენციას, პარიზს
და ბორდოს
და არც მინახავს
პომპეი ძველი!
სული შეარხევს შთაგონების
ღვთაებრივ ფოთოლს
და მიმაქვს ყველგან სიყვარულის
ლამაზი ძღვენი!..
მე არ ვყოფილვარ რომს და ათენს, ლონდონს
და მადრიდს
და არც ის ვიცი,
რაზე მღერის
ალპებში მწყემსი!
მე არ მინახავს, როგორ დადის
შექსპირის ლანდი,
მაგრამ მე ვიცი,
როგორ კივის შექსპირის ლექსი!
მე არ მინახავს ამაზონი, ნილოსის დელტა
და არც ლიდიის
შორეული მინდვრები ვრცელი...
არ მისმენია, იქ რას გლოვობს ადგილის დედა,
უძილო თვალებს,
როგორ სწყდება
მდუღარე ცრემლი!
მე არ ვყოფილვარ ვენეციას, ბერნსა
და ვენას
და არ მინახავს ვერცხლისფერი
მონბლანის ჩრდილი,

არც რაინის პირს მოცეკვავე
ქალები ქერა...
მე არ ვყოფილვარ იაპონიას, ინდოეთს, ჩინეთს!
მე არ ვყოფილვარ ნაგასაკას და ხიროსიმას!
ახლაც მაჟრჟოლებს,
თითქოს ტანში ლანცეტი შედის!..
როგორ აგროვებს მზე ბავშვების
დამსხვრეულ ღიმილს
და მე ტკივილს ვგრძნობ
მოურჩენელს
იაპონელ დედის!..
მე არ მინახავს დატბორილი ყანები ბრინჯის,
მაგრამ მე გავხდი
საშინელი დღეების მოწმე!..
როგორ იცავდა დაჭრილ დედას პატარა ბიჭი,
არამზადებმა შემდეგ მიბრჯნით
ისიც რომ მოკლეს!
მე არ მინახავს არაბეთის უდაბნო ცხელი,
არც დიუნების უსასრულოდ მოძრავი ჩრდილი...
ომები, როგორ ანადგურებს ზღვასა
და ხმელეთს
და ჰორიზონტზე მიბარბაცებს
დაჭრილი ჩილე!..
ხუნტამ ვერა და ვერ დახვრიტა
ნერუდას ჩანგი!
ო, თუმცა პოეტს
სასიკვდილოდ
მოარტყეს გულში!...

ვერ დაანგრიეს მისი სულის
მაღალი თაღი,
ეს იყო გუშინ!
ეს იყო გუშინ!!
ეს იყო გუშინ!!!
მე არ ვყოფილვარ სანტიაგოს, მეხიკოს, კუბას,
და არც ზანგების ცეცხლოვანი
მინახავს როკვა!..
ცა პრერიების დინჯად როგორ აგროვებს ღრუბელს,
ან როგორ მღერის ლერწმოვანში
პატარა გოგო!..
მე არ მინახავს ბიბლიური ეგვიპტის მთვარე,
პირამიდების ჩრდილში სუნთქვა
დაღლილი სფინქსის!..
თუ როგორ ებრძვის ბედუინი
უდაბნოს ქარებს,
მეწამულ ზღვაზე
როგორ წვება წითელი ნისლი...
მე არ მინახავს დედამიწის მშვენება შვიდი,
კიდევ რამდენი საოცრება
რამდენი ქვეყნის.
მე სიყვარულის ყველგან გავდე ლამაზი ხიდი,
თუმც სხვის მიწაზე
არასოდეს დამიდგამს ფეხი!
მე არ ვყოფილვარ ფლორენციას, პარიზს
და ბორდოს,

და არც მინახავს
პომპეი ძველი!
სული შეარხევს შთაგონების
ღვთაებრივ ფოთოლს
და მიმაქვს ყველგან სიყვარულის
ლამაზი ძღვენი!..
12.09.78
სოხუმი

ჟამი

ეს რა ჟამი დგას – დანასავით ცივი, პრიალა!
ეს რა ჟამი დგას – სულის,
ხორცის გაჩანაგების?!
ეს ვინ გვიმიზნებს, ასე უღვთოდ ზემძლავრ იარაღს,
რომ ჩამოგვექცეს საუკუნოდ
თავზე თაღები!..
ეს რა ჟამის დგას – რა სასტიკი მესმის ხავილი!..
ნუთუ მას მართავს
უჩინარი ხელი განგების?
ო, სიყვარულო! გეძებ, მაგრამ ვერ მოგიხილე,
ო, სიყვარულო! გეძებ, მაგრამ
ვერ მოგაგენი!

15.09.78
სოხუმი

მზე რომ არ გაუფერულდეს

მაშორე მზერა ველურის, უსაზღვრო ბრდღვინვა მხეცის,
რომ მზე არ გაუფერულდეს
                  და სილაჟვარდე ზეცის!..
აღმართე შუქის აფრები, გააპე ღამე მღვრიე,
გაშალე ფრთები საფრენი,
უიმედობას სძლიე!..
რხევას ტალღების უცქირე და ხომალდს აფრაგაშლილს,
ეს ცა იწამე უძირო,
                  როგორც ღიმილი ბავშვის!..
მაშორე მზერა ველურის, უსაზღვრო ბრდღვინვა მხეცის,
რომ მზე არ გაუფერულდეს
და სილაჟვარდე ზეცის!..

05.07.79
სოხუმი

დედამიწას

მსხვერპლი ხარ ტექნიკის, პლანეტავ მშობელო!
კვლავ გებრძვის სიკვდილი
შენ დაუნდობელი!..
მოგახრჩობს ტკივილი მკაცრი და უსახო,
მოგხედავს ვერავინ,
რაც უნდა უძახო!..
არც წვიმა, არც თოვლი, შენ აღარ გეწვევა,
მე ვხედავ სიკვდილი
ო, როგორ გეწევა!..
ვერ მოგინახულებს ზღაპრული ფერია,
ვერ აგიშრიალებს ნიავი ლელიანს!
შენ მიწა გახდები ბერწი და აყალო,
საითკენ მივქრივართ
ო, ღმერთო მაღალო!
შენ ცხრიდან ერთი ხარ შვიდფერი სარტყელით,
მე შენზე ფიქრი და
ოცნება მატყვევებს!..
დაიწყო განგრენა მაგ შენი სხეულის,
მრავალგან ერთი ხარ,
შენ ასე რჩეული!
რას მოთქვამს სამყაროს გრძნეული ზარები?!
მითხარი, პლანეტავ,
სად მიემგზავრები?!

20.09.79
ბანძა

რატომ გაატან ქარს?!

ტანჯვით, წამებით, შექმნილ სამყაროს, რა
უცაბედად სპობს!
დაემსგავსება მიწის ზღაპარი
საჰარასა და გობს!..
ო, ბოროტებავ, მიხვალ საითკენ, რისთვის
მიელტვი ომს?
სიკვდილის ზვირთი გაგაჩანაგებს,
სიცოცხლეს რისთვის გმობ?
ტანჯვით წამებით შექმნილ სამყაროს, რატომ
დააატეხ ზარს?
რად გინდა ფერფლი გადააყარო
სიცოცხლის მწვანე გზას?!
რა დაგიშავა? რისთვის დაფერფლავ
ანგელოზების ფრთებს?!
შეხედე ამ ცას, შეხედე ამ მზეს
და ამ ბუმბერაზ მთებს!..
უცქირე მთიებს ლურჯად მკრთომარეს, როგორ
გვაღვრიან სხივს...
ან ეს ატმის რტო რა ლამაზია,
როცა ნიავი ქრის!..
უსმინე ჩიტებს მზის მოლოდინში, რომ
აღჟერებენ ქნარს!..
ამ სილამაზეს, ამ საოცრებას,
რატომ გაატან ქარს?!

05.09.78
ბანძა

მოგღვავდი ტკივილო!..

ვინ მირბევს ჩემი ცის სახურავს? — ნაღვლიან
სიმღერას ვღიღინებ!..
მე ხშირად სიზმრებსაც ვნახულობ,
სად ჩემი თეთრონი ჭიხვინებს!..
რას უცდი? – მოგღვავდი, ტკივილო!.. არა ვარ
ვედრებას ნაჩვევი!
გრიგალმა ცა გადიკივილოს,
რადგანაც მიმეტებს გამჩენი!
ცხოვრების ყველა გზა გავლიე, – სიმღერით,
ქროლვით და შეტევით!
ხელებში დროს შევრჩი ცარიელს, –
სხვა ღელვით, სხვა სულისკვეთებით!..

17.10.79
სოხუმი

ხე სიცოცხლისა ყვაოდეს!..

ცის ამღვრეული თვალები და ჟამი განახელები,
მიწა ნახშირად ქცეული
უგნური კაცის ხელებით!..
ო, ვინ ხარ, ვინ უნდა იყო, ამაზე ფიქრი გაბედო?
სიცოცხლე რატომ მოისპოს?
პლანეტა რატომ დაბერდეს?!
ცეცხლსა და ქარებს რად მივცეთ ეს
განძეული ურიცხვი?!
ეს სილამაზე და სიბრძნე
ქაოსს რად გადავურიცხოთ?!
ხე სიცოცხლისა ყვაოდეს, ეხვიოს ოქროს ფუტკარი,
ედგას მზის თეთრი გვირგვინი,
ცა არასოდეს უდარო!..
რად უნდა იყო უსულო, ან ასე დაუნდობელი?
ეს ქალაქები მოთხარო,
ეს ბაღები და სოფელი!
ცისარტყელების ბილიკზე სიკვდილმა გადითარეშოს?
რა უნდა კივილს ქარების
მზის და ღიმილის მხარეში?!
ბაგეებს გოგო-ბიჭების ღიმილი უნდა ეფინოს,
შენ ომზე ფიქრობ, უგნურო,
და განკითხვის დღეს ზეიმობ!
სიცოცხლეს რომ ვერ აფასებ და
ვარსკვლავების საბუდარს,
ერთი სპობ – ასი ათასებს
და სიკვდილს მეტი რა უნდა?!

შენ აგამხედრა და საქმეს შენი ხელებით აკეთებს,
სიცოცხლეს გულში უმიზნებ
ამ თერმობირთვულ რაკეტებს!..
თუკი ის ერთხელ გაქვავდა, არასდროს განმეორდება,
მერე ამაო იქნება
ყველა კვნესა და გოდება!..
ხე სიცოცხლისა ყვაოდეს, ეხვიოს ოქროს ფუტკარი,
ედგას მზის თეთრი გვირგვინი,
ცა არასოდეს უდარო!

24.10.78
სოხუმი

მეც ერთი ზვირთი ვარ დინების!

სულს ახლა ტკივილი მიწეწავს და მიდის
მდინარე ზვირთებად,
ო, ისევ ირხევა ლერწამი,
შეხედე, გუმბათიც ინთება!..
მე ქვეყნად არ ვეძებ დიდებას, თუ ხშირად
მზეს ვეპოტინები,
რომ სული ამინთონ სხივებმა,
მეც ერთი ზვირთი ვარ დინების!..
სივრცეში გაჭრილი სიმღერად, ვაწყდები მღვრიე
ფრთებს ქარების,
ო, ხშირად ცხოვრებაც იმღვრევა,
ვით სივრცე კივილით ზარების!
ო, ოღონდ შენ მყავდე იმედად! რა არის
ტკივილი ნაისრის?!
მე მხოლოდ შენს ტრფობას მივენდე,
ვით სივრცე მზის სხივებს მაისის!..

28.10.78
სოხუმი

ნუთუ?!

მიიწურება, ეს დღეც სადღაც მიდის ლანდივით,
შეხედე ხომალდს, ზღვის სივრცეში
                  როგორ ქანაობს!..
ღმუის ავდარი, უდაბნოში, როგორც ნადირი,
ნუთუ ანძებიც აწყდებიან
სივრცეს ამაოდ?!

04.12.78
სოხუმი

ეს რა ქარები უბერავს?

შეხედე, შავი ღრუბელი კვლავ ფრთებს შლის
ცაზე მაისის,
ისევ ქარები უბერავს
და რა მრისხანე ხმა ისმის!..
მთას რა აშინებს ბუმბერაზს? ზღვა ზარებს
რატომ არისხებს?
ეს რა ქარები უბერავს?
რად აცახცახდა ალვის ხე?

21.05.79
სოხუმი

ვინ ემუქრება?!

ჩემი ოცნების პლანეტას ვინ ემუქრება ასე?
ნუთუ სიცოცხლე დაბერდა,
რომ ცრემლი ადგას თვალზე?!
ნისლი რად ჩამოეფარა ამ მწვერვალებს და ფერდობს?
კვლავ ღელავს გული მგზნებარე,
როგორც ღელავდა ერთ დროს!
ეს ვინღამ მოიწადინა ხვეტოს გვამები გზაზე?
ვინ აძლევს ბოღმას სადინარს,
ვინ ათამაშებს ლაზერს?!
ეს რა გრიგალი ხმაურობს ხმელეთზეა თუ ზღვაზე?
ეს ვინღა მიმოგზაურობს,
კოსმოსს ვინ „ალამაზებს“?!
რომ ბოროტება ახაროს და ბალახები შხამის,
ჩემი ცისფერი სამყარო,
რომ გამიხადოს შავი!
ჩემი ოცნების პლანეტას ვინ ემუქრება ასე?
ნუთუ სიცოცხლე დაბერდა,
რომ ცრემლი ადგას თვალზე?!

06.06.79
სოხუმი

გახსოვდეთ, ის ორი ქალაქი!

მსოფლიოს, ასე ვინ აშინებს ბირთვული
ბომბების მარაგით?!
კოშმარებს ნუ ეთამაშებით,
გახსოვდეთ, – ის ორი ქალაქი!..
ხომ ვნახეთ, სიცოცხლე რაც არის – ატომურ
ბომბებით ძლეული?!
რა რჩება? –
ფერფლი და ნაცარი, –
პლანეტა ნანგრევად ქცეული!!!

02.08.79
სოხუმი

მე იდუმალი ჩამესმის ლოცვა!..

მე ახლა ისევ შენს ღიმილს ველი ო, თუმცა სევდის
ფიფქები მათოვს,
ფოთლებში ქარი შრიალებს ნელი
და ეძებს სული
შორეულ მნათობს!..
მე იდუმალი ჩამესმის ლოცვა და წუთისოფლის
ხმაურობს წყარო!..
ირღვევა ჩემი ცხოვრების ბორცვი
და მაინც შენი
თვალები მწყალობს!
მთვარე კვლავ მაღვრის ქათქათა ჩქერალს,
წყაროსთან ისევ ირხევა სარო...
იცინის ცაზე ვარსკვლავი ქერა,
ოდესმე ისიც
დატოვებს სალონს!..
მე ახლა ისევ შენს ღიმილს ველი,
ო, თუმცა სევდის ფიფქები მათოვს!..
ფოთლებში ქარი შრიალებს ნელი
და ეძებს სული
შორეულ მნათობს!..

25.08.79
ბანძა

ბედისწერის დემონი

მივდივარ მარტო, მიმაქვს გული ტკივილით სავსე,
მე ყველგან ჩემი ბედისწერის
დემონი დამსდევს!..
ხან მეფერება და ხან მზვერავს თვალები მკაცრი,
მივდივარ, მინდვრებს
შეღამების ნიავი ვარცხნის...
მარჯვნივ ზღვა ღელავს და მარცხნივ კი
მთები გუგუნებს,
როგორ გაუძელ, გულო ჩემო!
ამ საუკუნეს?!
შეხედე ზეცას, შემოდგომის მზე იზმორება
და მიდის ჟამი მრისხანე და
ვეფხვისზოლება!..
შეღამდება და ვარსკვლავების შუქზე ვლოცულობ,
როგორც ხომალდი
ზღვის სივრცეში
მთვარე მიცურავს...
მივდივარ მარტო, მიმაქვს გული
ტკივილით სავსე,
მე ყველგან ჩემი ბედისწერის
დემონი დამსდევს!..

14.04.80

სოხუმი

ბარიერთან, ანუ

სიმართლე მალაპარაკებს!..

იმავ მიწისთვის, რაც დღეს
თუ ხვალ თვითვე არიან...
ნ. ბარათაშვილი

თქვენთან საუბარს მოვითხოვ, აზრს სტრიქონებად ვალაგებ,
ყოფნა–არყოფნის საზღვარზე
სიმართლე მალაპარაკებს!..
მე სიცოცხლის ვარ მსახური და სხვა შარაგზა არვიცი!
ხვალინდელ დღეზე ვფიქრობ და
გულისტკივილით განვიცდი!..
სიკვდილი ყველას გვინახავს – რამდენიც გნებავთ იმდენი,
ხან ნაცრისფერი, ხან რუხი,
ხან შავი და ხან ყვითელი!..
ჩვენ გვახსოვს მაიდანეკი და ბუხენვალდის ქარ–წვიმა!..
მარტო სიკვდილი რა იყო,
ეს იყო ბედის დაცინვა!..
რომ ხვეტდნენ მიწას ყოველდღე ფერფლით და
ნაცრით მოფენილს,
და ყველას გვახსოვს, რა იყო,
რას ჰგავდა წუთისოფელი!..
ისევ მოედო სიმღერა ბაღ–ვენახებს და მთა–ველებს,
არ დარჩენილა მიწაზე,
თითქმის არც ერთი მტკაველი, –
რომ სიცოცხლით არ ეხარა, არ ეგრძნო სუნთქვა ვარდების,

ხალხია ამის მოწამე,
ხალხია ამის თავდები!..
თვით ხიროსიმაც აყვავდა და მის გარშემო სოფლები,
ო, დაგლეჯილი უსაზღვროდ
ეშმაკის შავი ბომბებით!..
აგერ ორმოცი წელია სული მოითქვა პლანეტამ,
მაგრამ ახალმა მუქარამ
ყველაფერს გადაამეტა!..
ისევ ჩამოწვა ღრუბელი, ო, დღემდე გაუგონარი
და ილანდება სივრცეში
ურიცხვი შავი ყორანი!..
აყვანილია მიზანში მიწის ყოველი უბანი,
რომ გაიფანტოს პლანეტა,
როგორც ნამსხვრევი ყუმბარის!..
ერთბაშად ბოლო მოეღოს ამდენ ნაშრომს და ნაჯაფარს –
სიკვდილის ძალამ სიცოცხლეს
ათასჯერ გადააჭარბა!..
რა სათქმელია სხვა ომი, – სტალინგრადი და ოდერი?
დაუმსხვრეველი მიწაზე
აღარ დარჩება ლოდებიც!
სიცოცხლის ნაფერთალები სივრცეში გაიფანტება,
სხვადასხვა რადიუსების
რაკეტები გვყავს თავდებად!..
შეიმოსება მსოფლიო ალბათ ეშმაკის ფერებით,
გაქვავდებიან პლანეტის
მარად მფრინავი ცხენები!!!
სიცოცხლის ცეცხლი ლამაზი, ხომ საუკუნოდ მიქრება?!
გამარჯვებული ამ ომში

მხოლოდ სიკვდილი იქნება!..
ეს ყველას უნდა ახსოვდეს, ეს ყველამ უნდა იცოდეს!
ხალხის და ქვეყნის წინაშე,
ვინც ერთგულებას ფიცულობს!..
ეყოფა ამ ჩვენს პლანეტას ცეცხლთან ღელვა და თამაში,
თქვენ, ქვეყნის ხელისუფალნო,
დამეთანხმებით ამაში!..
რა მოხდა ნეტავ ისეთი, რომ დღემდე ცოდვა ტრიალებს,
ეს ატომური სიკვდილი,
ეს ქარიშხალი ტიალი!..
მოშლის და გაავერანებს ყველა ბილიკს და გზაშარას,
სიკვდილმა ყოვლისმომცველმა,

თუ იალქნები გაშალა!..
რა ვუთხრა სცილარდს და ტელერს, ფერმსა
და ჰოპენჰაიმერს,
ეშმაკის საქმე იტვირთეს,
აწივლდა სული კაენის!..
ისმის გუგუნი ხალხების და ის მშვიდობას მოითხოვს,
სიცოცხლე, ვისაც მოუნდა,
უნდა იყვიროს დროულად!..
მეფისტოფელმა საჯესთან, რომ მისვლა ვეღარ გაბედოს!
და ეს პლანეტა ცისფერი,
ერთბაშად რომ არ დაბერდეს!..
ყველას ვუხმობ და ვეძახი, ვინც ერთგულებას ფიცულობს,
ჩვენ ვშლით იალქნებს, სიცოცხლის
ხომალდმა უნდა იცურაოს!..
მოისპოს ყველა რაკეტი თერმობირთვული შეტევის!

იცოდეთ, ამ პლანეტაზე
ლამაზად ყველა ვეტევით!..
სიცოცხლეს მუდამ ბაგეზე
ღიმილი უნდა ეფინოს,
რეკვა ქათქათა ზარების
ვარსკვლავთაც გაიზეპირონ!
თქვენთან საუბარს მოვითხოვ, აზრს სტრიქონებად ვალაგებ,
ყოფნა-არყოფნის საზღვარზე
სიმართლე მალაპარაკებს!..

02.08.80
სოხუმი

რაინდი

ბევრი არწმუნებს, მაგრამ არ დაიჯერა მაინც!
ის იდგა ისე მედგრად,
როგორც შვენოდა რაინდს!
მერე აენთო ერთობ! თითქოს იფეთქა ნაღმმა!
თვალით გაზომა სივრცე
და გადაფრინდა გაღმა!..

09.08.80
სოხუმი

დუმილის ფარდა

გათავდა, უკვე ვერაფერს შეცვლი,
        რადგან დაერქვა სახელი მისი!..
გათავდა, უკვე ვერაფერს შეცვლი,
შეწყდა ძარღვებში ხმაური სისხლის!
გათავდა, უკვე ვერაფერს შეცვლი!
        გაჩუმდა სივრცე და ქარი ჩადგა!
გათავდა, უკვე ვერაფერს შეცვლი,
დაეშვა მძიმე დუმილის ფარდა!

17.08.80
ბანძა

წიწამური

აქ ცხრაას შვიდში დემონმა მთა-ბარი გადიკივილა
და ჩემს საშობლოს შემორჩა
მძიმე ოხვრად და ტკივილად!..

15.09.80
საგურამო

არსაკიძის მონოლოგი

ხეკორძულას წყალი მისვამს,
ციხე ისე ამიგია...
ხალხური

დავძლიე ბევრი ალმართი, შურისძიების ზვავი,
და რისხვამ შემომანათა,
მომჯრეს მარჯვენა მკლავი!
მე მქონდა ჩემი მეობა, ვერ შევურიგდი მოდებს,
დროის დოგმატებს ვეომე,
ვზიდე ურიცხვი ლოდი!..
და ავაშენე ტაძარი, სივრცე ვერასდროს მოღლის,
ბევრჯერ შეუტევს ხანძარი
და ქარიშხალი ბოღმის!..
დარჩება დაუძლეველი ყოვლისმრბეველი ჟამით,
ცა მისთვის ცეცხლისმფრქვეველი,
სიოს იქნება ჩქამი!..
მას ვერ შეარყევს გრიგალი, ვერც ქარბორბალა დაშლის!
დარჩება, როგორც იგავი,
რადგან სული ქრის მასში!..

20.09.80
მცხეთა

სხვა იალქნებს გაშლის!

იწურება საუკუნე, სწყვეტს მიწასთან კავშირს,
სხვა ქარები მოგუგუნებს,
            სხვა იალქნებს გაშლის!..
რას მოიტანს, რას გვპირდება, ეს არავინ იცის!
მხოლოდ მოჩანს კონტურები
შორეული სივრცის...
თუკი იფრენს სული ისევ აღმავალი გზებით,
შემოირღვევს ჟამის ნისლებს,
            ცას ავანთებთ გზნებით!..
გზებს გავკვალავთ ისევ ახალს, — მზის სისტემის მიღმაც
და სასწაულს მრავალს ვნახავთ,
ავხდით სივრცეს ნიღაბს!..
იწურება საუკუნე, სწყვეტს მიწასთან კავშირს,
სხვა ქარები მოგუგუნებს,
სხვა იალქნებს გაშლის!..

09.10.80
ბანძა

სიჩუმე არ უყვართ აფრებს

სიჩუმე არ უყვართ აფრებს, ვით ზეცას ღრუბლების ხანა,
სიჩუმე გულს დარდით დაფლეთს,
ვით ნისლებს მზის ბასრი დანა!
დღეები მიდიან მსხვრევით და ქარმა დალეწა ანძა!
ნისლებით სავსეა ხევი,
ცამ ღრუბლის მორევი დასძრა!..
გადივლის მწვერვალებს სტვენით მრისხანე ქარების წყება,
სულს ბევრჯერ შეტევით დაღლილს
სიმშვიდე მოსტაცეს წლებმა!..

21.10.80
სოხუმი

რატომ შეჩერდა გზაზე?!

რამ გაახუნა ასე ფერი შინდის და ატმის,
ვინ ამიტირა გზაზე
ჩემი ბავშვობის ლანდი?!
რამ გაახუნა ასე ფერი აპრილის დილის,
რატომ შეჩერდა გზაზე
ჩემი პატარა ჩრდილი?!
ცვივა ფოთოლი უხმოდ მდინარის პირას ცირკელს,
შენ, სულო, ვიღას უხმობ,
რომ ფრთებით არღვევ სივრცეს?
გადაიზნიქა ღელვით ხეთა ჩრდილები რუხი,
მიდის ბავშვობის ღელე
და ქვებზე იმსხვრევს მუხლებს!
რამ გაახუნა ასე ფერი შინდის და ატმის?
ვინ ამიტირა გზაზე
ჩემი ბავშვობის ლანდი?!

15.08.81
ბანძა

ცვივა ფანტელი

კვლავ მტკივა ნაიარევი, ჟამმა კვლავ დარდი მოდენა!..
ისევ ტირიან თვალები,
თვალები საცრისოდენა!..
მე არასოდეს ვყოფილვარ უიმედობის ზვარაკი,
იყო მზით შემოღობილი
ჩემი ბავშვობის ბანაკი!..
სიო არხევდა ბალახებს, მიირწეოდა ბინული,
მე ვიყავ სულით ამაყი,
მაგრამ სისხლში კი ყინულის
ერთი კრისტალიც არ მედო, ამიტომ არ ვარ გულცივი!
თუმცა ბრძოლაში დავბერდი,
მაინც ცხოვრებას ვუცინი!..
ცვივა ფანტელი ორფერი, ვარ მაგ თვალების ტრფიალი,
მიდის ეს წუთისოფელი,
მიდის და მიდის ტიალი!..

02.11.81
სოხუმი

ნუ გამაგონებ!

ნუ გამიქარვებ იმედს, შუქს ნუ ჩამიქრობ დილის,
ნუ დაამსგავსებ მღვიმეს
ძლეულს ხავსით და ჩრდილით, –
ჩემი ცხოვრების დღეებს დაღლილს კვეთებით ქარის,
ნუ დაამსგავსებ მზის მკერდს,
ო, მკერდს გაძარცულს მთვარის!..
ნუ გამაგონებ ტირილს უდედოდ შთენილ ბავშვის!
შუქს ნუ ჩამიქრობ დილის
და ნუ გაჰფანტავ ქარში!..
ნუ გამიმეფებ ღამეს, მზეს ნუ დამიმხობ ხვალის,
ნუ გამაგონებ ბღავილს
უჯირისუფლო ხარის!
ნუ გამიქარვებ იმედს და ნურც ნურაფერს მეტყვი,
ნუ დაამსგავსებ ჩემ სულს
ვენახს დაგლეჯილს სეტყვით!
ნუ დამიძენძავ ბინდით მინდვრებს შუქი რომ ენთო!
ნუ დაამსგავსებ ერთურთს –
ჭალებს, მთებსა და ფერდობს!..

18.04.82
სოხუმი

* * *

ო, მირიადი წელი ქმნიდა ამ ბავშვის სახეს,
განგების ძალამ დედამიწას
აჩუქა იგი...
და მოგვევლინა სწორედ იმ სახით და იმ უშრეტი
სინათლის თრთოლვით
სივრცეებში რომ ფეთქავს
ასე დაუსრულებლად!..
ო, მირიადი წელი ქმნიდა ამ ბავშვის სახეს,
რომ ფეხადგმული
ყვავილივით დადის მინდორზე
და სული მისი ზეიმობს ისე,
როგორც ჩიტი ატმის რტოზე,
მოგალობე განთიადისას.
ო, მირიადი წელი ჰქმნიდა ამ ბავშვის სახეს,
შენ ერთი დაკვრით
გინდა მოსპო
და შეურიო სილამაზე შლამსა და ქვიშას!..
მე პოეტი ვარ, გეკითხები: — რატომ და რისთვის?!
მაგ შენს ბომბებზე ძლიერია
ეს ჩემი სიტყვა,
რადგან იგი სინათლეს უხმობს
და სიყვარულის
ღვთაებრივ ძალას!..

14.07.82
ბანძა

ვუცქერ ცხოვრების დრამას!..

რატომ მომაწვა ცრემლები? ეს რა ტკივილი დამაქვს!..
კივიან დროის ცელები,
ვუცქერ ცხოვრების დრამას!..
გულს აწევს ლოდი რამხელა, დამდის ცრემლების წვიმა,
სულს უჭირს სევდის გამხელა,
მზე რომ ათრობდა წინათ!
ო, რამდენ რამეს ვნანობ! მზე ჩადის ზღვაზე თრთოლვით,
მე მესმის შენი ნანა
და მათოვს ჟამის თოვლი!..
ტოტზე ცახცახებს ფერმკრთალი სამი ფოთოლი მხოლოდ,
ქარებს რამდენი ედავა, –
ისიც დასცვივდა ბოლოს!..
მზეს რომ ეტრფოდა პირიმზე, – ეს სიყვარულის გიჟი!
ისიც ჩამოჭკნა ბილიკზე
ცივი ქარების შიშით!..
რატომ მომაწვა ცრემლები? ეს რა ტკივილი დამაქვს!..
კივიან დროის ცელები,
ვუცქერ ცხოვრების დრამას...

22.07.82
ბანძა

რამდენ ქარიშხალს გაუძელ!

რამდენ ქარიშხალს გაუძელ, რამდენ ტანჯვას
და ვაებას?!
სიმხნე გაქვს ჯარისკაცური
ღელვა რომ მოგეძალება!..

რამდენ ქარიშხალს გაუძელ, რამდენი
ციხის აღებას?
ჭრილობას, მოძმის დაკარგვას,
ძარცვას და გაჩანაგებას!..

რამდენ ქარიშხალს გაუძელ, ო, გულო,
მიკვირს ნამდვილად!
არასდროს დაგიხევია,
არც ნებდებოდი ადვილად!
ვისაც მოუკლავს, ის მოკლავს, არ ცნობდი გზებს
და ნაპირებს!
ხან ზვირთებს ჰგავდი მოვარდნილს,
ხან ცეცხლმოდებულ საკირეს!..

რამდენ ქარიშხალს გაუძელ და კვლავაც
რამდენს მოელი!..
იბრძოდი ციხის კედლებთან,
როგორც დევგმირი ტროელი!..
იბრძოლე დაუზოგავად, შენ უკანასკნელ
წუთამდე!

დაამხე ძალა ბოროტი,
დალეწე სულთამხუთავი!..

რამდენ ქარიშხალს გაუძელ, რამდენ ტანჯვას
და ვაებას?!
სიმხნე გაქვს ჯარისკაცური
ღელვა რომ მოგეძალება!..

05.08.82
ბანძა

ვერას დააკლებს ზღვაური

ამ ზვირთებს შფოთვით მოვარდნილს, კვლავ უტევს
ფრთებით ფოლადის,
ზღვის ლურჯ ქეჩოზე გადარბის
შენი ცისფერი ხომალდი...
სივრცეს დაარბევს, აურევს, უსაზღვროდ
გაინავარდებს...
ვერას დააკლებს ზღვაური,
როგორც ჩიტები შევარდენს!..

10.08.82
სოხუმი

გავშალოთ აფრა სამოგზაუროდ!..

მე შენი ბედის ვარსკვლავს მივენდე და ავირჩიე ეს
გზა წამების!..
ძვირფასო, გქონდეს ჩემი იმედი,
მათოვე სევდა მაგ წამწამების!..
მოვსულვარ ჟამთან დავის უფლებით, გავშალოთ აფრა
სამოგზაუროდ!..
ო, სულს სწყურია თავისუფლება
და შენც დაჰქროლე სივრცეს ზღვაურო!..

12.08.82
ბანძა

მე არ შემეძლო!

მე არ შემეძლო არცერთი წუთით უშენოდ ყოფნა!
ახლა კი ჰაერს ტკივილით ვსუნთქავ
ამ წუთისოფლის!..
მე არ შემეძლო არცერთი წუთით – გარეშე შენდა!
სცვივა ტოტიდან ფოთოლი თუთის, –
სულს მიმღვრევს სევდა!..
მე არ შემეძლო არცერთი წუთით – ზაფხულ და ზამთარ,
რომ არ მენახე, რომ არ მენახე,
ძვირფასო თამთა!
მე ახლა რა ვარ, ო, ეს გული გვალვაში დაზრა!..
ვერ იქნა ჩემში
გრძნობას ვეღარ აჯობა აზრმა!
კვლავ შემოდგომის ველზე ჭკნება ყვავილი ქორფა!
მე არ შემეძლო არცერთი წუთით
უშენოდ ყოფნა!..

30.09.82
ბანძა

გრანადის მახლობლად!..

გრანადის მახლობლად, გრანადის მახლობლად,
ესროლეს პოეტთა მეფეს!
გრანადის მახლობლად,
ო, გვიან ღამემდე,
ისმოდა მთვრალების ყეფა!..
აგვისტოს ღამეა... ცა ანდალუზიის ქვითინებს
ობოლი ბავშვი!..
გრანადის მახლობლად
ფორთოხლის ბაღებში,
ტიროდა გიტარა ქარში!..
ბოშათა კარავში ღამეა აგვისტოს, შემოდის
შეშლილი მთვარე,
და სივრცე ცრემლით და ქვითინით აივსო,
აოცებს ბიჭუნას თვალებს!...
გრანადის მახლობლად, ბავშვობის მინდორზე
ავარდა თოფების ბოლი!..
ცა ანდალუზიის კივილით დაემხო
და მთვარე დაიმსხვრა ბროლის!..
გრანადის მახლობლად, გრანადის მახლობლად,
ყვითელი მდინარე ოხრავს!..
გრანადის მახლობლად,
ბავშვობის მინდორზე, –
ესროლეს გარსია ლორკას!

02.10.82
სოხუმი

ვლოცულობ შენგე

მარად და ყველგან საქართველოვ,
მე ვარ შენთანა!..

ი. ჭავჭავაძე

მზე ამოდის და ვლოცულობ შენზე, ირგვლივ ფოთლების
ჩურჩული მიწყდა!
მთის თხემზე თეთრი აჩრდილი შედგა
და სიყვარულით დახედა მიწას!...
ყვავილს ახარებს გახელა თვალის და შუქით სავსე
ბინული ღელავს!
მზე აღტაცებით ამოდის მთვრალი
და ესალმება ღიმილით ყველას!..
ზღვა ქანაობს და ცისფერი ჭავლი შეარხევს სულის
იდუმალ სიმებს!..
ხევში ღრუბელი ეშვება ჯავრით
და ყორნისფერ ფრთებს
მიათრევს მძიმედ...
აქ ყველაფერი ელტვის სიმაღლეს, რაც გრიგალების
გადურჩა მკლავებს!
დადის ღიღინით ბაღში მებაღე
და უღებს ყველას ღიმილით კარებს!..
მზე ამოდის და ვლოცულობ შენზე, ირგვლივ ფოთლების
ჩურჩული მიწყდა!
მთის თხემზე თეთრი აჩრდილი შედგა
და სიყვარულით დახედა მიწას!..

12.08.83
სოხუმი

მიაყურადე!..

აქ წყარო ისევ ჩურჩულებს, ათრობს ბალახებს სიო,
მიაყურადე უჩუმრად: ენგურს,
მტკვარსა და რიონს!..
ნეტავ რა სიზმრებს ხედავენ? ან რად გმინავენ უხმოდ?
იქნებ ჟამს ბევრი ედავენ
და უნდათ ჩაიმუხლონ?
იქნებ ოცნებით თვრებიან ცა რომ ვარსკვლავებს ანთებს!..
იქნებ უბრალოდ კრთებიან,
ზარებს რომ რეკავს მნათე?!

02.05.85
სოხუმი

მესმოდა შენი ჩუმი ვედრება!..

მე ვამბობ, დაო, დავკარგე-მეთქი,
ჩემი ცხოვრების დიდი ნაწილი!
ს. ჩიქოვანი

მესმოდა შენი ჩუმი ვედრება, ხმა თრთოდა, როგორც
სველი ბალახი!..
და ივსებოდა თალხი ფერებით
ჩემი ბავშვობის თეთრი ქალაქი!..
გზებზე ყვაოდნენ მთვარის ფოთლები, ბუხარს სწყდებოდა
კვამლი ყომრალი...
სადღაც სიკვდილის ყეფდა ყორანი,
ახლაც სულს მიმღვრევს, რომ მაგონდება!..

ღელავდა სევდა რაღაც უძირო, რას სთხოვდა ზეცას
ხმა იდუმალი?
და იყო ღმერთი მაინც გულცივი,
და იყო მაინც ზეცა მდუმარი!..
მე შემრჩა ხატი შენი თვალების და ტკივილები
გაუგონარი!..
ახლოვდებოდნენ ზამთრის ქარები
და სწყვეტდნენ ცაზე მთვარის ოლარებს!..

ო, შევრჩი სივრცეს გრძნობაშიშველი და აწყდებოდა
სისხლი აორტას!..
და ჩემი ლანდი სულ უმნიშვნელო,
უსასრულობის გზებზე ბღაოდა!..

04.10.85;
სოხუმი

მზე ბევრჯერ მოვა მოცხართან

ო, რა ტკივილი მოზღვავდა!.. ეს წელი მაინც
რა იყო?
მზე ბევრჯერ მოვა მოცხართან,
შენ ვეღარ მოხვალ, დაიკო!

დრომ ყვავილნარი მოშალა, ქარმა
მიდამო აიკლო!..
კვლავ აფეთქდება შროშანი,
შენ ვეღარ მოხვალ, დაიკო!

იქნება თრთოლვა ფიფქების, როგორ იქნება, –
არ იყოს?
მზეც გაზაფხულის იქნება,
შენ ვეღარ მოხვალ, დაიკო!
ცამ შუბლი მთაზე ჩამოდო, ყოფნის
ფიფქები არიგოს,
აჰა, საცაა ჩამოთოვს,
შენ ვეღარ მოხვალ, დაიკო!

დღე კარგავს სიდარბაისლეს და ის
ბილიკიც გაიყო!
კვლავ ბევრჯერ მოვა მაისი,
შენ ვეღარ მოხვალ, დაიკო!
ქვითინებს სახლი პატარა, ცრემლით
აივსო ლაფარო!..

ირხევა ბინდი ფრთაშავი,
რომ ის მინდორიც დაფაროს!..

ის ლანდიც გაუჩინარდა და ის ატმის
რტოც წაიღო!..
მე ვრჩები მარტო ჩინართან,
ეს წელი მაინც რა იყო?!

24.11.85
სოხუმი

თებერვლის ქარი

განშორებამდე, მეგობარო, სულ ცოტა დარჩა!
ნუთუ ნისლები წუთისოფლის
ამაოდ ვფანტე?!
აჩრდილი იგი აღარ მოდის, არა და არ ჩანს
და ქარი ისევ ათამაშებს
უთვალავ ფანტელს...
საცაა, მალე გამოჩნდება, ჩააქრობს სანთელს,
ის მოდის ჩუმად,
განა მკერდით მოარღვევს სივრცეს?
თებერვლის ქარი ო, რა მწარედ ატირებს მინდვრებს,
თებერვლის ქარი ათამაშებს
უთვალავ ფანტელს...
ვერ შევისრულე, მეგობარო, ვერცერთი ნატვრა,
მოდის და იგი ჯალათივით
სიცოცხლეს მართმევს!
განშორებამდე, მეგობარო, სულ ცოტა დარჩა,
თებერვლის ქარი ათამაშებს
უთვალავ ფანტელს!..

19.02.86
სოხუმი

სად მიხვალ?!

სად მიხვალ, დღეო ნათელო, ვით ფეხშიშველა ქალი!..
კვლავ იწვის სულის სანთელი,
თუმც აკრთობს ხშირად ქარი!..
ჟამს ღელვით დავუკავშირე ო, ეს ტკივილი ჩემი!
შენი სიშორე მაშინებს,
ვით ბედის განაჩენი!
სად მიხვალ, დღეო ნათელო, რომ შლი აფრების წყებას?
ნუ დაივიწყებ, ვინც გიყვარს, —
აშორე დავიწყებას!..
ო, ნუ იჩქარი, მნათობო! ამინთე სივრცე მკრთალი!..
მინდა ჩემს მთა-ბარს ათოვდეს
ფერი მზისა და მთვარის!..
სად მიხვალ, დღეო ნათელო, ვით ფეხშიშველა ქალი!..
კვლავ იწვის სულის სანთელი,
თუმც აკრთობს ხშირად ქარი!..

12.08.86
ბანძა

* * *

მიდიხარ ჟამით განაფითრები, ვეღარ გაუძელ
ტკივილებს მსახვრალს!
შენ ვარსკვლავები ღამეს გითევენ
და გეძახიან საოცრად მაღლა!..
ანდე სტრიქონებს სიმები სულის და განშორების
მუსიკა უკრავს!...
საცაა დილა მოდგება სრული
და უკვე აღარ ბრუნდები უკან!..

27.08.86
ბანძა

რამდენჯერ უნდა დარეკო ზარი!

მე ეს ტკივილი მომიღებს ბოლოს და უცნაური
ფერების მოსვლა!..
რამდენი უნდა ებრძოლო ბოროტს,
რომ აკაფო და ბოლომდე მოსრა?!
რამდენი უნდა ებრძოლო ველურს, ან სანამ უნდა
გაუძლო რკენას?
რომ შემზარავი გაფანტო ბნელი,
რომ ნაღვერდალი შემორჩეს კერას?!
რამდენჯერ უნდა დარეკო ზარი, რომ არ დაირღვეს
კედელი რწმენის!
რომ გულებს აღარ გაუჩნდეთ ბზარი,
რომ გამარჯვების მოსინჯო ძღვენი?!

რამდენი უნდა დაღვარო სისხლი, რომ მაგ თვალებში
სინაზე ენთოს?
რომ სასოებით შეხედო ცისკარს,
რომ გაზაფხულის ნიაღვრებს ენდო?!
მე ეს ტკივილი მომიღებს ბოლოს და უცნაური
ფერების მოსვლა!..
რამდენი უნდა ებრძოლო ბოროტს,
რომ აკაფო და ბოლომდე მოსრა?!

02.03.87
სოხუმი

ო, კიდევ ერთი სანთელი ჩაქრა!

ის სიყვარული ჟამმა ვერ ჩაკლა, თუმც მეურჩება
სივრცე ყოველდღე!
ო, კიდევ ერთი სანთელი ჩაქრა
და ულმობელი ცეცხლი მომედო!..
მე კარგად ვიცი, რისთვის მოვედი, ანდა რა ფიცი
გავიზეპირე!..
დასწყევლილი ვარ როგორც პოეტი
და ვეხეთქები ჟამის ჯებირებს!..
სული ბობოქრობს გზაუპოვნელი და ვგავარ ახლა
ბოლმის შადრევანს!..
ვინც ლექსთან არის განუყოფელი,
ის ხელმეორედ დაიბადება!..
შენ ერთმა იცი, რა ვარ, ვინა ვარ! სულში რა მღვრიე
ცეცხლი ტრიალებს!...
რისთვის მოვყევი
ქვეყნად ნიღვარს,
ან რატომ გავხდი მოხეტიალე!..
ან ზარებს ხშირად რისთვის ვარისხებ, რატომ მივარღვევ
ასე უკუნეთს!..
მე კარგად ვიცი ჩემი ხარისხი
და ოკეანე რისთვის გუგუნებს!..
ის სიყვარული ჟამმა ვერ ჩაკლა, თუმც მეურჩება
სივრცე ყოველდღე!
ო, კიდევ ერთი სანთელი ჩაქრა
და ულმობელი ცეცხლი მომედო!..

02.07.87
ბანძა

რას შველის ლოცვა?!

აღარ მოედოს ჩემს პლანეტას ცეცხლი ატომის
და აღარ შეწყდეს სამუდამოდ
ხმა იადონის!
ო, არ მაჩვენოთ კოშმარები და გზა წამების!
მხოლოდ ამინთეთ მწვანე
შუქი იდუმალების!..
რას შველის ლოცვა, საჭიროა ხმები მაღალი,
რომ ბოროტებამ
არ დაამხოს ო, ეს ბაღნარი!..
თორემ წაგვლეკავს ეს ხანძარი და წყალდიდობა
და მერე თავს ვერ შევაფარებთ
ნოეს კიდობანს!
აღარ მოედოს ჩემს პლანეტას ცეცხლი ატომის
და აღარ შეწყდეს სამუდამოდ
ხმა იადონის!

10.08.87
სოხუმი

ისევ მეძახის!..

შენ ნუ დაეძებ არარეალურს და ჯეშმარიტი
გზებით იარე!..
კვლავ იმ ბილიკზე
მიქრის მერანი
და მისდევს ყორნის ლანდი ტიალი!..
ისევ გამოჩნდა გზა შორეული და იდუმალი
ლურჯი ნათება,
არ მინდა გნახო
ცრემლმორეული
ო, ეს არ ვიცი, რა მემართება!..
მე ბილიკებზე ვეძებ ნაკვალევს... ვიღაც მეძახის, —
ნეტავ რა უნდა?
და მზვერავს ჟამის
თვალი მზაკვარი,
როგორც მუცალის თვალი ალუდას!..
შენ ნუ დაეძებ არარეალურს და ჯეშმარიტი
გზებით იარე!..
კვლავ იმ ბილიკზე
მიქრის მერანი
და მისდევს ყორნის ლანდი ტიალი!..

04.01.88
სოხუმი

უცებ ღელვა მოგღვავდა

დღე არ იყო უმზეო და არც ღამე უმთვარო,
აღტაცებით ვუმზერდით
ცადაზიდულ გუმბათებს!...
უცებ ღელვა მოზღვავდა, ვერსად ვეღარ ეტევა,
ვით გაუძლოს ხომალდმა,
ზვირთთა ამდენ შეტევას?!
ეს ღრუბლები ფრთარუხი, ხედავ სანამ დაეშვა?
ქარმა ზღვა და ხმელეთი ერთად გადითარეშა!..
მოჩანს ვრცელი ზეგანი თოვლის თეთრი ზვინებით
და შორს უკიდეგანოდ
ნისლი მიედინება...
დღე არ იყო უმზეო და არც ღამე უმთვარო,
აღტაცებით ვუმზერდით
ცადაზიდულ გუმბათებს!..

12.02.88
სოხუმი

საუკუნის გრიგალები ჩადგა

ცა მაღალი დაუფარავთ ღრუბლებს და საცაა
შემომაღვრის ფანტელს,
იმედებმა გამინათა შუბლი
და ნისლები
წუთისოფლის ვფანტე!..
საუკუნის გრიგალები ჩადგა, მაინც იჭვით
ვაყურადებ შორეთს!..
მინდა ჩემი ნახელავიც ჩანდეს,
მეც ვედექი
მეცხოვნედ ქორედს!..
იქ მახვილი ჩემიც გაიცვითა, სად ჯებირი
ბოროტების ლეწეს!..
არწივები დამყივიან ციდან
და კვლავ ახალს
ველოდები მეწყერს!..
იქ დგას ჩემი სალოცავი ხატი, სად ზვირთები
აწყდებიან რიყეს!..
აგერ, წყლის პირს
ხე შრიალებს ნატვრის
და იმედის ცისარტყელას მირხევს!..

17.03.88
სოხუმი

ჩამოდის თოვლი

ახალ წლის ღამით ჩამოდის თოვლი, —
ეს ცა გვიგზავნის
ფიფქების ფიორს?
ახალ წლის ღამით ჩამოდის თოვლი
და როგორ მინდა
ტკივილებს ვსძლიო!

ახალ წლის ღამით ჩამოდის თოვლი
და დედამიწის
თეთრდება ტანი!..
ქარები უკვე დაღლილან ქროლვით,
რა ვუყო ამ გულს
დასერილს დანით?!

ახალ წლის ღამით ჩამოდის თოვლი
და თეთრი ქურქი
მოუსხამს ქალაქს...
რა აბობოქრებს მტკვარსა და არაგვს
და რა აშფოთებს
ენგურს და რიონს?!

ახალ წლის ღამით ჩამოდის თოვლი, —
ეს ცა გვიგზავნის
ფიფქების ფიორს?
ახალ წლის ღამით ჩამოდის თოვლი
და როგორ მინდა
ტკივილებს ვსძლიო?!

31.12.88
სოხუმი

ძაღლი პატრონს არ ცნობს!

ვეღარ უძლებს სული ჟამის რიალს, ამ ქაოსში
ანდა როგორ გაძლოს?
ყველაფერი, ნახე როგორ აირია,
ძაღლი პატრონს არ ცნობს!..
საუკუნე მოლოდინში დაილია, ამ ჩემს ტკივილს
ვერაფერი აცხრობს!
ყველაფერი, ნახე, როგორ აირია,
ძაღლი პატრონს არ ცნობს!..
ეს საწუთრო ფერით მრავალნაირია — ხან ზღვა ფრთონავს,
ხან ნიავი ანცობს...
ყველაფერი, ნახე, როგორ აირია,
ძაღლი პატრონს არ ცნობს!..

24.01.89
სოხუმი

რეკონ ზარებმა!..

შენ ამაშორე თვალი მზაკვრული და
გზა შავეთის!
ღმერთო, მაჩუქე
ცა მოსარკული
და მზის ხავერდი!
შენ ამიყვავე მთები, მინდვრები,
რეკონ ზარებმა!..
ო, ეს იქნება
ჩემი დიდება და უკვდავება!..
მე გული მტკივა, ღმერთო, იქნებ
რწმენით ამივსო!..
უკვე მეყოფა
გზა უდაბური
და უხალისო!
არ შემიზღუდო ფერი ნუშის, –
ლექსის სამანი!
არ გამითხარო
ჩემს მამულში
ცოცხალს სამარე!
შუქი მასხივე მაგ თვალების შეუდარები,
მე შენი ტყვე ვარ,
შეპყრობილი ლურჯი ზმანებით!
მე გული მტკივა, ღმერთო, იქნებ გამიხალისო!
უკვე მეყოფა გზა უდაბური
და უხალისო!

07.02.89;
სოხუმი

ელეგია

ვტოვებ ოთახს და გავდივარ გარეთ, სივრცე სავსეა
ლანდებით მთვარის,
ეძახის სული იდუმალ ძალებს,
საგაზაფხულო ფერებით მთვრალი!..
ვტოვებ ოთახს და გავდივარ ზღვის პირს, ზეცა ღამეულ
სილურჯეს მაღვრის...
დავხეტიალობ მანფრედის მსგავსად,
მეძახის ჩემი ბავშვობის ბალი!..
ვტოვებ ოთახს და სივრცეებს ვერწყმი, სულის მემბრანას
შემირხევს ჟამი!..
და მოაქვს ნიავს სიმღერა ლერწმის,
ვით უჩვეულო ტკივილი ღამის!

მივყვები უხმოდ ღამეულ აჩრდილს და რკინისფერი
დუმილი მზარავს!..
სულს ბევრჯერ მწარე
იჯვებით დაჭრილს,
თითქოს ერთბაშად მოეცა ძალა!..
ვტოვებ ოთახს და გავდივარ გარეთ, სივრცე სავსეა
ლანდებით მთვარის,
ეძახის სული იდუმალ ძალებს
საგაზაფხულო ფერებით მთვრალი!..

16.03.89
სოხუმი

ვინ ამიკივლა სისხლი?!

მზე კვლავ ღრუბლებში მიცურავს და ქარიშხალი კივის,
ღელვა იქამდე მისულა,
რომ ჟრუანტელი მივლის!..
და ჟამი აბჯარს ისხამს, ბორგავს ზვირთები ურჩი,
ველარ გადვურჩი რისხვას
და ცა მემსხვრევა ლურჯი!..
ეს რა გუგუნი ისმის! მთა-ბარს მკვდრის ფერი ადევს,
ვინ ამიკივლა სისხლი
ფიქრებით ღამენათევს?!
მზე კვლავ ღრუბლებში მიცურავს და ქარიშხალი კივის,
ღელვა იქამდე მისულა,
რომ ჟრუანტელი მივლის!..

01.04.89
სოხუმი

ისევ კივის მტკვარი!

ცა ახურავს მღვრიე პროსპექტს რუსთაველის
და ჩემს მთა-ბარს წეწავს
ქარიშხალი ველის!..
მთაწმინდას და თაბორს შავი ნისლი აწევს,
ვხედავ, ქართლის დედას
ცრემლი უწვავს ღაწვებს!..
მთიდან ვაჟა ბორგავს და აკაკი კვნესის
და აპრილის დილა
ავსებულა გესლით!..
დგას ილიას ლანდი მოქუფრული სახით!..
სააკაძის მზერა ჰგავს
სისხლიან მახვილს!..
ტატო შფოთავს მწარედ, მისცემია ფიქრებს,
ისევ კივის მტკვარი,
გმირებს უხმობს იქნებ?!
ზარი რეკავს მძიმედ სიონსა და მცხეთას,
მიასვენებს ქართლი ო,
ეს რამდენ მხედარს!..
ღვიძავს კრწანისს და მარაბდას, ბაზალეთს
და დიდგორს,
დედოფალი ნაიარევ
მკერდს იხოკავს თითქოს!..
ცა ახურავს მღვრიე პროსპექტს რუსთაველის
და ჩემს მთა-ბარს წეწავს
ქარიშხალი ველის!..

12.04.89
თბილისი

აკივლდა ჩემი ქალაქი!..

ეს რა ხმაური ჩამესმის, ან ეს რა ცეცხლი მედება?!
ო, რა ლაშქარი დაგვესხა,
დღე, რომ აპრილის თენდება!..
სულმა აშალა ბანაკი იწყეს გუგუნი ზარებმა!..
აკივლდა ჩემი ქალაქი,
როცა გაიცა ბრძანება!
ფრთამოტეხილი არწივი ცალმხარს მიწაზე მიითრევს,
ამ ქუჩებს სისხლით ნაწვიმარს,
დაჰკრა სუსხმა და სიფითრემ!
მამულო, ბევრის მნახველო, გულში სასტიკად დაჭრილო!
ეს ბოღმა გაწევს რამხელა,
შეჩერდი, ჟამის აჩრდილო!
მთა–ბარი ცეცხლში ტრიალებს, პირი იბრუნა მნათობმა!
წუთისოფელო ტიალო,
რატომ არ იცი დანდობა?!

09.04.89
სოხუმი

9 აპრილი თბილისში

სულს კვლავ მიმღვრევს დემონების როკვა!..
        დაუკეცავს ფრთა მთაწმინდის ნიავს!
მტკვრის კვლავ ისმის შემზარავი ოხვრა
და ქუჩები სისხლის
მორევს მიაქვს!..
სვეტიცხოვლის ზარი მძიმედ რეკავს,
        ვინ დალუქა ეს ცის კარი ღია?!
ცრემლიანი იმზირება დეკა,
გულსაკლავად კვნესის ისევ ღვია!..
ჟამს კივილი დემონების ბზარავს
        და ქალები დაჩეხილი ყრია!..
ქალაქს ამსხვრევს ულმობელი ძალა
და ტანკების ვისმენ
მძიმე ღრიალს!..
მტკვარი ბორგავს და თავს კლდეებს ახლის,
        ქუჩებს ჟამის მოსდებია დელგმა!..
სამოთხის, ვინ დამილეწა ბაღი?
თუ აიშვა ისევ
თემურლენგმა?!
სულს კვლავ მიმღვრევს დემონების როკვა!..
        დაუკეცავს ფრთა მთაწმინდის ნიავს!
მტკვრის კვლავ ისმის შემზარავი ოხვრა
და ქუჩები სისხლის
მორევს მიაქვს!..

10.04.89
თბილისი

თბილისი ცხრა აპრილის შემდეგ!

მე თბილისი ვნახე დაშვებული ფრთებით!..
შეაშფოთებს მახველს
მგლოვიარე მთები!..

მე თბილისი ვნახე, მტკვართან ახლოს მივდექ...
ეს რა შავი ნისლი
დასწოლია მინდვრებს?!

მე თბილისი ვნახე ახლა სულ სხვა გზნებით!..
და არღვევდა ბოღმა
ჟამის ყველა ჯებირს!..

და ტკივილი შენი ვეღარ ავიტანე
და კიოდა სული
ბასრი, როგორც დანა!..

მშობელ დედის ოხვრას ვეღარ გავუძელი!
ბოღმით ღრღნიდა ლაგამს
სააკაძის ცხენი!..

მე თბილისი ვნახე, დიდხანს ვიდექ ცალად,
ეს რა შავი ნისლი
დასწოლია ქალაქს!..

14.04.89
თბილისი

კივის ყოველი წამი!

იყო დროშების გაშლა და მგზნებარება ჩანგის,
სისხლი აცხია ჯავშანს
მძიმედ მიმავალ ტანკის!..
სისხლი აცხია თქვენი – თამუნია და ეკა!
რეკავს ზარები დიდგორს!..
რეკავს ზარები კლდეკარს!..
და ეს კივილი მძაფრი შეხსნის ჭრილობას ყველას!..
დაწეწილია აფრა
და საუკუნე ღელავს!..
სული კვეთებას ითხოვს, კივის ყოველი წამი!..
რეკავს ზარები დიდგორს!..
რეკავს ზარები კრწანისს!..

15.04.89
თბილისი

დაეშვა ფარდა!

დიდხანს ვიდექი მდუმარე სახლთან, ჟამის დემონურს
ვისმენდი სისინს!..
მე აქ ცოცხალი ვარდები დამხვდა
და უცოდველი ლაქები სისხლის!..
ვუცქერდი უხმოდ გარინდულ ნაძვებს და მძიმე შიშით
შეპყრობილ კედლებს!..
როცა გაზებით წამლავდნენ ბავშვებს,
როცა ბარებით ჩეხავდნენ დედებს!..
მზე არიდებდა მიდამოს მზერას და ტანზე ღრუბლის
იცვამდა ძაძას!..
დავიწყებოდა სიცოცხლეს ფრენა
და დამსხვრეოდა ოცნებას ანძა!..
ზეცა გოდებით მოირღვა თითქოს და უფსკრულებში
ჩაინთქა სადღაც!..
ანგელოზების ვისმენდი ქვითინს
და შემზარავი დაეშვა ფარდა!..
დიდხანს ვიდექი მდუმარე სახლთან, ჟამის დემონურს
ვისმენდი სისინს!..
მე აქ ცოცხალი ვარდები დამხვდა
და უცოდველი ლაქები სისხლის!..

17.04.89
თბილისი

* * *

ჩემს ცას და მიწას უსულგულოდ ვერ მივატოვებ!
მინდა ვუცქირო ამ ლამაზ მთებს
და ვრცელ მინდორ-ველს!..
კიდევ ცოტა ხანს, შენი შუქი, მზეო მათოვე,
რადგან ის ქვეყნად ხვალინდელ დღის
რწმენას მიტოვებს!...
კიდევ ცოტა ხანს იხმაურონ ქარებმა ჩემში,
გული კვლავ ღელავს
და მე გრძნობას ვეღარ ვიოკებ!..
ისევ აცურდა ცის თავანზე ღრუბელი მრეში
და დელგმა ჟამის ვიცი
კვლავაც ამაწიოკებს!..
კიდევ ცოტა ხანს არ წამართვა უფლება ხილვის!
რადგან სიცოცხლის მოტრფიალემ
ჟამი ვიდროვე!
ბექობზე ისევ გაზაფხულის ხოხობი ყივის
და ეფინება აღტაცებით
ამ ჩემს მინდორ-ველს!..

21.04.89
სოხუმი

მაშშალიამ რად შეწყვიტა გალობა?!

თამარ ჯოველიძის ხსოვნას

სული გქონდა სუფთა თაფლის სანთელივით!
მიაშურე ანგელოზთა საუფლოს...
მამულისთვის
უმოწყალოდ გათელილო,
სილამაზეს შუბლი ვინღამ გაუპო?!
შენ ფერიას ჰგავდი ციდან ჩამოფრენილს,
ბრძოლის ველზე
მკერდი მოიღიავე!..
მიწა არა, ზეცაც გახდა სისხლისფერი,
სერაფიტი მოგიშუშებს იარას!
გაზაფხული გუშინ ვნახე შავი კაბით,
ვკითხულობდი
წუთისოფლის სიავეს!..
იქ რუსთველზე ახლაც მესმის ბრძოლის ხაფი,
სად იუდას სულმა
გადისრიალა!..
ჟამი კივის!.. ძარღვში სისხლი მეყინება!
მაფშალიამ რად
შეწყვიტა გალობა?!
მომავალი, თუკი რამედ ეღირება,
დაგიფასებს მაგ შენს
ამორძალობას!

24.04.89
თბილისი

ცხრა აპრილი

თქვენი უმანკო სისხლი ტკივილს მომირღვევს უჩვევს,
ორთქლად, რომ ასდის დღემდე
ქვაფენილებს და ბუჩქებს!..
იყო საათის ოთხი, ჟამი ჩამოდგა წარღვნის!
ისმოდა ზარის მოთქმა –
გამოღმითა და გაღმით!..
იყო კივილი, ჩეხვა და სულის ხუთვა შხამით!
გადიხმაურა მეხმა,
დარჩა სურათი შავი!..
მემატიანე ფურცლავს: „ქართლის ცხოვრების“ ფურცლებს,
ვხედავთ: შაჰ აბას, თემურს,
სისხლით მარადის უძღებთ!..
მაგრამ ეს სხვაა, სულ სხვა და მსხვერპლს უმანკოს ირჩევს!
ჩეხავს ბავშვებს და ქალებს,
მხოლოდ ორლესულ ნიჩბით!..
თქვენი უმანკო სისხლი ტკივილს მომირღვევს უჩვევს,
ორთქლად რომ ასდის დღემდე
ქვაფენილებს და ბუჩქებს!..

26.04.89
თბილისი

სევდიანი ქალაქი

წუხელ ბევრი ვეჩურჩულე ბალახებს
        და ჭადრების ხეივანში ვიარე,
როგორ თრთოდა სევდიანი ქალაქი
და ფოთლებში
ქვითინებდა ნიავი!..
მიქრის სული მარად მიუსაფარი,
        ჩაუქროლებს ვარსკვლავების საუფლოს...
მოვა წვიმა, ამ ბალახებს გალუმპავს,
სიოც მოვა, რომ
შენ გაგესაუბროს!..
შორს ხომალდის იალქნები ჭრიალებს
        და რტოები შელახული ქარისგან!..
ვერ ვიხილე მაგ თვალების სიალე,
ვერც ის თეთრი
ნაფეხური მთვარისა!..
წუხელ ბევრი ვეჩურჩულე ბალახებს
        და ჭადრების ხეივანში ვიარე,
როგორ თრთოდა სევდიანი ქალაქი
და ფოთლებში
ქვითინებდა ნიავი!..

02.05.89
თბილისი

დროშად გაჰყვებით მერმისს!..

სიკვდილს სიმღერით შეხვდით და გამარჯვების რწმენით!
სული სავსეა ოხვრით,
სივრცე სავსეა წყევლით!..
მზეს ამომავალს ვუმზერ და რა წამება ახლავს,
ცას ახატია გულზე
თქვენი თვალები ახლაც!
ისმის ჭიხვინი მერნის, სივრცეს ეძახის მზიანს,
დროშად გაჰყვებით მერმისს: –
თამარ, მანანა, მზია!
არაფერია ადრე, არაფერია გვიან!
თქვენი გმირობა ნაღდი
რჩება – ნოდარ და გია!
სიკვდილს სიმღერით შეხვდით და გამარჯვების რწმენით!
სული სავსეა ოხვრით,
სივრცე სავსეა წყევლით!..

08.05.89
თბილისი

დღეო, რა სევდა მოდენე?!

ცაო, რა ურჩად დამყურებ, დღეო, რა სევდა მოდენე?!
სულო, ვერ იგაზათხულე,
არ აგიყვავდა ტოტები!

ხომალდო, საით მიქრიხარ, ხომ არ გაურბი გრიგალებს?!
ვერ ჩავსწვდი, დღეო, ფიქრებით,
მაგ შენს სიღრმეს და სიგანეს!..

წყაროვ, სად ჩაედინები, რომელ ვიწროებს მიაგენ?
ქება ვერ ვუთხარ, ვინც მიყვარს,
რაც მსურდა, ვეღარ მივაგე!..

პირი შეხსნია ჭრილობას, საცაა, სისხლიც იფეთქებს!..
ანძა ხომალდის ჭრიალებს
და ითხოვს სულის სიმედგრეს!..

ცაო, რა ურჩად დამყურებ, დღეო, რა სევდა მოდენე?!
სულო, ვერ იგაზათხულე,
არ აგიყვავდა ტოტები!

02.06.89
სოხუმი

ისევ ტკივილით ავენთე!..

გზა ვეღარ მომიხავერდა ამ გაზაფხულმა ღიმილით,
ისევ ტკივილით ავენთე
და მზარავს ქარის კივილი!..

მკლავი მეღლება ნაომარს და ახლა მუხლიც მღალატობს!
მოვდივარ უმუზარადოდ,
რას მემუქრები, ჯალათო?!

ვდგები მამულის კარებთან, სადაც კლდე მოჩანს ფრიალო,
მიჯირს ტკივილის ტარება
და მამღვრევს ჟამი ტიალი!..

ცხრა ძმა დაეცა მარაბდას, რომ მოდგა მტერი კარიბჭეს
და ცხრა თეთრონი სივრცეში
შმაგი ჭენებით გაიჭრა!..

გზა ვეღარ მომიხავერდა ამ გაზაფხულმა ღიმილით,
ისევ ტკივილით ავენთე
და მზარავს ქარის კივილი!..

06.06.89
სოხუმი

ნუ წამართმევ!

სივრცე ღელვით აივსება მალე და შეარხევს
უჩვეულო სიმებს!..
ჩემი ზეცა, ღმერთო, დაიფარე,
ნუ წამართმევ უკანასკნელ იმედს!
შემოდგომა გადმოდგება მთაზე, შენი ლანდი
შეჩერდება ხიდთან!
მეგობარო, მომაწოდე თასი,
სიყვარული ვადღეგრძელო მინდა!
ღვინო ალბათ გამინელებს სევდას და ნიავი
მომეხვევა დილის,
მე შენი ხმა სულს ამიმღვრევს, დედა!
ცრემლნარევი და საოცრად თბილი!
მე ჩავუვლი იმ სანახებს გრძნეულს, სად ბავშვობა
უზრუნველად რბოდა,
სულს რა ვუყო ტკივილებით ძლეულს
და საფლავის ამ ხავსიან ლოდებს?!
სივრცე ღელვით აივსება მალე და შეარხევს
უჩვეულო სიმებს!..
ჩემი ზეცა, ღმერთო, დაიფარე,
ნუ წამართმევ უკანასკნელ იმედს!

11.06.89
სოხუმი

* * *

ვხედავ, რომ ძალზე უჭირს სხეულს –
ჟამის ამ მხევალს!
სული გაუძლებს ჭიდილს,
გულმა თუ შესძლო რხევა!
ბილიკზე მარტოდ მავალს,
კვლავ ჩამომხედა მზემან!..
ისევ მომძახის მამა, ქარმა დაჰქროლა ზენამ!..
განვლილს ვერ ჩავთვლი უქმად,
ჩანგმა თუ იგრძნო თრთოლვა!
თავისუფლების შუქმა
ისევ თუ მომათოვა!..

12.06.89
სოხუმი

რეკავს ზარი

მზე ჩადის და ვეფერები დაისს,
არხევს სივრცე მოწითალო ჩქერებს...
საყვარელო, შენ მიდიხარ, – საით?
ან რომელ გზით
დაბრუნდები მერე?!
რეკავს ზარი და სიმშვიდეს მართმევს
და ირეკლავს კლდე მაღალი ექოს!..
პირზე მომდგარს ვერ დავმალავ სათქმელს,
თუგინდ ჟამმა
უჩვეულოდ რეკოს!..
ო, საწუთროვ! რა ულმობლად მთელე
და რამდენჯერ დამაყარე წყლული!..
მაგრამ სოფლის მახარებდა რთველი
და მირხევდა
სიოს გაზაფხული!..
შენი თმებით დაბურული ვთრთოდი,
ო, ძვირფასო, ტირიფებთან ახლოს!..
მერე კლდიდან გადმოქანდა ლოდი
და კივილით
ჩაუქროლა მაღლობს!..
მზე ჩადის და ვეფერები დაისს,
არხევს სივრცე მოწითალო ჩქერებს...
საყვარელო, შენ მიდიხარ, – საით?
ან რომელ გზით
დაბრუნდები მერე?!

13.06.89
სოხუმი

წლებმა მოიტანეს...

წლებმა მოიტანეს, როგორც ქარტეხილი,
სული ტკივილით და
ღელვით ანანთები!...
მახსოვს, მდინარეზე ხიდი ჩატეხილი,
ხიდთან დედაბრების
წყევლა-ანათემა!..
მახსოვს ბალახები სისხლით დატბორილი,
მკვლელნი მხეცებივით
ჯაგარაშლილები!..
მახსოვს ციხეები ლიბომორღვეული,
გზაზე მიმავალი
უცხო ახრდილები!..
მახსოვს, სიყვარული ფეხქვეშ გათელილი,
თვალნი ანგელოზთა
ცრემლებმორეული!..
მახსოვს, ის დღეები ბოღმით დატენილი,
მახსოვს, ის დღეები, –
უკვე შორეული!..

14.06.89
ბანძა

ჟამის მდინარე ბორგავს!

ცრემლით სავსე გაქვს უბე, სისხლი აწყდება ვენას,
ცას ელვა გადაურბენს
                და ქარიც დაუბერავს!..
ჟამის მდინარე ბორგავს, ისვრის ზვირთების წყებას,
ვხსნი გორდიასის გორგალს,
ვერ დამაჩოქეს წლებმა!
იმედის შუქით ვთბები, რწმენა ვერ დამირბიეს,
ისევ ვეხლები ფრთებით
                სივრცეს საშინლად მღვრიეს!..
იმ წლების გარდასულის, მოგონებაც კი მიმძიმს!
ვერსად ვპოულობ, სულო,
შენი თვალების ციმციმს!..

24.06.89
სოხუმი

მოვწყლები ჭიუხებს

წყლულებზე დავიფენ ბალახებს, ოდითგან ერთგული
მოყმე ვარ!..
მე ყველგან შენი ცა მალაღებს,
მე ყველგან შენი მზე მომყვება!..
და სადმე თუ ბედმა მიმუხთლა, დე სისხლმა
ლანქერად იდინოს!..
ორბივით მოვწყდები ჭიუხებს,
რომ თეთრმა ღრუბლებმა მიტირონ!..

25.06.89
სოხუმი

როცა ზღვა ღელავს!

ო, რა ულმობლად დამარბია ცხოვრების ტალღამ!
მინდოდა, მაგრამ ვერ გავედი,
ძმობილო, გაღმა!
სული ვერ უძლებს დაუნდობელ დაცინვას ბედის!
ცა იძირება რუხ ნისლებში
და მიჯირს ხედვა!
ვინ შესძლებს სულის შეჩერებას, როცა ზღვა ღელავს!..
გზა უდაბური მეჩვენება, –
არ არის შველა!
მზე შემოდგომის გაფერმკვრთალდა და შუქს
ღვრის ფუჭად,
რა შემზარავი დაეშვა ფარდა,
ძვირფასო უჩა!

26.06.89
სოხუმი

ნუ მახსენებ!

ნუ მახსენებ, მე იმ ღამეს და ტანკების ღრიალს!..
ეს ჭრილობა საუკუნეს
შემორჩება ღიად!..
ნუ მახსენებ, გვიან ღამით იმ გასროლილ ტყვიას!
ნუ მახსენებ, ნუ მახსენებ,
მე იმ ორომტრიალს!..
ნუ მახსენებ, ქვაფენილზე დაღვრილ სისხლის ნაკადს!..
ან დაჭრილი სული,
როგორ აწყდებოდა საკანს!...
როგორ ეგდო სილამაზე ბარით დაჩეხილი
და მერე კი რუსთაველზე
სისხლს რეცხავდნენ დილით!
ნუ მაჩვენებ, მეგობარო, იმ გოდების კედელს!
იმ ჯალათებს გულუბრყვილოდ,
ასე როგორ ვენდეთ?!
ნუ მახსენებ, იმ სიმღერას კლდეს რომ ცრემლებს ადენს!..
ნუ მახსენებ, მე იმ ღამის
ო, სისხლიან ლანდებს!..
ნუ მახსენებ, ცხრა აპრილის ამ შემზარავ დილას,
მასთან ყველა ჯოჯოხეთი
მოჩანს ფერმკრთალ ჩრდილად!..
ნუ მახსენებ, მეგობარო, მე იმ ღამის მოტივს!
ნუ მახსენებ, ბებერ მუხას,
როგორ მოსწყდა ტოტი!..

ნუ მახსენებ, ნუ მახსენებ, იმ ნაწამებ თვალებს
და ქარაფზე შეშლილი რომ
გადაქანდა მთვარე...
ნუ მახსენებ, მე იმ ღამეს და ტანკების ღრიალს!..
ეს ჭრილობა საუკუნეს
შემორჩება ღიად!..

27.06.89
თბილისი

წინ წყალი!.. უკან მეწყერი!..

ასე რამ გაგათავხედა, რამ აგიმღვრია გზა–კვალი?!
რომ მოგსდევს დედამშობელი
ცრემლისღვრითა და კანკალით!..
სამშობლო – დედის ძუძუი რა უნამუსოდ გაყიდე!
მოგყვება წყევლა ძუნძულით,
სადაც არ უნდა წახვიდე!..
მოგცეს ეკრანი სალაყბოდ მოღალატე და შერცხვენილს!
სხვა რაღა გელაპარაკო
წინ წყალი!... უკან მეწყერი!..

08.07.89
სოხუმი

იმედი

მე ვხედავ თვალებს ტკივილით სავსეს,
მე ვხედავ გულებს
უსაზღვროდ დაჭრილს!
მივდივარ ღელვით შორეულ გზაზე,
ვეჩურჩულები შენს
ლამაზ აჩრდილს!..
ბოღმით სისხლიან ნაკვალევს დავცქერ
და მაინც წუთით
არ ვკარგავ რწმენას!..
როგორ იქნება ტკივილი დაცხრეს,
როდესაც ისმენ
საშინელ წყევლას?!
იქნებ წაირღვნას ხმელეთი ცოდვით
და ოკეანე სიცოცხლის
დაშრეს!
მომავალს მაინც იმედით ველი
და სული ისევ
დაეძებს საშველს!..
მე იმ დღეების კივილი მზარავს
და ზარებს ისევ
არისხებს მნათე!..
გული ბოლომდე გაუძლებს ვარამს,
როდესაც ხედავს
სიშორის ნათელს!..

მე ვხედავ თვალებს ტკივილით სავსეს,
მე ვხედავ გულებს
უსაზღვროდ დაჭრილს!
მივდივარ ღელვით შორეულ გზაზე,
ვეჩურჩულები შენს
ლამაზ აჩრდილს...

27.07.89
სოხუმი

ქამის ბორბალი

უკუღმა ქამის ბორბალი, ასე ვინ დაატრიალა?
წყლულები ვეღარ მოვბანე
დაჭრილ გულს, ოხერ–ტიალი!

როგორ აიტანს, არ ვიცი, ამდენ რბევას და მისევას?
რტო რწმენის მაინც ყვავილობს
და ელის გამაისებას!..

ის მუდამ სივრცეს მიელტვის არ რჩება სევდის ამარა!
არ დაეცემა მუხლებზე,
არც ეძებს სადმე სამალავს!

გადიკივილებს მთა–გორებს და ხედავს სულ სხვა ზმანებას,
ბაზალეთიც და შამქორიც
სულს აგრძნობინეს ზარებმა!..

უკუღმა ქამის ბორბალი, ასე ვინ დაატრიალა?
წყლულები ვეღარ მოვბანე
დაჭრილ გულს, ოხერ–ტიალი!

31.07.89
ბანძა

რაა ცხოვრება?!

საიდან გავჩნდით ამ მიწაზე, ვინ მოგვიყვანა?
რატომ ბობოქრობს ასე უღვთოდ
წუთისოფელი?
რაა ცხოვრება? – მხოლოდ „ყანა გაუმარგლავი“!
და შემზარავად კვლავ
ხარხარებს მეფისტოფელი!..
ყოველ ნაბიჯზე ბოროტების ვხედავ ნაკვალევს,
მიწას აყრია ფორეჯებად
სისხლის ლაქები!..
ო, ნუთუ ისევ მოვარდება ურჩი ლანქერი
და ბედისწერა უფსკრულებში
გადაგვაქანებს?!...

01.08.89
სოხუმი

შეათამაშე ცისფერი ტალღა

ვისაც ამ გზაზე წამება ერგო, რომელიც მაღალ
ტაძრისკენ მიდის,
მას უკვდავების
მისწვდება ექო
და ჟამის ვერას
დააკლებს ზვირთი!
მამულის დროშა ავწიოთ მაღლა, რომ საოცარი
ფერებით ენთოს!..
შეათამაშე ცისფერი ტალღა,
თავისუფლება გვაჩუქე, ღმერთო!
აურაცხელი ტკივილის ფასად, თუ ერთი სხივიც
შემოვა სულში,
ის ჩემს ცხოვრებას
შეუცვლის ფასადს,
როგორც მიდამოს ყვავილი ნუშის!..
წყლულს მომიშუშებს სიალე ზეცის და სულის სიმებს
შეარხევს ხემი!..
საგაზაფხულო
ჟღურტულით მერცხლის,
ღმერთო, გამითბე მამული ჩემი!..

05.08.89
თბილისი

თქვენს ვაჟკაცობას დიდება!

თქვენ, ძვირფასებო, არასდროს არ მოგაკლდებათ დიდება
და თქვენი სული მარადის
ცაში მზეს გაეკიდება...
ოდითგან ასე მოგვდგამდა და დარჩით ფიც-ვერცხლ ნაჭამი!
შიშველ მკლავებით ეკვეთეთ,
რომ მოდგა მტერი აჯამი!..
ღელვამ აიკლო მიდამო, არსით არ იყო ნუგეში
და სხეულები ნაჩეხი
ეყარა სისხლის გუბეში!..
თექვსმეტი გმირი ესვენა ბრძოლებით ღამენათევი!
თქვენს ვაჟკაცობას დიდება
და სულებს მარად ნათელი!..
დავითს და თამარს მიუხვალთ მოქანცულები ვედრებით,
უჩვენეთ ტანჯულ დედოფალს
სისხლით ნაპოხი მკერდები!..
თქვენი სიმღერა გუგუნით კარებს შეაღებს სამოთხის,
ციდან იმედის ნათელი
თქვენი სახელით ჩამოდის!..
თქვენ, ძვირფასებო, არასდროს არ მოგაკლდებათ დიდება
და თქვენი სული მარადის
ცაში მზეს გაეკიდება!..

12.08.89
სოხუმი

ჩამოუყრიათ ფრთები არწივებს

ჩამოუყრიათ ფრთები არწივებს და ქანაობენ
ზღვაზე ანძები,
მაგ ტკივილს, სულო,
მეც ვინაწილებ
და ზედ ვაწყდები დუმილს ნაძვების!..
ო, მოვა ალბათ სხვა სიყმაწვილე და სხვა ქარები
ჩამოიქროლებს,
ჩამოუყრიათ ფრთები არწივებს
და ეხეთქება სევდა სტრიქონებს!..
ხეტიალობენ ღამის ლანდები, იმსხვრევა მთვარის
შუქი ზოლებად,
ისევ სიჩუმე ოლეანდრების
და დუმს ზღვის
ლურჯი უსაზღვროება!..

31.08.89
სოხუმი

რეკავს წამები!..

ზღვა არხევს ჩემი ფიქრის იალქანს და რა ულმობლად
რეკავს წამები!..
მე იგი ვნახე, რაც არ მენახა!
როგორ გაუძლო სულმა წამებას?!
მე იგი ვნახე, რაც არ მენახა! მან ყველა ჩემი
ხილვა დაჩრდილა!
ის მიდიოდა, კაცი კი არა,
მიაბიჯებდა სადღაც აჩრდილი!..
ზღვა გუგუნებდა შემოღამების, გზას ვერ დაუსვა
მაინც წერტილი!
ცა ბარბაცებდა შუქით ღარიბი
და მზე კიოდა სხივდაწყვეტილი!..

14.09.89
სოხუმი

მგლოვიარე ზარები

რატომ რეკავ, მამულო, ზარებს სამგლოვიაროს?!
იზნიქება თავანი
კვამლის შავი ბოლქვებით!..
სისხლიანი პერანგით
სანამ უნდა ვიაროთ,
სანამ უნდა გაუძლოს
გულმა აბობოქრებას?!
აღუმართავთ ანძები დღეებს უსიხარულოდ,
ასე ღელვა-კივილით
სანამ უნდა ეწამოს?!
გავცქერ სივრცეს ამღვრეულს, არის
ზვირთთა მარულა,
ყველგან ვხედავ მარაბდას,
ყველგან ვხედავ წიწამურს!..
მოჩანს სიმაღლეები მარად თავბრუდამხვევი,
მანფრედივით ღამეში
მარტო დავეხეტები!..
სულის თეთრი სანთელი დარდით გამინახევრდა
და უსაზღვრო ტკივილით
სიშორეებს ვედები!..
ის ვარსკვლავი იმედის სადღაც გაუჩინარდა,
ღელვამ გადააჭარბა
თითქმის ყველა მოლოდინს!..
ვნახე ბრძოლით დაღლილი შენი
სული გმინავდა
და ხაროდან დემონი

ხარხარებდა ბოროტი!..
მოქრის თეთრი მხედარი მზერა დაუნდობელი
და საცაა, გაარღვევს
ჟამის უიმედობას!..
იმედებით მომავლის მაინც ცხოვრობს
სოფელი,
ვინც ბრძოლაში დაეცა,
იმ ვაჟკაცებს დიდება!

რატომ რეკავ, მამულო, ზარებს სამგლოვიაროს?!
იზნიქება თავანი
კვამლის შავი ბოლქვებით!..
სისხლიანი პერანგით სანამ უნდა ვიაროთ,
სანამ უნდა გაუძლოს
გულმა აბობოქრებას?!

22.09.89
სოხუმი

დალეწილია ზეცა მთლიანად!

ვინ გაგიმეტა და ვინ დაგწყევლა, ო, ასე ღირსი
თაყვანისცემის?
როგორ მაწამებს შენი დაცემა და
კივის ყველა ჭრილობა ჩემი!..
დალეწილია ზეცა მთლიანად!.. გულმა ვით ზიდოს
ეს სიმძიმილი?
ჟამის გრიგალმა გადაიარა და
ვარსკვლავების ჩაქრა ღიმილი!
შენ უთვალავი წელი იქროლე, გამოექეცი ყველა
ლაბირინთს!..
მე სულის ღელვა ვანდე სტრიქონებს
და ვნახე შენი ყველა ნაპირი!..
ვინ გაგიმეტა და ვინ დაგწყევლა, ო, ასე ღირსი
თაყვანისცემის?
როგორ მაწამებს შენი დაცემა
და კივის ყველა ჭრილობა ჩემი!..

23.09.89
სოხუმი

გული ბოღმით მევსება!

შენმა კალთამ მარწია, ჩუმად მოგეფერები,
სადღაც ყივის არწივი,
თვალზე ცრემლი მერევა!..

შენს სულს ვეალერსები, მაგ თვალების ვიწამე!
გული ბოღმით მევსება,
როცა ვხედავ წიწამურს!..

ჩემი ყველა ჭრილობა შენთან დავაკავშირე!
შორს გუგუნებს გრიგალი
და საოცრად მაშინებს!..

28.09.89
სოხუმი

გავჭერ ჩემი ბილიკი

რა შორს დარჩა ის გზები გაზაფხულით ნაქარგი,
გაიფანტა ის გზნება,
ბევრი რამე დავკარგე!
თუ ხანდახან იმ დღეთა ცეცხლი შემომეგზნება!
შენს ლაჟვარდებს ვუმღერი,
მე ხომ შენი მეზვრე ვარ!
ბევრი ვთელე ამ ქვეყნად გზები იდუმალების,
ყველგან მსდევდა ფარულად
სევდა შენი თვალების!..
ვერ იქნა და სავალი ვეღარ გავიადვილე,
წუთისოფლის ტრიალმა
ცრემლი ბევრი მადინა!..
გავჭერ ჩემი ბილიკი მთების გადასახედზე,
სადღაც რეკავს ზარები
და ქარი მცემს სახეზე!..

04.10.89
სოხუმი

როგორ გაცივდა შენი სამარე?!

ეკლიან გზებზე იხეტიალე, ეომე ბედის
უკულმართობას!..
თვალს მიეფარა ჟამი ტიალი,
ყველაფრისათვის, მამავ, მადლობა!
ეგ შენი გული როგორ გაცივდა, ასე ნაღდი და
ასე მხურვალე?!
შენი ოცნება დგება ნაცრიდან
და შერჩა ფრთების გაშლის უნარი!..
შენს ცხედარს შავი ლოდი ახურავს და დუმს ეული
შენი სამარე!..
ჩუმად ჩურჩულებს იქვე სამყურა
და აყურადებს ზეცის ტრამალებს...
ამოუხსნელი რჩება მარადის, სად გაჰყვა სული,
რომელ სიშორეს?
მე შემრჩა ხელში შენი ბარათი
და თვალებიდან ცრემლს ვერ ვიშორებ!..
ეკლიან გზებზე იხეტიალე, ეომე ბედის
უკულმართობას!..
თვალს მიეფარა ჟამი ტიალი,
ყველაფრისათვის, მამავ, მადლობა!..

10.10.89
ბანძა

რა ცოტა ხანს ენთო!

უკანასკნელ გზაზე გაგაცილე გუშინ
და შემოვრჩი, ბიჭო,
ყრმობის ბილიკს მარტო!..
თან წაიღე დარდი, რაც კი გქონდა გულში,
სულის ღელვა ჩემი
ახლა ვიღას ვანდო?!
მე ნაპირზე ვდგავარ, ზღვა კი ისევ ღელავს
და ფოთოლი ხეებს
ცვივა შემოდგომის...
ჰა, საცაა ზამთრის ქარიც დაუბერავს,
ზღვა კი ისევ ღელავს,
აქვს ნაპირთან ომი!..
ღრუბლებს ვესიტყვები ცაზე თრთოლვით მავალს,
რა ცოტა ხანს ენთო
შენი სულის სხივი?!
შემოდგომის ბალახს ჩუმი ცრემლით ვნამავ
და შორიდან ქარის
ვისმენ უკვე კივილს!..

15.10.89
სოხუმი

წეწავს დღეების აფრებს!..

საცაა, სივრცეს გახევს, აშლის უდაბნოს ქვიშის,
სანამდის იცახცახებ,
ო, ამ ქარიშხლის შიშით?!
მე ვხედავ ხეებს შიშველს და მგლოვიარე მხარეს,
ვერ იკლავს წყურვილს, შიმშილს
და ძლივსღა ახელს თვალებს!
ისევ ღრუბლების ტბორი და ელვა სხეპავს კედარს
და ცა იმსხვრევა ბროლის,
არ გეშინია, დედა?!
გზა უდაბური მოჩანს და მზის ნათელი ქრება,
წეწავს დღეების აფრებს
ზამთრის ქარების წყება!..

18.10.89
ბანძა

სივრცე ისევ შეარხია თოვლმა

შენი სულის სილაჟვარდის თრთოლვა
გაურბოდა შემოდგომის ქარებს!..
სივრცე ისევ შეარხია თოვლმა
და ავდარი აბობოქრდა გარეთ!..
მაგრამ აღარ დაგცდენია კვნესა,
ჰგავდი ციდან ჩამორხეულ ცდომილს!..
მოგონება ცრემლით გავსებს დღესაც
და ბედთან გაქვს
ულმობელი ომი!..
სივრცე თრთოდა ფანტელების ხმაზე,
ანგელოზი გეძახოდა გზნებით!..
ჟამი იდგა ტკივილებით სავსე
და ზვირთები აწყდებოდა ჯაებირს!..
შენი სულის სილაჟვარდის თრთოლვა
გაურბოდა შემოდგომის ქარებს!..
სივრცე ისევ შეარხია თოვლმა
და ავდარი აბობოქრდა გარეთ!..

14.11.89
სოხუმი

ამაყად ვდგავარ!

ვით სპარტანელი ფარს დაყრდნობილი,
ამაყად ვდგავარ!
ლორდ ბაირონი

ცხოვრება ისევ მიიზვირთება და ვხედავ თქმამ რომ
აჯობა ართქმას!
მე სამოცდაათს მივეზიდები
და ულმობელი ვიგრძენი დარტყმა!..
მოარღვევს სივრცეს ფრთებით ზამთარი, მაგრამ სატკივარს
გაუძლო უნდა!
დაუძლეველი მე მაქვს სამთავრო,
დამფარფატებენ ფიფქები გუნდად...
ბევრი ვეომე სიურჩეს ყამის და ბობოქრობდა
უდაბნო ქვიშის!..
მე მქონდა ყველა ჭრილობა ღია
და ბევრჯერ მითხრა დემონმა ქიშ!..
ზღვა კვლავ ბიბლიურ ფრთებს შლის ორბივით
და დღემდე ვხედავ არ წყდება დავა!..
ვით სპარტანელი ფარსდაყრდნობილი,
ამაყად ვდგავარ!..

02.12.89
სოხუმი

ორი ქარიშხალი ბღავის

ცამდე ადის ღელვა ღამის, მთები თოვლით მოვერცხლილა,
ორი ქარიშხალი ბღავის,
            როგორც ქარიბდა და სცილა!..
გადამწყვეტი დგება წამი და შესცვალა თოვლმა წვიმა,
სულს რა ვუყო განაწამებს,
უჩვეულო ღელვა მიმაქვს!..
ნაპირს ზვირთი ეხეთქება, ვხედავ ფიფქთა კორიანტელს,
ზღვაზე ყველა შუქი ქრება
და ცრემლი სდით ოლეანდრებს!..

12.12.89
სოხუმი

სულო, მომავალს აუწყე!..

ცა ბევრჯერ გაიბოლება, ბევრჯერ ჩაქრება ნათელიც
შენ არ იღლები ბრძოლებით,
                  რომ ხედავ მამულს გათელილს!..
მოჩანს პირქუში მწვერვალი და უფსკრულების სიშორე,
შენი თვალები ელვარებს,
როცა ტკივილებს იშორებ!..
შენმა ხომალდმა გაუძლო რამდენ ღელვას და კვეთებას,
სულო, მომავალს აუწყე,
როგორ მოიგე შეტევა!..

07.02.90
სოხუმი

ძელქვა

მერქანს დახეთქილს ქარით და წვიმით,
მზეს უშვერს ისევ
ძელქვა ბებერი!..
მიფრინავს მაღლა დაღლილი წერო,
მიარღვევს სივრცეს
ნისლით შეფერილს!..
ათასი წელი იდავე ჟამთან, არ გაიკარე
შიში დაცემის!
ათასი წელი
უტევდი ავდარს,
ათასი წელი მიბარბაცებდი!..
კვლავ ფეთქავს შენში სული უდრეკი!
გააპე სივრცე
ღელვით, წამებით!..
ათას ქარიშხალს გადაუდექი
და მოდის ჟამი ფერიცვალების!..

14.023.80
ბანძა

მთვარე მიყურებს

კვლავ ძველ ქუჩებში დავდივარ მარტო
დავეხეტები, როგორც ყარიბი!
მე ამ ტკივილებს
არავის ვანდობ,
თუმც ფიქრი მუდამ შენსკენ გამირბის...
ეს გული ჟამით
ბევრჯერ აზავთდა
და ბევრჯერ ღელვით კარიც მიეხურე,
შენ ეფერები
ამ სულს ნაზამთრალს
და გაზაფხულის
მთვარე მიყურებს!

09.03.90
სოხუმი

მტკივა ნაიარევი

ტანში ჟრჟოლა დამივლის ქარს რომ
მოაქვს ღრუბელი!
თქვენ გატეხეთ ყამირი
გზაზე თავისუფლების!..
ხელს ვერ გახლებთ სიკვდილი, გზა
წამების გალიეთ!..
მე იმ ღამეს მივტირი
და იმ ცის დასალიერს!..
სული ეძებს მეგობარს, მზე
ამოსვლას აპირებს!
და დათოვლილ ბექობზე
სხივი ფეთქავს აპრილის!..
თქვენ სიკვდილით სიკვდილზე მეცხრე
ცამდე ამაღლდით,
მივსდევ ფერმკრთალ ხეივანს,
გავცქერ სივრცეს გადაღლილს!...

ზარი რეკავს სიმედგრის, მტკივა ნაიარევი!
მაინც ვცოცხლობ იმედით
და მომავლის დარებით!..

30.03.90
თბილისი

ისევ რეკავენ ზარები!..

ღელვა აწყდება კალაპოტს, ზვირთი
ნაპირზე გადმოდის,
საცაა ჯებირს გაარღვევს,
რას უცდი, ძმაო, გამოდი!
ვერავინ გვეტყვის სამდურავს, გზა თუ
ვერ გავიადვილეთ,
ჩაგვიქრეს ყველა ნათურა
და სისხლიც ბევრი გვადინეს!
კვლავ ველოდებით განთიადს, რწმენის კვლავ
უკრავს აკორდი!..
ისევ რეკავენ ზარები
და გულს გვიმრთელებს დაკოდილს!

14.04.90
სოხუმი

ხომალდის დაბრუნება

მოდის დაღლილი ხომალდი მღვრიე
ზვირთებთან კვეთებით,
მოდის დაღლილი ხომალდი
და როგორ მეიმედება!..
ცამ მოიშორა ღრუბლები, კვლავ ღელავს
ზღვა და ნაპირი,
მოდის დაღლილი ხომალდი
და მზე ზეიმობს აპრილის!..
მოდის დაღლილი ხომალდი და გზა
განვლილი მაოცებს!
ინთება სივრცე ფერადი,
დედაო ღვთისავ, დალოცე!..

18.04.90
სოხუმი

ო, ერთხელ კიდევ მანახა!

გიყვარდა ლურჯი ბალახი და ბილიკები ცვრიანი,
ო, ერთხელ კიდევ მანახა
შენი თვალების ციალი!

ვერ იქნა, ვეღარ ვივიწყებ იმ ლამაზ
                                    დღეთა სიალეს!
სივრცე ვერ გადამილახავს,
გზებზე ქარები რიალებს!..

დაუნდობელი რამ არის ტკივილი გაუდინარი!
ვით ქარიშხალი ტრამალის,
როგორც ლანქერი მდინარის!..

04.06.90
სოხუმი

პირიმზე

პირი უტირის პირიმზეს, ვიცი, რომ ვეღარ მოხვალ!
მარტო მივდივარ ბილიკზე და
გული მწარედ ოხრავს!..
ჟამი წამების მოსულა და მე არ ვიცი რა ვქნა?
ის შუქი ცით გადმოსული,
ო, რა უეცრად ჩაქრა?!
დღე კარგავს სიდარბაისლეს და ცრემლიანი ვდგავარ!..
სულმა ტკივილი აისხა,
პირს ვერ გამიხსნის დანა!..

09.06.90
სოხუმი

გამარჯვებული ბრუნდება

მას მზე უცინის თვალებში, ხედავ, ღიმილი უხდება!
გამარჯვებული მოიწევს,
                    გამარჯვებული ბრუნდება!..
არ გაიმეტა გამჩენმა, დასძლია უიმედობა,
მაინც არავის ენდობა,
მაინც არავინ ინდომა!
ისმის აფრების ტკაცუნი, ჟამის მოიხსნა ხუნდები!
გამარჯვებული მოიწევს,
გამარჯვებული ბრუნდება!..

20.06.90
სოხუმი

ისევ ფრთებს შლის არწივი

შეაჩერებ განა მას, თუკი ერთხელ აიშვა?
ახლა მარტო არა ვარ,
უხმოდ ვფანტავ კაეშანს!..
სადღაც ქარი ფრთამძვრიე სივრცეს აფორიაქებს,
ისევ ფრთებს შლის არწივი,
ჟამს უდაბურს მიარღვევს!..

ავი სული სისინებს, როგორც ჟამის ზმანება,
მაგრამ მახვილს მოყმისას
ვერსად დაემალება!

16.07.90
სოხუმი

რა უნდა გექნა მეტი?!

შენ ევრაზიის საზღვარზე, შლიდი საომარ ბანაკებს!..
როცა ურჯულო მოზღვავდა
და ვერ სუნთქავდა ბალახიც!..

ებრძოდი ველურ ურდოებს: თემურლენგსა და სულთანს, –
შენი დანგრევა უნდოდათ,
შენი გადაწვა სურდათ!..

დაჭრილ ვეფხვივით გახელდი, უტევდი ბედის ტრიალს!..
და შიშით აცახცახებდი,
რომსა და ბიზანტიას!..

რეკავდა მკერდი ფოლადის, განვლე უდაბნო ქვიშის,
უმკლავდებოდი ბოლომდე
მომხდურს სხვადასხვა ჯიშის!..

ჰგავდი უებრო მეომარს, გეცვა პერანგი ჯაჭვის!
სუნთქვა გიჭირდა დაჭრილს,
მაინც არ თმობდი მეობას!

და მოატანე აქამდე, რა უნდა გექნა მეტი?!
მაგ უქარქაშო ხმლებით და
ურიცხვი პერგამენტით!..

24.07.90
სოხუმი

ნაკვალევი სოფლად რჩება

სხეულს ხრწნას ვერ გადაარჩენ, სულს – გაფრენას ცისკენ...
ნაკვალევი სოფლად რჩება
და ფერები ცისკრის!..
ანგელოზის თვალთა კრთობამ ცისფერი რომ ახლავს,
ო, რა ნაზად მომათოვა,
კვლავ მომინდა ნახვა!
გამოუცნობ დღეთა ფერებს მხოლოდ სული იწოვს,
ერთხელ კიდევ მომეფერე,
რომ საწუთრო ვიგრძნო!..
ეხეთქება სულის სპირალს ჟამი ულმობელი,
მე მდინარის ვდგავარ პირას,
ცაა მღვრიე ფერის!
სხეულს ხრწნას ვერ გადაარჩენ, სულს – გაფრენას ცისკენ...
ნაკვალევი სოფლად რჩება
და ფერები ცისკრის!..

02.08.90
ბანძა

* * *

შეეჩვია სული ჟამთან ჭიდილს და რომელი
გაიმარჯვებს ნეტავ?
შეღამების ქარი არხევს ჭადარს
და ჭადართან მეჩვენება დედა!..
მე მაქვს ახლა ქარიშხალთან დავა და ერთმანეთს
ვეხეთქებით ფრთებით!..
აბობოქრდა ჩემი სულის ლავა
საუკუნის ღელვით ანანთები!..
სისხლს ყორანი შეხვრეპს ველზე დაღვრილს, მაგრამ სულის
ზარები ხომ რეკავს?!
სხეულს მიწა მიიბარებს დაღლილს,
ამ დაკოჟრილ და დახეთქილ მერქანს!
შეეჩვია სული ჟამთან ჭიდილს და რომელი
გაიმარჯვებს ნეტავ?!
შეღამების ქარი არხევს ჭადარს
და ჭადართან მეჩვენება დედა!..

05.08.90
სოხუმი

ქარი არხევს ფარდას

ცისკიდურზე ენთო ლურჯი შუქი მთვარის,
დავდიოდით ერთ დროს
სიყვარულით მთვრალი!
ნიავს მიმოჰქონდა ვარდის სუნთქვა მხოლოდ
და სიმების წკრიალს
არ უჩანდა ბოლო!..
მახსოვს, უცაბედად, თითქმის უმიზეზოდ,
აგვიკივლა ჟამმა
ჩვენი კუთხე-ეზო!
და გადაწვა ქარში ტოტი შუქით სავსე,
ახლა, ვიღაც ბავშვი
მღერის სულ სხვა ხმაზე!..
ფოთლებს შემოდგომის ჟამი მინდვრად ფანტავს
და ნისლიან ზღვაზე
ქარი არხევს ფარდას...

09.08.90
სოხუმი

მოქრის შავი მხედარი

ჰა, საცაა, სიბერე კარზე მომიკაკუნებს,
მე სარკმელთან ვდგავარ და
სივრცეს ღელვით გავყურებ!..
დღეები კი გარბიან უკან მოუხედავად,
წუთისოფლის ტრამალზე
მოქრის შავი მხედარი...
ვიცი, ბრძოლა მომიწევს, ბრძოლა გარდაუვალი,
სივრცეს ფერიცვალების
ველარ გადავუარე!
მზე თანდათან ეშვება, ქრება ყრმობის ზღაპარი,
მე კი ვრჩები ტკივილთან
ისევ მიუსაფარი!..
შენზე ფიქრში, ძვირფასო, ღამე ბევრჯერ ვათიე,
სარკმელს ისევ მოადგა
შენი ლანდი ნათია!..
ჰა, საცაა, სიბერე კარზე მომიკაკუნებს,
მე სარკმელთან ვდგავარ და
სივრცეს ღელვით გავყურებ!..

23.08.90
სოხუმი

* * *

ისევ შორს მიქრის იგი, ხალხი ყიჟინით მისდევს,
ის რამდენ რამეს ბედავს
და ზღვა ქანაობს ნისლის...
შიში დღეების არ აქვს! სისხლის ჩამოსდის ღვარი!..
გააწითლებდა არაგვს,
გაწითლდებოდა მტკვარი!..
ასე რამ გააშმაგა? მისდევს ყორნების ჯარი,
ნუთუ გაარღვევს საზღვარს?
თუ დაესმება ჯვარი?!

16.09.90
თბილისი

* * *

დროს მარცვლავს ისარი პატარა და მუდამ სიჩუმეს გაურბის,
ოცნებამ სად აღარ მატარა,
ცა მათრობს
ვარსკვლავთა საუბრით!..
დღეები ხმაურით მიდიან და უფრო რთულდება სავალი,
წინ კიდევ რამდენი ხიდია,
კვლავ არ ჩანს
მზე ამომავალი!
მე მახსოვს ცისფერი სათავე, ბილიკი
თეთრი და წითელი,
ო, მახსოვს თვალები მართალი
და ბევრიც
ცოდვების მზიდველი!..
დროს მარცვლავს ისარი პატარა და მუდამ
სიჩუმეს გაურბის,
ოცნებამ სად აღარ მატარა,
ცა მათრობს
ვარსკვლავთა საუბრით!..

17.09.90
სოხუმი

მოადგა სარკმელს

კვლავ თუთარჩელა მოადგა სარკმელს
და გედის ფრთებით
მეხება თითქოს!
მამულმა, რომ არ დაკარგოს სახე,
ქართული ხმალი
მოითხოვს დიდგორს!..
თავისუფლების შემოვკრათ ზარებს,
რომ სულმა ღელვა
დიადი იგრძნოს!
იქნებ აყვავდეს მდელო და ზვარი
და ფრთებით ცამდე
ავფრინდეთ, ვინძლო!

12.10.90
სოხუმი

აწყდება მზერა...

შენ ტრიალებდი სინათლის წრეში
        და მთვარე თითქოს არხევდა ნოტებს...
ეს გული უკვე საოცრად ხვნეშის,
აწყდება მზერა
გაძარცულ ტოტებს!..
ჟამთან ჭიდილში ვერაფერს გავხდი
        და ნანგრევებში დაჭრილი ვწევარ!..
კვლავ ღელავს სული სუფთა და ნაღდი
და უჩვეულოს
ამზადებს რევანშს!..
მოჩანს სინათლის პატარა ხვრელი
        და გული ისევ იმედით ფეთქავს!..
დალეწა ქარმა რტოები ძველი
და უტევს ახლა
მწვერვალებს მედგრად!..
შენ ტრიალებდი სინათლის წრეში
        და მთვარე თითქოს არჩევდა ნოტებს...
ეს გული უკვე საოცრად ხვნეშის,
აწყდება მზერა
გაძარცულ ტოტებს!..

14.10.90
სოხუმი

ვერ გავაპე მორევი

ხეს ფოთლები ფერმკრთალი სცვივა ჟამის თანახმად
და ტკივილი მიმწუხრის
სულს მარადის თან ახლავს!..
მივალ სადღაც უჩუმრად, მამღვრევს ბედის ტრიალი,
სისხლი ვღვარეთ რამდენი
მარაბდას თუ თრიალეთს!..
სულო, ვიღას მოელი, გულო, რაღას აპირებ?
ვერ გავაპე მორევი,
ვეღარ გავინაპირე!
ხეს ფოთლები ფერმკრთალი სცვივა ჟამის თანახმად
და ტკივილი მიმწუხრის
სულს მარადის თან ახლავს!..

16.10.90
სოხუმი

ისევ ხმა მესმის!

კვლავ აღიმართა კედელი შემზარავი და სალი!..
ისევ ხმა მესმის ვედრების
                და ცას ედება ალი!..
მოგორავს ზვირთი ვეება და მოსდევს ქარიშხალი,
მითხარი, რა ეშველება? –
ქანაობს კოშკი მთვარის!..
შორს, უკვე ნგრევის ხმა ისმის, არც ზეცა მალავს სურვილს,
თუ ჩამოირღვა, მიწამდე
ველარ დაჰყვება სული!

28.10.90
სოხუმი

რა უცნაურად რეკავს საათი?!

ისევ ირხევა წყლის პირს ტირიფი, ტანზე ჩაუცვამს
ნისლის ხალათი,
ეცემა ტოტებს სხივი ირიბი,
მზე მოწითალო მინდვრებს ანათებს!
მოდის ზამთარი დაუნდობელი და მოეძალნენ
სივრცეს ქარები,
რა უთავბოლოდ ბრუნავს სოფელი
და მეც, სადღაც შორს მივექანები!...
სულს იდუმალი შუქი ანათებს, გავცქერ ხეივანს
ყვითლად მოფენილს,
რა უცნაურად რეკავს საათი!
რა უთავბოლოდ
ბრუნავს სოფელი?!

12.11.90
სოხუმი

რად მექეც, ჟამო, დილემად?!

დავდივარ გარეთ, ვჩურჩულებ, ხან ვღელავ,
ხან მეტირება!..
და ეს ცრემლები მდუმარედ
მიჰყვება ჟამის დინებას!..

გაუფენია მინდორზე მთვარეს ფოთლები ჭილოფად
და ეს უფრორე აღრმავებს
ამ ჩემს ღელვას და ჭრილობას!..

დრო ისევ მიედინება და მაინც მეიმედება,
რად მექეც, ჟამო, დილემად,
ტკივილო, რად არ ბერდები?!

24.11.90
სოხუმი

ო, რა ტკივილი ახლავს!..

უკვე არაფერს ნიშნავს უშენოდ ყოფნა ახლა,
სულის იდუმალ ჩურჩულს,
ო, რა ტკივილი ახლავს?!
ველარ მოვნახე ის გზა, ვერც ის ფერები მთვარის
და შორს განვილტვი მისგან
მოგონებებით მთვრალი!..
გაამელოტა სივრცე ნოემბრის ურჩმა ქარმა,
მიაქვს დინებას უხვად,
სადღაც ფოთლების ქარვა...
მე ვდგევარ ჟამის ურჩი, შენს გამოჩენას ველი!..
და ცა ცახცახებს ლურჯი,
როგორც ყვავილი ველის!
უკვე არაფერს ნიშნავს უშენოდ ყოფნა ახლა,
სულის იდუმალ ჩურჩულს,
ო, რა ტკივილი ახლავს?!

26.11.90
ბანძა

ვეღარ გადავლახე

მზე ნოემბრის მეფერება ახლა, მაგრამ მაინც
ვერ ვიშორებ ტკივილს!
ჟამის ზღურბლი
ვეღარ გადავლახე,
სად მიცურავს
ღრუბლის თეთრი ტივი?
სული ფარულ აღტაცებით ფრთონავს, როცა ხსოვნის
შეირხევა ტოტი,
წუთისოფლის ყველა
ბილიკს ვიცნობ
და სევდიანს
მივეჩვიე მოტივს!..

რამ დააცხრო იმ დღეების ფეთქვა, ის ჩქერები
მოვიდა და გაქრა!..
მოგონებამ შემიტია მედგრად
გულზე ფრთები უცნაურად გამკრა!..
მზე ნოემბრის მეფერება ახლა, მაგრამ მაინც
ვერ ვიშორებ ტკივილს!
ჟამის ზღურბლი
ვეღარ გადავლახე,
სად მიცურავს
ღრუბლის თეთრი ტივი?

29.11.90
სოხუმი

* * *

არ ეკარება ჩემს თვალებს ძილი და შენზე ლოცვით
ვათენებ ღამეს!..
არ ეკარება ჩემს
თვალებს ძილი
და მოლოდინში კვლავ ვითვლი წამებს!
არ ეკარება ჩემს თვალებს ძილი! ვინ მირღვევს მკაცრად
ამ მდუმარებას?!
მიიზმორება ეს
ღამე მძიმედ
და ვგრძნობ შორეულ იდუმალებას!..
არ ეკარება ჩემს თვალებს ძილი! ვერ უძლებს სული
პირქუშ ზმანებას!
არ ეკარება ჩემს
თვალებს ძილი,
უკვე ჩამოჰკრეს ცისკრის ზარებმა!..

09.12.90
სოხუმი

ათასი სიმი შეირხა

მე ყველგან მესმის შენი ხმა, ისევ ვეძახი მაისებს!..
შენ შორს ხარ, მაგრამ ჩემი ხარ,
შენი ღიმილი მაღირსე!..

ათასი სიმი შეირხა და გული განა გივიწყებს?
მე ყველგან მესმის შენი ხმა
და მუდამ შენსკენ მივიწევ!..

ცრემლი ციური მასველებს და გაზაფხულის ხმა ისმის!..
ამ გულს ტკივილით დასერილს,
მოვა, მომირჩენს მაისი!...

11.12.90
სოხუმი

ო, დემოკრატიავ!

ო, დემოკრატიავ! მაგ შენი სახელით,
ვინ მოთვლის, თუ რამდენ სიბილწეს ჩადიან?
მე კაცი ვერ ვნახე, ჯერ შენი მნახველი,
ეს შენ ხარ, თუ შენი
მახინჯი ლანდია?!
შეხედე, კაენის სისხლიან ნაკვალევს, პლანეტას
რომ ირგვლივ არშიად ავლია!..
სულს წმინდას წამების ჯვარზე რომ აკრავენ,
რომ შენი სახელით
ცეცხლი და კვამლია!..
გასმევენ სამსალას შენ აზარფეშებით და უხმოდ
სიკვდილის ბორკილებს გადებენ!..
ანგრევენ სიცოცხლეს სისხლიან ეშვებით
და მერე სანთლებით
ცას შეჰღაღადებენ!..
ხან ყვირი, ხან დგახარ სუსტი და მორჩილი,
მე ვხედავ შენს თვალებს საოცრად დარდიანს!
ო, დემოკრატიავ! გაქციეს თოჯინად
და შენი სახელით
ხვადივით დადიან!..
ო, დემოკრატიავ! მაგ შენი სახელით, ვინ მოთვლის,
თუ რამდენ სიბილწეს ჩადიან?
მე კაცი ვერ ვნახე, ჯერ შენი მნახველი,
ეს შენ ხარ, თუ შენი
მახინჯი ლანდია?

12.02.91
სოხუმი

შორს, მზე ედება თხემებს

ვერ ჩავწვდი მე შენს სიღრმეს, უკვე ამაოდ ვღელავ!
თვალთ მიეფარა სიყრმე
და ის ბილიკი ყველა!..

ვიღაც მომყვება უხმოდ და უცნაურად მზვერავს,
ვერ ვიგრძენ სიმხურვალე,
ვერც ჩამომხედა მზემან!

მიქრის ოცნება იქით, სად ვარსკვლავები თვლემენ,
კრთება ლანდების რიგი
და მზე ედება თხემებს...

06.04.91
სოხუმი

ომებში დაბერდა

ეს მუხა გრიგალმა ვერ გადაამსხვრია,
შეხედე, – რა მძლავრი
ტოტები ასხია!..
გაჩნდა და ეულმა რამდენი გაბედა,
გრიგალში ნაშობი,
ომებში დაბერდა!..
დრომ ის ვერ მოხარა, დღესაც დგას მრისხანედ –
მაისის მზეა თუ
თებერვლის სისხამი!
საწუთროს ვაება სულაც არ აშინებს,
თუმც ხედავს ის სიზმრებს
მღვრიეს და საშინელს!..
რამდენი ეომა მომხდურს და გარეწარს,
ომებში რამდენი
ბექთარი დალეწა!.
მაინც დგას ამაყად, არავის ემონვის,
თუმც ბევრჯერ ეკვეთა
ბოროტი დემონი!..
გაჩნდა და ეულმა რამდენი გაბედა,
გრიგალში ნაშობი,
ომებში დაბერდა!..

07.04.91
ბანძა

მიდის და მიეფინება...

ხარ ბედისწერით დაბმული და მაინც
ცოცხლობ იმედით!
შორს მოჩანს
გზა უდაბური,
თუმც შუქიც ფეთქავს მცირედი!..
სიცოცხლემ ფრთები გაშალა, მზეს
ელტვის იკაროსივით,
მიდის და მიეფინება...
ცა მოჩანს ნათელმოსილი!..
ისმის ქარების რიალი და ფრთებს
უხეშად გახლიან,
და შუქი ისევ მოედო
თვალებს საოცრად ნაღვლიანს!..

10.06.91
სოხუმი

ყორანი

ჩემს სანახებს კვლავ მოედო კვამლი და ცა ისევ
ამიმღვრიეს ლურჯი!..
მოსწყდა ცისკარს აქ ყივილი მამლის
და შემორჩა ეგ შენი ხმა ურჩი!..

ისევ რეკავ ბედისწერის ზარებს, დემონივით
შეუძლებელს ბედავ!
ჭრილობაზე დააცხრები მწარედ
მამულისთვის დანარცხებულ მხედარს!..
შავეთიდან მოვარდნილო ყეფით, კვლავ ტკივილი
შემატოვე მწვავე!..
გიცქერ ზიზღით აღარ მენახვები,
რომ მიშფოთებ ჩემს მშობლიურ მხარეს!.

11.10.91
სოხუმი

მუზეუმში

ამ ქვემეხით შეუტიეს მეგრელებმა გურულებს
და ცა იყო თოფისწამლის
კვამლით გადახურული!..
ამ ბერდანით სნაიპერმა ყბა მოჰგლიჯა ჯაიანს,
წყალობა არ მოგაკლდება
უყბოს, მრავალჯარიანს!
ბრძოლის ველზე ხმლით და თოფით
ერთურთი არ დაინდეს
და იბრძოდნენ
ისე მედგრად,
ვით ჩვევიათ რაინდებს!..
ველარ იტევს ისტორია ბრძოლის პერიპეტიებს,
გამარჯვება დარჩა ბოლოს,
გურულ სარდალს ბედნიერს!
ის დრო ისევ დაგვიბრუნდა
თავის ავლა-დიდებით,
რა კაცი ხარ მაშინ,
თუკი მტერს
არ გაეკიდები?!
ქვემეხების ბათქაბუთქში ცას
მოჰგლიჯეს საყურე
და ლაჟვარდის
ნაცვლად თავზე
კვამლი გადაგვახურეს!..
ამ შენს სამწყსოს, დიდებულო, ნუთუ
კვლავ არ მოხედავ?

და არეში შენი მზერის
რატომ გვიჭირს მოხვედრა?!
ერთიანი საქართველო, ღმერთო,
ისევ მაჩვენე,
მერე ლექსად არასოდეს
აღარ დავწერ საჩივრებს!

15.10.91
სოხუმი

ისევ გელოდება!..

ისევ გელოდება შენი საქართველო, ო, ერის
ტანჯულო შვილო!
ისევ გელოდება შენი საქართველო,
ჯვარცმული წაგიცხებს მირონს!..
ისევ გელოდება შენი საქართველო, მოგაპყრობს
იმედის თვალებს!..
ისევ გელოდება შენი საქართველო,
მცხეთის მზე, კოლხური მთვარე!..
ისევ გელოდება შენი საქართველო, დიდგორი
არისხებს ზარებს!..
ისევ გელოდება შენი საქართველო,
ოღონდ თქვი, ოღონდ შენ ბრძანე!
ისევ გელოდება შენი საქართველო, ის შენით
გაარღვევს წყვდიადს!..
ისევ გელოდება შენი საქართველო,
ისევ გელოდება, ზვიად!

14.01.92
სოხუმი

სფინქსის ნიღბით

მიილტვის სული ხილულის მიღმა
            და ვარხევ ფიქრებს სიცოცხლის სიმზე!..
ჟამი კი სფინქსის მოირგებს ნიღაბს
და გამოუცნობ
ღიმილით მიმზერს!..
უსასრულობას გავცქერი რიდით
            და ზღვაზე ნისლის დაკიდულ ბოგირს...
რას გალობს ქარში ბალახი მინდვრის,
ან საით მიდის
ღრუბლების ჯოგი?
უსასრულობას გავყურებ უხმოდ
            და სცვივა ხიდან ფოთოლი ჭადრის...
მზემ ჩაიმუხლა ქვიშაზე ოხვრით
და აიფარა
სახეზე ჩადრი...
ფათურობს ფიქრი ვარსკვლავებს შორის
            და ვიღაც მიწას დაჰყურებს ზიზღით!..
სად შემზარავი ტრიალებს შმორი
და კივის მწარედ
აბელის სისხლი!...
ფეთქავს მიწაზე სული ცოდვილი,
            როგორც სამყაროს ფარული კოდი!
და დუმს დაღლილი სივრცე ლოდინით,
როგორც მოჭრილი

ძახველის ტოტი!..
მიილტვის სული ხილულის მიღმა
და ვარხევ ფიქრებს სიცოცხლის სიმზე!
ჟამი კი სფინქსის მოირგებს ნიღაბს
და გამოუცნობ
ღიმილით მიმზერს!..

22.05.92
ბანძა

მიდიოდით შეკრულები ფიცით!

ჩემი სოფლის ბიჭებს, რომლებიც
სამამულო ომში დაიღუპნენ!

თქვენზე ბევრჯერ დავიღალე ფიქრით, ძვირფასებო,
სატკივარიც მქონდა!..
ო, რა ბევრი მიდიოდით იქით
და დაბრუნდით უცნაურად ცოტა!

მიდიოდით შეკრულები ფიცით, სოფლის შარას
სიმღერებით გასცდით,
უგალობეთ ვარსკვლავების ციმციმს,
მეგობრებო, ჭაბუკური განცდით!..

ერთხელ მოკვდით, მოსულები ერთხელ! მოგონება
იმ დღების მიჭირს!
ჟამის გრიგალს ფრთებით მიეხეთქეთ
და შესწირეთ – სიყვარულიც, ნიჭიც!
მიირხევა მთვარე სოფლის თავზე... ზარებს რეკავს
სამრეკლოზე მნათე!..
და იმ დღეებს ვაჟკაცობით საკვსეს,
მე ლექსებით ვუნთებ
ხსოვნის სანთელს!..

01.06.92
ბანძა

სასაფლაოსკენ მიილანდები

სასაფლაოსკენ მიილანდები, სასაფლაოზე
მიხვალ მდუმარი,
და მერე არსად გაგვიანდება,
ისმის ლოდებთან ხმა იდუმალი!..

სივრცეს მოლურჯო შუქი ედება, არის ფოთლების
ხშირი ჩურჩული
და ცრემლიანი ცას ევედრება
სული ტკივილით გადარუჯული!..

13.06.92
სოხუმი

აჰა, იწურება უკვე საუკუნე!

ზღვაზე ქარიშხალი, როცა მოვარდება,
ირგვლივ უდაბური
ბრუნავს ნისლეული!..
ისევ მიჰკივიან სივრცეს ხომალდები,
ათრაგაშლილი და
ზვირთებმიმხსვრეული!..
შენ, ხომ პლანეტაზე ვეღარ დაეტიე,
იწვა ველ-მინდვრები
ჟამით მოგვალული!..
სადღაც გალაქტიკებს მოსწყდა მეტეორი,
მიქრის ცეცხლოვანი
სული გლობალური...
გზები აგერია! ღელვა შებინდების,
შენ წინ იშლება და
თითქოს დანავარდობს...
ხედავ დედამიწას ცეცხლი ეკიდება,
ზღვიდან ამოვარდა
ლურჯი სალამანდრა!
აჰა, იწურება უკვე საუკუნე!..
შენ კი, მეგობარო,
ისევ მაგონდები!...
ჰყრია გუბეებში მთვარის ნაფოტები
და მზე ჰორიზონტის
იქით მიგუგუნებს!..

22.06.92
სოხუმი

მგლოვიარე ქალაქი

ჩემს ქალაქს ისევ ჩაუცვამს თალხი
        და ნაღვლიანი თვალებით მიცქერს!..
ქუჩებში აღარ მიმოდის ხალხი,
დალეწილია ტყვიებით სივრცე!..
მივყვები უხმოდ რუსთველის გამზირს
        და შემზარავი ქვითინი მესმის!..
ყოფნა–არყოფნის წაშლილა ხაზი
და სული ჩემი საშინლად კვნესის!..
თუმცა, ძვირფასო, ვერაფერს გშველი,
        მორღვეულია კედელი რწმენის!...
ჟამს შერჩა ცრემლით თვალები სველი
და ბედისწერის დემონებს ვწყევლი!..
ცას რკინის ფრთები მიაპობს ბასრი
        და ზღვა აწყდება ნაპირებს ზავთით!..
მე დამაქვს გული ტკივილით სავსე
და მხრებზე მათოვს ფერები ზამთრის!..
ჩემს ქალაქს ისევ ჩაუცვამს თალხი
        და ნაღვლიანი თვალებით მიცქერს!..
ქუჩებში აღარ მიმოდის ხალხი,
დალეწილია ტყვიებით სივრცე!..

12.07.92
სოხუმი

ელეგია

შუაღამეა, მდუმარეა სივრცე და მე მარტო
ვხეტიალობ გარეთ,
უხმოდ გავცქერ
ვარსკვლავების ციმციმს
და საოცრად ნათელია მთვარე!
შუაღამეა, მდინარესაც სძინავს და ხეები
დატვირთულან ნამით,
მეც დუმილი თითქოს
მერგო წილად
და შორს ღრუბლის მიქანაობს ნავი...
შუაღამეა ცა ფიქრებში მძირავს, გავცქერ შორეთს
უჩვეულო კდემით,
შუაღამეა, ზღვას და
ხმელეთს სძინავთ
და ეხვევა ცას ფიქრები ჩემი!..
შუაღამეა გატრუნულა სიო, ბაღში ნისლი
ფეხაკრეფით დადის,
გულისყურით
ვაყურადებ რიონს
და მთვარის კი მიქანაობს ლანდი...
შუაღამეა, შორით ვისმენ ზუზუნს, მიქრის სული
ვარსკვლავების ზემოთ...
მეც ამ მიწის
მიწოვია ძუძუ
და მიგრძვნია წუთისოფლის გემო!..
გული დამაქვს ანთებული შენით და თვალები

მოჩანს სანაქებო!

ცას გადუვლის
მეტეორი ფრენით,
გელოდები, სიყვარულო ჩემო!
შუალამეა, მდუმარეა სივრცე და მე მარტო
ვხეტიალობ გარეთ,
უხმოდ გავცქერ
ვარსკვლავების ციმციმს
და საოცრად ნათელია მთვარე!

19.08.92
ქუთაისი

მიდიან გზაზე

ჯარისკაცები მიდიან გზაზე მტკიცედ შეკრულნი
მამულზე ფიცით,
ჯარისკაცები მიდიან გზაზე,
დაბრუნდებიან? –
არავინ იცის!
ახლოა ცეცხლი და ბრძოლის ხაზი, მაგრამ არა აქვთ
არაფრის შიში!
სადღაც შორს დარჩა
დღე ოქროსფერი
და მხურვალება ზაფხულის ქვიშის!..
ჯარისკაცები მიდიან გზაზე და არღვევს სივრცეს
ჯიუტი მზერა!..
მიაქვთ გულები
გრიგალით სავსე
და გამარჯვების ბოლომდე სჯერათ!..
მზემ შუქი ბროლის დაღვარა თასით
და მოჩანს ზეცა
სულ სხვა ნათებით!..
ჯარისკაცები მიდიან გზაზე,
გუგუნებს სივრცე
კანონადებით!..

24.08.92
სოხუმი

რა შეგრჩა?!

ზვიად გამსახურდიას

ნაღველი ბევრი შეგასვა საწუთროს ორომტრიალმა!
შენი ოცნების ზეცაზე
გადიყრანტალა ტიალმა!..
და ყველა მეხმა ერთბაშად მაგ ცის თავანზე იჭექა!..
ყველა სიმძიმე საწუთროს
შენს სულში გადაიჩეხა!..
ჩაგიქრო ყველა სანთელი და შენზე ბნელი ამეფა!..
რა შეგრჩა ბედით გათელილს? –
მხოლოდ დევნა და წამება!..

11.09.92
სოხუმი

მტრედები

მტრედები ტოვებენ ქალაქს, ქუჩებში სროლაა ცხარე,
მტრედები ტოვებენ ქალაქს,
ცა ტირის!.. მეც ვტირი მწარედ!..
მტრედები ტოვებენ ქალაქს, ტყვიების ზუზუნი ისმის!..
მტრედები ტოვებენ ქალაქს
დატბორილს ცრემლით
და სისხლით!..
მტრედები ტოვებენ ქალაქს, დაირღვა სიმშვიდე სივრცის!.
ისინი გაფრინდნენ სადღაც,
საითკენ?! – არავინ იცის!..

14.09.92
სოხუმი

არ შეუშინდე!

სულო, კვლავ გაინავარდე, როგორც
გჩვეოდა ადრე!
და მერე ჯანიც გავარდეს
თუ დაიმსხვრევი სადმე!..

სულო, კვლავ გაინავარდე, აღარ
შეგაკრთოს ხაფმა!
და სივრცე გაიმარადე,
მძლავრად გაშალე აფრა!..
ცხრა ზეცას გადაუქროლე, დალაშქრე ცხრა ზღვა,
ცხრა მთა!..
ფრთები გაშალე უფრორე,
არ შეუშინდე ზამთარს!

ახალ სივრცეებს ეწვიე, ჯერაც, რომ არ
ჩანს კვალი!..
თუნდ იყოს საბედისწერო,
მაინც მოხაზე რკალი!..

სულო, კვლავ გაინავარდე, როგორც
გჩვეოდა ადრე!
და მერე ჯანიც გავარდეს
თუ დაიმსხვრევი სადმე!..

22.09.92
ბანძა

კვნესის სულის ლერწამი...

ქვემეხების გუგუნით ჟამმა გადიქუხილა,
ბოროტება ამგვარი
ჯერ არავის უხილავს!

ის ზღაპრული სიალე გაჰყვა რბევას, მოქნევას,
გაიტაცა სადღაც შორს
ზვირთთა აბობოქრებამ!..

და რა შეგვრჩა გულები ნაფლეთებად ქცეული,
კვნესის სულის ლერწამი
ქარით გადამსხვრეული!..

შესწყდა აურზაური მოდის შემოღამება,
ო, ეს გული ვერ უძლებს
უკვე ამდენ წამებას!..

ქვემეხების გუგუნით ჟამმა გადიქუხილა,
ბოროტება ამგვარი
ჯერ არავის უხილავს!..

30.09.92
სოხუმი

დალეწა ქარმა მაისის ბაღი

დღეს საუბარი რითმებით მიჭირს, რადგან ქუჩაში
სიკვდილი როკავს!..
გულს ბასრი დანა
მისერავს, მიჭრის,
რადგან ბოროტმა
კეთილი მოკლა!
დღეს საუბარი რითმებით არ ღირს, სულს არ უხდება
ოცნება დიდხანს!
დალეწა ქარმა მაისის ბაღი
და ლექსმა ახლა
რა უნდა გითხრას?!
დღეს ჩემს მამულში ჟამი დგას მკაცრი და სიძულვილსაც
არა აქვს ზღვარი!..
სიკვდილი მარჯვნივ!
სიკვდილი მარცხნივ!
და სივრცე მოთქმამ
აიკლო ზარის!..
მითხარი, სულო, საითკენ მიხვალ? ვიცი, ვერაფერს
გახდები ლოცვით!
რა ქნას ბავშვივით
მთრთოლვარე რითმამ,
როცა აზილეს სისხლი
და ხორცი!

დღეს საუბარი რითმებით მიჭირს, რადგან ქუჩაში
სიკვდილი როკავს!..
გულს ბასრი დანა
მისერავს, მიჭრის,
რადგან ბორბოტმა
კეთილი მოკლა!

04.10.92
ქუთაისი

კვლავ ამიყვავე, ღმერთო!...

ასე ვინ გამიტიალა მამული უიმედოდ?
ეს რა ქარები ტრიალებს,
            რატომ გასწირე, ბედო?!
მოჩანს მინდვრები ხრიოკი და გორაკები მწირი!..
ო, ტკივილს ვეღარ ვიოკებ,
ხარირემივით ვყვირი!..
გავცქერ მდინარის კალაპოტს, მაღლა ღრუბლების ქაოსს...
რად გახდი ჟამის ალაფი,
            მზეო, სად მიქანაობ?!
ის საოცარი დარები, რა სიდიადით ენთო!..
ო, ისევ გემუდარები,
კვლავ ამიყვავე, ღმერთო!..

06.10.92
ბანძა

შენ, როგორ უნდა გაუძლო, დღეო?!

დღეს ჩემს მამულში სიკვდილი ღრეობს და თმაგაშლილი
სიცოცხლე კივის!..
ვეღარ გაუძლო სივრცემ ამ ტკივილს,
შენ, როგორ უნდა
გაუძლო დღეო?!
დღეს ჩემს მამულში ცრემლის და სისხლის გუბეში წვება
სატანა კრული!..
გაუტანლობით, შურით და ზიზღით
ივსება ყველა ბოროტის გული!..
დღეს ჩემს მამულში თავისუფლებას მზეჭაბუკების
სიცოცხლე მიაქვს!..
რამდენი გული დაისუდრება
და ვერ შეხვდება მაისის ნიავს!
დღეს ჩემს მამულში ურვას, კაეშანს, რას ყოფნის
მხატვრის ფერმკრთალი ტილო?
ო, ეს რა მძიმე ფარდა დაეშვა
და ყველა ჭაღის ჩაქრობას ცდილობს!
დღეს ჩემს მამულში სიკვდილი ღრეობს და თმაგაშლილი
სიცოცხლე კივის!..
ვეღარ გაუძლო სივრცემ ამ ტკივილს,
შენ, როგორ უნდა
გაუძლო, დღეო?!

12.10.92
სოხუმი

რეკავს საათი!..

რამდენი სისხლი!, რამდენი ცრემლი! რამდენი გლოვა!..
გადასდის კვამლი
ნანგრევების კოშმარულ გროვას!
რეკავს საათი! ზღვა ბობოქრობს, ზღვა იფოფრება
და საუკუნემ ტკივილები
მოისხა ფრთებად!..
აქ ზღვა და მიწა შეუღებავთ კვამლით და სისხლით,
საიდან მოდის გულბოროტთა
ამდენი ზიზღი?!
ჟამის კედელი ო, რა ყრუა და რა მრისხანე?!
რომ დააბნელოს საუკუნოდ
სულის ცისკარი!..
ბორგავს სიცოცხლე და აწყდება კედლებს ხმაურით,
სივრცე აიკლეს
დემონებმა აურზაურით!..
ო, სად ხარ, ღმერთო, რომ წამებას მოუღო ბოლო!
და უჩვეულო ძალისხმევით
მიაგო ბოროტს!..
რამდენი სისხლი! რამდენი ცრემლი! რამდენი გლოვა!..
გადასდის კვამლი ნანგრევების
კოშმარულ გროვას!..

14.10.92
სოხუმი

სევდა ჩადგა

ყველაფერი დაინგრა და გაჩანაგდა,
ვხედავ სისხლში უსაშველოდ
მცურავ ქალაქს!..
ზღვის თვალებში საუკუნოდ სევდა ჩადგა
და ტკივილი აქვითინებს
მინდვრის ბალახს!..
ჟამი ბორგავს და სიცოცხლე დაზაფრული,
ვის უგზავნის, ნეტავ,
ასე ანათემას?
მე მიყვარდა მხოლოდ მზე და გაზაფხული,
დღეს სისხლის ღვრა
და სიკვდილი მექცა თემად!..
ცრემლს უწმინდეს მწარე ოხვრით შევრთავ მორევს,
რომ შენს ბაღებს ულამაზესს
სისხლი ღებავს!..
დემონების შავი ფრთები მოგვაშორეთ
და ყორნების შემზარავი
ძალით ყეფა!..

21.10.92
სოხუმი

წევს სარეცელზე დაჭრილი!

კვამლში ბარბაცებს ქალაქი და მე ვერ ვუძლებ ტკივილს,
აქ ყველგან ცეცხლი ბალახობს,
სივრცე კი დუღს და კივის!..
ჩემი ქალაქის კედლები მტერმა დალეწა ზიზღით,
შენი წამებით ვბერდები
და მითეთრდება სისხლი!..
ჩემი ბავშვობის ოცნებას, ვინ შეალეწა ფრთები?
ჩანს სისხლიანი ბორცვები,
დგას ნანგრევები მთების!..
ცა ამიმღვრიეს მაღალი, იდგა კვამლი და ნისლი,
ზღვას გაჩენია ჭაღარა,
დაბერებულა ისიც!..
წევს სარეცელზე დაჭრილი, ეს ზღვის ქათქათა გედი,
ადგას სიკვდილის აჩრდილი,
ვწყევლი განაჩენს ბედის!
კვამლში ბარბაცებს ქალაქი და მე ვერ ვუძლებ ტკივილს,
აქ ყველგან ცეცხლი ბალახობს,
სივრცე კი დუღს და კივის!..

23.10.92
სოხუმი

ვინ მოგცა თოფი?!

ვინ შეგასწავლა ხმარება თოფის,
მერე კი გზებზე მსხვერპლის ძიება?!
ვინ აგიმღვრია ყორნისფრად სისხლი,
რომ კაცის მოკვლა
არ გეძვირება?!
ეს საუკუნეს სირცხვილად ყოფნის!
ვინ ჩაიდინა ცოდვა ამხელა?
ასე პატარას, ვინ მოგცა თოფი,
რომ კაცის მკვლელი
გერქვას სახელად?!

02.11.92
სოხუმი

გულზე თითქოს დამახალეს ტყვია!

ჭეშმარიტად, მთელ სამყაროში არაფერია
უფრო უბედური ადამიანზე...
ჰომეროსი

გულზე თითქოს დამახალეს ტყვია, ჩემი სული
ტკივილისგან იძვრის!..
შენ ხომ ჩემი ჭრილობა ხარ ღია
და მე შენი ნაწილი ვარ ღვიძლი!
ჟამი ტანზე სისხლის პერანგს მაცმევს, ო, ეს გული
ყვავ-ყორნებმა ფლითეს!..
ვიცი, დარდი ნამსხვრევებად მაქცევს
და სარკმელთან მთვარე ღამეს მითევს!..
შენს ქუჩებში დააბიჯებს მხეცი და სიკვდილი
შემზარავი ღრეობს!..
სიყვარულის რად ჩამიქრე ცეცხლი,
ასე რატომ გამიმეტე დღეო?!
შემიღებეს ცა ნახშირის ფერად! გადამიჭრეს ყველა
ძარღვი თითქოს!
დამაქვს უხმოდ ცრემლიანი მზერა
და შენს წყლულებს
ვითვლი თითო-თითოდ!..
გულზე თითქოს დამახალეს ტყვია, ჩემი სული
ტკივილისგან იძვრის!..
შენ ხომ ჩემი ჭრილობა ხარ ღია
და მე შენი ნაწილი ვარ ღვიძლი!

16.12.92
ქუთაისი

დადის სატანა

ჩემო ქალაქო, დახეთქილო სისხლის წვიმებით!
გხედავ და გული მეკუმშება
მწარე ტკივილით!
დგახარ ბედისგან უსაშველოდ განაწამები
და სულს ამღვრეულს აღმოხდება
მწარე კივილი!..
მტკვარს გადასცქერი განწირულის სულისკვეთებით!
ცოდვის მორევში ვერ შესძელი
მეტის ატანა!
ო, ჩემი სული მაგ თვალების სევდას ედება
და შენს მინდორზე ყვავ-ყორნების
არის ყრანტალი!..
დგახარ ჟამისგან ხერხემალში გადამსხვრეული!
არ ვიცი, ღმერთმა
ეს რა ცოდვა გამოგატანა?!
დასერილია სასიკვდილოდ შენი სხეული
და შენს ქუჩებში
დაბარბაცებს ისევ სატანა!..

22.01.93
თბილისი

ბალადა მამა-შვილზე

გიორგი და პაატა საკაძეებს

იმ ღამით ო, რა მძიმედ დუმდა სარდლის კარავი!
შაჰის ბრძანება,
            როცა გასცდა ყველა მოლოდინს!..
მამა–შვილს შორის თუ რა ითქვა, უწყის არავინ
და საიდუმლო, საიდუმლოდ
დარჩა ბოლომდის!..
ახმაურებდა ქარიშხალი ღამის კიდობანს
და ჩირაღდნების შუქზე ენთო
შაჰის პალატა...
სამჯერ აკოცა მამამ კართან შუბლზე პაატას
და ძეს უმრწემესს
სამუდამოდ დაემშვიდობა!
ეჩვენებოდა: ხან დიდგორი! ხან ბასიანი!
და მასაც შესწევს ძალა
ერთობ გახდეს საჩინო!
თავის ბავშვობა მოაგონდა, დილა მზიანი,
როგორმე უნდა რომ
მამული გადაარჩინოს!..
საქართველოში შაჰის ჯარით სარდალს მიმავალს,
ო, გული უკან,
            უცნაურად ეზიდებოდა!..
მერე კი გზაზე ათასგვარმა ფიქრმა იმრავლა,
მაგრამ თამარი თავს დაადგა
სარდალს ზემოდან!..
ხვალ კი მარტყოფი უნდა იქცეს ხსნად და იმედად!

წაიჩურჩულა, რომ – „ყველა გზა რომისკენ მიდის!..“
მერე წარსულზე უჩვეულო ფიქრებს მინებდა
და დასახევი არ დატოვა,
არცერთი ხიდი!..
იმ ღამით ო, რა მძიმედ დუმდა სარდლის კარავი!
იგრაგნებოდა ღამის ფსკერზე
ძალა ბოროტი!..
მამა–შვილს შორის, თუ რა ითქვა, უწყის არავინ
და საიდუმლო, საიდუმლოდ
დარჩა ბოლომდის!..

30.08.92
სოხუმი

სისხლით დაიცავი ფიცი!

ზაზა გაბუნიას ხსოვნას

ო, რა ვერაგულად მოგკლეს, არსად ნაკვალევიც არ ჩანს,
იყო ეს შენი გზა მოკლე,
მაგრამ საუკუნოდ დარჩა!..
შენ ხომ ლომის ჰგავდი ბოკვერს, აღარ დაგცდენია კვნესა!
იყავ უებარი მოყმე,
გქონდა ერთგულება წესად!..
ბჭესთან განგმირული მიწექ... სისხლით დაიცავი ფიცი,
ისე ჩაბღაოდი მიწას,
როგორც ხარ-ირემმა იცის!..
ლოცვა ჩაგესმოდა უფლის, ხმობდი არწივების ყივილს,
იწექ გახლეჩილი შუბლით
და ცას უგზავნიდი ღიმილს!..

14.03.93
ქუთაისი

თვალები

ეს რა თვალები მეჩვენა! ფიქრები ისევ მაწვალებს,
სიხარულს გადავეჩვიე,
დრო გახდა დედინაცვალი!
ეს რა თვალები ვიხილე და რა ცრემლების მორევი!..
სადღაც თეთრონი ჭიხვინებს,
მიარღვევს სივრცეს შორეულს!..
ეს რა თვალები მიცქერენ! სულს ვერ ვამშვიდებ მღელვარეს,
მესმის ბრძოლის ხმა ფიცხელი,
ზათქი ედება მწვერვალებს!..
ჟამის ლანქერი ბობოქრობს, რა დარჩა დაურბეველი?!
ბექობზე დგას და გრიგალში
გუგუნებს მუხა ბებერი!..

12.04.93
სოხუმი

ისევ ბრძოლის გეძახოდა ველი!

სასიკვდილო სარეცელზე იწექ და წამწამებს
გისველებდა ცრემლი!..
სასიკვდილო სარეცელზე იწექ,
სხივს გაღვრიდა მთვარე ალმაცერი...
სასიკვდილო სარეცელზე იწექ, ისევ ბრძოლის
გეძახოდა ველი!..
სასიკვდილო სარეცელზე იწექ
და ბორგავდი ომით დაუღლელი!

სასიკვდილო სარეცელზე იწექ, არ შეგცვლია
გამოხედვა მხედრის!
სასიკვდილო სარეცელზე იწექ
და ფეთქავდა ნატყვიარი მკერდი!..

სასიკვდილო სარეცელზე იწექ, გეხვეოდა
ანგელოზთა დასი,
სასიკვდილო სარეცელზე იწექ,
უკვდავებას მზე გასმევდა თასით!
სასიკვდილო სარეცელზე იწექ, გზები ჩანდა
ნაღმით გადახნული!..
სასიკვდილო სარეცელზე იწექ,
მზე ქრებოდა ცაზე გაზაფხულის!..

03.07.93
ქუთაისი

ეს რა ცოდვა ტრიალებს?!

ეს რა ცოდვა ტრიალებს, არ მენახა, მერჩია,
ბოროტების დემონი
როგორ შემოგვეჩვია?!
ეს რა ცოდვა ტრიალებს, გვიხსენ, ღმერთო მაღალო!
ყველგან სისხლის მორევი!..
ყველგან გვამთა მაღარო!..
ეს რა ცოდვა ტრიალებს, რა ბიჭები მოისრა,
მთამ, მინდვრებმა, ხეებმა,
ყვავ-ყორნები მოისხა!..
მივსდევთ მტერს და მოყვარეს: დანით, ტყვიით, საბელით!
გზას მივყვებით კაენის
და გზას ავცდით აბელის!
ეს რა ცოდვა ტრიალებს, სულს რა ვუყო ზარიანს?
ეს რა ცოდვა ტრიალებს,
მტერს რომ გაუხარია!..
ეს რა ცოდვა ტრიალებს, რა შხამს ვხედავ ნაგუბარს?!
სივრცე გახდა ტიალი
და გზა გაუდაბურდა!..
ეს რა ცოდვა ტრიალებს, სად ხარ დროის მენავევ?
არწივების საუფლოს
ყვავ-ყორნები თელავენ!..
ეს რა ცოდვა ტრიალებს, არ მენახა, მერჩია,
ბოროტების დემონი
როგორ შემოგვეჩვია?!

12.07.93
ბათუმი

გაუჩნდა ბზარი არწივის ყივილს!

უკანასკნელად შეხედე ზეცას და გაწყდა ყველა
იმედის სხივი!
დიდგორის ზარებს აღმოხდათ ოხვრა,
გაუჩნდა ბზარი არწივის ყივილს!..
უკანასკნელად შეავლე თვალი სვეტიცხოველს და
მთაწმინდის მთვარეს,
სადღაც ძაძებში კიოდა ქალი
და მოთქმა შორს, შორს, მიჰქონდათ ქარებს!..
შენ მამულის ცის წაიღე კოცნა და ჩაიკეცე
ნატყვიარ მკერდით,
უკანასკნელად აღმოგხდა ლოცვა
და მოგძახოდა დიდება მხედრის!..

02.08.93
თბილისი

ო, როგორ მტკივა!

მე ყველა შენი სატკივარი ო, როგორ მტკივა!
არ მეშინია ამ დღეების,
თამამად მივალ!
და ეს ბილიკიც არ მაშინებს კლდე-კლდე რომ ცოცავს,
როგორც ზღვის ღელვა
არ აშინებს გამოცდილ ლოცმანს!
მე წინ მივდივარ და ავდარი მეკვეთოს თუნდაც,
გადავყრი ამ ძვლებს ხევხუვებში,
ო, როგორც ხურდას!
ოღონდ, მაგ შენი სილამაზით ვიყო მდიდარი,
ოღონდ, შენს სულში
სიყვარულის თრთოდეს ნიავი!..

20.08.93
ბათუმი

მიაქლარუნებს სიკვდილი დეზებს!..

ახლა გარშემო ტყვიები სტვენენ და სისხლიანი
თვალები გეძებს!..
ახლა გარშემო ტყვიები სტვენენ,
მიაქლარუნებს სიკვდილი დეზებს!..
ახლა გარშემო ტყვიები წივის და ყველაგან შავი
დემონი ფრთებს შლის!..
ქუჩებში სისხლის
იღვრება წვიმა,
მიარღვევს სივრცეს
ქარი და თქეში!..
და მიდის ჟამი კვლავ გულისტკენით, მითხარი ასე
იქნება სანამ?
ყოველ ნაბიჯზე
ტყვიები სტვენენ
და კივის ყოველ ნაბიჯზე დანა!..

24.08.93
სოხუმი

* * *

შენ ერთადერთმა აიტანე აუტანელი!
შენ ერთადერთმა გაუძელი
პირქუშ დროებას!..
დღეთა ჭენება სულის ქროლვას ვეღარ ანელებს
და შემზარავი ტანჯვა
ისევ ტანჯვას მოება!..
მიწიერ ვნების თითქმის ყველა ხვრელი დალუქე,
რითაც შემოდის
წამიერი შუქის ნათება!..
ო, რა უეცრად ჩაქრა შენი ეს სიჩაუქე
და ჩემი ტანჯვა
ყველა ტანჯვას აღემატება!..

01.09.93
სოხუმი

აქ რა უნდა ბოროტების დემონს?!

მომენატრა შენს ნაპირზე შეღამება
და აფრების
უჩვეულო ფეთქვა!
პორტში გემის შემოსვლა და შებღავლება
და ქუჩები
ანთებული თეთრად!..
მომენატრა ფოთოლცვენის სევდა თბილი
და ფერდობზე
ხეტიალი ნისლის...
დილა ზღვის პირს მოფართქალე კალმახივით,
სიყვარულით
ამღვრეული სისხლი!..
მომენატრა ბალი ჩემი ნეტარების,
ბამბუკების
მოშრიალე ტევრი!..
და გვირაბთან შეკივლება მატარებლის,
ახლაც მესმის,
ასე შორად დევნილს!..
რა გიწოდო, ანდა როგორ მოგეფერო?
ისევ კივის
ქარიშხალი ზემოთ!..
აქ ფორთოხლის და ლიმონის ფეთქავს ფერი
და რა უნდა
ბოროტების დემონს?!
მომენატრა შენს ნაპირზე შეღამება
და აფრების უჩვეულო ფეთქვა!..
პორტში გემის შემოსვლა და შებღავლება
და ქუჩები ანთებული თეთრად!..

02.10.93
ქუთაისი

პატარა დევნილი

ლ–ს

მე დევნილი ვარ პატარა, გამოვექეცი მხეცებს!
დედა მომიკლა სატანამ,
მეც მოსაკლავად მეძებს!..
ვიღაც ურჯულომ რა მიყო, – აკვანში ჯოხით რკინის
მომიკლა ჩემი ძამიკო,
სულ იყო ორი კვირის!
ზეცაში კვამლი ავიდა და მზის ფარავდა ღიმილს!
ვისმენდი ცეცხლის ალიდან
მამის შემზარავ ყვირილს!..
დავტოვე თეთრი ქოჩორა, ჩემი ეზო და შუკა!
მომსდევდა ჩემი ბოჩოლა
და მომბღაოდა უკან!..
რა ტანჯვა გამოვიარე, ეს ხომ არავინ იცის?!
გადავეჩვიე: სიმღერას,
ცეკვას, თამაშს და სიცილს!..
დედას ღაწვები სველი აქვს, მამა საოცრად ღელავს!..
ჩემს დაბრუნებას ელიან,
სიზმარში ვხედავ ყველას!..
მე დევნილი ვარ პატარა, გამოვექეცი მხეცებს!
დედა მომიკლა სატანამ,
მეც მოსაკლავად მეძებს!..

14.10.93
ბათუმი

იქ, ზღვასთან ახლოს!..

მამა-შვილის ბიქტორ
და ზაზა გაბუნიების ხსოვნას

შვილი დაეცა! ახლა მამა ეკვეთა მკვლელებს,
გახელებული ასე არვის
უნახავს იგი!
აქაფებული ველზე სისხლის დიოდა ღელე
და მომხდურების შეათხელა
რამდენჯერ რიგი!
იბრძოდა იგი განწირულის სულისკვეთებით,
დარჩა ერთგული, მამულისთვის
მიცემულ ფიცის!
ტყვიების ჯერით დაულეწეს მკერდი, ფერდები
და შვილის გვერდით განგმირული
დაეცა ისიც!
ქალაქი თუმცა ვერ გადურჩა განადგურებას,
მეისტორიე აქ არავის
უკარგავს ამაგს!
საუკუნეებს შორს გაჰყვება მწარე თქმულებად,
როგორ დაეცა შვილის გვერდით
ჭაღარა მამა!
იქ ზღვასთან ახლოს, სად ზვირთები
ბობოქრობს ხშირი,
გაჭრეს საფლავი მხედრებისთვის
თანაბარ ზომის!
ამ საფლავებში განისვენებს მამა და შვილი,
ერთი ბოკვერი და
მეორე – ბებერი ლომი!

16.10.93;
ბათუმი

* * *

სივრცე ისევ ღელავს, გული აღარ ცხრება!
შენ კი ვეღარ შესძელ
იმ დღის დავიწყება!..
ხიდზე დგახარ, ჯებირს ზღვა კვლავ უტევს მედგრად
და შენს სულში ბოღმა,
ო, რა მძლავრად ფეთქავს?!
მზე კი ვეღარ ფანტავს ღრუბლის მორევს დაძრულს
და გასცქერი ოხვრით
ქალაქს გადახანძრულს!..

27.12.93
ბათუმი

ო, კივის სული!..

ზვიად გამსახურდიას

ვერ დააწყვილე სანთელთან ტყვია, ვეღარ ჩადექი
სისხლში მუხლამდე
და წუთისოფლის
ულმობელ ტრიალს
სამაგიერო ვერ გადუხადე!..

მწარედ კივიან ისევ წამები! ყველგან ცრემლი და
სისხლის ტბორია!..
ასე დასრულდა
შენი წამების
ორმოცდაათი წლის ისტორია!..

შენ აღსდექ ერთი ყველას მაგიერ და დროს ეკვეთე
შურით დაბოღმილს,
კვლავ აღიმართა
შავი მაგია
და შეგრჩა შუბლი სისხლით ნაპოხი!..
შენ ბევრის მცოდნეს, უნდა გცოდნოდა, რომ ვამპირს
უყვარს სისხლის დალევა
და წუთისოფლის
ეკლიან გზაზე
ავი ძაღლივით მოგეპარება!..
ფრთა მოსწყდა სივრცეს უზარმაზარი, მამულის
დროშა სევდამ დახარა!..

ცრემლით სველდება
ღაწვი მწყაზარი
და დავით მეფის წმინდა ჭაღარა!..
მწარედ კივიან ისევ წამები, ყველგან ცრემლი და
სისხლის ტბორია!..
ასე დასრულდა
შენი წამების
ორმოცდაათი წლის ისტორია!..

12.01.94
ბათუმი

ვერ შეურიგდი!

სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის დრამატული თეატრის მსახიობს ომარ ელერდაშვილს, როცა გადამთიელებთან ომში ერთადერთი პირმშოს დაღუპვა შეატყობინეს, მეცხრე სართულიდან გადაეშვა!..

ვერ შეურიგდი საზარელ ტკივილს, სულის და ხორცის
ერთობ წამებას!..
ვერ შეურიგდი საზარელ ტკივილს,
ჟამის დემონურ ფერიცვალებას!..
ვერ შეურიგდი საზარელტკივილს და ერთადერთი
პირმშოს სიშორეს!..
ვერ შეურიგდი საზარელ ტკივილს
და ხორცის ტვირთი ჩამოიშორე!..
არწივის ფრთები გაშალე ქარში და ვეებერთელა
მსხვერპლი გაიღე!..
და შენს გაფრენას მიწიდან – ცაში
ჟამთაღმწერელი დაათარიღებს!..

18.01.94
ქუთაისი

რა ვუპასუხო?!

იმ სიმაღლიდან ნეტავ, ასე როგორ დაეშვი?
ვერ გამიგია, რად ინება
ასე უფალმა?
სად ნახავ ამდენ გარეწარს და სისხლით გალეშილს,
რომ გაიმეტოს ეს
ქვეყანა დასაღუპავად?!
რა ვუპასუხო წინაპართა სულებს ნაწამებს,
შენ გეკითხები,
მხოლოდ შენ ერთს, – რატომ ინებე?!
რბიან დღეები, კვლავ ამძიმებს ცრემლი წამწამებს
და ჩემს ოცნებას
ფრთებგარუჯულს მიაცილებენ!..
გული ყვირილით ეხეთქება პირქუშ ნაპირებს,
შენს შემდეგ ჩემთვის
მზე და მთვარე აღარ ინათებს!
ო, ეს ქვეყანა რად ჩაუგდე, ღმერთო, ვამპირებს,
ასე ულმობლად რად წამგლიჯე
სულის სინათლე?!
სოდომ–გომორად რად მიქცია მხარე ზღაპრული
და სათნოების ყველა კარი
რატომ დარაზე?
დავდივარ, მაგრამ სულმა ვეღარ გაიზაფხულა
და მზე მამულის
გადაეშვა სადღაც ქარაფზე!..

26.02.94
ბათუმი

ქალაქი ხუთ დღეში დაბერდა!

დემონმა ო, ეს რა გაბედა!, რაც მოხდა
ენით არ ითქმის!
ქალაქი ხუთ დღეში დაბერდა
და მოკვდა ხუთ დღეში თითქმის!..
სიცოცხლე, ასე ვინ დალეწა? შეხედე,
მხეცების ნასუფრალს!
ქალაქი ხუთ დღეში დაეცა
და ნგრევა ხუთ დღეში დასრულდა!
შეხედე, სანახებს გათელილს, რომ დღემდე სულს
ვეღარ ითქვამს!
ო, იმათ დაადგეთ ნათელი,
ვინაც თქვა კაცური სიტყვა!
ზღვა ზვირთებს სისხლიანს ახვევლებს და ბოღმას
ჯებირებს ახლის!..
ეს ჩონჩხად ქცეული სახლები,
ნახშირად ქცეული ბაღი!..
დემონმა ო, ეს რა გაბედა! რაც მოხდა
ენით არ ითქმის!
ქალაქი ხუთ დღეში დაბერდა
და მოკვდა ხუთ დღეში თითქმის!..

17.03.94
ბათუმი

ორი დიდი სისხლიანი დღე!!!

გაზაფხული – ცხრა მარტი და ცხრა აპრილი!
ორი დიდი სისხლიანი დღე!!!
ზღვა ღელავს და
ფიქრით მივსდევ სანაპიროს
და ვარ მწარე
მოგონების ტყვე!..
გაზაფხული – ცხრა მარტი და ცხრა აპრილი!
ვერ ვივიწყებ
იმ ულმობელ ჟამს!
ახლაც გლოვობს ცა მამულის უნაპირო
და სამოსელს ვერ
იშორებს შავს!..
შემზარავი ცხრა მარტი და ცხრა აპრილი!
როგორც დანა
კვლავ მისერავს გულს!..
შავი ფიქრი მოზღვავდა და მინაპირებს
და მახსენებს
იმ ორ გაზაფხულს!..
ცხრა მარტის და ცხრა აპრილის ქარტეხილი!..
ბარს და ტყვიას
აგებებდნენ მკერდს!..
და სიცოცხლე უსაშველოდ დაჩეხილი,
სისხლიანი ფრთები
ჰქონდა მტრედს!
გაზაფხული – ცხრა მარტი და ცხრა აპრილი!
მე იმ დღეთა

მოგონება მკლავს!..
სისხლმა ორჯერ გადარეცხა სანაპირო
და შხუილით
შეუერთდა მტკვარს!..
გაზაფხული – ცხრა მარტი და ცხრა აპრილი!
შემზარავი რიცხვი
გახდა ცხრა!
მუხლებამდე სისხლში იდგა საქართველო
და კივილი
აწყდებოდა ცას!..
სისხლით ღებეს მინდორი თუ ქვაფენილი!..
ხსოვნა, როგორც
ბედისწერა მდევს!..
და არწივი ლაჟვარდისკენ აფრენილი
ორთავე ფრთით
შეელეწა კლდეს!..
გაზაფხული – ცხრა მარტი და ცხრა აპრილი!
ორი დიდი სისხლიანი დღე!!!
ზღვა ღელავს და
ფიქრით მივსდევ სანაპიროს
და ვარ მწარე
მოგონების ტყვე!..

09.04.94
ბათუმი

თეთრი როიალი

პატარა მაიკოს ხსოვნას

ლურჯ ტალღებთან თამაშობდი გუშინ
და გათრობდა გაზაფხულის სუნთქვა!..
შენ რტოს ჰგავდი
აყვავებულ ნუშის,
აპრილის მზეს რომ იხუტებს გულთან...

ნუთუ ქვეყნად აღარ იყო ღმერთი,
რომ გაგფანტა ტალღამ აფეთქების?
კვნესის შენი
როიალი თეთრი
და ოცნება დამსხვრეული ფრთებით!..

დგას ნაპირთან ის პატარა სახლი,
სად ჰანგებთან გიხდებოდა ფრენა...
დარჩა ზღვასთან
დარდიანი ბაღი, –
შემოსილი შეღამების ფერად!..

შორს მიცურავს ღრუბლის ქულა თეთრი...
ვეღარ აკრთობს სიშორე და დაღლა!
აქ ყოველდღე
მოფარფატებს მტრედი
და ქათქათა ფრთებით მოაქვს ტალღა...

ზღვას კი შუქი ეფინება მკრთალი,
შენი სული ლაჟვარდებში ფეთქავს...
სიზმრებში კი

სამოსელით მთვარის,
მოდიხარ და ეფერები დედას!..

ჟამს ტკივილით სივრცე მოუთენთავს,
სდის ცრემლები ბაღში ზამბახს ქორფას!..
კვნესის შენი
როიალი თეთრი, –
დარჩენილი ცისფერ სახლში ობლად!..

12.04.94
ბათუმი

* * *

ვდგავარ მიჯნაზე ორი ეპოქის და მუხას მოსწყდა
ტოტი ბებერი,
მე სატკივარი ისეც მეყოფა
და მესმის შმაგი ყეფა ცერბერის!..
ვჭიმავ უსაზღვროდ ფიქრის ზამბარას და მოდის მღვრიე
ზვირთი ხმაურით,
ზღვა ტანზე იხდის
ნისლის ფაფანაკს,
აწყდება ჯებირს
აურზაურით!..
კვლავ სიყვარულით შენზე ვლოცულობ და მზვერავს
ისევ თვალი მზაკვარი,
სულო, ტკივილით გარემოცულო,
იარე გზებით მიუსაფარით!..

10.04.94
ბათუმი

მზე გაგაფხულის მოვა ბღვრიალა!

სწრაფი რეაგირების ძალების მეთაურმა თემურ გა-
ბუნიამ, როცა გადამთიელებთან ბრძოლაში მძიმედ
დაიჭრა, ტყვედ ჩავარდნას სიკვდილი არჩია და ხელ-
ყუმბარით თავი აიფეთქა.

გაზეთებიდან

ისევ მოაწყდა სივრცეს გრიგალი და შემზარავმა
ალმა იფეთქა!..
შენ ხომ სიცოცხლის შვილი იყავი
და სასიკვდილოდ, ვინ გაგვიმეტა?!
გეძახდა ცხრა ძმის სული უდრეკი, რომელიც ვერსად
ველარ ეტევა!..
მტერს გზაზე მტრულად გადაუდექი,
მოიგერიე ყველა შეტევა!..
თავისუფლების მოდგა აჩრდილი და ეს საშობლოს
იგრძნეს ხედებმა!..
სისხლში ცურავდი მძიმედ დაჭრილი,
სად სამომავლო მზე იხედება!..
მომხდურის ხელმა ვერ დაგამარცხა, თვითონ სიკვდილიც
შედრკა, გაფითრდა!
ხორცი მიუგდე ყორანს მამაცმა
და სული სადღაც ცაში გაფრინდა!..
გულიდან ცხელი სისხლი აწვიმე და გმირთა რიგში
ჩადექ თამამად!..
დღეს ფრთებს იმრთელებს ვაჟას არწივი

და ცაში ისევ შეჰკრავს კამარას!..
მამულს ეკუთვნი ახლა მთლიანად, ვეფხვის ნახტომიც
მისთვის მოგინდა!..
მზე გაზაფხულის მოვა ბდღვრიალა
და სიყვარულის ყვავილს მოგიტანს!..

04.05.94
ბათუმი

ბიჭო, სიკვდილს რა უნდოდა შენთან?!

აფხაზეთის ომში დაღუპულ
მერაბ გუნიას ხსოვნას

ბიჭო, სიკვდილს რა უნდოდა შენთან, როცა ცისკრის
შუქით იყავ სავსე!..
ბიჭო, სიკვდილს რა უნდოდა შენთან,
ასე რატომ ჩაგისაფრდა გზაზე?!
ბიჭო, სიკვდილს რა უნდოდა შენთან, მზე მაისის
გიღიმოდა ვნებით!..
ბიჭო, სიკვდილს რა უნდოდა შენთან,
ასე, როგორ დაგილეწა ფრთები?!

ბიჭო, სიკვდილს რა უნდოდა შენთან, – ამ შავ ყორანს
განთიადის ფერთან?!
ბიჭო, სიკვდილს რა უნდოდა შენთან,
როცა გული აღტაცებით ფეთქავს!..
იქ, ზღვის პირად ტირიფი დგას ერთი, გაწეწილი და
ჭაღარა თმებით!..
მისი ცრემლი ზღვას მღელვარეს ერთვის, –
ცას შეჰკივის ღამე გააფთრებით!..
შენზე ვფიქრობ გული ცრემლით დალბა, ეს ვინ გასვა
ულმობელი შხამი?!
შენი სულის ტკივილია ალბათ
ზღვა რომ ჯებირს ეხეთქება ღამით!..
ბიჭო, სიკვდილს რა უნდოდა შენთან, როცა ცისკრის
შუქით იყავ სავსე!..
ბიჭო, სიკვდილს რა უნდოდა შენთან,
ასე რატომ ჩაგისაფრდა გზაზე?!

12.06.94
ბათუმი

სიკვდილს სიკვდილითა სძლიე

აბელ შონიას ხსოვნას

ვაჟკაცი წყნარი სჯობია,
რომ გაჭირდება მჭექარი!
ხალხური

ო, ის ქარიშხალი დაცხრა და თვლემს შავი
ნისლი ზღვაზე,
სამანს დავიწყების გასცდი
კაცი კაცურობით სავსე!..
სტვენდა ათასობით ტყვია, მაგრამ ვერ
გიცვალა მხარი!
შენ ხომ ჭრილობა ხარ ღია
ჩემი სევდიანი ქნარის!..

ბოლმის აბობოქრდა ლავა, დროს არ
შეუშინდი მღვრიეს
და ავს შეეგებე ავად,
სიკვდილს სიკვდილითა სძლიე!..
იყავ უჩვეულოდ მშვიდი, თანაც შემართული
ერთობ,
ისევ მიაგელვებს ჟამი
შენი უკვდავების თეთრონს!..

22.06.94
ბათუმი

დედა

კოდორთან მოგიკლეს შვილი, სად სივრცე
ღმუოდა ცხელი!..
კოდორთან მოგიკლეს შვილი,
მოცელეს ტყვიების ცელით!..
ცეცხლი და გრიგალი ქროდა და გულში
იკრავდი ცხედარს!..
თორმეტი ჭრილობა ჰქონდა
კოდორთან დაცემულ მხედარს!.
ბალახებს აფენდი ნატყვიარს, გული არ
იშლიდა ფეთქვას!..
და ვეფხვის ნახტომი ატყვია,
იმ მინდორს,
იმ ბექობს დღესაც!..
თითებით ფხოჭნიდი სამარეს, ხელები
გიგავდა ნიჩაბს!..
მზე მოსწყდა თვალების კამარას,
მოგიკლეს ლომგული ხვიჩა!.
საკუთარ ხელებით დამარხე, სანთელიც
აუნთე მხედარს!..
და გამხმარ ფოთლებს
და ბალახებს
აფენდი სამარეს–დედა!
იდექი შენ, როგორც სანათა და იყო
ჭურვების სკდომა,
თვალებით ეძებდი სამართალს
და ტკივილს არ ჰქონდა ზომა!..

მზე ადგა მდინარეს ირიბი და ჟამი
არხევდა ფარდას,
ტიროდა ჭაღარა ტირიფი
და ცრემლებს აღვრიდი საფლავს!..
კოდორთან მოგიკლეს შვილი და გულში
იკრავდი ცხედარს,
თორმეტი ჭრილობა ჰქონდა
კოდორთან დაცემულ მხედარს!

12.07.94
ბათუმი

შემოდგომის მზე მოჩანს

თბილისში 1989 წლის 9 აპრილს
დაღუპულთა ხსოვნას!

თქვენს სახელებს შემორჩა მძლავრი შუქი დიდების,
შემოდგომის მზე მოჩანს
სივრცეს განაკიდები...
თქვენს საფლავზე ინთება მთვარის თეთრი აფრები,
მაგ სახელებს დიდება
ციურ შუქით დაფენილს...
თქვენს საფლავთან ოცნების ლურჯი დაფნა შრიალებს,
ვდგავარ განაოცები
წუთისოფლის სიავით!..

25.08.94
ბათუმი

სოხუმი. 1993 წელი!

სინგურისფრად ზღვა შეღება ჟამმა და ქალაქი
ნანგრევებში მიწვა!..
ქარტეხილმა გადიქროლა შავმა
და შიშისგან აცახცახდა მიწა!..
ვინ აღრიცხავს აქ დაცემულ მხედრებს, ისევ ვისმენ
ყვავ-ყორნების ჩხავილს!..
ნაპირებზე ვამპირები სხედან,
მზე თვალებით დაშრეტილით ბღავის!..
რამ გაძარცვა ხეივნები მწვანე, ცა კვლავ მოჩანს
შებოლილი კვამლით,
ისევ კივის ის დღეები მწარედ,
ყველგან მოჩანს
ბოროტების კვალი!..
სინგურისფრად ზღვა შეღება ჟამმა და ქალაქი
ნანგრევებში მიწვა!..
ქარტეხილმა გადიქროლა შავმა
და შიშისგან
აცახცახდა მიწა!..

20.09.94
ბათუმი

* * *

უშფოთველად ვერ ვიხსენებ გაგრას! უტკივილოდ ვერ
ვიგონებ ტამიშს!..
სულს წუხილი
შემოუტევს მაგრად
და კოშმარი მეუფლება ღამის!..
ისტორია დაივიწყებს განა, ამდენ წყევლას და
ნაწამებ თვალებს?!
ო, ამდენი ბოროტება მზარავს,
ვცდილობ, მაგრამ
ველარ ჩამოვთვალე!
თემურლენგსაც შეაკრთობდა იგი, რაც ვიხილეთ და
რაც ველარ ვნახეთ!..
ქვეყანაზე როგორ
გაჩნდა მიკვირს,
კაცის სახით – მხეცის შავი სახე?!
უშფოთლველად ვერ ვიხსენებ გაგრას! უტკივილოდ
ვერ ვიგონებ ტამიშს!..
სულს წუხილი
შემოუტევს მაგრად
და კოშმარი
ეუფლება ღამის!..

21.09.94
ბათუმი

ვინ გაგიმეტა?!

ვინ გაგიმეტა და ვინ დაგწყევლა,
ო, ასე ღირსი თაყვანისცემის?!
როგორ მაწამებს შენი დაცემა
და ფეთქავს ყველა ჭრილობა ჩემი!..
დალეწილია სივრცე მთლიანად,
გულმა ვით ზიდოს ეგ სიმძიმილი?!
დრომ, რა ულმერთოდ გაგატიალა,
რა დაგვრჩა? – მხოლოდ
მწარე ტკივილი!..

23.09.94
ბათუმი

ცხრა ძმის გეძახოდა სული!

თემურ გაბუნიას ხსოვნას

როგორც მამულის მთებს ნისლი, ისე მოგვეძალა მტერი,
ერთობ აგვიმღვრიეს სისხლი
და ცა საფირონის ფერი!..
ცხრა ძმის გეძახოდა სული, თითქოს მოითხოვდა შველას!
აღარ გიფიქრია სულაც,
ისე გაიჭერი ველად!..

მხედრის გამხნევებდა ნიჭი, მომხდურს ჩაუდექი კვალში,
ისე ბობოქრობდი, ბიჭო,
როგორც ზღვა ბობოქრობს ქარში!...
ჟამი დავიწყებას აწი, ვეღარ შემოგბედავს მხედარს,
ცრემლმა დაუსველა ღაწვი
შენზე ლოცვით დაღლილ დედას!

ისევ გაზაფხული მოვა და ფრთებს ცისარტყელად გაშლის
და შენს ნაფეხურებს მხედრულს
მზე კვლავ ჩაუდგება კვალში!..

24.09.94
ბათუმი

გემი აღმართზე მოდის

ახლა ზღვის პირას ვდგავარ განაწამები ბედით,
დროსთან მიხდება დავა
და მზე ღრუბლებში შედის...
ახლა ზღვის პირას ვდგავარ, გულო,
არ დამიღონდე!
ზვირთს ამბოხებულს ვგავარ,
რომ უნდა დაფშვნას კბოდე!..
ისევ განგაშებს სივრცე!.. რწმენას
გაუქრა ბზარი!..
გემი აღმართზე მოდის,
გრიგალთან ნაომარი!..

25.09.94
ბათუმი

მიქრის სადღაც ჩემი ეტლი

მიქრის სადღაც ჩემი ეტლი და მე ქროლვას
უჩვეულოს ვენდე,
მიქრის სადღაც ჩემი ეტლი
და ქარებმა
გზა ვერ ჩამიკეტეს!..
მიქრის სადღაც ჩემი ეტლი და რაშები ჟამს
უტევენ ფიცხელ,
მიქრის სადღაც ჩემი ეტლი
და ჭენებით შეძრულია სივრცე!..
მიქრის სადღაც ჩემი ეტლი და დემონებს თვალები
აქვთ მჭრელი!
შენ რა იცი, ხვალ რას მეტყვის
ეს საწუთრო მაცდური და ჭრელი?

მიქრის სადღაც ჩემი ეტლი, ვერ უცვალეს
გრიგალებმა მხარი!
მოვიტოვე ჰერკულესის სვეტი
და ამ ქროლვას
აღარა აქვს ზღვარი!..
მიქრის სადღაც ჩემი ეტლი, დემონებმა მომანთხიეს გესლი!..
გზას მინათებს ის ვარსკვლავი თეთრი
და, ძვირფასო,
კვლავ შენი ხმა მესმის!..
მიქრის სადღაც ჩემი ეტლი და მივფრინავ
ვარსკვლავების ზემოთ,
გავშორდები ამ მიწიერ ღელვას,

მაგრამ მუდამ მომიგონებ ჩემო!
მიქრის სადღაც ჩემი ეტლი და რაშები ჟამს
უტევენ ფიცხელ,
მიქრის სადღაც ჩემი ეტლი
და ჭენებით
შეძრულია სივრცე!..

09.10.94
ბათუმი

ვერ გავკაფე მამულისკენ გზები

წყურვილი მკლავს მაგ თვალების ნახვის!..
უკვე მიდის ეს
პირველი წელი!
ჟამი გზაზე ფრთებს მრისხანეს მახლის
და განაჩენს
ბედისწერის ვწყევლი!
როცა გულზე ცეცხლი მომეგზნება,
მაშინ ჩემთან
შენი ლანდი მოდის!
ვერ გავკაფე მამულისკენ გზები
და სევდიანს
მივეჩვიე მოტივს!
მეც ვცხოვრობდი ზღაპრებით და მითით!..
ბევრჯერ რწმენას
გულუბრყვილოდ ვენდე!
დღეს კი სადღაც მიმაქანებს ზვირთი
და ვიცი, რომ
სადმე მიმახეთქებს...
წყურვილი მკლავს მაგ თვალების ნახვის!
უკვე მიდის ეს პირველი წელი!
ჟამი გზაზე ფრთებს მრისხანეს მახლის
და განაჩენს
ბედისწერის ვწყევლი!

29.12.94
მოსკოვი

ბათუმი

შენს ქუჩებს და ხეივნებს, როცა ღელვით ვეწვევი,
მხვდები მზის და ვარდების
საოცარი მეწყერით!..
ზღვა ლაჟვარდის ირხევა ყელზე მთვარის მძივებით
და ცა გადაიხევა
შუქთა აციმციმებით!..
ო, ამდენი ჭრილობით რწმენამ ფრთები დახარა,
შენ კი ცრემლი შეუშრე
ჩემს ნაადრევ ჭაღარას!
შენი ზეცის ხავერდი მექცა სათაყვანებლად
და მე ყველგან გამყვება
შენი ლურჯი ზმანება!..
შენს ქუჩებს და ხეივნებს, როცა ღელვით ვეწვევი,
მხვდები მზის და ვარდების
საოცარი მეწყერით!..

22.04.95
ბათუმი

ღამით

დავდივარ ზღვასთან ახლოს, სული ვერ უძლებს ლოდინს!
და სიჩუმეში ხეთა
მხოლოდ შენ მომაგონდი!
და ჭრის სინათლე შორი ღამეს პრიალა დანით,
სივრცე საგსეა ბროლით,
ალვის ტანი კი – მთვარით...
ზღვა თალხი ფერის მოჩანს ნისლების დიადემით,
გულო, ტკივილებს მორჩი,
დროს ფიქრი მიადევნე!..
დგას ყველაფერზე მაღლა სული ციური ქნარით
და ზღვას ანაზებს შუქი,
თუ ათინათი მთვარის...
ქალაქს მთა გადმოსცქერის თოვლის ქათქათა ქურქით,
მიიზლაზნება გემი
გადატვირთული შუქით...
მე, რასაც ვეძებ, იმას მაინც ვერ მივაგენი,
მძაფრი ტკივილით კივის
ო, ჩემში ყველა გენი!..
დავდივარ ზღვასთან ახლოს, სული ვერ უძლებს ლოდინს!
და სიჩუმეში ხეთა
მხოლოდ შენ მომაგონდი!..

26.11.95
ბათუმი

* * *

სულს ლექსთან შებმა უჯდება ძვირად!
ო, რა ჩუმია ეს ზღვა
ამ ღამით?
არ ეკარება ჩემს თვალებს ძილი
და სადღაც ახლოს
უკრავს არღანი!..
მე კი სარკმელთან ვზივარ და უხმოდ
გავცქერი ქალაქს
ნისლში მთვლემარეს...
ისევ ვიღაცას
ვეძახი, ვუხმობ
და ვცურავ ფიქრში ღამის მთევარი!..

29.11.95
ბათუმი

არვის ვახსოვარ!..

ვერ იქნა, ტკივილს ვერ მოვერიე,
მე შორს ვარ ახლა, არვის ვახსოვარ!
წუხელ ზღვა იყო საშინლად მღვრიე
და ჟამმა სევდა
შემომაქსოვა!..
წუხელ ზღვა იყო საშინლად მღვრიე,
დაობდა ქარი ცისფერ აფრებთან,
მე მოგონება მტკიოდა ძლიერ
და თოვლი მხრებზე
ხავერდს მაფენდა...
სივრცე ზვირთებმა კვლავ დაარბიეს
და ციდან შეწყდა მთვარის ნათება!
ღელვამ აიკლო ისევ ნაპირი
და მე არ ვიცი,
რა მემართება?!
მიდის მეოცე რღვევით, შეტევით,
ვერ გაექცევა ალბათ ბრალდებას!
მე ზღვასთან ახლოს დავეხეტები, –
ოცდამეერთის ვგრძნობ დაბადებას!..

30.11.95
ბათუმი

წელი მიდის ძველი

ზღვა ნაპირებს ეფერება... მზის ამოსვლას ელის,
თოვლის ქურქში დგანან მთები,
წელი მიდის ძველი...
დღეს აქა ხარ, ხვალ კი წახვალ, წინ გზა გიდევს ძნელი,
სული ძალას გამონახავს,
მუხლო გაუძელი!..
ცამ სინაზე გადმოღვარა, მოდის ქვეყნის მხსნელი,
მოგონება გულს მიბზარავს,
თვალებს მივსებს ცრემლით!..
დავდივარ და არვის ვუმხელ ჩემს ტკივილს და დარდებს,
მხოლოდ ერთხელ, ისიც წუხელ
ზეცას შევღაღადე!..
ზღვა ნაპირებს ეფერება... მზის ამოსვლას ელის,
თოვლის ქურქში დგანან მთები,
წელი მიდის ძველი!..

25.12.95
ბათუმი

ეძახის სული შორეულ ქარებს

ვტოვებ ოთახს და გავდივარ გარეთ, სივრცე სავსეა
ჩრდილებით მთვარის,
ეძახის სული შორეულ ქარებს
საგაზაფხულო ფერებით მთვრალი!..

ვტოვებ ოთახს და გავდივარ გარეთ, ზეცა საოცარ
სილურჯეს მაღვრის,
დაეხეტიალობ მანფრედის მსგავსად,
შემოშრიალებს ცისფერი ბაღი!..
ვდგავარ ზღვის პირას, ფიქრით ცას ვერწყმი,
სულის მემბრანას
შემირხევს ჟამი!..
და მოაქვს ნიავს სიმღერა ლერწმის,
ვით იდუმალი
შრიალი ღამის!..

12.04.96
ბათუმი

თუ ვერ აამღერე

სული ეშხით თუ ვერ აამღერე,
ჟამის დანა გულს დასერავს თოთოს!
დაგამსგავსებს შენ შლამიან ღელეს,
ან უმწეო
შემოდგომის ფოთოლს.
სიყვარული რამდენ რამეს მოგთხოვს,
თუნდაც ცხრა მთას გადაგაფრენს მერე...
სული ეშხით თუ ვერ აამღერე, –
ჟამის დანა გულს
დასერავს თოთოს!..

16.04.96
ბათუმი

მზეს საით მიეჩქარება?!

მზემ ზენიტს გადააბიჯა და გაიტრუნა ბუნება,
ხმა იდუმალი მოდის და
წარსულზე მეჩურჩულება!..
მზემ ზენიტს გადააბიჯა, მერე დაღმართზე დაეშვა,
მზემ ზენიტს გადააბიჯა
და მიმღვრევს სულის კაეშანს!..
მზემ ზენიტს გადააბიჯა, გულს უჭირს
სევდის ტარება!
მზემ ზენიტს გადააბიჯა,
საითკენ მიეჩქარება?!

15.07.96
ბათუმი

რტო ჩამოტყდა ალუბლის!

გ. დოლიძეს

იადონის ხმა გქონდა და ხარ–ირმის სილაღე,
იადონის ხმა გქონდა
და ვარსკვლავთა სიმაღლე!
სიშორიდან აფრენილს ცა ქართული გელოდა,
იადონის ხმა გქონდა
და ჩვენს ტკივილს შველოდი!..
ალიონი ალაზნის ხოხობივით ყიოდა
და შენი ხმა გულიდან
გულზე გადადიოდა!..
ყველა კუთხე–კუნჭული მღერით მოიმთაბარე,
გალობ თვალდახუჭული,
თავს ვარსკვლავებს აფარებ...
უგალობე იმერეთს, ქართლს კახეთს და მთიანეთს
და შენი ხმის ჯადოთი
ერი გაამთლიანე!
რტო ჩამოტყდა ალუბლის და შენ ცისკენ აფრინდი
და იქიდან უგალობ
გულებს დარდით დაბინდულს!..
ყველა კუთხე–კუნჭული მღერით მოიმთაბარე,
გალობ თვალდახუჭული,
თავს ვარსკვლავებს აფარებ...

25.11.96
ბათუმი

არ გაქვს უფლება!

გენერალ როდიონოვს

არ გაქვს უფლება, რომ გენერლად იწოდებოდე,
ცისქვეშ დემონთა
აღზევება, როცა გახარებს!..
თავისუფლების მზე, როდესაც ფეხზე დგებოდა,
შენ ჩემი ქვეყნის ანგელოზთა
სისხლი დაღვარე!..
არ გაქვს უფლება შემართული იდგე საჭესთან,
შენი სახელი ტყუპისცალი
გახდა ვამპირის!..
ო, გწყევლის ჩემი საქართველო მძიმედ დაჭრილი
და ცა მშვიდობის მოყვარული
და უნაპირო!..
არ გაქვს უფლება მზეს უცქერდე, – სიცოცხლის დედას,
გადაუარე ჩემს სალოცავს
მღვრიე სამუმით!..
მაგ შენს მუნდირზე ო, სისხლშემხმარ ნაკვალევს ვხედავ
და გიცქერს ზიზღით ყველა თვალი
ჩემი მამულის!..
არ გაქვს უფლება, გენერალო, აქეთ მოხედვის,
თავისუფლება, როცა ლეწე
ხიშტით, ბარებით!..
მიკვირს ძალიან, კვლავ საჭესთან, როგორ მოხვედი,

მთელი მსოფლიო, როცა გიცნობს,
როგორც ბარაბას?!
არ გაქვს უფლება, რომ გენერლად იწოდებოდე,
ცისქვეშ დემონთა
აღზევება, როცა გახარებს!..
თავისუფლების მზე, როდესაც ფეხზე დგებოდა,
შენ ჩემი ქვეყნის ანგელოზთა
სისხლი დაღვარე!..

14.09.97
მოსკოვი

რა მინდა მაშინ?!

თუ ვერ მოვტეხე ცხოვრებას ჯანგი
        და ცის და მიწის ვერ ჩავწვდი კავშირს!
ვის, რად სჭირდება ეს ჩემი ჩანგი,
მე ამ მიწაზე
რა მინდა მაშინ?!

თუ დაჭრილს ვეღარ ვუშველე მოძმეს
        და სიძაბუნე შემეტყო ხმაში!
ვის რად სჭირდება უბრალო მოწმე,
მე ამ მიწაზე
რა მინდა მაშინ?!

თუ კეთილისგან ვერ ვარჩევ ბოროტს
        და ორგულს ვეღარ ჩავარტყი თავში!
სულო, მითხარი, ბოლოს და ბოლოს,
მე ამ მიწაზე
რა მინდა მაშინ?!

თუ ვერ ვანსხვავებ სატრფოს და მეძავს
        და თეთრ იალქნებს ვერ გავშლი ქარში!
რად მინდა კაცის სამოსი მეცვას,
მე ამ მიწაზე
რა მინდა მაშინ?!

თუ ჩემმა ლექსმა სათქმელი ვერ თქვა
        და შემოტევას გაექცა ჟამის!
რად მინდა გულის უბრალო ფეთქვა,
მიჯობს ათასწილ

სამარე შავი!..
სულმა გაფრენა თუ ვერ ინდომა
            და ფრთებს სივრცეში ამაოდ არხევს!
ცასა და მიწას ვეტყვი მშვიდობას
და ჩემ სიცოცხლეს
მე თვითონ დაეხევ!..

16.09.97

მოსკოვი

სულის აფრები

შენა ხარ ჩემი ფიქრი ულევი, რა ვუყო ამ გულს
ბედით გათელილს?!
თვით სიცოცხლესაც დავემდურები
თუ ვერ აგინთე
ერთი სანთელიც!
შენა ხარ ჩემი დარდიც და ცრემლიც! შენით ფეთქავენ
სულის აფრები!...
მიქრის თქარუნით
ზერდაგი ჩემი და ფრთებს ვულეწავ
დღეებს გაფრენილს!..
შენა ხარ ჩემი სულის მდინარე საგაზაფხულო
სხივით ნაღვარი!..
როგორ იქნება გაუჩინარდეს
ეს ჩემი მზე და ზეცა მაღალი?!
ლექსო, მომავალს ნეტავ რას ეტყვი, სულო, შენ
საით მიემართები?!
რა ვუყო ამ გულს
ჟამით დასეტყვილს,
თუ ვერ გავათბე ზეცის ნათელით?!

20.09.97
მოსკოვი

გულს სიყვარული დაემშვიდობა

დრო განშორებას შენთან მაყვედრის და მომეძალა
გულზე ნაღველი!..
არავინ იცის, საით წახვედი,
ასე ლამაზი და საყვარელი!

ცა შემოდგომის ცრემლით მასველებს,
დე, დამასველოს,
არც მენაღვლება!

მე მგზნებარებით ისევ სავსე ვარ
და სულს მოუნდა
კვლავ განახლება!..

25.09.97
მოსკოვი

ამაოდ გავცქერ!

იმ გზას შორეულს ამაოდ გავცქერ,
გული გრძნობს ისევ
უცნაურ ტკივილს!
ვნახოთ, უშენოდ სანამდე გავძლებ
და ვისმენ ხიდზე
ელმავლის კივილს!
დღე, დანასავით პრიალებს ცივი,
ახლა რა მაქვს და
რა უნდა გავცე?
ვერ მწვდება შენი ღიმილის სხივი
და გზას შორეულს
ამაოდ გავცქერ!..

05.10.97
მოსკოვი

უკანასკნელი ომი

მინაწერი კონსტანტინე გამსახურდიას
რომანზე – „დავით ალმაშენებელი“

სიკვდილს არ დაემორჩილა უდროოდ
მოსულს იგი!
ახრდილი მოდგა, მორჩილად
წასვლა უბრძანა იქით!..
მეფემ აბჯარი მოირგო, დარტყმაც
აგემა ლომის!
და მაინც ვეღარ მოიგო
უკანასკნელი ომი!

06.11.97
მოსკოვი

რას უცდი სანჩო?!

მოძმეთა შორის არავინ დამრჩა!
სულში ბიბინებს სევდის ჯეჯილი...
და ქვეყნის მხსნელი არა და არ ჩანს,
ვდგავარ ტკივილით
გულდაგლეჯილი!..
გავცქერი სივრცეს და ბოღმა მახრჩობს,
არ მინდა ვგავდე უსულო საგანს!
რას უცდი, – რაში მომგვარე, სანჩო!
რომ დარჩეს ჩემი ცხოვრების საგა!..

31.12.09
მოსკოვი

საბას საფლავი

დრო მიდის ზავთით, გრაგანით, სულო,
ნუ დამიღონდი!
მისი საფლავი აქ არის,
ვეძებ და ვერსად ვპოვე, – რამე წარწერის მაგვარი
და ვერც უბრალო ლოდი,
ო, მოწმე მისი აქ ყოფნის,
რომ დაფარულა ბნელით!
ის ბრძენი იყო საქვეყნო,
არა უბრალო ბერი!

30.11.97
მოსკოვი

მივდივართ ორი

თითქოს გულში მაქვს გაჩრლი დანა,
და ტკივილისგან
კაცი ვილევი!
რა საოცარი დუმილით დგანან
ნაძვები თოვლით
შემოსილები?!
სისხლი იღვრება ქათქათა თოვლზე
და კივის მედგრად
თეთრი მხედარი!..
ჩვენ კი მინდორზე მივდივართ ორი
და მოჩანს დროის ნათავხედარი!..

06.12.97
ბათუმი

* * *

რად შემაშფოთე ასე უღვთოდ, დროვ ულმობელო!
რატომ დამკიდე წამწამებზე
წვეთები მძიმე!..
ჩემს გზას პოეტურს, ასე რატომ უცვალე ფერი,
რად ამიმღვრიე საუკუნოდ
ცა მოციმციმე?!
წავიდა ის დრო! უკვე შენგან არაფერს ველი,
ნამსხვრევად მექცა
რუდუნებით კოშკი ნაგები!..
რად შემატოვე საუკუნოდ თვალები სველი,
რად შემაშფოთე, ასე უღვთოდ,
ძალავ განგების?!

22.12.09
მოსკოვი

ჩემი პლანეტა

ჩემი ოცნების მწვანე პლანეტავ,
ო, მე არ ვიცი
            რა გეშველება?
შენი ხატება მექცა ზმანებად
და მეძარცვება
შენი მშვენება!
ველარ აგინთე შუქი იმედის,
ვერ დავულეწე
            ფრთები გარეწარს!
ეგ შენი სევდა მეც მაძძიმებდა
და მატირებდა
შენი მღვრიე ცა!..
ვერ მოგეფერეთ დედას უნაზესს,
ო, მოშრიალეს
            მზის ქვეშ ეულად!..
სიცოცხლეს კარი გადავურაზეთ
და ტკივილებმა
დაგასნეულა!..

09.02.98
მოსკოვი

* * *

შენ დარჩი მარტო მდინარის მიღმა
და დღემდე მესმის
ფარული კვნესა!..
შენ დარჩი მარტო მდინარის მიღმა
და ეს ტკივილი
სულს მიმღვრევს დღესაც!..
სულო, მითხარი, საითკენ წახველ?
ოცნება რატომ
მიქცია ფერფლად?!
მე შენზე ფიქრი მიმატებს ნაღველს
და ჩემში ასი
ჯრილობა ფეთქავს!..

18.02.98
მოსკოვი

* * *

გუშინ ისევ ქარბორბალა უტევდა
            და მთებიდან დაშვებული ზვავი!..
თოვლმა ბევრჯერ ტანი გადაუთეთრა,
გული შერჩა ყორანივით შავი!..
დაძრწის გზებზე, როგორც მგელი ტრამალის
            და ვერსად ვერ უპოვია ლუკმა!..
სამუდამოდ ელოდება სამარე
და ორკესტრი ყვავ-ყორნების უკრავს!..

11.03.98
მოსკოვი

გულს!

მითხარ, რად შეკრთი, გულო, ამგვარად?
იქნებ, არ ძალგიძს მეტის ატანა?!
მითხარ, რად შეკრთი, გულო, ამგვარად?
იქნებ, იმიტომ, რომ
ხარ პატარა?!
ამქვეყნად მოსულს სიცოცხლის ალმით,
ვინ აგიმღვრია სილურჯე სივრცის?
იქნებ, ვერ უძლებ სიმძიმეს კალმის
და ამპლიტუდას
ნიადაგ იცვლი?!
ისევ ირხევა ჟამის ქანქარა,
მაგრამ არავის არა გაქვს შიში!
მითხარ, რად შეკრთი, გულო, ამგვარად?
იქნებ უბრალოდ,
დრომ გითხრა ქიში?!

19.12.09
მოსკოვი

ეს არის ბედის დაცინვა!

ჩემი ოცნების ტაძარი მზემ ვეღარ მოახავერდა,
ვაწყდები ჯებირს საზარელს,
სული წამებით დაბერდა!..
ეს არის ბედის დაცინვა, ყველა შარაგზა მოვშალეთ,
ის არ მოგვწონდა, რაც იყო
და დავუბრუნდით კოშმარებს!..
ჟამის დინებამ წაიღო ის ნაფიქრ-ნაოცნებარი
და ჯოჯოხეთი შემოგვრჩა
კართან ცერბერით მყეფარით!..

10.05.98
მოსკოვი

არ გაიკარო ნაღველი

იმ ნაფეხურებს გაჰყევი გამარჯვებულის დარად!..
არ გაიკარო ნაღველი,
გქონდეს სიმხნევე ფარად!..
იმ ნაფეხურებს გაჰყევი, არ გადუხვიო არსად,
ქარში გაიხსენ საყელო,
ვინმე იმ მოყმის მსგავსად, –
ვინც ხალიბური დალეწა ვეფხვს რომ
ეკვეთა მედგრად!..
ველზე თვითონაც დაეცა,
ვეფხვსაც უტირა დედა!

15.08.98
მოსკოვი

შემოვრჩი მწუხრის ტრამალს!..

ვერ დავამშვიდე სული და ვერც სიმები ჩანგის,
წავიდა ჩემი სამი დრო
და გულზე გამკრა ჭანგი!

ვერ დავამშვიდე სული, სიმს ვერ შევძინე სხივი
და ჩემს გაძარცულ რტოზე
ზამთრის ჩიტუნა წივის!..
ვერ დავამშვიდე სული, ვისმენ ზარების კივილს,
ეს ხომ ტანჯვაა სრული,
რომ ვერ ვიშორებ ტკივილს!..
მოღელავს დროის მდინარე და შორს ხმაურით მიდის!..
და დასახევი უკან
ჩამიტყდა ყველა ხიდი!

რამხელა სევდა დამაქვს, ზამთრის ქარები ქრიან,
ქვეყნად წამებას ამგვარს, –
ჩემი ცხოვრება ჰქვია!

10.12.98
მოსკოვი

სულს სტკივა შენი სიშორე!..

ისევ მეღვრება ფიფქები, მზემ თითქოს
გადამივიწყა!
როგორ დამღალეს ფიქრებმა,
და მაინც შენსკენ მივიწევ!..
ჩემი ნატვრის ხე შენა ხარ, სულს აღმაფრენა ედება!..
მე მტკივა ნაიარევი,
მაგრამ არც რწმენა ბერდება!

მოდის და მოდის ფანტელი, სივრცე ჰგავს
თოვლის საგუბარს!..
სულს სტკივა შენი სიშორე,
და ეს სიშორე დაღუპავს!

24.12.98
მოსკოვი

როცა დარეკა ზარმა!

მ–ს ხსოვნას

სიცოცხლე არად ჩააგდე, დროს არ
უცადე ზარმაცს!
სიცოცხლე არად ჩააგდე,
როცა დარეკა ზარმა!
მზე ჭაბუკობის ჩავიდა და გზა
გამოჩნდა ცივი!
სიცოცხლე არად ჩააგდე
შემოღობილი რკინით!..
გაუძელ რამდენ წამებას, დალევას
რამდენ შხამის?!
და ფიქრი ფიქრებს წაება,
ო, შემზარავად შავი!..

ზღვა მშობლიური მოგწყურდა და მზის
ალერსი დილის!
მოგონებები წაიღე, ბიჭო,
საოცრად თბილი!..

უხმოდ განშორდი ძმა–ბიჭებს, სიკვდილს
არ შეუშინდი!
ცა, როცა ღრუბლით აიჭრა
და დრომ მოზიდა მშვილდი!

ერთხანს უცქირე სარკმლიდან შორი

ვარსკვლავის ციმციმს...
და სული საით გაფრინდა,
ეს ხომ არავინ იცის?!
შენც მსხვერპლი გახდი, უთუოდ, იმ
შემზარავი ომის!
როს ბოროტებამ გაშალა
რუხი ფაფარი ლომის!..

და სატრფოს გვერდით მიწექი
სასაფლაოზე სოფლის!
სად ცა მაღალი ირწევა
და სულს სიმშვიდე ყოფნის!..

სიცოცხლე არად ჩააგდე, დროს არ
უცადე ზარმაცს!
სიცოცხლე არად ჩააგდე,
როცა დარეკა ზარმა!..

16.03.99
მოსკოვი

ამაოდ კივის მხედარი

გიტევს სიკვდილი, პლანეტავ, ამაოდ
კივის მხედარი!..
გიტევს სიკვდილი, პლანეტავ,
დემონთა ნამოქმედარი!..
ნადავლს ერთმანეთს უყოფენ, შურმა
სიკეთე დალეწა!..
გზას, ვინღა გადაულობავს,
ამდენ გიჟსა და გარეწარს?!
სული კაენის ნავარდობს, ალბათ მზეც
შეწყვეტს ნათებას!
აქ ბოროტება თავადობს,
გათელეს შენი ხატება!..

01.04.99
მოსკოვი

კიდევ რა გველოდება?!

მომავლის დღენი არ იქნება
იმედის მფენი!
ლორდ ბაირონი

გვიტევს ვეფხვის სიმარდით, უკვე არ გვედგომება!
კატასტროფამ იმატა,
სისხლისღვრამ და ომებმა!..
ჟამს მოედო უცვლელად: წყევლა, კრულვა, გოდება!..
ნეტავ, ერთი ვიცოდე,
კიდევ რა გველოდება?!

12.09.99
მოსკოვი

საშბარი საბას აჩრდილთან

სად წაიყვან სადაურსა,
სად აღუფხვრი სადით ძირსა?!
შოთა რუსთაველი

სახე ღრუბლით აცრეცოდა მთვარეს,
მიწა თოვლის
ეხურავდა საბანს...
გათოშილი ჩრდილოეთის ქარით
მონასტერთან
მარტო იდგა საბა!

მწუხარებით გაფითრებულ სახეს
ციდან სხივი
ეცემოდა ცალფა!
მონასტერთან მარტოდმარტო ვნახე,
აქ საიდან, –
საქართველოს პაპავ?!

ნუთუ არსად აღარ იყო შველა
და მაცხოვარს
უყვებოდი ამბავს!..
ცაზე მთვარე მიცურავდა ნელა,
აქ საიდან, –
საქართველოს პაპავ?!
თალხი ფერის ეცემოდა ჩრდილი
ხეტიალში
გახუნებულ კაბას...

და ვისმენდი შენს ლოცვას თუ ტირილს,
აქ საიდან, –
საქართველოს პაპავ?!
შემზარავად დალეწოდა ფრთები
დავითის და
თამარ მეფის მთა–ბარს!
და შენ იდექ ლოცვით ანანთები,
აქ საიდან, –
საქართველოს პაპავ?!
ქართლის ჭირი შენ ხურჯინით ზიდე,
გული არსად
არ მალავდა ვარამს!
ისე გაჰყევ წუთისოფლის ბინდებს,
არაფერი გაგყოლია ვალად.
ცრემლმა თეთრი დაგისველა წვერი,
ხელზე რიდით
შემოგბედე კოცნა!
დგახარ ფეხზე შენ სამასი წელი
და ქცეულხარ კაცი
უკვე ლოცვად!..
შენს საფიცარს დღესაც ისე უჭირს,
როგორც იყო
სამასი წლის უკან!..
ყველა ძარღვი ერთად გადაუჭრეს
და ქცეულა
ყვავ–ყორნების ლუკმად!..
მარტო იდექ ღმერთთან მოუბარი,
ო, რა ტანჯვა

გაგრძნობინა გულმა!
მხოლოდ ეს თქვი – ვაი ჩვენი ბრალი
და ლანდებში
შეერიე უმალ!..
სულს ფრთებს ახლის ზამთრის ქარი მკაცრი
და მიარხევს
მთვარე ნისლის ფაფარს...
აქ საიდან, ტანძიელი კაცი,
აქ საიდან,
საქართველოს პაპავ?!
სახე ღრუბლით გაცრეცოდა მთვარეს,
მიწა თოვლის
იხურავდა საბანს...
გათოშილი ჩრდილოეთის ქარით
მონასტერთან
მარტო იდგა საბა!

15.11.99,
მოსკოვი

რეკვიემი

ზღვა ზვირთებით მოჩანს გადახნული,
კრემლის თავზე ყვავ-ყორნები სხედან!..
მწარედ კივის ასთვრამეტი სული
და ხმელეთზე – ასთვრამეტი დედა!..
კრემლში ისევ დუმილია სრული
და ვარსკვლავიც რა უღონოდ ფეთქავს?!
ზღვიდან კივის ასთვრამეტი სული
და ხმელეთზე – ასთვრამეტი დედა!..
მიქანაობს ზღვის ფსკერისკენ ნავი
და ზვირთები თითქოს ხმელეთს ხეთქავს,
ცა ბობოქრობს, მიბარბაცებს ღამე,
კივის მწარედ ასთვრამეტი დედა!..
ბარენცის ზღვა სასაფლაოდ იქცა
და ქვეყანა თითქოს ჩამობნელდა!..
ცას და მიწას ერთიანად წეწავს,
მწარე მოთქმით ასთვრამეტი დედა!..

29.09.2000
მოსკოვი

გელოდები

მომენატრა ალვის ხეთა გარინდება მთვარიანში, –
მდინარესთან ახლოს!..
გელოდები!.. განშორების
ჟამი დგება,
ერთხელ მაინც მინდა დამენახვო!..
ახლა გზაზე შეღამების ბინდი წვება და თანდათან
ეფინება მაღლობს!..
მაგ ღიმილის არ იქნება დავიწყება,
რადგან ღელვით სული შემოაღო!..

04.01.01
მოსკოვი

ნუთუ ამაოდ ვაწყდები?!

საგაზაფხულო ნისლები ისევ აცურდნენ გარეთ
და სივრცე ღელვით ივსება,
აწყდება მარტის ქარებს...
და ჭილყვავები გუნდებად სარკმელთან ახლოს
ფრენენ,
მზე გაზაფხულის მოიწევს,
მოეზიდება ფერებს!..
მე კი შორსა ვარ შენგან და დარდი
როგორ მამსხვრევს!..
დავდივარ კაცი ეული,
მძაფრი ტკივილით სავსე!..

სულს დაღლილს ღელვა-კვეთებით ფრთების
მოუნდა გაშლა...
ნუთუ ამაოდ ვაწყდები
დღეთა ულმობელ ლაშქარს?!

04.03.01
მოსკოვი

დაიწმინდება, – როდის?!

შეხედე, მოიგრაგნება ისევ ღრუბელი შავი!..
ადგილის დედა ცრემლებს ღვრის,
ცას თვალები აქვს ავი!
როცა მთის ჩქარი მდინარე ღელვით აიშვებს
აღვირს,
მაშინებს არ წამილეკოს
ჩემი პატარა ბაღი!..
გაზაფხულია! მთებში წვიმს, თოვლიც დნება
და მოდის...
ო, ეს დინება უჟმური
დაიწმინდება, როდის?!

18.03.01
თბილისი

ორი ციკლონი

ცა ღრუბლით გადაიმეწყრა, იდგა ზათქი
და მსხვრევა!..
ორი ციკლონი ერთმანეთს
უშენდნენ მეხს და ელვას!..
ციხე-კოშკები ულეწეს ერთმანეთს დაუნდობლად,
მერე შორს გადაიხვეწენ
და დარჩა სივრცე ობლად!..

24.09.01
მოსკოვი

* * *

მე შვიდ ათეულ წელიწადს გავცდი
და სიშორეში
            მივალ ეული!..
ტყვე ნუ გგონივართ საკუთარ განცდის
და უიმედოდ
გზააბნეული!..
მე ქვეყნად ბევრჯერ მივწვდი საწადელს,
თუმც მომკიოდა
            ჟამი წყეული!..
მიმაქვს ბრძოლებში გული ნაცადი
და დროის რისხვით
ვერდაძლეული!

09.02.02
მოსკოვი

* * *

ყველგან მსდევდა, ულმობელი შენი
ოხვრა მკლავდა!..
ბევრჯერ ცრემლით დაგისველე
სალოცავი კალთა!..
ბევრჯერ კიდევ რისხვით საესე
მივკიოდი ქარებს!..
მაგრამ მაინც სატკივარი
ველარ გაგიქარვე!..

17.02.02
მოსკოვი

* * *

ბევრჯერ ჩუმად ოცნებების შემოგავლე ქარგა,
შენს სიშორეს ვეღარ ვუძლებ,
გული რწმენას კარგავს!

თვალი ტირის და ნატრულობს შენს
ლაჟვარდებს ხარბად!
სული ოხრავს და ამ ოხვრას
გადაჰყვება ალბათ!..

18.02.02.
მოსკოვი

* * *

ყოველ ნაბიჯზე სიკეთის, ძნელი არ
არის პოვნა!
დემოკრატიის სახელით
გბომბავენ ხავერდოვანად!..
იმ ქვეყანაში დროულად, ვინც ეძებს
სამოსახლოს,
ჰუმანიტარულ ბომბებით
სიკვდილს რაღა სჯობს, ხალხნო!

22.03.03.
მოსკოვი

შეჩერდი, გიჯობს!

ისევ ახალი ხოცვა და ჟლეტა! გული შენდამი
მევსება ზიზღით!
ისევ ახალი ხოცვა და ჟლეტა
და ზღვა ქანაობს გარშემო სისხლის!..
ჰოი, სატანავ, შეჩერდი, გიჯობს! ნუ უცქერ ქვეყნებს
თვალებით მგლურით,
სისხლიან ჩექმით კვლავ მიაბიჯებ
და აჰყოლილხარ მოთხოვნას გულის!..

ეს სითავხედე ვერაფერს გარგებს, ნუთუ არ გაკრთობს
ცრემლი და ურვა?!
დემოკრატიის სახელით ანგრევ,
ო, ფრთხილად! აღარ დაგღუპოს შურმა!

ამ ჩვენს პლანეტას ისედაც უჭირს! შენ მოევლინე
რისხვად და დელგმად!..
და ღორმუცლობას
აჰყევი კუჭის და ახალ–ახალ სურვილებს გეგმავ!..

ისევ ახალი ხოცვა და ჟლეტა! გული შენდამი
მევსება ზიზღით!
ისევ ახალი ხოცვა
და ჟლეტა
და ზღვა ქანაობს გარშემო სისხლის!..

28.03.03.
მოსკოვი

* * *

შენ ეძებ ისევ ახალს, შენ ეძებ მხარეს მთლიანს,
მაგრამ ოცნების ცაზე
ღრუბლები მიმოქრიან!..
მიჰყვები ბილიკს მტკიცედ, ბედს არ ენდობი მსახვრალს,
ისევ იმღვრევა სივრცე,
საითაც აღარ წახვალ!
მიდის მდინარე ხმაურით, ცა არხევს ნისლის მანდილს,
მზე გაძარცული ამოდის
და მთვარე ოხვრით ჩადის!..

20.10.02
თბილისი

მთაწმინდა

გულ-დახურულთა მეგობარო,
მთავ ღრუბლიანო!
ნ. ბარათაშვილი

ისევ რეკავენ მთაწმინდაზე ზარები მწუხრის!..
მთიდან ეშვება გაზაფხულის
ლურჯი ნიავი...
გული ვერ უძლებს მოზღვავებულ ღელვას და წუხილს,
ქვეყნად მნახველი
ბევრი შფოთვის,
ბევრი სიავის!..
ღამეულ ცაზე არხევს სივრცე მთვარის ოლარებს
და ბილიკებზე ახლა უკვე არვის მოველი!
რამდენი რამ მაქვს ქვეყანაზე მოსაგონარი,
მივდივარ მარტო
და სულს მიმღვრევს
სევდის მორევი!..
შემოვდექ სერზე ბინდის რხევით გარემოცული,
ეს ვინ აღმანთო
უჩვეულო ხილვის უნარით?
ირწევა შუქი იდუმალი — ცით გადმოსული
და მესმის ხმები
იადონთა გაუხუნარი!..
საფლავებს შორის მიმოდიან ლანდები ჩუმად,
გულს მრავალტანჯულს
ო, რამდენი ზვირთი მოება!..
და ჩემს გარშემო სანახები საოცრად დუმან,
მაშინებს, რომ არ დავარღვიო

ეს მყუდროება!..
ივსება შუქის ჩანჩქერებით ცა უსამანო,
მთა დგას ამაყად,
დაუღლელი დროის შეტევით!..
ო, რამდენ რამეს მეუბნება მე ეს საღამო
და საფლავები
მთვარის ლურჯი ორნამენტებით!
იღვრება მთვარე მთაწმინდაზე ცისფერ ნოტებად
და ირხევიან ვარსკვლავების ლურჯი სიზმრები...
სული ტკივილით უცნაურად დაიტოტება,
დავდივარ უხმოდ
და ტვირთს
ჟამის მივეზიდები!..
აქ საუფლოა მხოლოდ მუზის გოლიათების,
ცა მოჩანს ღამის
ფიროსმანის ფუნჯით ნახატი!..
მე არ მშორდება იდუმალი შენი ხატება,
რომელსაც ფარდა
ვერ იქნა და
ვეღარ ავხადე!
მოჩანს პირქუში ნაპრალები ფაფარაშლილი,
შორს მთვარიანში
თეთრი გედი – ფეთქავს სიონი!..
რამსიშორიდან მესმის ოხვრა ბარათაშვილის,
რამსიმაღლიდან მოქრის სული
გალაკტიონის!..
მივაყურადებ, სივრცის დუმილს მრავალსახოვანს
და საიდუმლო ჩემი ქნარის

მიაქვს ნიავქარს...
ჩემი ტკივილით, აჩრდილებო, თქვენთან ახლო ვარ
და მთა დიადი
თავზე იდგამს
მთვარის იალქანს!..
მიცურავს ღამე უცნაური ფერიცვალებით,
საუკუნეებს თქვენ გაჰყვებით
ქნარით ეოლის...
და ვარსკვლავების ცვარით მუდამ დაიცვარება
თქვენი პარნასი –
მარად წმინდა
ეს პანთეონი!
ისევ რეკავენ მთაწმინდაზე მწუხრის ზარები
და მე ვაწყდები სივრცის ჯებირს
ფიქრის ზღვაურით!..
ფეთქავს მეტეხი მთვარის შუქზე, როგორც ზმანება
და ისევ მიდის სიშორეში
მტკვარი ხმაურით!..

29.04.05,
თბილისი

ვიღაც გვეძახის!

რწმენას სანთელი ავუნთოთ, რომ ღამე
ჰგავდეს ალიონს,
აქ ბარბაროსებს
კვლავ უნდათ,
რომ ჩვენი სისხლი დალიონ!..
ვიღაც გვეძახის შორიდან: ტანზე
ჩაიცვით რვალიო,
ვეღარ ამოხვალთ
შმორიდან,
თუ არ დაქროლებს ქარიო!..
მოჯარდებიან უნდონი, თუ
დაუდგებათ დარიო,
საფიხვნოს თავზე ალუდა
ზის და აბოლებს ყალიონს!..

12.08.2005
თბილისი

ბაქრა ის ქამი ფერადი

რტო ვერ ამწვანდა ოცნების, ჟამს ვერ
დაგლიჯე ეშვები,
საცაა, ჭიუხს მოსწყდები
და ხრამში გადაეშვები!..
თითქოს ტოტი ხარ მოჭრილი და
გიხმობს არარაობა,
სისხლი რად გახდა მორჩილი,
რომელმაც ბევრი გაომა?!
გესმის ყორნების ჩხავილი, ნუთუ შენი
მზე ჩავიდა!
ვეღარ გატეხე ყამირი
და ვერც იწყები თავიდან!
რტო ვერ ამწვანდა ოცნების, ჟამს ვერ
დაგლიჯე ეშვები,
საცაა ჭიუხს მოსწყდები
და ხრამში გადაეშვები!..

18.10.04
მოსკოვი

* * *

ტიციან ტაბიძეს

ვერ გაექეცა მუხანათის თვალებს და შენ გახდი
მსხვერპლი დაბეზღების!
ქვითინებდა გაზაფხულის მთვარე,
რომ ღრუბლებმა
ჩაუხერგეს გზები!..
ბობოქრობდა არაგვი და მტკვარი,
გადიქროლე ცაზე როგორც ელვამ!..
შენ ის ხალხმა დაგიბრუნა მაინც,
რაც წაგართვა უსახურის ხელმა!
მე ხე ვნახე გაძარცული გუშინ!
დღეს ყვავილი სიყვარულის ესხა!..
ჯალათებმა შენ გესროლეს გულში,
მაგრამ სიკვდილს გამოგტაცა ლექსმა!..

19.04.05
თბილისი

ორი გზა

შეხედე, ეს გზა თეთრია, შეხედე, ის გზა შავია,
აქ ღელვა ღელვას შერთვია,
იქ კი ყვავები ჩხავიან!..
ის გამოხედვა მაშინებს, როგორც თვალები სატანის!
მე ვხედავ სიზმრებს საშინელს
და სივრცეს ღელვით ატანილს!..
აქ ყვავილების ზღვა არის, იქ შავი ზვირთი
ხმაურობს!
აქ კლდეს აწყდება ზღვაური,
იქ კი, – ლოდი თვლემს სამარის!..
შეხედე, ეს გზა თეთრია, შეხედე, ის გზა შავია,
აქ ღელვა ღელვას შერთვია,
იქ კი ყვავები ჩხავიან!..

12.06.06
მოსკოვი

რადგან მოვედით!

ამ წუთისოფლის ავანჩავანს ვერვინ გაიგებს,
დრო მიგუგუნებს, გულში
ღელვა ვეღარ ეტევა!..
ჩვენ ბრძოლის ველზე, მეგობარო, ვგავართ პაიკებს,
რომელიც მუდამ ეწირება
რბევას, შეტევას!
მიდის ცხოვრება, ვარდფურცლობის ქრება მშვენება
და სივრცეს ბლანდავს
უჩვეულოდ ჟამის ობობა!
გულწრფელად მხოლოდ მინდვრის სიო მოგეფერება,
რომ გაგიქარვოს
ბედისწერის დაუნდობლობა!..
ჩუმად ძმობილო! ნუ იღელვებ, გრძნობა დაიცხრე,
ბუნების ვერვინ გადაუვა
მაღალ ბრძანებას!
რადგან მოვედით, რღვევა-დაშლას ვეღარ ავიცდენთ,
ვერც განშორების
ტკივილსა და ფერიცვალებას!..

16.08.06
მოსკოვი

ჩემი ლამპარი

შორს, თვალებამოლურჯული ერთი
ვარსკვლავი კიაფობს
და იდუმალი ჩურჩულით
ჩემს სამშობლოზე მიამბობს!..
მისი სიმების წკრიალი, ო, როგორ
მწვდება გულამდე!..
და ჩემში რწმენა იალებს,
როდესაც მივაყურადებ!..
ის ცის ეკრანზე ციმციმებს მუდამ
მოლურჯო ნათებით,
მამულზე ფიქრს
ვერ ვიცილებ,
დავდივარ ღამენათევი!..
გზას უშურველად მინათებს ჩემი
პატარა ლამპარი,
ისევ ვწერ
ლექსად ბარათებს
ნიადაგ მიუსაფარი!..
ო, დნება სულის სანთელი და გული
მექცა იავარ!..
ვინ მოთვლის
დღემდე რამდენმა
გრიგალმა გადამიარა!..
დავდივარ უმისამართოდ და გრძნობას
ვეღარ ვერევი,
ის გზას მიკაფავს
სამადლოდ
ამ უდაბური ველების!..

17.07.07
მოსკოვი

ზამთრის მოლოდინში

მზე ღრუბლებიდან ვერ გამოდის შიშით ქარიშხლის,
ო, რა ცახცახი მოსდებია –
მინდვრებს, მთა-გორებს,
ზნეს უჩვეულოს
ეს ბუნება დღემდე არ იშლის
და დრო ხმაურით მიაგორებს
დღეთა ვაგონებს!...
მე ხიდზე ვდგავარ და გავცქერი სივრცეს ნაომარს,
მოუთმენლობის ულმობელი
ცეცხლი მედება!..
მოდის ზამთარი და ბუნება ისევ ბერდება,
კვლავ ის დამცინის,
ვინც სასტიკად
დღემდე მაომა!

10.01.08
მოსკოვი

* * *

სიცოცხლის ველზე კვლავ ანთია შენი სანთელი!
ისევ მივდივარ სევდიანი
ბილიკზე მთვარის!..
შენი კაცობა იყო ჩემთვის მთქმელი რამდენის,
მას ვერ ჩააქრობს, ვერც ღვარები, ვერც ნიავ-ქარი!
ბედის სიმუხთლემ გაგიმეტა ვეფხვისბწკლიანი,
ვინ მოთვლის ქვეყნად,
თუ რამდენი შხამ-გესლი გასვეს!..
დავდივარ კაცი მთვარიანში თვალცრემლიანი
და ცა მახურავს თავზე
შენი ოცნებით საფსე!..

17.01.08
თბილისი

* * *

ცა კვლავ იხურავს იისფერ მანდილს
და მახსენდება
ჟამი ტიალი!..
ისევ მოიწევს დღეები მარტის
და შენ დადიხარ
გულსევდიანი!..
გამოვიარეთ დღეები ძნელი,
გრიგალ–ქარების
ორომტრიალით!..
ახლაც ცახცახებს პლანეტა ვრცელი
და კვლავ ანძების
მესმის ჭრიალი!..

28.03.08
თბილისი

სანამ გული გქვია!

ხშირად მესმის ღამით შენი ოხვრა,
სასთუმალი მისველდება ცრემლით!
კვლავ ეკვეთე! არ დაგეტყოს მოღლა,
ნუ გაშფოთებს
მზერა ალმაცერი!..
გულო, აღარ შეანელო ფეთქვა,
ჟამის აღარ შეუშინდე ღრიალს!..
ზვირთს მოვარდნილს შეუტიე მედგრად,
ზედ შეასკდი, სანამ
გული გქვია!

05.10.07
მოსკოვი

* * *

მე ის ცრემლები რამ დამავიწყოს
და იმ თვალების
            სევდა ულევი!..
მე ის ცრემლები რამ დამავიწყოს
და დაცხრილული
გული წყლულებით!..
დრო ულმობელი ყველაფერს იწოვს,
სად არის ნეტავ
            მადლი ბუნების?!
მე ის დღეები რამ დამავიწყოს,
თავის მრისხანე
ნაფეხურებით!..

12.04.08
მოსკოვი

უგუნურებას არ უჩანს ბოლო!

ბავშვების მსოფლიო ექიმს –
დოქტორ ლეონიდ როშალს

პოლიტიკანთა ბოროტებას არა აქვს ზღვარი,
მათ არც უწყიან ქვეყანაზე,
თუ რას ჩადიან!
შიშით ცახცახებს ო, ეს ზეცა, კლდეები სალი,
ანგრევენ ღმერთის შექმნილ ტაძარს, –
ეს ხომ ცხადია!
უგუნურებას პლანეტაზე არ უჩანს ბოლო,
მიწას სიკვდილი გაუხადეს
უკვე ნათლიად!
არ ვიცი ქვეყნად, ვინ დაამხობს ო, ამდენ ბოროტს,
ვინ მოჰბანს წყლულებს აუტანელს, –
მიწას მადლიანს!
მე კვლავ ვიხსენებ საუკუნის ტკივილებს წყეულს
და თვალებიდან ვერ ვიშორებ
დღეების კოშმარს!..
შენ ანგელოზებს ტყვიის თქეშში ნაგლეჯად ქცეულთ,
ისევ სიცოცხლეს უბრუნებდი,
დოქტორო როშალ!
შენ არაერთხელ დაამარცხე სიკვდილი მკაცრი,
ვერ შეეგუე მისი ფრთების
ვეება გაშლას!
ლექსად გადმოვცემ ბრძოლის ველზე ნანახს და განცდილს,
ჯადოსნურ დანით რომ ებრძოდი

რღვევას და დაშლას!
მთელ პლანეტაზე შემზარავი ღელვა დგას ირგვლივ
და სდის სიცოცხლეს უსაშველოდ
სისხლი ყელიდან!
შენთვის არა აქვს მნიშვნელობა, ვინ არის იგი,
ოღონდ სიცოცხლე გამოგლიჯო
დემონს ხელიდან!
შენი სახელი რა შორს გასცდა საშობლოს საზღვრებს,
სიკვდილი ურჩი შემოხედვას
შენსკენ ვერ ბედავს!
ჯადოსნურ ხელით პატარების სიცოცხლეს აზღვევ
და ანგელოზებს საღ-სალამათს
უბრუნებ დედას!
პოლიტიკანთა ბოროტებას არა აქვს ზღვარი,
მათ არც უწყიან ქვეყანაზე,
თუ რას ჩადიან!
შიშით ცახცახებს ო, ეს ზეცა კლდეები სალი,
ანგრევენ ღმერთის შექმნილ ტაძარს, —
ეს ხომ ცხადია!..

25.06.08
მოსკოვი

შეღამებისას

შეღამებისას იწყება ღელვა, ამოვარდება
მრისხანე ქარი!..
ფოლადის ზარებს
ნანგრევებზე დაამსხვრევს ელვა
და კივის, კივის უჩვეულოდ ცა მინანქარის!..
შეღამებისას ირევიან შავი ლანდები
და იქცევიან ნამსხვრევებად თეთრი სვეტები,
გავცქერი სივრცეს, ხომალდს
ისევ აგვიანდება
და მოჩანს მხოლოდ მოცახცახე სილუეტები!..

06.11.59
სოხუმი

ისმის შორით ზარის ხმა!..

შემოდგომა მეწვია, მზემ ნისლები აისხა,
შემოდგომა მეწვია,
ისმის შორით ზარის ხმა!..
შემოდგომა მეწვია, თითქოს მოულოდნელად,
შემოდგომა მეწვია, —
სევდა ქვევრისოდენა!
შემოდგომა მეწვია ისმის ხმა უჩვეულო!..
შემოდგომა მეწვია
სად ხარ, სულის რჩეულო?!
შემოდგომა მეწვია, მზეს არ შვენის შექება,
შემოდგომა მეწვია, ქარიც შემოძეგება!..
ხმება მინდვრად ბალახი, მთებიც გაჭაღარავდა,
და ოცნების ქალაქი
რჩება მთვარის კარავთან...
შემოდგომა მეწვია გზები ცრემლით დანამა,
შემოდგომა მეწვია,
სივრცე გამიჩანაგა!..
შემოდგომა მეწვია მზემ ნისლები აისხა,
შემოდგომა მეწვია,
ისმის შორით
ზარის ხმა!..

12.09.56
სოხუმი

დიდგორის ზარები

მძიმედ რეკავენ ზარები დიდგორს
        და ომში მიდის რაინდი მეფე!..
ველზე ჩამოწვა ღრუბელი თითქოს,
ღელავდა ქარში შუბების ტევრი!..
შურისძიება ეძახდა დავითს,
        უნდა ეყარა მომხდურზე ჯავრი!..
შურისძიება ეძახდა დავითს
და გუგუნებდა დროშების ქარი!..
მზე კი ისროდა შინდისფერ შხეფებს,
        მოედო მინდორს მხედრები წარღვნად!
და გადაეშვა ბრძოლაში მეფე,
ბორბალი ბედის შებრუნდა წაღმა!..
ერთ დიდ სხეულად შენივთდა ჯარი
        და გრიგალივით ეკვეთა მომხდურს!..
ველზე სიკვდილის ბრუნავდა ჯარა
და ჩალმიანი სცვივოდა თავი!..
როცა ილღაზმა იბრუნა პირი, —
        ძლიერს მიათრევდა ჭრილობის სიცხეს!..
ველზე ჩამოწვა საღამოს ჩრდილი
და მიკიოდნენ ზარები სივრცეს!..
საუკუნენი ეძახდნენ დიდგორს,
        რეკავდნენ ხმლები სისხლით რომ ღებეს!..
მიაცილებდა მზე დავითს თითქოს
და ბრუნდებოდა რაინდი მეფე!

09.08.62

სოხუმი

ზღვას

იდუმალ ფიქრებს მხოლოდ შენ განდობ,
შენს ნაპირებზე ვპოულობ შვებას...
ზღვაო, მე შენთან მოვედი მარტო
და შენ მასწავლე დუმილიც, შებმაც!..
ქარები ისევ იალქნებს შლიან, ჩემმა ხომალდმა
აუშვა ღუზა!..
შენი ტალღების იდუმალ შრიალს,
უმღერის ჩემი ცისფერი მუზა!..
ახლა შენსავით მშვიდი ვარ, ზღვაო,
როცა დარეკავს, დარეკავს ზარი!..
შენს სულში მაშინ ზვირთები ზვაობს
და მეც შენსავით ვბობოქრობ მგზავრი!..
უდაბურ კედლებს ვაწყდები გზნებით,
რომ უფრო ვიგრძნო სიცოცხლის გემო!
და ავარდნილი ქარიშხლის ფრთებით,
მივიწევ მაღლა, ღრუბლების ზემოთ!..

22.09.63
სოხუმი

მომყვება სიყრმიდან...

ნარინჯის ფერებში ელვარებს ცის კიდე,
ლაჟვარდის სიღრმეში
ზარები წკრიალებს!...
მე შენი სიმაღლე მომყვება სიყრმიდან,
როგორც ზღვის ლოცვა
                და ვარსკვლავთა შრიალი!..
კვდებოდნენ და მაინც სიცოცხლე იწამეს,
ისმოდა ზარების
მსხვრევა და განგაში!..
და ჩიტებს ნისკარტით მოჰქონდათ ცისკარი,
სული კი ღელავდა
                ცეცხლსა და სანგარში!..
გულს აწევს ო, როგორც სიმძიმე ლოდების,
წარსულის მოთქმა
და ტკივილის ლანდები!...
ცვივოდა მიწაზე სიცოცხლის ფოთოლი
და ენთო სანთლები, —
იმედის სანთლები!..
მიაწყდნენ კიდეებს შეშლილი თვალები,
მიწაზე სიკვდილი
                ბრუნავდა კევრივით
და იყო უსაზღვრო წყევლა და წვალება,
მიწა კი გაბრუვდა
სისხლით და ცრემლებით!..
ახლა კი იშუშებს უთვალავ იარას,
მზის თეთრი ზამბახით

ივსება ხნულები!...
მინდორზე რამდენი ყვავილი შრიალებს,
ო, მაგრამ გულს წყლული
შემორჩა ულევი!...
ნარინჯის ფერებში ელვარებს ცის კიდე,
ლაჟვარდის სილრმეში
ზარები წკრიალებს!..
მე შენი სიმაღლე მომყვება სიყრმიდან,
როგორც ზღვის ლოცვა
და ვარსკვლავთა შრიალი!..

17.06.66
სოხუმი

პაატა

მე უნდა მოვკვდე საქართველოსთვის!
შ. ნიშნიანიძე

შენ, შაჰ აბასის წინაშე იდექ,
        გამორჩეული ჭკუით და ნიჭით!
ო, რა ვეება ტკივილი ზიდე,
ქედმოუხრელმა ლამაზმა ბიჭმა!
არ დაგტყობია შიშის ნასახიც,
        როდესაც ყელი მოიღიავე!
და ცახცახებდა შაჰის სასახლე
ო, ცოფიანი
ლომის ღრიალით!..
მამამ მამული გადაარჩინა
        და შენ უბრალოდ როდი ილოცე?
არ შეუშინდი პირქუშ განაჩენს
და აღიმართე
დროის ტილოზე!..
ოთხასი წელი ნაპირებს გასცდა,
        რა სიშორიდან რეკენ ზარები?!
შემორჩი მამულს ხსოვნად და განცდად, –
ნაფეხურებზე
დინოზავრების!...
მამის ნაკვალევს მისდევდი მედგრად,
        არ შეუშინდი სატანის რისხვას!
შენც ხომ მამულის უღელი გედგა
და მაგ ყელიდან
იწვიმა სისხლმა!..

და მეცხრე ცაში ამაღლდი ბიჭი,
ანგელოზებმა ფრთებით გატარეს!..
ო, შენ რჩეული ჭკუით და ნიჭით,
უკვე რაინდის
ორდენს ატარებ!..
ეს ვინ აბრუნებს ჟამთა სვლის ბორბალს?
თუმცა ზრახვანი შაჰის ჩაფლავდა!..
ბიჭები, ისევ მოდიან მწყობრად,
რომ ჩაიმუხლონ
მაგ შენს საფლავთან!..
ასი ათასჯერ ვამბობთ ცხონებას,
რომ ერთგულების გებოძა ნიჭი!..
არც იცის ჯერაც ქართლის ცხოვრებამ,
შენზე მტკიცე და
მამაცი ბიჭი!
ეს სიყვარული შენ გერგო ბედად,
მაგ ნაფეხურებს ჟამი ვერ წაშლის!
და დავიწყებას ვერ შემოგბედავს
ო, უსამანოდ
აზიდულს ცაში!..

07.02.10
მოსკოვი

თუ ამოვიდა!..

შენ მეუბნები: მეგობარო, გწამდეს, გჯეროდეს!
და მე მივყვები უდაბნოში
მაგ შენს ნაკვალევს!..
ხან სუსხი გვამსხვრევს, ხან მზე თაკარა
და ხან გვიზიდავს
შორეული ცის სიანკარე!..
ჯეშმარიტების მზეს დავეძებთ და მის სამყოფელს?
მე გთხოვ, ქვეყანას ნუ ჩამოვგლეჯთ
მაგ სქელ საფარველს!.
ჯეშმარიტების მზე მოგვწყურდა? მისი ნაყოფი?
თუ ამოვიდა, მთელ ქვეყანას
ის დააბრმავებს!..

30.08.67
სოხუმი

ფრთხილად !

მზე მოაწვა აპრილის ჩემს მინდვრებს და მთა-გორებს,
როგორც იქნა ზამთარი
უკვე გადავაგორეთ!
და ჩიტების ჟღურტულმა ბაღი ამიყვავილა,
ყველგან შეწყდა მამულში
ყვავ-ყორნების ჩხავილი!
და მეც ჩანგი მოვმართე ჟამით განაწამებმა!
მოზღვავებით გრძნობების
თითქოს ენა დამება!
იქნებ ფრთები მოვისხათ დავითის და თამარის!
მზე ჩერდება მამულის
ქედზე გადამავალი!..
ისევ გვიცქერს შორიდან, — მტერი უნდო, ვერაგი!
რომ კვლავ შემოგვაქსოვოს
სისხლიანი პერანგი!..
ცას და მიწას ვედები, გული ისევ ყმაწვილობს!
ფრთხილად! ბედი ტროასი,
რომ არ გავინაწილოთ!

19.04.90
თბილისი

ზღვის სიზმარი

ზღვა ნაშუაღამევს ო, რა მძიმედ ოხრავდა წუხელ!..
მივაყურადე და ვიგრძენი
ტკივილი მძაფრი!..

იგრაგნებოდა შემოდგომის ღრუბელი რუხი
და ის ნაპირებს აწყდებოდა
შხუილით, ხაფით!..

თუ რა იხილა მან სიზმარში არავინ უწყის!
ღრუბლის მორევში ქვითინებდა
მთვარის აჩრდილი!..

ასეთი რამე არ უნახავს არასდროს უწინ
და ის ბორგავდა კოშმარული
სიზმრით დაჭრილი!..

ვერ იხუტებდა მკერდში გრძნობით ვარსკვლავთა ციმციმს
და იყო თითქოს გათელილი
ქარით და წვიმით!..

ო, მე იმ ღამის მოგონება სასტიკად მიმძიმს
და ცახცახებდა კიპარისთა
ნაპირზე მწკრივი!..

და მის სიღრმეში ყრუდ რეკავდა ათასი ზარი!..
ვაყურადებდი და ის ღამე
გავტეხე თეთრად!..

რამ გაუჩინა ნეტავ სულში ამდენი ბზარი?
ზღვა ტიროდა თუ ყოვლისმგრძნობი
ადგილის დედა?!

27.10.87
სოხუმი

* * *

ცა იღრუბლება ჩემი და მე მტკვრისპირას ვდგავარ,
ცა იღრუბლება ჩემი,
ისევ იცვლება ჰავა!..
ცა იღრუბლება ჩემი ქრიან ქარები ურჩი!..
ცა იღრუბლება ჩემი,
გაქრა თვალები ლურჯი!..
ცა იღრუბლება ჩემი, ჟამთან პირისპირ ვრჩები...
ცა იღრუბლება ჩემი
დემონთა განაჩენით!

24.09.09.
თბილისი

ის მაინც გარბის

მკერდით აწყდება ვეება სივრცეს, ვით ოლიმპიელს
მოგიზგიზე ჩირაღდანი
უჭირავს ხელში!
ებრძვის გზადაგზა: სეტყვას, ქარბუქს, თოვლსა
და ზვავებს,
ის ფეხშიშველა გარბის გზაზე
და სუნთქვა მძლავრი
არხევს მთვლემარე გალაქტიკებს და უსაზღვრო
სივრცეებს ერთვის!..
ჩირაღდნის შუქი
გიზგიზებს უფრო,
ბორიალებენ ულრანებში თვალები მხეცთა!..
ყმუიან მგლები და ლომების ბუხუნი ისმის!..
რამდენი რამე ელობება,
რამდენი რამე!
ის მაინც გარის და უკანაც არ იხედება,
რომ თვალებმა არ იგრძნონ შიში
განვლილი სივრცის
და ვეება უსახო ჟამის!..
მძლავრად ფეთქდება ვულკანები, თერმობირთვები
და ქვემეხები არყევენ მიწას!..
ის მაინც გარბის და ხანდახან შეკრთება მხოლოდ,
მან შეჩერება არ იცის რაა!
აწყდება სივრცეს გაშლილი მკერდით,

როგორც ზღვა ხმელეთს
აფოფრილი ავდრიან ღამით...
დაღარული აქვს მას ტერფები,
უხვად სდის სისხლი!..
სიცოცხლე გარბის,
გარბის, როგორც ოლიმპიელი
და მოგიზგიზე ჩირაღდანი უპყრია ხელში!..

14.02.68
სოხუმი

* * *

ღმერთო მაღალო, მაჩუქე შუქი და მომანიჭე
ჩანჩქერივით ღელვა უშრეტი!..
მე ლურჯი ფრთებით
გადავცურავ დროთა სივრცეებს,
რომ ვაგრძნობინო დედამიწას მძაფრი ტკივილი და
შიში ჩემი,
რომ არ ჩაქრეს
მზე მეწამული
და ბნელმა აღარ მოიცვას სული!
ყვავილს ვატარებ სიყვარულის მე მარადიულს,
მინდა მოვფინო შუქი მისი
და სურნელება, –
ამ გვალვიან უჟამურ ველზე...
ო, მომანიჭე ჩანჩქერივით
ღელვა უშრეტი!..

16.04.68
სოხუმი

მიზანი

განა ლოცვისთვის მოვედი ქვეყნად,
            როცა საშობლოს უზომოდ უჭირს?!
მე სადმე ქარებს გავყვები ფეხმარდს,
რომ არ დავხარჯო
სიცოცხლე ფუჭად!
თუ ჭრილობაზე სისხლს ვხედავ შემხმარს,
            მე ერთი წუთით სიმშვიდის არ მწამს!..
თვითონ ბუნებამ მასწავლა შეხლა,
თუმც ხშირად ცრემლიც მისველებს წამწამს!..
ბევრჯერ მოვარდა ქარი და თქეში,
            არ შევხიზნივარ ცახცახით ჩერეს!
ო, სულმა მაინც აიღო გეში
და მოქრის შენსკენ, ძვირფასო ჩემო!..

04.08.74
ბანძა

ხსნა სად ვეძებოთ?!

დრო აგვიხირდა და ხელებით ბარბაროსების
ჩვენი სამშობლოს კიდით კიდე
დაშლა ინდომა!
ხან აფსუების სახელით და ხანაც ოსების,
ჩვენი სამოთხე
გააპარტახ-გაამინდორა!
ო, ყველგან მხოლოდ გადამწვარი ნასახლარები,
სად ღამღამობით შემაზრზენად
მგლები ყმუიან!..
აქ არც ბღავილი ისმის კართან ნიშა ხარების,
არც ეზო-კარის მოყვარული
ფხიზლობს მურია!
ქართულ მიწაზე, ვინ მოაგდო ტომი მხეცების?
ო, ეს სამოთხე, რომ აქციეს
სისხლის ჭაობად!..
როცა არ არის სამართალი, ხსნა სად ვეძებოთ?
რომ არ გვაქციონ
ველურებმა არარაობად?!

22.01.93
სოხუმი

მზე და ღრუბელი

გაწვა მზის გზაზე ღრუბელი,
            როგორც ვეშაპი შავი!..
ქარი მრისხანე უბერავს,
რომ იბობოქროს ღამემ!..
ის მზის ჩაქრობას აპირებს
            და მას საომრად იწვევს!..
ზღვა ეხეთქება ნაპირებს
შიშით ცახცახებს სივრცე!..
არ არის მოულოდნელი
            ეს შებრძოლება მათი!
არ ვიცი, ვინ ვის მოთელავს
და მე ვივსები დარდით!..

19.10.88
სოხუმი

რომ შერჩეს მიწას

საით მიდიან ღრუბლების ეს ეშელონები?
რატომ ატირდა ასე მწარედ
მინდვრის ნიავი?!
ერთი ვიცოდე, ვის მორჩილებთ, ვის ემონებით,
ან რატომ გინდათ, რომ
აქციოთ მიწა იავარ?!
რად ემუქრებით სილამაზეს ნგრევით, მუქარით?
ჩემი მამული
მერამდენედ მოიმთაბარეთ!..
თქვენ გაიმეტეთ, მაგრამ მას კი იცავს უფალი,
რომ შერჩეს მიწას სამუდამოდ
ო, ეს ზღაპარი!..

19.04.89
სოხუმი

ᲖᲦᲕᲐᲡ ᲘᲡᲔᲕ ᲛᲝᲐᲥᲕᲡ!..

ზღვას ნაპირისკენ მოაქვს უხვად ქალები თავის!..
არამზადების დანაშაულს
ბოლო არ უჩას!..
აწყდება ჯებირს ის ყოველდღე ო, როგორც ზვავი,
ზღვამ საუკუნოდ გაიხადა
სამოსი ლურჯი!..
აჰა, შეხედეთ, ფოსოებში დაგუბულ წყვდიადს!..
ნახეთ, ქალები დახვრეტილი
ტყვიებით აგერ!..
ზღვას ნაპირისკენ ისევ მოაქვს ისინი ღიად,
რომ გამოფინოს საუკუნის
ეს სივერაგე!
შეხედეთ კარგად, ზღვას ფერშეცვლილს და ზვირთებაშლილს,
ამ დანაშაულს, მე არ ვიცი
დრო როგორ ზიდავს!..
ათამაშებენ თავის ქალებს ბავშვები წყალში,
ო, ამოსროლილს ათასობით
ბობოქარ ზღვიდან!..
ამ ტრაგედიას სწორუპოვარს ის ვეღარ მალავს
და ნაპირისკენ მოაქვს უხვად,
რომ ნახოს ყველამ!..
ემახსოვრება მას ეს ჟამი ო, ალბათ მარად,
რომ ნახოს იგი ცა და მიწამ,
ამიტომ ღელავს!..
ზღვას ნაპირისკენ მოაქვს უხვად ქალები თავის!..

არამზადების დანაშაულს
ბოლო არ უჩანს!..
აწყდება ჯებირს ის ყოველდღე ო, როგორც ზვავი,
ზღვამ საუკუნოდ გაიხადა
სამოსი ლურჯი!..

26.09.97
ბათუმი

ყორანი

რას დასტრიალებ ჩემს პლანეტას, შავო ყორანო?
ო, როგორ მზაფრავს
შემზარავი შენი ორანი!..
რას დასტრიალებ ჩემს პლანეტას, შავო ყორანო?
ასე რად მაკრთობს
ეს შენი ხმა გაუგონარი?!
რას დასტრიალებ ჩემს პლანეტას, შავო ყორანო?
როცა სიცოცხლის
ზღვა ირწევა უკიდეგანო?!
რას დასტრიალებ ჩემს პლანეტას, შავო ყორანო?
გადმოსროლილი მითოსიდან,
როგორც ბოგანო!..
ველზე სიცოცხლის რად ქანაობს კვამლი ყომრალი,
რად ეფინება უბოლოოდ
მზეთა საუფლოს?!
რად დასტრიალებ ჩემს პლანეტას, შავო ყორანო,
ასე რად მაკრთობს
ეს შენი ხმა გაუგონარი?!

21.09.77
სოხუმი

შენ გეუბნები!

შენ გეუბნები, — არსებობის არ გაქვს უფლება!
საკუთარ კანში გიჟდები
                და ვეღარ ეტევი!
მოგაქვს გრიგალი ატომური შავი ღრუბლების,
და ხოცვა-ჟლეტა
მიგაჩნია შემოქმედებად!..
შეხედე, ირგვლივ მინდორ-ველი როგორ ღაღანებს
რტოებზე ყვითლად
                ფორთოხლების შუქი ირწევა!..
შენ, ვინ ხარ, ასე რომ ღრუბლების ზარი აჰყარე,
თესავ სიკვდილს და
ეძებ ქვეყნად არდავიწყებას?!
შეხედე აკვანს, ბავშვი მზეს და ზეცას ულიმის...
და ჰორიზონტებს აფერადებს
                სითბო ვარდების!..
შენ, ნუთუ ქვა ხარ, რომ არ იგრძნო დედის ვაება?!
შენ, ნუთუ ქვა ხარ,
რომ არ იგრძნო დედის წუხილი?!
შეხედე, როგორ მოიმღერის წყარო ცისფერი
და ტანზე ცის და ვარსკვლავების
                ღიმილს ირეკლავს!..
შეხედე, დილით ყვავილების ფერად სისველეს,
მინდორზე, როგორ დაბალახობს
ჩრდილი ირემის..
უსმინე ჩურჩულს შეყვარებულ გოგო-ბიჭების,

ყველაფერს ტრფობით
უცქერიან მათი თვალები!..
შენ, ვინ ხარ, ასე რომ უეცრად შემოიჭრები,
ულვთო განგაშით,
უდაბური მღვრიე ქარებით?!
შენ გეუბნები, — არსებობის არ გაქვს უფლება!
საკუთარ კანში გიჟდები და ვეღარ ეტევი!..
მოგაქვს გრიგალი ატომური შავი ღრუბლების
და ხოცვა-ჟლეტა
მიგაჩნია შემოქმედებად!..

12.08.78
სოხუმი

მიქრის ქამის კარეტა

თეთრად გადაპენტილა: ის შარა და ის ეზო,
სულო, შენ რა გეტკინა,
გულო, რატომ მიზეზობ!
ვდგავარ სახლის კარებთან, ვუსმენ
ქარებს მობერილს,
მიქრის ქამის კარეტა
მარად დაუნდობელი!..
სივრცეს თვალებს ვადევნებ და გზა მოჩანს უფერო,
ქარი არხევს სადენებს,
გამღვრევს დარდის ღრუბელი!..
სევდამ გადაუარა: ტყეს, მინდვრებს და გზა–შარას,
მოჩანს მთები მდუმარი
ნისლის თეთრი თავშალით...
თეთრად გადაპენტილა ის შარა და ის ეზო,
სულო, შენ რა გეტკინა,
გულო, რატომ მიზეზობ?!

16.02.89
სოხუმი

* * *

თქვენ გეუბნებით, – ყველა ქვეყნის არამზადებო!
შემზარავ, ზემძლავრ იარაღთა
რომ ხართ მფლობელი!..
ო, აქ სიცოცხლეს ალბათ მალე დაუზამთრდება,
უსმინეთ, ეს რა მწარედ
კივის დედა–მშობელი!..
თქვენ გეუბნებით, რომ დადიხართ სფინქსის ნიღაბით
და თან სიცოცხლის არსებობის
ბედს რომ განაგებთ!..
ო, რჩებით დღემდე ისეთივე როგორც იყავით,
თუმც ტრიბუნიდან სიყვარულს
და ძმობას ქადაგებთ!..
„სოკო ბირთვული“ კვლავ ამოდის ნგრევით მიწიდან,
ფრთები სიცოცხლის კვლავ ცახცახებს
მძიმედ დაჭრილი!..
ცა იცრემლება და ვერაფრით გადაიწმინდა
და დაბარბაცებს
შემზარავი შავი აჩრდილი!..
რადიაციამ სივრცე თითქმის გაამელოტა
და მომავალში კიდევ უფრო
მეტსაც მოველით:
წარღვნას, წამებას, ჭირს შემზარავს, უნდა ველოდოთ,
შენ დგახარ, დედავ, მღელვარე
და ცერმლისმთოველი!..
დაასნეულეს თითქმის შენი ყველა განედი,
აჰა, არყოფნის
ბარიერსაც ვუახლოვდებით!..

ბრუნავს უღონოდ ავადმყოფი დედა-პლანეტა
და მალე ქაოსს შეერევა
წყევლა-გოდებით!..
თქვენ გეუბნებით, - ყველა ქვეყნის არამზადებო!
შემზარავ, ზემძლავრ იარაღთა,
რომ ხართ მფლობელი!
ო, აქ სიცოცხლეს ალბათ მალე დაუზამთრდება,
უსმინეთ ეს რა მწარედ,
კივის დედა-მშობელი!..

24.10.97
მოსკოვი

გაფრინდნენ, ნეტავ საით?!

ჩემი ცა ისევ ფითრდება, ეს რა ფერი აქვს აისს?
ჩემი ბავშვობის ჩიტები
გაფრინდნენ, ნეტავ საით?!
წარსულში გადავირთვები, ავედევნები წყაროს,
ო, მზის სხივებით ნაღვარო,
წუთით შეჩერდი, წყალო!
გული რატომღაც მეტკინა, დრომ რომ ჯანგები გამკრა!..
იმ ბეღურების ლაშქარი
სადღაც ბარდნარში გაქრა!..
ვუცქერ ყველაფერს ფაქიზად, ყანჩა მიცქერის ყინჩად,
აგერ ტოტიდან დაეშვა,
ჩემი ამაყი სკვინჩა!
შაშვის ჯახჯახის ხმა ისმის, ედება ეკალ–ბარდებს...
ბავშვობის ბაღში დავდივარ
და ვეფერები ლანდებს!..
მოლაღურების მძაფრი ხმა ო, რა სინაზით ფეთქავს!..
ბერჩიტა ხელზე დავისვი, –
ვუთხარ, რაც უნდა მეთქვა!..
ო, სივრცე ისევ ფითრდება, ეს რა ფერი აქვს აისს?
ჩემი ბავშვობის ჩიტები
გაფრინდნენ, ნეტავ საით?!

14.09.98
ბანძა

მარტის მზე

მზე ღრუბლებიდან იხედება, ვით დაზაფრული,
მოჩანს ბაღები და მინდვრები
ზამთრით ნატორი!..
ილეწებიან კვლავ ტოტები საგაზაფხულო,
ჯერაც მიწაზე ულმობელი
სუსხი ბატონობს!..
საით მიდიან ეს დღეები კივილით, მარშით?!
ბექობზე შევდექ, მაგრამ სივრცე
ვერ გაზაფხულობს,
მზე ღრუბლებიდან ვერ გამოდის, დავდივარ ბაღში,
ნუ შეგაშფოთებს ეს ავდარი,
დამშვიდდი, გულო!

12.03.89
სოხუმი

რეკავენ მთები!..

ეს მერამდენედ დაღვარა სისხლი
            და მაინც ფრთები ვეღარ გაშალა!
ეს მერამდენედ დაღვარა სისხლი,
რომ ჩაუხერგეს
ყველა გზა შარა!
ეს მერამდენედ დაღვარა სისხლი,
            როცა ჩაუქრეს ზეცის ნათელი!
ეს მერამდენედ დაღვარა სისხლი,
როცა ღირსება
მისი გათელეს!
ეს მერამდენედ დაღვარა სისხლი,
            ადგილის დედის ისმის ვაება!..
ეს მერამდენედ დაღვარა სისხლი,
რომ საუკუნის
ქსელში გაება!..
ეს მერამდენედ დაღვარა სისხლი
            და მაინც ვეღარ გაშალა ფრთები!
ეს მერამდენედ დაღვარა სისხლი
და ისევ ზარებს
რეკავენ მთები!..

07.04.09.
მოსკოვი

บรรณานุกรม

* * *

შენ ხომ სიცოცხლის სილამაზეს ეტრფოდი მუდამ,
გჯეროდა მხოლოდ სიყვარულის უსაზღვროების!..
გიყვარდა ქარში გაზაფხულზე რხევა რტოების
და ბაღებიდან მობერილი ნიავის სუნთქვა!..

არ შეიძლება არ ახსოვდეთ ხეივნებს ფერადს,
სიცოცხლის რხევით ანთებული შენი ხმის ეშხი!
შენ მოფართქალე წყაროს წყალი მოგქონდა პეშვით
და ეს ჩინარი მოგონებით ო, ახლაც ღელავს!..

ეჰ, რა მოკლე გზა გაიარე, მაგრამ შენს სახელს
დროის დინება ჩემს ხსოვნაში ვერასდროს წაშლილს!
კიდევ კარგი, რომ ვეღარ ვხედავ მაგ სხეულს დაშლილს,
რომელსაც უკვე შემზარავი ქაოსი არღვევს!..

დავდივარ მარტო და სიცოცხლეს ვუცქერი იჭვით,
საით წახვედი ასე უცბად, ღიმილის ბიჭი?!

14. 06. 57.
სოხუმი

* * *

ო, ეს მდინარე რა ულმობლად მიიგრაგნება
და მის ტალღებზე ვეღარ ვხედავ შუქის ნაკვალევს!
ასე ინება ყოველივე იქნებ განგებამ,
რომ ვერ გავშალო მის სივრცეში აფრა საქარე!

წკვარამ ღამეში მე ამ ზვირთებს ბევრი ვეომე
და შორს მოჩანდა გუმბათები ოქროცურვილი!..
ხელში მეჭირა იდუმალი ქნარი ეოლის,
მაგრამ სურვილი ჩემი, ისევ დარჩა სურვილად!

ჩემს რწმენის აფრას ზამთრის მღვრიე ქარი წეწავდა,
ვერ ავიტანე, საყვარელო, სულით ობლობა!
თუმც გადალახვა ამ მდინარის ბევრჯერ მეწადა,
ვეღარ ვაჯობე ბედისწერის დაუნდობლობას!

მე წინაპრების შემართება ჭაბუკს გამომყვა,
მაინც ვერ შევძელ, რაც მინდოდა, – დავრჩი გამოღმა!

22. 12. 62.
ბანძა

* * *

დავემშვიდობე გაზაფხულის დღეებს სანუკვარს
და განშორების ულმობელი ცეცხლი მედება!..
წავიდა ის დრო! – ხელმეორედ ვეღარ დაუკრავს. . .
საით გაფრინდნენ ჩემი ყრმობის თეთრი გედები?!

რეკავს საათი და ისრები ისვრის ნაპერწკლებს,
როგორც ეს გული მწარე ტკივილს, მძიმედ დაჭრილი!..
არ ვიცი, ახლა ამ მინდორზე თუ რას დავეძებ,
მიახლოვდება, მეგობარო, შენი აჩრდილი!..

ვეღარ გავრანდე ეს ცხოვრება გაურანდავი,
რა უსაშველო, ვეებერთელა ფრთები მეცემა!..
დროს მიაქვს უხვად ჩემი ოხვრა , როგორც ნადავლი,
აჰა, საცაა, ჩემი აფრაც დაიკეცება!..

შემომეფანტა გზაზე რწმენის ყველა ნათელი,
მივათრევ ტკივილს მოქანცული, ღამენათევი!..

08. 09. 63.
სოხუმი

* * *

ჩვენი ბავშობის სილამაზე საითკენ მიდის?
ამ წუთისოფლის ავანჩავანს ვერვინ გაიგებს!
ნაპირს ვშორდებით, ვგრძნობთ სიმძიმეს ავიამზიდის,
ჟამი კი ისევ გვათამაშებს, როგორც პაიკებს!..

მოვარდნილ დელგმას, მეგობარო, თავს ვერ ვარიდებთ
და დემონების უჩვეულო ეხდებით საბიზნე!..
გასცდები სცილარდს, ვერ წაუხვალ პირქუშ ქარიბდას
და ზღვა გუგუნით გამოგრიყავს სადმე ნაპირზე!

დასაბამიდან ჩვენი გზები მიდიან შორეთს,
მაგრამ ამ ქვეყნის ლაბირინთებს ძნელად გასცდები!
ო, ეს საწურთო, მეგობარო, ჰგავს მღვრიე მორევს,
და მას ვერასდროს ვერ გაარღვევ შფოთვით, განცდებით!

თუ გესევიან ყვავ–ყორნები დაჭრილს ბოლომდე,
რომც იყო ვეფხვი, ჟამი მაინც გაგაბოროტებს!

20. 05. 64.
სოხუმი

* * *

მომწვანო ბილიკს ზღვისკენ მარტო გავყევი ღამით,
ვერცხლისფერ შუქზე თვლემდა ჩუმად მიდამო ვრცელი. . .
მოჰქონდა ნიავს საოცარი სურნელი ველის
და ნიამორთა მუდამ ფრთხილი, ფარული ჩქამი!..

ფერდობზე წყარო ჩამორბოდა ხავერდით მთვარის
და იღვრებოდა რბილი შუქი საამო რხევით. . .
ზღვას კი ემოსა გამჭირვალე სამოსი თხელი
და ვარსკვლავების ფერთა კრთომით ვიყავი მთვრალი!..

ერწყმოდა სული ლაჟვარდების იდუმალ თრთოლვას
და მიცურავდა ცის თავანზე მთვარე ეული. . .
მოჰქონდა ნიავს სიშორიდან ხმა უჩვეულო
და ზღვა არხევდა ნავსადგურში თოვლისფერ ხომალდს.

ხსოვნას იმ ღამის დავიწყება არ ეკარება,
თუნდაც კივილით გადიქროლონ სივრცე ქარებმა!

12. 06. 64.
სოხუმი

* * *

სად შეწყვეტს ღელვას ო, ეს გული, არავინ იცის!
შორს გავსცდი უკვე ჯაბუკობის ცისფერ ნაპირებს!..
შენ სულთან იყავ დასაბამით შეკრული ფიცით,
ბრძოლის ველიდან ნუთუ ადრე გასვლას აპირებ?!

იქნებ ვერ შესძელ, მეგობარო, ძალის მოკრება
და შეუშინდი სიშორიდან გავარდნას მეხის?
ვერ გაუძელი, იქნებ ჟამის აბობოქრებას,
როცა ერთბაშად მიეხეთქე ცხოვრების გრეხილს!..

ვიცი, კივილით შესძრავს სული ცასა და მიწას,
ბრძოლის ველიდან, თუკი შენი გაქცევა ნახა!
ფიცხელ ბრძოლაში სისხლდაცლილი, რომ ველარ მიწექ,
ო, ის ვერასდროს გაიკარებს შენს ხსოვნას ახლოს!

რადგანაც ფიცი დასამაბით შეჰკარი მტკიცედ,
ბოლომდე უნდა შეუტიო დროსა და სივრცეს!..

14. 09. 64.
სოხუმი

* * *

ვზივარ ნანგრევზე, ზღვა ბობოქრობს ლურჯი და ვრცელი
და დროის ლანდი წარმავალი – გავცქერ დინებას. . .
ვერ მოვიშორე სატკივარი და სევდა ძველი,
რას იზამ, როცა ეს ბუნებამ ასე ინება?!

შენ მოხვალ ჩემთან. . . ისევ ცისფერ ყვავილს მომიტან,
მზე ცის თავანზე შემოხაზავს შუქთა ფანტომებს. . .
შენთან შეხვედრა, საყვარელო, ისევ მომინდა
და ისიც ვიცი, რომ ბოლომდე ვერ მიმატოვებ!

გარდასულ დროის სევდიანი მესმის სიმღერა,
რბიან დღეები და გული გრძნობს რბევას, წამებას!..
შეხედე, ზღვაზე ეს რამდენი ზვირთი მიღელავს,
მიახლოვდება ლურჯი ფრთებით შემოღამება.

დგას ჩემს გარშემო ფოთოლცვენის ფერთა შრიალი
და მიმსუბუქებს ამ სიმძიმეს შენი ტრფიალი!..

14. 08. 65.
სოხუმი

* * *

ამდენი თოვლი, მეგობარო, ჯერ არ მინახავს,
იღვრება ფიფქთა სიქათქათე, სივრცე ირწევა!..
მე შენს სიყვარულს, ჩემო მეგი, გულში ვინახავ,
სანამ დუმილად და ქაოსად გარდავიქცევი!..

ო, რა ძლიერად მომენატრა დრო ვარდფურცლობის
და ბილიკებზე ხეტიალი უმისამართოდ!..
ჩვენ მივდიოდით სიშორეში გზებით უცნობით,
შენი თვალების სილაჟვარდემ ისე დამათრო!

იმ დღეთა შუქი, როგორც ფიფქი, კვლავ მეფინება,
ვიხსენებ იმ დროს, ჭაბუკივით მემღვრევა სისხლი!
დარეკავს ზარი! მოვა ჟამის ურჩი დინება
და სადმე კლდეებს უშველებელს მიმახლის რისხვით.

თუნდაც რომ შევძლოთ, საყვარელო, მოსვლა მეორედ,
იმ აღტაცებას დრო ვერასდროს გაიმეორებს!

12. 01. 67.
სოხუმი

* * *

ასე ულმობლად ვინ დანალმა ცხოვრების ველი?
სად აფეთქდები უცაბედად – არავინ იცის!
იკივლებს ქარი, შეწყვეტს ქროლვას ნიავი ნელი,
ნუთუ ამაოდ ვეტრფით ცაზე ვარსკვლავთა ციმციმს?!

სავსეა სივრცე დასაბამით ხვრელებით შავით,
ყველა ჩვენი გზა, მეგობარო, იქითკენ მიდის!..
ცას ათასობით ვარსკვლავების მოსწყდება ზვავი
და ჩვენს ნაკვალევს დავიწყების დაფარავს ბინდი!..

ორი პოლუსი უმზერს ერთურთს თვალებით ცივით,
ო, ვინ ვის დასძლევს საბოლოოდ, არავინ უწყის!
ჩვენი ლამაზი სიყვარულის ჩაქრება სხივი,
დღეებს დღეები აღარ შეცვლის – კენტი და ლუწი!

ყოვლის დამხობი მოვარდება ზღვიდან გრიგალი
და პლანეტაზე არ დამრჩება ნაბილიკარიც!

24. 09. 67.
ბანძა

* * *

ჩემ წინ ქარი ისევ არხევს ალვებს ტანადს,
როგორც მაშინ, კვლავ მიღელავს გული ცხელი!
სივრცეს თოვლი რა უეცრად მოეძალა,
მოდი ჩემთან, დავიღალოთ ფიფქთა ცქერით!..

წლებს გარდასულს ისევ ღელვით ავედევნოთ,
შენთან ქროლვით, მეგი, ცხრა მთას გადავივლი!..
ფეხშიშველა გადავსერავთ ცისფერ მდელოს
და მაისის მივადგებით ფერთა ლივლივს!..

ო, ეს გული შენი ტრფობით მუდამ ღელავს
და იმ დღეთა მოგონებით სული იწვის!..
ტოტზე ისევ შეირხევა საქანელა
და ვარსკვლავი სიყვარულის იწყებს ციმციმს!..

როცა შენი მომინდება, სულო, ნახვა,
მთებს და მინდვრებს ოცნებებით გადავლახავ!..

14. 01. 70.
სოხუმი

* * *

ვერ ამოწურავს სათქმელს ჩემსას ჯერი ლექსების,
უფრო ღრმა არის ო, ეს ჩემი გრძნობის მორევი!..
როცა შენთან ვარ, საყვარელო, ფრთები მესხმება,
იდუმალ ნათელს სიყვარულის შენგან მოველი!..

გახსოვს, ზღვის პირას, რომ ფრთებს შლიდა ჩვენი ოცნება,
და მზეს მაისის, რომ მოჰქონდა სუნთქვა ნიავის?!
ო, იმ სინაზით ნუთუ კვლავ ვერ შევიმოსებით
და იმ დღეების კვლავ ვერასდროს ვიგრძნობთ სიამეს?!

ჩაბარდა წარსულს აღტაცებით ფრენა ტოლებთან
და ცრემლიანი მივსდევთ ახლა მთვარის ბილიკებს. . .
რა იქნა, სულო, ის დღეები, რომ გვათრთოლებდა,
მოვა ჟამი და რა ულმობლად გაგვაქილიკებს!..

ირგვლივ ყოველი რა უეცრად შეკრთა, გახუნდა,
ყოველ ნაბიჯზე ჟამი ისევ გვიგებს სახუნდარს!

17. 11. 70.
სოხუმი

* * *

ტყე იხდის ტანზე შემოდგომის მთვარისფერ ფარჩას,
ხმაურობს სივრცე უბოლოო ტკივილით სავსე!..
ჩვენი ლამაზი ნაფეხური თუ აღარ დარჩა,
მაშინ ამაოდ გვიცხოვრია ამ ქვეყანაზე!

თუ ვერ შევძელით გავარღვიოთ სამანი მღვრიე
და ბოროტ თვალებს კეთილისგან თუ ვეღარ ვარჩევთ!
დაილუქება სადმე ჩვენი სამარე ძლიერ
და დავიწყებას მამა ღმერთიც ვერ გადაგვარჩენს!

ო, ჩემო მეგი! სივრცე თუ ვერ გავიცისკროვნეთ,
თუ ვერ აგვინთებს ტრფობით გულებს მზე აღმავალი!
მითხარი მაშინ, რაა ნეტავ სულის სიცხოვლე
და სამზეოზე ჩვენი ყოფნის აზრი მთავარი?!

თუ ვერ გაიჭერ მთელი ძალით ჟამის ბილიკზე,
ო, ჩვენი ტრფობის ატირდება მაშინ პირიმზე!

24. 10. 71.
სოხუმი

* * *

ჩვენს შორის უკვე ჩაქრა თითქმის ყველა სანთელი
და სიყვარულის ყველა სხივი ტკივილით დაწყდა!..
რა ვუყო ამ გულს გაძარცულს და ჟამით გათელილს,
ო, ასე მწარედ, მეგობარო, ღმერთი რად გაწყრა?!

რად შეწყდა რტოზე ჩიტუნების გალობა ტკბილი,
ან მინდვრის ყვავილს რად სდის ასე ცრემლები ცხარე?
დაღლილი გული დაუნდობელს ვერ უძლებს ტკივილს,
თუმცა სივრცეში კვლავ თამაშობს ფერები მწვანე!..

ვერ იქნა დღემდე ვერ დავსძლიე სიმუხთლე ბედის,
ვერ იტანს სული უბოლოო ცხოვრების რიალს!
ო, ჩემი ტრფობის სიშორეში გაცურდა გედი
და დააქვს ახლა მინდვრად ჩემი ცრემლები ნიავს!..

აჰა, საცაა შემოდგომა მოდგება კიდეც,
ჩემი ცა ლურჯი, გაზაფხულის მოიხსნის რიდეს!

12. 08. 74.
სოხუმი

* * *

შენს თანჯარასთან ვიდექ ჩანგით კაცი ეული
და ჩემს არსებას უებარი ცეცხლი მოება!..
შენ ერთადერთი იყავ ჩემი გულის რჩეული
და ვუმღეროდი მაგ სინაზეს და სათნოებას!..

ამოდიოდა მთვარე თრთოლვით და ვარსკვლავები
უსმენდნენ კრძალვით ჩემი სულის იდუმალ რხევას!..
ბავშვური გულით შენი ტრფობის ქსელში გავები
და, საყვარელო, ახლაც შენი ღიმილის ტყვე ვარ!..

მე გამძაფრებით ვაწვებოდი სიმებს ელვარეს
და მოიწევდა შენსკენ გული დაუცხრომელი!..
ვიდექ სარკმელთან, როგორც ბარდი ღამისმთევარი,
სანამ ბროლის კოშკს აგივსებდა შუქი ცხოველი!

გაფრინდა ის დრო!.. ამიტირა ჩანგის სიმები
და მხოლოდ ხსოვნას შერჩა შუქი მონასხივები!..

24. 08. 79.
სოხუმი

* * *

შერჩება მერმისს სტრიქონები სავსე განგაშით,
რადგან ცხოვრება შენთვის გახდა აუტანელი!
სიმძაფრე სულის ვერ იქნა და ვერ შეანელა,
გადაივიწყა შენმა ხმალმა უკვე ქარქაში!

ვერ შეურიგდი დემონების ირიბულ მზერას
და თავგანწირვით ჟამის ბევრჯერ ეკვეთე კედელს!..
შენ გაიმარჯვებ, ოღონდ რწმენა არ დაგიბერდეს,
რადგანაც ენდე, მეგობარო, ოცნებას ფერადს!..

დასამხობელი დაემხობა და ცის თავანზე
ასი ათასი აინთება ვარსკვლავი რწმენის!..
სივრცეს ვარდები კვლავ აანთებს ღიმილით წრფელით
და გაზაფხული კვლავ სიყვარულს შემოგთავაზებს!..

წლები კი არა, საუკუნე მიდის, ბერდება
შენ დგახარ მარტო და მომავლის გეიმედება!..

25. 08. 79.
ბანძა

* * *

ვეფერებოდი მე შენი თმის ლამაზ კულულებს,
როგორც ტირიფებს ეფერება ღამის ნიავი!
ცა იყო მთვარის ნაზი შუქით გადაბურული
და იდგა ზღვაზე ვარსკვლავების ლურჯი შრიალი. . .

ჩვენში რამდენი ირხეოდა ჟამის სინათლე
და ირგვლივ იდგა იდუმალი თრთოლვა ყვავილთა!
მე ის შეხვედრა, საყვარელო, ბევრჯერ ვინატრე,
თუმც ის დღეები ჩვენგან უკვე რა შორს წავიდა?!

მეგი ძვირფასო! გავცდით უკვე იმ ძველ სანახებს,
მაგრამ იმ დღეთა მოგონება მეხალისება!..
ო, მაგ ბაგეთა თრთოლვა ერთხელ კიდევ მანახა
და იმ თვალების სილაჟვარდე საესე ღირსებით!

საით წავიდა ის სინაზე და სიანკარე?
დრო მიქრის, მაგრამ ფრთებს უხეშად ვერ მიაკარებს!

22. 10. 79.
სოხუმი

* * *

გარჩენილი ვარ ქვებზე კალმახი
და ახეული მაქვს ლაყუჩები. . .
ტიციან ტაბიძე

ვინ შეაჩერებს უთავბოლო ზვირთების რიალს,
ან ვინ გამოლევს ქვეყანაზე სინდისგარეცხილს?
შენს გულს რაინდულს ჰქონდა ყველა ჭრილობა ღია,
როცა ხედავდი მამულის ფრთებს უღვთოდ დალეწილს!

ბრუნავდა შენში პოეზიის შმაგი მორევი,
სულით ხორცამდე ლექსს მიეცი რაც კი გებადა!
მამულს ღრუბელი შემოადგა ავი ზმორებით
და შენ ეკვეთე სიტყვის ძალით რომ გაგეფანტა!

არ გწამდა კაცი ჟამის შიშით განაყუჩები,
შენი სახელი განწირულთა წიგნში ეწერა!..
სისხლმა ერთბაშად ითქრიალა ლაყუჩებიდან
და გადმოხეთქა მაგ გულიდან ლექსის მეწყერმა!..

შენი ტანიდან ჯალათებმა სისხლი აწვიმეს!..
სული ლექსებმა აქ მიწაზე გაინაწილეს!..

25. 06. 80.
სოხუმი

* * *

პაოლო იაშვილს

დგება ჟამი და შემართებას რაინდულს ითხოვს,
როცა ბარბაცებს საუკუნის "მთვრალი ხომალდი!"
მაგ გულის ცეცხლით სულ უბრალოდ ადნობდი ლითონს
და შეეხეთქე თავგანწირვით გრიგალს მოვარდნილს!..

წამოიმართა მრისხანებით დემონი შავი,
გახელებულმა ვერ მიაგენ შხამის სათავეს!
ვერ გაუძელი ყელგამოჭრილ მამულის ბღავილს,
შემოიგლიჯე ტანზე ჟამის ყველა სადავე. . .

და ტყვიას შუბლი შეაგებე ფაფარაშლილმა,
შენ არ იცოდი თუ რა იყო სულის დაცხრომა!
იფოფრებოდა შემზარავი შავი აჩრდილი,
მაგრამ ვერ შესძლო, რომ დაეხო შენი კაცობა!

დღეს ვეფერებით შენს ლამაზ სულს მსხვერპლად მიტანილს,
კაცობის გზაზე შემართული დგახარ ტიტანი!..

19. 09. 80.
სოხუმი

* * *

ფერიცვალების აიწყვიტეს უკვე ქარებმა,
გადააყვითლეს უცაბედად ირგვლივ ყოველი!..
წავიდა ის დრო და არაფერს აღარ მოელი,
იცრემლებიან გულსაკლავად შენი თვალები!..

შეხედე, მინდვრად გაზაფხულის ჭკნება ყვავილი
დ მიაქვთ ქარებს უგზო–უკვლოდ წყება ფოთლების. . .
შენ დგახარ ჟამით უცნაურად შენაშფოთები
და გამღვრევს ირმის სევდიანი შორი ბღავილი!..

ცა გაძარცული მერცხლებისგან სევდას გაწვიმებს,
ზღვაც იშმუშნება უცნაურად ნაჭრილობევი!..
კარუსელივით ფერს იცვლის და ბრუნავს სოფელი,
რომ საშზეოზე არსებობა გაიხანგრძლივოს!

შენ მიხვალ, სულო, წუთისოფლის გზებზე მარები
და მიგაქვს გული უსაშველოდ ნაიარევი!..

16. 09. 83.
სოხუმი

* * *

ჩემი ცხოვრების შემოდგომა დამთავრდა უკვე
და ზამთრის ბილიკს სევდიანი მივყვები აღმა. . .
წუხელ, რა მწარედ შემომტირა ბავშვობის ბაღმა,
რომელიც ადრე მიცქერროდა თვლებით ნუკრის!..

ო, ჩემ წინ უკვე ზამთრის ღამე წვება ხმაურით
და სულის ათრა დამიწეწეს ულვთოდ ქარებმა!..
არ ვიცი ახლა, თუ საითკენ მიმეჩქარება
და ზვირთი ჯებირს კვლავ აწყდება აურზაურით!..

შეღამების გზას ვერ მინათებს მთვარის სხეული,
ო, იმ დღეების საუკუნოდ ჩაქრა ნათება!
საით გამექცა სათაყვანო შენი ხატება?
შეხედე, ჟამმა რა უეცრად დამასნეულა!

ვინ ამოაშრობს ჩემს ბილიკზე ცრემლებს დადენილს,
რა ვუყო ამ გულს წუთისოფლის სევდით დატენილს?!

29. 11. 87.
სოხუმი

* * *

კვლავ შეღამების ბილიკს გავცქერ ფოთლებდაფენილს,
მზე ჩამავალი იზმორება სველი თვალებით!..
ვინ დააბრუნებს, სიშორეში დღეებს გაფრენილს
და ხეივანი მოჩანს ზღვასთან ნაფერმკრთალები!..

მიდის მდინარე გადაღლილი ჟამთან დუდუნით
და ნაპრალებში რუხი ფერის წვება ნისლები. . .
ჩაკეტავს მალე ყინვა მკაცრი სივცეს ურდულით
და წყლის სარკეზე ცვივა სხივთა მყიფე ისრები!..

ქარი მრისხანე დაუბერავს სივრცეს მთვლემარეს,
გაჟღენთილია არემარე ზამთრის ზმანებით!..
სული ბობოქრობს ქვეყანაზე დაუტევარი,
ამხედრებული ნაფეხურზე დინოზავრების!..

მოაქვს მთის ქარებს კვლავ ღრუბლები თოვლით ორსული,
ვდგავარ ზღვის პირას მძიმე სევდით გარემოცული!..

29. 11. 90.
სოხუმი

* * *

შევედი ბაღში, შუქი თოვდა მოლურჯო მთვარის
და მე, მარტოსულს ხეტიალი მომინდა დიდხანს!
ბუნებამ ჩუმად საიდუმლო რამდენი მითხრა
და იყო სივრცე გაზაფხულის სურნელით მთვრალი!..

ამ ხეივანში დავდიოდით მე და შენ, მარი!
მახსოვს, მაშინაც მთვარე ასე ლამაზად თოვდა. . .
გულები ჩვენი უჩვეულო სინაზით თრთოდა
და ტირიფებთან ფარფატებდა აპრილის ქარი!..

ის სილამაზე საით გაჰყვა დინებას ჟამის
და სუნთქვა წყლიდან ამოყვანილ თევზივით მიჭირს!
ანკარა წყალში სილუეტი ირხევა ფიჭვის
და მოგონების სივრცეს ფარავს დუმილი ღამის!..

ვტოვებ ზღვის ნაპირს და გავდივარ უჩუმრად გზაზე,
ზამთრის ჩიტივით კვნესის გული! – ნეტავი რაზე?!

24. 04. 91.
სოხუმი

* * *

არ ვიცი ახლა, ვის მოვუხმო, ვის ვესაუბრო?
უგუნურებამ, ნახე, ყველგან ხელი დარია!..
ო, ეს ქვეყანა დემონების გახდა საუფლო,
როგორ მომრავლდა ქვეყანაზე ბაკქანალია!..

გაუთავებელ დავას ჟამთან სული ვერ იტანს,
ისევ რა ურჩად იზმორება შავი აჩრდილი!..
მე სისხლის ნთხევით გამოვედი ბრძოლის ველიდან
და მკერდზე კიდევ შემზარავად ბოძალგაჩრილი!

ჟამის გრიგალმა ულმობელმა აღარ დამინდო,
შემოუტია ბევრჯერ ჩემი ციხის გალავანს!..
მაგრამ შემომრჩა დაუმცხრალი სული რაინდის,
ვდგავარ, ყიჟინით მივაცილებ დღეთა ქარავანს!..

დრო მიდის!.. მე კი არაფერი მეიმედება,
ნუთუ ტკივილი უჩვეულო აღარ ბერდება?!

22. 10. 91.
სოხუმი

* * *

მახსოვს, დავქროდით ჩვენ ორივე ზღვაზე გლისერით,
თითქოს, ძვირფასო, ლაჟვარდების ვგავდით ბინადარს!..
ცა თოლიებით ეჰ, რამდენჯერ გადაისერა
და შემდეგ, სადღაც სიშორეში გაუჩინარდა!..

სად გაქრა ნეტავ, ის ღიმილი შეუდარები
და აღტაცება ვარდფურცლობის შუქით ნაფერი?!
თვალს მიეფარა ყოველივე, როგორც ზმანება,
და ის დღეები მახსენდება, – სხვა არაფერი!

ცა შემოდგომის გაფერმკრთალდა, შეწყდა ჟღურტული,
აჰა, საცაა, ბილიკებზე თოვლიც მიწვება. . .
ნუთუ ყოველი ჟამით არის შემოზღუდული
და ის თვალებიც ვერ აიცდენს გადავიწყებას?!

მოვდივარ ზღვასთან, განშორების ზღვართან მისული,
და ღელავს სივრცე შემოდგომის გადანისლული. . .

26. 11. 91.
სოხუმი

* * *

შენს ყვავილნარში ახლა უკვე არავინ მოდის,
დადუმდა, დაო, ვარდფურცლობის სიმი წკრიალა!
იქნებ აყვავდეს ხელმეორედ, მაგრამ ეს როდის?
და მოგონებამ თვალი ბევრჯერ ამიწყლიანა!..

იქვე წყაროსთან კვლავ ირხევა ალუბლის ტოტი,
რომელიც შენზე უჩვეულო ხსოვნას ინახავს!..
ამ ყვავილნარში ახლა უკვე არვინ მოდის
შენ კი, ძვირფასო, სამუდამოდ ცათა შინა ხარ. . .

წავიდა ის დრო მზის სხივების თამაშით მთვრალი,
ნიავის ფრთებზე საოცარი სინაზით თრთოდი!..
და დილის შუქზე ციმციმებდა ცისფერი წყარო. . .

კვლავ გელოდება, მაგრამ ზღვარი არ უჩანს ლოდინს,
სული კი ტკივილს შეუპყრია აქ უმოწყალოდ
და შუქი მკრთალი ეფინება მზისა და მთვარის. . .

26. 01. 92.
სოხუმი

* * *

ისევ აცეკვდნენ ჩიტუნები მოლზე აპრილის
და მოდის ციდან განთიადის შუქი ულევი. . .
ეს არის ჩემი ჭაბუკობის ლურჯი ნაპირი,
დღე დარწეული ყვავილების თაიგულებით!..

ისევ აენთნენ აღტაცებით მთის მწვერვალები
და შორს თხემებზე გაზაფხულის ნისლი მიცურავს. . .
სულო, ძვირფასო, კვლავ მეჩვენე, ნუ მემალები,
შეხედე ტირიფს სალოცავად ზღვასთან მისულა!..

კვლავ ფეთქავს სიერცე დაცხრილული ოქროს ისრებით,
ვიხსენებ წარსულს, უკვე გრძნობას ვეღარ ვერევი!..
როგორც ზღვა სხივით, მეც იმ დღეთა შუქით ვივსები,
აქ ირწეოდა ჟამი ჩემი ბედნიერების!..

მე შენ მიზიდავ. . . სიყვარულით შენსკენ მივიწევ!
როს დაგშორდები, – ზღვაო, ნუღარ გადამივიწყებ!

12. 04. 92.
სოხუმი

* * *

რატომ დაგჩემდა ხეტიალი მთვარიან ღამით,
რამ შეგაყვარა ასე ძლიერ მდინარის პირი?
მიაყურადებ გაზაფხულზე ირმების ბღავილს,–
იქიდან, სადაც ტირიფები ირხევა ხშირი. . .

იხსენებ ღელვით გაფრენილი დღეების წყებას,
რომელსაც ხშირად უბრუნდები იდუმალ გრძნობით!..
მაგ სულის თრთოლვას ვერაფერი დააკლეს წლებმა,
რომელსაც კრძალვით ეფინება ფერები ყრმობის!..

დღეებს სალოცავს ეთხოვები ტკივილით დიდით,
რომელსაც აწი დაგიბრუნებს, ალბათ, ვერავინ!
ამ სამზეოზე ყველაფერი თავის გზით მიდის,
იხსენებ დღეებს–გაფრენილებს სისწრაფით ელვის!..

არ ვიცი, ასე რად ვაღმერთებთ ძალას ბუნების,
როცა გზას გვიხშობს ის ყრმობისკენ შემობრუნების?!

27. 05. 92.
სოხუმი

* * *

რა სუსხიანი და სასტიკი დღეები ბრუნავს,
განდევნა ქარმა ულმობელმა ლურჯი ნიავი!
ეს ჩემი ბაღი დაემსგავსა მხეცების ბუნაგს
და დგას გარშემო უჩვეულო ორომტრიალი!..

მზე ღრუბლებიდან იმზირება შიშით, ცახცახით,
ნუთუ ავდარმა დაულეწა სხივები ერთობ?
გაფრენილ დღეებს ყიჟინით და სტვენით გავძახი,
მაგრამ ამაოდ! არავინ ჩანს მშველელი, ღმერთო!

ჩემს ბაღს არ შერჩა არც სურნელი, არც სილამაზე
და გულისცემას ვერ იქნა და ვეღარ ვამშვიდებ!
ამ დღეთა ბრუნვა მე ნიადაგ ტკივილით მავსებს
და უსაშველო ღელვით მიკლებს, სანამ დამშლიდეს!

თუ ზამთრის ქარმა ბაღი ერთობ გამინიავა,
ვინ ამიყვავებს გაზაფხულზე ქცეულს იავარ?!

12. 11. 92.
სოხუმი

* * *

ჩემი ცხოვრების, როცა უკვე სამოც წელს გავცდი,
ბუნების საგნებს და მოვლენებს სხვა თვალით ვუცქერ!..
სულ სხვა საზომით ვზომავ ახლა ნანახს და განცდილს
და ვაფენ ჩუმად ცრემლის ფიორს ამ ბოლო ფურცლებს!..

ჩემი ცხოვრების, როცა სამოცს გადავაბიჯე,
ო, გული უკვე, მეგობარო, სხვაგვარად მიცემს!..
რა შორს დავტოვე საოცნებო ველი ნარინჯის
და ულმობელი ტკივილებით ვაწყდები სივრცეს!..

ჩემს დიდ ოცნებას რა უეცრად ეცვალა ფერი
და ახლა ჩემში თითქმის ყველა უჯრედი კვნესის!. .
გადადის ცაზე შემოდგომის ღრუბლები ფრენით
და სულის აბედს ვეღარ ვანთებ გრძნობების კვესით!

მითხარი ჟამო! რატომ გახდი შეუბრალები?
რად შეიშფოთე ასე მძაფრად სულის ზარები?!

02. 12. 92.
ბანძა

* * *

ჩემს თვალთამზერას მიეფარა წლები ნათელი
და ახლა ხსოვნას უძვირფასეს დავუმეგობრდი!..
მზე ჩადის ზღვაზე, ქრება კიდევ ერთი სანთელი
და სევდა ტბორავს იმ მიდამოს, სად მზე მეფობდა!..

ცას მთვარე ისევ აედევნა მკრთალი ნაბიჯით,
ამაღამ ზღვაში ვეღარ ჩაჰყრის ოქროს ანკესებს!
აჰა, სამოც წელს უმოწყალოდ გადავაბიჯე,
დავეშვი მთიდან ჩემი ჩანგით უკვე ვაკეზე!..

შენ გული ჩემი – ეს რამდენჯერ მოინადირე,
მანამდის, თითქმის სიყვარულში დაუგეშავი!
შორს დარჩა ჩემი ჭაბუკობის თეთრი სატივე
და შემრჩა ჟამი უსაშველოდ მოუხეშავი!..

ეს ვინ მომტაცა უცაბედად შუქი ცხოველი?
დავდივარ მარტო, დამაქვს გული დაუცხრომელი!..

24. 12. 92.
სოხუმი

* * *

ვეღარ ნელდება ჩემში ზვირთთა აბობოქრება,
კვლავ იცრემლება ო, ეს ზეცა უფაქიზესი!
საით მიდიან ეს ნისლები ასე ბოლქვებად,
მარქვით, ამ დღეთა მდუმარების რაა მიზეზი?!

ჩემი მამულის ყველა ბურჯი ერთობ დაინგრა
და ულმობელი მომეძალა გულზე ნაღველი!..
ჟამი ცივია და მრისხანე, როგორც ტაიგა,
სულით–ხორცამდე შეძრწუნდება მისი მნახველი!

შენს დიდ ტანჯვაზე კვნესის ჩემი ჩანგის სიმები,
მაგრამ წყლულების მოშუშება ვეღარ შევძელი!
გაქრა დღეები მზით და მთვარით მონასხივები
და ვერ ვიშორებ, მეგობარო, ტკივილს შეძენილს!

ო, მე შენზე ვარ ფიქრით, გრძნობით ღამის მთევარი
და რას დამაკლებს დემონივით ჟამი მდევარი?!

25. 06. 93.
ბანძა

* * *

ვერ იქნა, ვეღარ მოვიშორე ეს ფუჭი სევდა,
ვერ ავადევნე სული ცაზე ვარსკვლავთა ციმციმს!
ცხოვრება, თუ რას დაემსგავსა, ამას ხომ ვხედავთ,
ხვალ რა იქნება, მეგობარო, ესეც ხომ ვიცით?!

შეხედე, ირგვლივ ყველაფერი იცვლება მდორედ,
ამ წუთისოფლის საიდუმლოს ვერაფრით ვსწვდები!
და ძველებურად უკვე ვეღარ მივარღვევ მორევს,
მომსდევს დემონი ულმობელი შორეულ წლების!..

მინდორზე ისევ ჭაბუკობის ჭიხვინებს კვიცი,
მე კი თვალები, ბრძოლით დაღლილს, მევსება ცრემლით!..
ვდგავარ კბოდეზე და ბუნება სამოსელს იცვლის,
ზღვა ხმელეთს ისევ ემუქრება ზვირთების ცემით!..

იჩქარე, მედგრად გაარღვიე ზვირთების წყება,
თორემ მინდორზე ზამთრის გრძელი წყვდიადი წვება!..

31. 07. 93.
სოხუმი

* * *

საიდან მოველ, ან საითკენ მივდივარ ნეტავ?
ჩემი წამება ულმობელი არავის ესმის!..
რად გამაჩინე ამ ტანჯვისთვის, ძვირფასო დედა!
მე ვგრძნობ, რომ ახლა შენი სული შორიდან კვნესის!..

მოვედი ქვეყნად, რომ მეხილა სამოთხის ბაღი
და ვარსკვლავები მოფართქალე ოცნების ცაზე...
მაგრამ ეს სული უსაშველო ტკივილმა წარღვნა,
საპნის ბუშტივით გაქრა სივრცის ის სილამაზე!

და ვეფერები წუთისოფლის საოცარ ლანდებს,
ბაღის სიღრმეში სევდიანი ჟივჟივი ისმის...
მივდივარ გზაზე, სიყვარულის მივარხევ სანთელს,
ფერიცვალების ჩემს გარშემო ირხევა ნისლი!..

იქნებ მარადი განახლების ქარი ქრის ნელი
და სული ისევ მხოლოდ ახალ სამოსელს ელის...

19. 09. 93.
ბათუმი

* * *

ზღვა გატრუნულა და სიზმარში იდუმალ ხვნეშის,
რა ეჩვენება, ან რად არის შენაშფოთები?
კუდიანები, ისე სწრაფად დაქრიან ბნელში,
ვით ზამთრის პირას ქარის ფრთებზე ხმელი ფოთლები. . .

აუტანია სივრცე ცახცახს იმ დღეთა გამო
და ზღვის კალთაზე იცრემლება მთვარე გრძნეული!..
იღვრება წყალში სევდიანი ცა მოკამკამე
და მიბარბაცებს ჟამი ანძებგადამსხვრეული!..

რად გახდი, გულო, მღელვარე და დაუნდობელი,
ეს ვინ ჩააქრო, აქ სიცოცხლე ანაყვავები?
ყოველი წამი რატომ მექცა უდაბურებად?

შეხედე, როგორ შემზარავად ბრუნავს სოფელი!..
ისევ ჩხავილით აწყდებიან სივრცეს ყვავები,
ვერ იქნა, დღემდე ვეღარ ჩავსწვდი კაცის ბუნებას!

15. 11. 93.
სოხუმი

* * *

შენ ბედისწერის ლაბირინთში იხეტიალე,
არ გაიკარე, მეგობარო, დაცემის შიში!
ო, ეს ცხოვრება დასაბამით ასე ტრიალებს,
სანამდის აღარ გადაფარავს უდაბნო ქვიშის!

და გამხნევებდა შორეული ზეცის სიალე,
შუბლზე კი რწმენის, გამარჯვების შუქი გეღვარა!..
შენ ბედისწერის ლაბირინთში იხეტიალე,
ამას ხედავდა დასაბამით მთელი ქვეყანა!..

ვეფხვის ნახტომით გადათელე ჟამი ვერაგი
და შეუპოვრად, შენ უზომო მსხვერპლი გაიღე!
ტანზე შემოგრჩა სისხლიანი თეთრი პერანგი,
რომელსაც ჟამთააღმწერელი დაათარიღებს!..

ერთმა შესძელი, რაც ვერავინ შესძლო მანამადე
და უკვდევება შენ სიკვდილით გაიმარადე!..

14. 02. 94.
ბათუმი

* * *

როცა ისარი შეწყვეტს ცახცახს ჩვენი საათის,
გადაუვლიან სივრცეს ქროლვით თეთრი ცხენები!..
მერე არასდროს შეიცვლება ეს მისამართი
და მამულის ცით, ვიცი, ბევრჯერ დავიცრემლებით!..

დარეკავს ჟამი! მოვარდება ქარბუქი ზამთრის
და გაფრინდება გაზაფხულის თეთრი ფრინველი!..
დროის დინება ჩვენს სიყვარულს არაფრად ჩათვლის,
რაა ამაში უჩვეულო, გასაკვირველი?!

საფლავის მიწა გამოფიტავს ბაგეებს ლამაზს,
აათამაშებს მთვარის ლანდებს ცისფერი ტოტი. . .
მერე ცხოვრება, ჩვეულებრივ, თავის გზით წავა,
დაიფარება სველი ხავსით საფლავის ლოდი!..

ჩვენი სულები ვარსკვლავეთში ივლიან ფრენით,
თუ სიყვარულის ვარდფურცლობის შემორჩათ ფერი!..

26. 05. 94.
ბათუმი

* * *

უჩემოდ, ვიცი, მკვლავებს უხეშს რომ მოგხვევს ჟამი,
ვიცი, უჩემოდ ტკივილებით გაითანგები!..
გაგახსენდება ბილიკები თეთრიც და შავიც
და ცის თავანზე ოცნებებით კოშკი ნაგები!..

სულო, უჩემოდ შენ ჯვარცმული გახდები, ვიცი,
ვიცი, უჩემოდ შენ სიკვდილსაც არაფრად ჩათვლი!
თვალს მიადევნებ იმ შორეულ ვარსკვლავთა ციმციმს,
ოდესღაც ჩვენი სიყვარულის სივრციდან ათვლილს!..

ვიცი, უჩემოდ მოგაწყდება ლანქერი სევდის,
რომ გაიტაცოს შენი დიდი სინათლის ნაშთი!
რადგან საოცრად ულმობელი ყოფილა ბედი,
შენი ხომალდიც განშორების იალქნებს გაშლის!..

როდესაც უხმოდ ჩვენ მიწიერს გავიხდით სამოსს,
შორიდან ყრმობის ბილიკები ცრემლებით ვნამოთ!..

12. 09. 94.
ბანძა

* * *

ვდგავარ ზღვის პირას, ღამე ოხვრით ეშვება ზღვაზე,
მოჩანს ათრები ზღვის სივრცეში ნადაისარი. . .
ჩემში ადგილიც აღარ რჩება, ერთი მისხალი,
იგი ისეა მოზღვავებულ ტკივილით სავსე!..

ჟამის ქარებმა დაუნდობლად ბევრჯერ დამტორეს,
მაგრამ ეს გული, მეგობარო, მაინც მხნედ არის!
აპოკალიფსის საით მიქრის ოთხი მხედარი?
როგორ გაუძელ, გულო ჩემო, ამ სიმარტოვეს?!

შორს მიცურავენ სიშორეში ღრუბლის ტივები,
ვერ დავიოკე გრძნობა მარად დაუოკები!
პრომეთესავით მიჯაჭვული რკინის თოკებით,–
ჩემი მამულის ბედზე ვბორგავ და მეტირება!..

თავისუფლება ჩემი ქვეყნის ღმერთმა ინება,
გადაურჩება იგი ჟამის მღვრიე დინებას?!

27. 10. 94.
ბათუმი

* * *

წუხელ სიზმარში ნაღვლიანი გამომეცხადე,
დავიღალეო, ბიჭო, წოლით ამდენი ხანი!
მე შენთან ყოფნა–საუბარი დიდხანს მეწადა,
მაგრამ თვალებში მხოლოდ სასოწარკვეთა ვცანი!..

ტანზე კი გეცვა სამოსელი შავი, უხეში,
იდექი მარტო, უჩვეულოდ და ყრუდ გმინავდი!..
მოლურჯო შუქი გიფეთქავდა თვალთა გუგებში,
შემომხედე და უცაბედად გაუჩინარდი!..

საით წახვედი, ვერაფერი ვეღარ გავიგე,
უსაზღვრო სივრცე იყო ყრუ და დაუძლეველი!..
თითქოს გარშემო ზამთრის ცივი იდგა ტაიგა
და ცახცახებდა უჩვეულო შიშით ტყე–ველი!..

გამომეღვიძა, ჩანდა სივრცე ნაფერმკრთალები
და განშორების ცრემლით მქონდა სავსე თვალები!..

20. 07. 98.
მოსკოვი

* * *

დღეს ჩემს ეზოში ტყვიისფერი დუმილი სუფევს,
დავხეტიალობ კუთხე–კუთხე, მიუსაფარი!
ეს გული უკვე, ტკივილების ქცეულა გუბედ
და ტყის ნაპირზე დამაყარა ნისლმა ფაფარი!..

დროსთან ჭიდილს კვლავ უმკლავდება ღელე პატარა,
სხივებს ისრუტავს და სიბერეს აღარ იკარებს!
რად დაეუფლა ამ ჩემს ზღაპარს ჟამის სატანა,
ვინ წამიშალა სიყმაწვილის ნაბილიკარი?!

გაუძელ გულო! ამ ულმობელ ჟამის შეტევას,
ო, სულის ღელვას ვცდილობ, მაგრამ ვეღარ ვანელებ!
მოვა აპრილი! ცა ფერებით გადიპენტება,
მაგრამ გახდება იგი ჩემთვის აუტანელი!

ვერ ეგუება მარტოობას კაცის ბუნება,
დავდივარ უხმოდ, მხოლოდ სევდა მეხმაურება!..

20. 10. 98.
ბანძა

* * *

ამიერიდან არ სჭირდება ჩემს კუბოს გახსნა,
ხელი არ ახლოთ, მეგობრებო, ამ თავის ქალას!
სული, ხომ ქროლვით დედამიწის სამანებს გასცდა,
სხეული ვანდე ქაოსსა და ღამეებს წკვარამს!..

დასაბამიდან ანგელოზი მფარველად მყავდა,
თუმც ვაწყდებოდი დემონების სიურჩეს მედგრად!..
ო, ამ მიწაზე ჩემი ყოფნის დამთავრდა ვადა,
სული გაფრინდა და სხეულმა შეწყვიტა ფეთქვა!

ამ ბაღს და მინდვრებს ეჰ, რამდენი ვესაიდუმლე,
რომელსაც ჟამი ულმობელი ბოლომდე ძარცვავს!..
შორს დარჩა ო, ის ბილიკები გადაბინდული,
არ შეუშინდი რკინის ფარდებს, წყევლას და ჯვარცმას!..

მითხარი, სულო მეამბოხევ, საითკენ ილტვი?
შენ შორს იქნები, მაგრამ სათქმელს ლექსები იტყვის!..

24. 10. 99.
მოსკოვი

* * *

ვდგავარ ეულად საუკუნის გადასახედზე,
კვლავ მოდის ჟამი, რომ ის ხსოვნა ჩემში მოშალოს!
დემონი ისევ ფრთებს ულმობლად მახლის სახეზე,
რომ სული ჩემი სამუდამოდ დააკოშმაროს!..

შმაგი შეტევა, თუმცა ბევრჯერ მოვიგერიე,
არ მინდა მხრებზე ყვავ-ყორნების ჩრდილი მეფინოს!
მე საშობლოსკენ შორეული გზები მელიან,
შეუძლებელი, ღმერთო, იქნებ შემაძლებინო!

იმღვრევა სივრცე, ქარაშოტის მესმის კივილი,
შეხედე ერთი, ბოროტება როგორ ნებივრობს!..
რა უსაშველოდ მომეძალა უკვე ტკივილი
და ლამის არის გადმოლახოს ყველა ჯებირი!..

მე ხიდზე ვდგავარ, ირყევიან ღელვით ბურჯები,
რა ვუყოთ მერე, თუკი ვეღარ გადავურჩები!

25. 12. 99.
მოსკოვი

* * *

მეგობრებიდან უკვე თითქმის არავინ დამრჩა,
ო, ეს ტკივილი ულმობელი აღარ ბერდება!
ამ ხეტიალში ეს რამდენი გავცვითე ლანჩა,
გული კი მკერდში კვლავ განაგრძობს მედგრად შეტევას!..

დღეს აჭა, უკვე სამოცდაათს გადავაბიჯე,
სული სიმშვიდეს, მეგობარო, მაინც არ ითხოვს!
მე ჩემი სოფლის ისევ ვუხმობ ერთგულ ძმაბიჭებს
და ვიწვი კაცი ბიბლიური ბუჩქივით თითქოს!..

ვერ მოვიშორე დემონების ეს წყევლა–კრულვა,
მივარღვევ სივრცეს უჩვეულო სულისკვეთებით!..
ო, აღარ შედრკე და ბოლომდის იბრძოლე, გულო,
სანამ მდუმარედ სარკოფაკში ჩაიკეტები!

იბრძოლე მედგრად! არ მოგედოს კვნესა და შიში,
რომ აღარ გშთანთქას საუკუნოდ უდაბნომ ქვიშის!

21. 09. 01.
მოსკოვი

* * *

გადავუქროლე საუკუნის უღელტეხილებს,
ომი, სისხლის ღვრა, ველურობა ვნახე მრავალი!..
შენი თვალების სილაჟვარდე რომ არ მეხილა,
ამაკივლებდა ზღვის სიღრმეში მზე ჩამავალი!

ვერ იქნა, დღემდე ვერ ვიშორებ დროის სიურჩეს,
კვლავ ხვნეშის გული უჩვეულო ცეცხლის მოდებით!..
რეკავს საათი, მაგრამ ღელვას ვეღარ მიყუჩებს,
ვაწყდები კაცი ჟამის კედლებს გაბოროტებით!..

ვერ მოვიტოვე საუკუნის ლაბირინთები,
ისევ მიქრიან ეს დღეები შმაგი ჭენებით!..
არ მიცხოვრია სამზეოზე მხოლოდ მითებით,
რად მემუქრება ეს დემონი გადაშენებით?!

უნდა დავსძლიო ტკივილები გაუსაძლისი,
რომ გავამართლო ქვეყანაზე ჩემი საწყისი!

22. 01. 01.
მოსკოვი

* * *

ვიღაც მომყვება და რა მკაცრად მითვლის ნაბიჯებს,
მზე ჩადის უხმოდ, გულს ტკივილი აღარ ურჩება!
აჰა, თამამად საშოცდათს გადავაბიჯე,
მაგრამ კალამი სრულებითაც არ მეურჩება!

დროის მდინარე მიდის, ტალღებს მიათამაშებს,
ხან მზე იცინის, ხან ქარიშხლით სივრცე იმღვრევა!..
ლექსებს ვწერ, მაგრამ სულში სევდა ვეღარ დავაშრე,
გული ბობოქრობს, ალბათ, ისიც გადაიღლება!

ვაჟღერებ სიმებს, შეღამების რეკენ ზარები,
მშვიდობით აწი, – განშორების ღელვა მედება!..
მე სიშორეში ახალ ვარსკვლავს დავემგზავრები
და შენ გიტოვებ ჩემ სულიერ შემოქმედებას!

გაზაფხულია, ვეთხოვები მინდვრებს მოლიანს,
ჟამი ვერ წაშლის ჩემს პოეტურ ტრაექტორიას!..

17. 02. 02.
ბანძა

* * *

მდინარის პირას უჩვეულო რწმენით ვანთივარ,
თუმც ხშირად მზვერავს დემონების თვალი ტიალი!..
საიდან შესძლებ, რომ იცხოვრო კაცმა მარტივად,
როცა დგას ირგვლივ ულმობელი ოროტრიალი!..

ყველაფერს ხედავს სიშორეში სული მზირალი,
ვერ ეგუება იგი ამდენ უთავბოლობას!
თავს დამაქციეს სალოცავი ზეცა ზრიალით,
თავისუფლება, რომ ვარჩიე ქვეყნად მონობას!

გაუმაძღრობას ნუთუ არსად არა აქვს ზღვარი?
რატომ იქცევა იგი ხშირად ხალხთა დილემად?!
ასი ათასი თუნდ რეკავდეს სიმართლის ზარი,
ის მაინც თავის კალაპოტით მიედინება!..

ზღვა ღელავს ძლიერ და ზღვაურს სცვლის ისევ ზღვაური,
მიდის ცხოვრება და ფრთებს მძიმეს მიახმაურებს!..

22. 04. 02.
თბილისი

* * *

საქართველოში ქართველს უკვე არ ედგომება,
ისევ ყმუიან სიშორიდან შგლები ტრამალის!..
აგვაწიოკეს მომთაბარე უცხო ტომებმა,
არც დავითი ჩანს ახლომახლო და არც თამარი!

ამ ჩვენს მოთმენას და ტკივილებს ბოლო არ უჩანს
და ლამის არის ჩვენი ჯიში უკვე ალაგმონ!
ვერ იქნა, დღემდე მაგ შენს ჩექმას ვერ გადაურჩით,
როგორ მოუნდათ, რომ ბოლომდე გაგვაჩანაგონ?!

არ ვიცი, ახლა, თუ საითკენ მივემგზავრებით,
სიტყვა რას შველის, დაემსგავსე თუნდაც ციცერონს!
სიონს და მცხეთას აგანგაშდნენ ისევ ზარები,
დრო ულმობელი ყალყზე დგება საბედისწეროდ!..

უნდა ამხედრდეს, როგორც ლომი, ისე ბოკვერი,
რადგან გზა გვიდევს წინ ურჩი და დაუნდობელი!..

26. 08. 02.
თბილისი

* * *

დავალ თბილისში, მაგრამ ვეღარ ვპოულობ თბილისს!
ნუთუ შეცნობის დამეკარგა უკვე უნარი?
შემუსვრა ყოვლის, რატომ გახდა გარდაუვალი?
რატომ ქვითინებს უცნაურად ნიავი დილის?!

ასე ბეჩავი რატომ გახდა სული ქართული?
არარაობად, ნუთუ იქცა ქვეყნად ყოველი: –
ვრცელი სამყარო რუსთაველის მიუწვდომელი,
ან ეს ტაძრები კელაპტრებად ცადაღმართული?!

მთაწმინდის მთვარე რატომ კვნესის იდუმალ ხმაზე?
რამ შეუცვალა ზღაპრულ ქალაქს შნო და იერი?
ამ ჩემს მამულში რას ბობოქრობს გადამთიელი?
ვერ იქნა, მტრისთვის ეს კარები ვერ გადავრაზეთ!

დავდივარ კაცი და ქალაქი მეუცხოება,
ნუთუ დასრულდა სამუდამოდ ქართლის ცხოვრება?!

06. 09. 02.
თბილისი

* * *

მზემ ცის სიღრმიდან რა უმწეოდ გამოიხედა,
ვერ იქნა, იგი ვეღარ გაცდა ღრუბლის ტყვეობას!
დაგუბებული ნისლი უკან აღარ იხევდა
და ქარიც თითქოს გაურბოდა მოვალეობას!..

რწმენას მომავლის მწუხარებად ვხედავ გადაზრდილს
და ეს მთა–ბარი უიმედო დუმილს მოუცავს!..
ვხედავ, მთაწმინდას ძოწისფერი ორთქლი გადასდის
და იმ ქუჩებსაც, ჯალათებს რომ სისხლით მოურწყავთ!..

მიაყურადე, ნუთუ სულის ქროლვაც შეჩერდა
და უმწეობის სიჩუმეში თითქოს შეტოპა!..
სვეტიცხოველი არ მიქციოთ ოღონდ მეჩეთად,
სულო, აენთე, არ დანებდე უიმედობას!

ჟამი მიდის და, ზვირთი ისევ ზვირთზე მიგორავს!..
და მტკვარზე ისევ ქარიშხალმა გადაიქროლა!..

16. 10. 02.
თბილისი

* * *

მოვედი შენთან ერთხელ კიდევ, მდინარევ ჩემო,
და განშორების სევდა მინდა რომ ავიცილო!
მიირხევიან შემოდგომის ღრუბლები ზემოთ,
ბავშობის ჯალა სიყვარულით გამიფენს ჯილოფს!..

ვიხსენებ უკვე გარდასული დღეების ზღაპარს,
როცა შენ გხედავ, გული ო, რა ძლიერად მიცემს!..
შორს, გორმახებზე ისევ შლიან ნისლები ფაფარს,
გაჟღენთილია ხმით ბავშვობის ეგ შენი სივრცე!..

საცაა, ჟამი გამომტაცებს ხელიდან ავშარს,
ვინ იცის, სულო, სად წამიყვანს ტრიალი ბედის?!
ბექობზე დგას და ჩემი თეთრი ჯიხვინებს ლაბშა,
ფლოქვების ცემით მომლოდინე ამაყი მხედრის!..

მივდივარ შენგან და თვალები ცრემლებს ვერ მალავს,
დაუვიწყარო ამ გულისთვის, მარად და მარად!..

04. 10. 02.
ბანძა

* * *

ცოცხალთა შორის, მეგობარო, შენ უკვე არ ხარ,
რა ვუყო ამ გულს ჟამის ურჩი ზვირთით გათელილს?!
ვისმენ შორიდან დემონების უცნაურ ხარხარს
და ჩემში უკვე კიდევ ერთი ჩაქრა სანთელი!

აწი ვერასდროს ვესტუმრებით საყვარელ ჭალას,
წავიდა ის დრო, რომ ვანთებდით ბრიალა კოცონს!
მინდორზე მხოლოდ ის ალვის ხე ირხევა ცალად
და მიქანაობს ცის ხავერდზე ღრუბელი მომცრო!..

ირეკლავს წყალი მოკამკამე ბავშვობის მზერას,
ჩვენ რომ გვიყვარდა, იმ მოცისფრო კბოდესთან ახლოს!..
მე ვდგავარ მარტო და მიდამოს ამაოდ ვზვერავ,
აქ, ახლა მხოლოდ გარდასულის ლანდები სახლობს!..

იმ დღეთა ხსოვნა მე ამ ლექსის სტრიქონებს ვანდე
და ცრემლიანი მზერით მივსდევ ბავშვობის ლანდებს!..

20. 10. 02.
ბანძა

* * *

ეს მზის სისტემა უშენოდ ხომ არაფერს ნიშნავს,
მის სილამაზეს მხოლოდ შენით ეძლევა აზრი!..
რაა სამყარო? – სივრცე მრუდე და მრავალნიშნა,
რა რჩება, თუკი გადაესვა სიცოცხლეს ხაზი?!

ირგვლივ ყოველი საოცარი ფერებით ფეთქავს
და არხევს სიმებს სიყვარულის სხვადასხვა ხმაზე!..
კვლავ შენსკენ მიხმობს იდუმალი თამაში ფერთა
და აღტაცებით ვიმუხტები შენს დანახვაზე!..

საითკენ მიდის ჩვენი გზები, არავინ იცის!
მზე ეზიდება ო, ეს რამდენ პლანეტას ერთად!..
მე თვალს ვადევნებ სიშორეში ვარსკვლავთა ციმციმს
და შენზე ფიქრით, ისევ ვათევ ღამეებს თეთრად!..

აზრი მატყუებს, მაგრამ გრძნობით ყველაფერს ვსწვდები,
მივილანდები ორღობეში დაღლილი წლებით!..

26. 10. 02.
ბანძა

* * *

მინდა იმ დღეებს საოცნებოს, კვლავ მოვეფერო
და სურნელოვან ყვავილებით მოჩითულ ფერდობს!..
იმ ჟამის ხსოვნას სათაყვანოს როგორ არ ვენდო,
რომ მირხევს ამ სულს–საიდუმლო ლერწამის ღეროს!..

შენი ტალღების გამჭვირვალე ნათელში ვთრთოდი
და მამულის ცა დამცქეროდა საოცრად თბილი!..
მთებიდან ქროდა გაზაფხულის ნიავი რბილი,
იმ წლების განცდა ახლაც ო, რა სიწრფელით მოდის!..

აბაშავ ჩემო! უხსოვარი დროიდან მოხვალ,
ამ შენს ნაპირზე თაობები მოდის და მიდის!..
შენა ხარ ჩემი სიყვარული უსაზღვროდ დიდი
და განშორების შეინახე ეს ამოოხვრა!..

გემშვიდობები! გული კი აქ დარჩენას ითხოვს,
რა დამავიწყებს მონიჭებულ იმ დღეთა სითბოს!

05. 11. 02.
ბანძა

* * *

ო, აქ ბავშვობის ნაფეხურებს დავეძებ ისევ,
დავდივარ ჩუმად. . . ფოთოლცვენის არის რიალი. . .
ნეტავ, სად გაქრა ის სინაზე და სიმაისე?
შემომხვდა ჩემი ატმის ტოტი თვალცრემლიანი!..

ვერ განვერიდე მოგონების ტკივილებს მწარეს,
მიცურავს მშვიდად ცის თავანზე ღრუბელი თალხი. . .
სად არის ო, იმ გაზაფხულის თვალები მწვანე,
საით წავიდა, აქ რომ იყო, ნეტავ ის ხალხი?!

რად შემაშფოთე, მოგონებავ, ო, ასე ძლიერ?
ტკივილი ერთობ მომეძალა, ჯვარცმული გავხდი!..
ვხედავ, რომ ჩემი შემართება მხოლოდ შენ სძლიე,
საით გამექცა ის დღეები ესოდენ ნაღდი?!

კვლავ მიდის წყარო ნაღვლიანი, ჩემი სატივე,
მოგონებებო, ასე ცხარედ რად ამატირეთ?!

13. 11. 02.
ბანძა

* * *

ბავშვობის დღეთა უჩვეულო მახსოვს სიამე,
რა სიყვარულით გვეძახოდა ჯალა აბაშის!..
მეც მაღვიძებდა გაზაფხულზე დილის ნიავი
და მზეს ვხვდებოდი ჩემს მინდორზე თამაშ–თამაშით!..

გაფრინდა ჟამი!.. შეიცვალა ფერი დროებამ
და ტკივილებმა საუკუნის ღელვით ამანთო!
არ ვიცი, ასე მძიმე სევდა გულს რად მოება?
და რად დამჩემდა ხეტიალი უმისამართოდ?!

უკვე აღარ ჩანს გზაზე ჩემი მესაიდუმლე,
მივდივარ მარტო და რამდენი ლანდი რიალებს!..
მოჩანს ბილიკი უცნაურად გადაბინდული –
და მხოლოდ სევდა შემოდგომის მოაქვთ ნიავებს!..

გზა შეღამების, ვერ იქნა, ვერ გავიადვილე,
ამდენი ცრემლი ჟამით დაღლილს რატომ მადინე?!

14. 11. 02.
ბანძა

* * *

საწუთროს გზებზე ხეტიალმა დამღალა ძლიერ,
არ დამკლებია ქარიშხალი, თოვლი და სეტყვა!
გარშემო ჩემი მთა–გორების სიმაღლე მერტყა,
დავდივარ კაცი და ულმობელ ტკივილს ვერ ვსძლიე!

რა შემრჩა?–სისხლით დატბორილი მინდორ–ველები
და შემზარავად მოქუფრული ზეცის თავანი!..
აღარ შორდება ჩემ სამშობლოს თვალი მავანის
და მთები ფიქრმა დამიბერა, დაუბერები!

დღითი დღე უფრო მიღრმავდება ყველა იარა
და გული კივის უსაშველო ცეცხლის მოდებით!..
უკვე არ ვიცი, მეგობარო, ვის ველოდები,
ეს მერამდენედ ქარიშხალმა გადამიარა!..

ვერ მოვიშორე ულმობელი თვალი მაცდურის
და შემომცქერის მზე ირიბად, სხივგაძარცული!..

27. 11. 02.
თბილისი

* * *

ო, თქვენი მოსვლით გაიფანტა ცაზე ღრუბლები,
აწი ჩვენს იღბალს ძაღლიც ვეღარ დააყეფს ავად!
ვერ გამიგია, რას დაგვცინის, რა უნდა მავანს,
როცა მოზღვავდა ჩვენს რწმენაში თავისუფლება!

თითქოს მხრებიდან მოვიხსენით უღელი მძიმე,
ტაშიც კი დავცხეთ, რომ მოგვადგა ბედნიერება!
მომავლის რწმენით გაიხარეს ყველგან ერებმა
და აღტაცებით გუგუნებდა ცა მოზეიმე!..

რასაც ველოდით მასზე მეტი ჩანდა ნათება,
პლანეტავ ჩემო! გიხაროდეს აღორძინება!..
დილის ცვარ–ნამი დაიკიდე ყელზე მძივებად,
ცა დაგვეღვრება აწი თავზე განთიადებად!

„დემოკრატებო,“ ვენაცვალე მაგ თქვენს საქციელს,
ვიყავით რაღაც და არარად გადაგვაქციეთ!

14. 12. 02.
თბილისი

* * *

მოვიდა თოვლი და გათეთრდა ერთობ ქალაქი,
მაგრამ ის ვეღარ გაგაოცებს რხევით ზღაპრულით!
იზრდება თვალწინ უჩვეულოდ თოვლის მარაგი
და დაფორთხავენ ჭილყვავები ხმადაზაფრულნი...

შევდივარ ბაღში, ირხევიან ქარში მუხები,
კვლავ ბუჩქებიდან ბელურების მესმის წივილი!..
ო, ახლა როგორ მენატრება სოფლის ბუხარი
და ხეებიდან გადმოხრილი თოვლის ღიმილი!

ამ თეთრ ზეგანზე კვლავ ყვავების მესმის ჩხავილი,
თვალს არაფერი აღარ რჩება შეუმჩნეველი!
აქ სეტყვა ცვივა, იქ კი ჩვენთან თოვლის ყვავილი,
ზამთრის ბექთარში გმინავს ისევ შიშით ტყე–ველი!

აქ ყველგან ყინვის წარწერები მოჩანს ლურსმული
და სიცივეში ჩაძირულა გული რუსული!

17. 12. 02.
მოსკოვი

* * *

ტრამალებიდან ნაზამთრალი მგლები ყმუიან,
ადევნებული სიშორიდან ბილიკს მთვარიანს...
სივრცეს უდაბნოს ქარიშხალი გადაიშხუილებს,
მოდის აპრილი, ჩემს მამულში კვლავ ავდარია!..

სანთლებით ხელში საფლავებზე დადის სანათა,
ამ დემონებმა ეს რამდენი სისხლი დალიეს!..
რას უცდი, მზეო, მთელი ძალით ამოანათე,
უმღერე ჩანგო, განახლებას – მრავალჟამიერ!

დრო მიქრის, მაგრამ გული ბოლმას უკვე ვერ იტევს,
საუკუნეებს გაუსწორე თვალი ამაყად!..
ლექსო აენთე! ჟამის სათქმელს არ მოერიდო,
თორემ ცხოვრება ერთობ გაქცევს მტვრად და ბალახად!

ჩემო მამულო, შენც ქრისტეს გზა გაიზიარე,
ტანი დაგგლიჯეს, სული ვეღარ დაგიზიანეს!

28. 03. 03.
თბილისი

* * *

ჟამის მდინარე ისე სწრაფად მიედინება,
რომ მის სრბოლაზე ვერც კი ვასწრებ თვალის შევლებას!
შენი ტკივილი, საყვარელო, მექცა დილემად,
ო, ეს რა უღვთოდ მეძარცვება შენი მშვენება?!

ვერ ურიგდება სული მაგ შენს ამდენ წამებას
და თვალთა შუქი ბევრჯერ სევდამ გადამიბინდა!..
ჩემთვის ცისკარი იქცა უკვე შემოღამებად
და სულში დარდის ნაზამთრალი მოლი ბიბინებს!..

თითქოს ვადაზე გადამიტყდა დავითფერული,
ეს რა უეცრად დამიმსხვრიეს იმედი წლებმა!
და ეს დღეები მიგორავენ კვლავ უფერულად,
როგორც დაღმართზე ცარიელი კასრების წყება!..

მოდის ზამთარი... და ამ დღეთა მიჭირს ყურება,
ვერ ვუმკლავდები მოზღვავებულ უბედურებას!..

01. 05. 03.
მოსკოვი

* * *

შენ უმღერადი გაზაფხულის მოსვლას მიწაზე,
დრომ არ დაგინდო, გასაფრენად ფრთები გაშალე!..
მაინც ლამაზი სიყვარულის ღელვა იწამე,
თუმც გიწეწავდა ზღვაზე აფრებს ქარი აშარი!..

ჩვენი შეხვედრა, ნუთუ იყო მოკლე სიზმარი?
რომელიც ძალამ იდუმალმა განაპირობა!..
ამურმა უხმოდ მერამდენედ გვტყორცნა ისარი
და ჩვენც მივნებდით სიყვარულის უნაპირობას!..

ბევრი გეძებე იმავ გზებით, იმავ ბილიკით,
გაჰფანტა ქარმა ვარდფურცლობის ნაზი სურნელი!..
ჩემ წინ მდელოზე დემონებმა გადიქილიკეს
და შემატოვეს ჭრილობები განუკურნელი!..

დავეხეტები სიშორეში კაცი ეული
და ყველაფერზე გავხდი უკვე ხელჩაქნეული!

06. 05. 03.
მოსკოვი

* * *

უშენოდ რაა ეს ქვეყანა, ხომ კარგად ვიცით,
როგორ იღვრება, სულ უმიზნოდ, სისხლი ტონობით!..
აშკარად ვხედავთ, ის თუ როგორ ინგრევა, იწვის
და გახდა მსხვერპლი: უმეცრების, უპატრონობის!..

უშენოდ რაა ეს ქვეყანა, ხომ ყველამ ვნახეთ,
ისე დაიქცა, მისგან რამეს არც კი მოველით!
ვუცქერთ ცოცხალ ლეშს, დაუკარგავს აზრი და სახე
და ზედ გრიფები დასევია დაუნდობელი!..

მშვიდობით, აწი ვერ იხილავ, რაც იყო იმას,
ამაოდ ისხამ შიშველ ტანზე ეკლებს ზღარბივით!..
სად მზე მეფობდა, დღეს, იქ მეფობს ქარი და წვიმა,
კვლავ დაბრმავდი და დაუბრუნდი ისევ ლაბირინთს!..

იყავ მწვერვალი! ახლა რა ხარ?– მხოლოდ ცხედარი,
აპოკალიფსის ისევ მიქრის ოთხი მხედარი!..

16. 05. 64.
სოხუმი

* * *

დრო ისე მიქრის, რომ მე თითქმის ვერაფერს ვასწრებ
და ღელავს გული დღენიადაგ დაუცხრომელი!..
სული ლექსს ისვრის ხშირად, როგორც დატენილ ვაზნებს,
დღეო, რას უცდი, მომაღვარე შექი ცხოველი!

მე შორს ვარ ახლა, საშშობლოდან დევნილი კაცი,
რომელიც თავის ცას და მიწას ეთაყვანება!..
ყველა ჩემი ცდა დაბრუნების დამთავრდა მარცხით,
სული ჩხავილით დამიცხრილეს ბევრჯერ ყვავებმა!..

მესმის შორიდან, რომ ქვითინებს ადგილის დედა
და ზვირთი კბოდეს ეხეთქება რბევა–ღრიალით!..
შენზე ვედრებით ღამეს ისევ ვათენებ თეთრად,
ქუჩაბანდებში ვხეტიალობ თვალცრემლიანი!..

დრო მიდის მსხვრევით და ჩემს რწმენას ნიადაგ ძარცვავს,
არ ვიცი, სულო, ასე სანამ გავუძლებ ჯვარცმას?!

20. 05. 03.
მოსკოვი

* * *

იმ დღეთა ხსოვნას დავიწყება ვერაფერს უზამს,
ფეხქვეშ გათელვა მოინდომეს შენი სახელის!
დროს აუმხედრდი რაინდულად, შენ ჩემო მუზავ,
აჟღერე ჩანგი ამაყი და დაუძრახველი!..

შენი სურვილი გახდა ჟამით მოუთოკველი,
თუმც მიგიჩნიეს ბევრჯერ როგორც ღობე დაბალი!
ათი ათასი აგიჩეხეს ველზე ბოკვერი
და უცოდველთა სისხლით მორწყეს შენი მთა–ბარი!..

მემატიანე ნუთუ შესძლებს ყოვლის აღწერას?
ურჩი მდინარე ვერ გააპე მძლავრი მხარულით!
მაგრამ დარჩება სამუდამოდ ქვაზე წარწერა,
გამოყვანილი სისხლიანი ასომთავრულით!

იმის მაგივრად, რომ გაეგოთ ფიანდაზები,
ო, რა ულმობლად დაგიგლიჯეს ძუძუ გაზებით!

24. 05. 03.
მოსკოვი

* * *

ჩემს შვილებს – ნანას და გოჩას

ჩვენ გამოვდივართ, მოქანცული ბრძოლის ველიდან,
თქვენ კი შედიხართ მთელი ძალით და შემართებით!..
ასე იყო და, ასე არის ამიერიდან,
ბუნების ამ წესს, ერთი მითხარ, რას ვემართლებით?!

კაცობრიობის ბილიკები მოდის შორიდან,
არა გალობით, ო, არამედ–ბრძოლით, ხმაურით!..
გეძახით ჟამი!.. თქვენი ჯერი უკვე მოვიდა,
ჰა, თალპიონზე დგას ხაფი და აურზაური!..

ეცადეთ მუდამ, არ მოგედოთ შიში მზარავი,
არავინ იცის, ძვირფასებო, თუ რა მოგელით!..
გაიყოლიეთ მხოლოდ რწმენა გაუბზარავი
და მკერდი მედგრად შეუშვირეთ ქარებს მობერილს!..

ჩვენ კი ვეშვებით, თქვენ კი ფრთებს შლით, უტევთ ვერტიკალს,
მაშ, გაუმარჯოს ბუნების ამ დიალექტიკას!..

29. 05. 03.
მოსკოვი

* * *

ფრთხილად დაადგი ამ მიწაზე ფეხი, იცოდე,
ამ ცას და მიწას, უპირველეს, ეცი თაყვანი!
ადამიანი! ზენაარმა მისთვის გიწოდა,
არ დაამსგავსო ეს პლანეტა მსხვერპლად აყვანილს!

მზის სისტემაში ერთადერთი ესაა მხოლოდ
სილამაზის და შთაგონების ნაღდი გარანტი!..
ეცადე იმას, რომ სიცოცხლე არ ჩაიქოლოს
და მოახმარე მის მშვენებას შენი ტალანტი!..

გავერანებულს, ნაპარტახალს ნუ დაამსგავსებ,–
მშობლიურ მიწას, ვინც ერთგულად ძუძუ გაწოვა!
იყავი მუდამ სიყვარულით, სიკეთით სავსე,
ნუ გადარუჯავ ამ ქალაქებს, ტყეს და საძოვარს!

ბუნების ძალამ უანგაროდ შენ ეს გაჩუქა,
მერწმუნე, ძმაო, დაფასება უნდა ნაჩუქარს!

12. 06. 03.
მოსკოვი

* * *

შორს, ცის სიღრმეში ანგელოზთა გალობას ვისმენ!..
დახუნძლულია ვარსკვლავებით ცისფერი ტოტი!..
ო, ეს ზმანება აღარ მინდა გავანდო ვისმეს,
მე შენს წინაშე ნუთუ დღემდე, ამაოდ ვკრთოდი?!

ზღვის ბაგეებზე ირწეოდა შუქი მაისის
და ჩვენ, ძვირფასო, ამ სინაზეს ბოლომდე ვენდეთ!..
მივაყურადებ გარდასულ ჟამს, ის ხმა არ ისმის,
რომელიც ლურჯი სიშორიდან მოჰქონდათ გედებს!..

გამრუდდა ჟამი და არც მე მსურს ცხოვრება მდორე,
ტკივილის მეწყერს სული უკვე ყველა კარს უღებს!..
ძვირფასო ჩემო! ამ გულის თქმას რა ვუყო თორემ,
ბრძოლით დაღლილი გადავიგდებ ცხოვრების უღელს!

გაფრინდა ის დრო!.. გაჰყვა სივრცის სიმრუდეს შორად
და ახლა თითქოს გაყოფილი დავდივარ ორად!

14. 06. 03.
მოსკოვი

* * *

დადგება ჟამი ატომური მკაცრი დუელის,
გამარჯვებული აქ არავინ იქნება მაშინ!
ამ ულმობელ დროს გადარჩენას ნურავინ ელის,
გადაუვლიან დემონები პლანეტას მარშით!..

შმაგი ნაბიჯით ყველაფერი იქითკენ მიდის,
რომ არსებული იქცეს მხოლოდ ნანგრევთა გროვად!..
ამაზე ამბობს– უთვალავი ეს რაკეტმზიდი,
დაფარავს სივრცეს წამებულთა კვნესა და გლოვა!..

საშინელ ნგრევას ვერ უშველის ლოცვა –ვედრება,
ვერ აიცილებს დედამიწა ვამპირთა სისინს!..
ყოფნა–არყოფნის შიში მიწას უკვე ედება,
ღმერთის თვალებში ირეკლება ჩვენდამი ზიზღი!..

არც ზღვა დარჩება, არც ეს მთა და არც ეს ზეგანი
და გავიბნევით სივრცეებში უკიდეგანოდ!..

16. 06. 03.
მოსკოვი

* * *

შენ გული გქონდა, საყვარელო, თბილი და სუფთა
და არ იცოდი თუ რა იყო შური და ბოღმა!
მაგ ხმის ხავერდში ვარდფურცლობის ისმოდა სუნთქვა
და სიოს ფრთებზე, ვით ლერწამი, არ გრძნობდი მოღლას!..

ღამით ვარსკვლავნი გისხდებოდნენ უბეში მორცხვად
და გაზაფხული აღტაცებით გვასმევდა შარბათს!..
ათი ათასჯერ ბაგეები მიწვევდნენ კოცნად
და მიზიდავდნენ უჩვეულო ტრფიალით ხარბად!..

გაფრინდა ის დრო მოგალობე ჩიტების დარად
და ჩემს ტკივილებს ახლა უკვე ვერავინ შველის!..
ხსოვნად შერჩება ის დღეები ამ ლექსებს მარად,
ვით ჩემს ზმანებას იდუმალი ნათელი შენი!..

წავიდა ჟამი და მიმაგდო გზაზე ჭაღარით,
ის მიქრის სადღაც და თან მიაქვს ნაყაჩაღარი!..

12. 06. 03.
მოსკოვი

* * *

შენზე სხივმნათი მე არავინ არ მეგულება,
ასე უმანკო და საოცრად მოსაფერები!
ვერ ეგუება უშენობას ჩემი ბუნება
და სიყვარული უჟამო და დაუბერები!..

რწმენით მავსებდა განთიადის ცა მოსარკული,
ვით გამოხედვა მაგ თვალების ნაოცნებარის!
ჩამოვიშორე ბილიკებზე მზერა მზაკვრული
და სიყვარულმა გამინათა გული მგზნებარი!

საწუთროს ბრუნვამ უკუღმართმა ბევრჯერ მატირა,
ეცადა, მაგრამ ვერ ჩამიქრო ხხივი იმედის!
ეკლიან გზებზე ამედევნა, სისხლიც მადინა
და ბარიერთან კაცი მაინც რწმენით მივედი!..

ჟამი დუელში გავიწვიე... შუქი მეფინა...
შეუძლებელი შენმა ტრფობამ შემაძლებინა!..

19. 06. 03.
მოსკოვი

* * *

ტევტონთა მიწას მოსწყდა ერთობ სიკვდილი ქროლვით
და აბობოქრდა უსაშველოდ ზღვა და ხმელეთი!..
დადგა მიწაზე სისხილისა და გვამების ტბორი
და ეს პლანეტა სიცოცხლისთვის გახდა ბნელეთი!..

იდგა სიცოცხლე ბარიერთან ყოფნა–არყოფნის,
ისმოდა ხაფი შემზარავი ბილწი გონების...
ცხოვრების ხიდან მოსცვიოდა მჭკნარი ნაყოფი,
ვერ დაიმონეს სული მაინც დაუმონები!

შენ კი ღმერთებმა გამოგზავნეს კაცი მედგარი,
ხელთ სიმართლის და სიყვარულის დროშა გეჭირა!
ტანზე რაინდის შეუვალი გეცვა ბექთარი,
რომ ეს პლანეტა დაღუპვისგან გადაგერჩინა!

რაც არ უნდა სთქვან, შენ გენიას ვერვინ დაჩრდილავს,
სხვები, ხომ შენთან შედარებით მოჩანს აჩრდილად!

22. 06. 03.
მოსკოვი

* * *

მას სათავისკენ კვლავ მოუნდა შემობრუნება
და წარსულისკენ ნაწამებმა პირი იბრუნა!..
სახეს ნაღვლიანს ღრუბლითა და ნისლით იბურავს,
რა უცნაურად გაფერმკთალდა დედა ბუნება?!

ამ სიდიადეს თუკი გონი უდევს საფუძვლად,
ნეტავ, ასე რად შეუპყრია უიმედობას?!
მრუდე სურვილმა სიღრმეებში ისე შეტოპა,
რომ ლაქაც აღარ შემორჩება ალბათ ნაფუძარს!

მზე ვერასოდეს გაანათებს ცისფერ აივნებს
და სამუდამოდ ბნელს და ქაოსს დაემონება!..
აწი ვერასდროს მიენდობა მაღალ გონებას,
არც აინშტაინს, არც ფერმსა და ჰოპენჰაიმერს!

დაიპყრეს სივრცე დემონებმა დაუპყრობელი,
მიექანება უფსკრულისკენ ნუთუ ყოველი?!..

29. 06. 03.
მოსკოვი

* * *

გიხურს გონება აზროვნებით, მიარღვევ შორეთს,
მაგრამ დღემდე კი ისიც ვერარ გამოიცანი,–
პირველადია ციცარი თუ კვერცხი ციცარის,
სად არის შენი მჯვრეტელობის მაღალი დონე?!

ვეფხვის სიმარდით ცდილობ გაჯრას მიღმა ხილულის,
სინათლის წლებით დაშორებულ კვაზარებს სინჯავ!..
შენ ცნობილიდან უცნობისკენ მიილტვი დინჯად
და მესმის უკვე სიშორიდან ხმა განწირულის!..

ისე შორს მიხვალ, რომ ფეხებქვეშ გეცლება ზღუდე,
ეგ შენი სული შეუცნობის შეცნობით იწვის!..
მაგრამ ერთბაშად იძარცვება სურნელი მიწის,
მაშინებს ისიც, რომ გონება არ გადახურდეს!

შენი გონების მონაპოვრით ეძახი ქაოსს!..
ლამის, ეს მიწა დაამსგავსო დიდ სასაფლაოს!..

01. 07. 03.
თბილისი

* * *

რად შევეხიზნე ამ ვრცელსა და უდაბურ ტრამალს?
ეს ჩემი სული ნაწამები ტკივილით იძვრის!..
ვერ იქნა, ვეღარ მოვიშორე დიაცი სიძვის,
ვერ გავექეცი, მეგობარო, ცხოვრების დრამას!..

ჩემი საშობლო უკვე ტროას ნანგრევებს მოჰგავს,
გამიპარტახეს და მომტაცეს საწმისი ვერძის!
გული აზვირთდა! არაფერი გამოვა ხვეწნით,
რეკავს საათი!.. ცა და მიწა ნიადაგ ბორგავს!..

ვერას შეასმენ გულბოროტთა ტომების მოდგმას,
გადაგვარებულს და ამღვრეულს ველური სისხლით!
ხანდახან, ისე უსაშველოდ შემიპყრობს ზიზღი,
როცა მამულის მესმის მწარე კივილი – მოთქმა!..

რას ელოდები, მეგობარო, მომგვარე რაში,
მე ვწყვეტ ბნელეთთან საუკუნოდ ყოველგვარ კავშირს!..

07. 07. 03.
მოსკოვი

* * *

უშენოდ რა ვქნა, ახლა ძალზე შორსა ვარ შენგან!
ვერ გეფერები, მაგრამ მაინც იმედით ვსუნთქავ!..
ვერ იქნა ქვეყნად ბოროტება ვერ გადაშენდა,
თუმც უძლურებაც ბოროტების არავის უთქვამს!

ორთა ბრძოლაში სიკეთესთან, ის უფრო ხშირად,
ათასგვარ ხერხით წარმატების მიღწევას ცდილობს!
ხან შემართებას გოლიათურს სასტიკად ჩრდილავს,
რომ სიდიადე შეურაცყოს და დაამციროს!

და მის ქმედების დასასრულს ხომ ბოლო არ უჩანს,
ის ფოცხვერივით მოზომილი ნაბიჯით დადის!..
ბევრჯერ დაფარა შავი ღრუბლით ეს ზეცა ლურჯი,
ასი ათასჯერ ხელთ ჩაიგდო სამეფო ტახტიც!

ის უზენაესს ნუთუ აღარ ემორჩილება?
კაცობრიობას იგი უკვე ექცა დილემად!..

08. 07. 03.
მოსკოვი

* * *

დემოკრატიამ რა უეცრად დაკარგა ფასი,
უსაქმურობის და ლაყბობის იქცა ჯაობად!..
რა არის იგი? – ქაოსი და არარაობა,
შესანდობარი მისი უნდა შეისვას თასით!

რომ ააფარონ ბნელ საქმეებს ფარდები შავი,
ქვეყნის მესვეურთ მხოლოდ მისთვის დასჭირდათ იგი!
შეხედეთ კარგად, რა ქაოსი დამკვიდრდა ირგვლივ,
მიაყურადეთ ჯილყვავების უმწეო ჩხავილს!..

მიდის ცხოვრება უღიმღამოდ და უიმედოდ,
ყოველ განედზე ბრმა თვალებით სიცოცხლე კვნესის!..
თუმც ეს ტკივილი ქვეყანაზე არავის ესმის,
სიცოცხლეს ჯვარცმულს დასაბამით, – მიხედე, ღმერთო!..

ის ხალხს ებოძა, საჩუქარი გაიღეს უქმად,
ქვეყნის უფალნო, ო, რა მსუყე მოგვართვით ლუკმა!..

09. 07. 03.
მოსკოვი

* * *

ძვირფასო, შენი სიყვარული რამდენს მავალებს,
გაუსაძლისი გახდა ჩემთვის შენი სიშორე!..
ეს მარტოობა ვერ იქნა და ვერ მოვიშორე,
მავსებს ტკივილით უცნაურად მზე ჩამავალი!..

ჯერ კიდევ ფეთქავს ამ ჩემს სულში რწმენის მარცვალი,
თუმც არასოდეს არ ვყოფილვარ მე ბედსვიანი!
ახლა დაღმართზე ეს ცხოვრება მიდის სრიალით
და იფანტება ჰორიზონტზე ფერფლი, ნაცარი!..

ვერ იქნა, დღემდე ვერ დავლეწე ჟამის ურდული
და კვნესის სული უსაშველოდ განაწამები!..
თუკი მიშველის, მხოლოდ რხევა მაგ წამწამების,
დე, დემონებმა ისევ მზვერონ თვალით ქურდულით!..

მე ჩანგის სიმებს ვარხევ ისევ ძალით ფარულით,
თუ გადამარჩენს – მაგ სინაზე და სიყვარული!

12. 07. 03.
მოსკოვი

* * *

თუნდაც იარე ქვეყანაზე გზებით უვალით,
მის მახინჯ სახეს მაინც ვერსად დაემალები!
თუ გინდ გაიქეცი, გახდი კაცი უცხოდ მარები,
მოგიწევს ბრძოლა ბარიერთან გარდაუვალი!..

შიშით გათანგულს ის ამარცხებს ძალზე უბრალოდ,
მამაცის ლანდის დანახვაზეც კრთება მაცილი!
ბევრჯერ გათელე ფეხქვეშ მკაცრად დრო და მანძილი,
ოსტატის ფასი, თუმც სიკვდილმაც იცის, უფალო!

გმირს და გენიოსს ის ვერასდროს ვეღარ ეწევა,
ისინი სივრცეს გადაუვლიან ღელვით, ხმაურით!..
საკვდილსაც ერთობ აღმოხდება ხმა უცნაური,
როცა მათ ფრთებზე საუკუნოდ დაილეწება!..

რეკენ ზარები!.. და გუგუნებს ერთობ მთა–ველი!..
ტოვებს ნაფეხურს გორგასალი და რუსთაველი!..

19. 07. 03.
მოსკოვი

* * *

რა გეშველება, უმოწყალოდ გულო დაჭრილო!
ვის სჭირდებოდა ეს ქალაქი, ან ეს სოფელი?
იქნებ არც იყო ამ მიწაზე მოსვლა საჭირო,
თუ იქნებოდა ხოცვა – ჟლეტა დაუნდობელი?!

თუ ბოროტებას ფრთები აღარ დაელეწება,
დაიხურება აქ ყველა გზა შუქით ნაფერი!..
სივრცე ზღაპრული, ქარაშოტით დაიწეწება
და რა დარჩება? – გზები რუხი, სხვა არაფერი!

რატომ და რისთვის? – დღენიადაგ განსჯას ვუნდები,
რად ვეურჩებით ასე უღვთოდ ძალას ბუნების?
თუ მიგვატოვა, ის არასდროს არ დაბრუნდება
და ყველაფერი დამთავრდება უდაბურებით!..

ჩვენ მივეჩვიეთ სისხლის ნთხევას, ჩეხვას, კვეთებას,
და დღემდე მხოლოდ გზა წამების გვეიმედება!

23. 08. 03.
მოსკოვი

* * *

ო, ისევ მიტევს ეს ცხოვრება ფრთებით მსახვრალით
დავდივარ მარტო და დარდი მკლავს გაუდინარი!
ზედ დამთამაშებს მოყვითალო ჩრდილი ჩინარის,
გარბის მაცილი და მიდამოს იკლებს ხარხარით!..

მოსკოვის პირას გავხდი კაცი მოხეტიალე,
მამულის კარი ჩამირაზეს რკინის ურდულით!
და გულს ვაწყდები მე საკუთარს ხმამოგუდული,
რად გახდა ასე ულმობელი ჟამის ტრიალი?!

ჩემი ზღვის პირის რა შორს დარჩა ლურჯი ნიავი
და დუმილს რატომ მიეჩვია ბაგემეტყველი?
ო, როგორ ვუძლებ ჩრდილოეთის ქარის შეტევას,
კაცი, ამ ქვეყნად დამნახველი ბევრი სიავის?!

როცა მოვკვდები, წამერთმევა ბრძოლის უნარი,
მაშინ, ჩემი ცა დამახურეთ გაუხუნარი!..

30. 08. 03.
მოსკოვი

* * *

ადამიანო, ავი ზრახვით ნუ აინთები!
ნუ მისცემ შენს თავს ქვეყანაზე ყოვლისუფლებას!
მაგ შენს სურვილებს დაულეწე ბოროტი ფრთები,
თორემ უთუოდ ეს პლანეტა დაიღუპება!

ღმერთმა ედემი შეგირჩია შენ საცხოვრისად
და ავი ფიქრით შენი გრძნობა ნულარ ალესე!
მის სილამაზეს ნუ დაამხობ, ნუ გადანისლავ,
მხოლოდ უსაზღვროდ მოეფერე, მოეალერსე!..

და თუ დაკარგე, მას ვერასდროს ვერ დაიბრუნებ,
ასჯერ გაზომე, დაუფიქრდი მაგ შენს ნაბიჯებს!
თორემ შერჩება დედამიწას ამაოდ ბრუნვა,
შენთვის განკუთვნილ მიჯნებს თუკი გადააბიჯე!

დაფიქრდი კარგად, შენ იმაზე, თუ საით მიხვალ!
ნუ მოჭრი იმ ტოტს, რომელზედაც ლამაზად ზიხარ!

08. 09. 03.
მოსკოვი

* * *

ო, ქარი ისევ აშრიალებს მაღლობზე ვერხვებს
და სული იცვლის ყოვლისშემძლე, ნიადაგ ფაზებს!..
მთვარიან ღამით ცისფერ გზაზე მივდივარ მეხრე
და ვარხევ სიმებს უჩვეულო სევდიან ხმაზე!..

ვერ გამიგია თუ საითკენ მივემართები,
შენი ნათელის სიდიადით კაცი ძლეული!
ვუახლოვდები უკვე ცისკარს ღამენათევი,
ისევ ვღიღინებ მოფერებას გადაჩვეული!

დასაბამიდან აყოლილი შეხლას, კვეთებას,
ამ საშზეოზე ბევრი რამის გავხდი მხილველი!..
და დავსტრიალებ ჩემს პოეტურ შემოქმედებას,
გადმოხვეწილი სიშორიდან ლურჯი ფრინველი!

ნუთუ მთავრდება ჟამი პოვნის, ჟამი ძიების?
იმღერე სულო! სანამ ბნელში ჩაიძირები!..

12. 09. 03.
მოსკოვი

* * *

იმ დღეთა ხსოვნა ჩემს გულს, როცა მოეძალება,
კაცი ერთბაშად ტკივილებად დავიქცე ლამის!..
უმტკივნეულოდ ვერ გავექეც ფერიცვალებას
და შემოდგომის მოირხევა მინდორზე ღამე...

ფიქრით ათასჯერ ვუბრუნდები იმ ძველ ნაპირებს,
როგორც ზღვა ტალღებს, – ხსოვნა ერთობ ლანდებს მოდენის!..
უკვე ოცნებით ვეღარ ვსწვდები ზეცის საფირონს,
ვერც სხივგაძარცულ მზის ამოსვლას დაველოდები!

გაუსაძლისი გახდა ჩემთვის დღეთა ჭენება,
ვერ იქნა, ვეღარ გადავთელე ჟამის ბუნაგი!
მაინც მივქრივარ მომავლისკენ შეუჩერებლად,
ნუთუ უმიზნოდ და უომრად მოვწყდე უნაგირს?!

ო, რა უღმერთოდ გამეძარცვა შენი მშვენება,
ნუთუ ამ ტანჯვას არაფერი არ ეშველება?!

26. 09. 03.
მოსკოვი

* * *

ისევ აცურდა შემოდგომის ღრუბელი ცაზე,
ავდარი უტევს ჩაყვითლებულ ხეების წყებას!
გარშემო ზამთრის ნაცრისფერი ნისლები წვება
და მე შევდივარ ბაღში მძაფრი ტკივილით საესე!..

აქ სანახევროდ გაძარცული ხეები დგანან
და სულს მიშფოთებს მათი ჩუმი კვნესა, ტირილი!..
ყვავილებს თავი დაუხრიათ კვლავ სიმძიმილით,
თითქოს მათ ყელში გამოუსვეს უეცრად დანა!

ზამთარი უკვე მობაჯბაჯებს, დათვივით მოდის
და ამღვრევს სივრცეს ქარიშხალი შემზარავ სტვენით!..
ო, რა ულმობლად, აქ ყველაფერს ეცვალა ფერი,
შეხედე, როგორ იწურება დღე შემოდგომის!..

მე ბევრჯერ მახსოვს შენი თრთოლვა და აღტაცება,
როგორ არ მინდა ისევ ვნახო შენი დაცემა!

20. 10. 03.
მოსკოვი

* * *

ასე საოცრად წარსულს რატომ ველაციცები,
ან დემონები უცნაურად რისთვის მზვერავენ?
დრო მიდის, მაგრამ ღელვა სულაც აღარ მიცხრება,
ნუთუ ეს ხდება ყოველივე ძალით ზენარის?!

ეს გული ბევრჯერ დამისერეს ჯაბუკს დანებით
და ჩემს ჭრილობას დააფარეს შემდეგ ჩრდილები!..
ჟამი უხეში ვეღარ ითმენს შემოდავებას,
სურს გადამთქეროს, რადგან აღარ ვემორჩილები!

ო, ეს სავალი ვხედავ ისევ როგორ რთულდება,
მინათებს სივრცეს შემოდგომის სხივთა ტეხილი...
დრო მიდის სადღაც... იცვლის ფერს და მიმართულებას
და ჩემს წინაშე მოჩანს რუხი უღელტეხილი!..

თუ დავეცემი გზაზე სადმე მოულოდნელად,
შერჩებათ ლექსებს ტკივილები მთებისოდენა!..

15. 11. 03.
მოსკოვი

* * *

მე ჩემ წილ სიცრცეს გავაჯერებ, ძვირფასო, დარდით,
რადგან ამ ქვეყნად უჩვეულო წამება მერგო!..
დავდივარ უხმოდ და გულიდან ცრემლები დამდის,
რომ ვერ აყვავდა ჩემს წიაღში ფარული ნერგი!

და ჭრილობებმა დღემდე ვეღარ შეიკრა პირი,
არ ითქმის ენით ამ ტკივილმა როგორ ამანთო!..
და შავი ფრთებით დამსისინებს თავზე ვამპირი,
დავხეტიალობ, სადღაც შორს, შორს, უმისამართოდ!..

გამოვეთხოვე ჩემი ქვეყნის სევდიან ხედებს,
ვერ გამიგია ვერაფერი ჟამის დინების!..
თავისუფლების მწვანე ზღაპარს ამაოდ ვენდე,
მითრევს მორევი და მე კი ხავსს ვეპოტინები!..

ეს საუკუნე გახდა ჩემთვის გაუსაძლისი!
ამ ბოროტების ვერ შევიცან, – რაა საწყისი?!

17. 11. 03.
მოსკოვი

* * *

თოვლმა დაფარა ჩემი მინდვრის მწვანე ხავერდი,
ო, რა სიამით მაგონდება წლები ბავშვობის!..
ჯოხის ცხენებით, რომ ვიწყებდით თოვლში ლაშქრობას,
იმ წლების ზღაპარს მე ყველაფერს შემოვავედრებ!

მას შემდეგ უკვე ეს რამდენი წელი გავიდა,
მაგრამ ფიფქები მოშრიალე მაინც მახარებს!
ცაო ლამაზო, შენი თრთოლვა გადმომაღვარე,
თითქოს ვიწყები ამ თოვაში უკვე თავიდან!..

საით წავიდა ის ხატება სათაყვანები?
ვინ მოთვლის ახლა რამდენი მაქვს მოსაგონარი!..
მე იმ დღეების სანატრელის ისევ მონა ვარ
და საუკუნოდ ის თვალები კვლავ მეყვარება!

რბიან დღეები, გარდასული ისევ ხმიანობს,
არ დაცხრე, გულო, ო, მუდამჟამ ომახიანო!..

23. 11. 03.
მოსკოვი

* * *

ამ ცას და მიწას ალბათ დიდხანს ვემახსოვრები,
საცაა, მთა –ბარს მოაწყდება ქარი აშარი!..
დგანან ხეები მდინარის პირს, როგორც მსტოვრები,
ცურავს სივრცეში ვარსკვლავების თეთრი ლაშქარი...

მიდის ცხოვრება ხევხუვებით, ვით მთის მდინარე
და მის სივრცეში მღვრიე ტალღა ფეთქავს ულევი!..
იმღერე სულო! დიდხანს აღარ გაუჩინარდე,
მიართვი მერმის შუქით სავსე თაიგულები!..

შენ, ამ მიწაზე არ გივლია უმტკივნეულოდ,
თუმც ბევრი გახსოვს დღე ლამაზი, ღამე ნათელი!
არ გაქვს უფლება დამივიწყო, გულის რჩეულო,
რადგან მე შენში სიყვარულის ვანთე სანთელი!..

მოდის ზამთარი... ალბათ გული ღელვას მორჩება!
ცვივა ფოთოლი... მაგრამ ბაღი კვლავ ინორჩება!..

25. 11. 03.
მოსკოვი

* * *

აქ ყველაფერი დროის ფრთებზე მიედინება
და უძრავსა და გაქვავებულს ვერაფერს ნახავ!
დრომ იცის ჩუმი ჩასაფრებაც, თუკი ინება,
თუ გაგიმეტა – ის ათასჯერ გაძგერებს ლახვარს!..

ტკივილს და ცრემლებს იშვიათად გაიზიარებს,
მის მკაცრ დინებას, რომც გინდოდეს, ვერასდროს შეცვლი!
ვერას შეასმენ! – გულს საშინლად დაგიზიანებს,
თუნდაც უყვირე, – მიაყარე ყრუ კედელს ცერცვი!..

ის ყველგან მეფობს, გაუთელავს არაფერს სტოვებს,
თანაც ფრთხილია, ფოცხვერივით მუდამ ფხიზელი!
თუ მიენდობი, – შუქს მოგაღვრის საოცრად ცხოველს,
ხან ისე გაგხდის გაწყვეტაზე გქონდეს კისერი!

მიდის და ანგრევს ათასობით ქვეყნებს, ქალაქებს
და მერე სიკვდილს უმოწყალოდ მოაბალახებს!..

29. 11. 03.
მოსკოვი

* * *

მე დავდიოდი ჩემს ქალაქში წუხელის სიზმრად,
იყო ქუჩები ზამთრის რუხი ნისლით ნაფერი...
ვაყურადებდი არემარეს ეული, ფხიზლად
და აწყდებოდა ზღვა ნაპირებს... სხვა არაფერი!..

აქ სასაფლაოს შემზარავი დუმილი იდგა,
ძლივს კრთოდა ნისლის სიშორეში მთვარის სხეული...
მე დავდიოდი უკაცრიელ ქუჩებში დიდხანს,
ისევ შხუოდა ქარის ფრთებზე ზღვა ამღვრეული!..

მთა საოცნებო დაეფარა უჟამო სევდას
და სიბნელეში ის ყრუდ იყო თითქოს ჩაფლული!..
ირგვლივ ყველაფერს მხოლოდ მკვდრული სიჩუმე სდევდა,
არ ირხეოდა ო, იმ დღეთა აფრა ზღაპრული!

და ვიხსენებდი კაცი წარსულს სულით ნათელით,
გავცქერდი ქალაქს ბედისწერის ფლოქვით გათელილს!..

12. 12. 03.
მოსკოვი

* * *

ვინ დამირბია უმოწყალოდ სულის სიმშვიდე?
კვლავ კივის იგი და სხეულში ვეღარ ეტევა!..
ხელს, საყვარელო, შენი ტრფობა რომ არ მიშლიდეს,
ეს იქნებოდა უკვე ჩემი ბოლო შეტევა!

რაც დღემდე ვნახე, ვეღარ გავხდი მისი ერთგული,
უსახურების, როგორ გავხდე კაცი მსახური?
მიემსხვრეოდა, როგორც ზვირთი, ჯაებირს ეს გული,
მაგრამ მაჩერებს სულში გრძნობა გადანახული!

რატომ მევსება ხშირად ცრემლით ო, ეს თვალები,
როცა ბილიკზე მივალ კაცი უმისამართოდ?
რად გახდა ზეცა მოკიაფე – ნაფერმკრთალები?
ან მოგონებამ უცნაურად რატომ ამანთო?!

მე დღემდე შენთვის ავიტანე ტანჯვა მრავალი,
რადგან ვიწამე ეგ შენი მზე ამომავალი!..

24. 12. 03.
მოსკოვი

* * *

თოვს... გვიან ღამით აქ ყვავების არის ჩხავილი,
მამულზე ვფიქრობ და მე ძილი არ მეკარება!..
როგორ მაშფოთებს მოგონება წლების ჩავლილის
და ლამის არის მიმიხურროს ჟამმა კარები!

რა დამამშვიდებს, როცა მამულს უჭირს ესოდენ,
მიდის ეს ღამე უჩვეულო ღელვით, ხმაურით!..
რა მიჭირს მაშინ, შენი კვნესა რომ არ მესმოდეს
და არ არბევდეს ჩემს არსებას, როგორც ზღვაური!..

შორსა ვარ შენგან, მაგრამ ტანჯულს კვლავ გეფფერები
და გულს მითელავს ეს წამება შეუდარები!..
ჩამოდის თოვლი... ეფინება მიწას ფენებად,
ვით გაძლოს გულმა ო, ამდენი შხამის დალევით?!

მე შენზე ვფიქრობ, მავიწყდება სხვა საფიქრალი,
ჟამმა რა მწარედ დამირბია სულის ფიქალი?!

26. 12. 03.
მოსკოვი

* * *

ჩვენ, ჩვენი წილი ოკეანე უკვე გავცურეთ,
რა გვრჩება? – წლები დასათვლელი ხელის თითებზე!
მზე სისხლნაკლული უკანასკნელ სხივებს გვაწურავს
და გვიცქერს ზეცა შემოდგომის განაფითრები!..

სულ არ გვახსოვდა! – ეს რამდენი წელი გასულა?!
და მაინც ფეთქავს ორი გული დაუკოდები!..
მოჩანს ბილიკი ვარდფურცლობის ფერგადასული
და თეთრი ნავი – ზღვა რომ არხევს დაბმულს თოკებით...

ამ ზღვას და ხმელეთს, ვიცი, დიდხანს ემახსოვრება
ჩვენი ღიმილი, ჩვენი თრთოლვა გაუხუნარი!..
ასპარეზიდან გადის უკვე ჩვენი ცხოვრება
და რჩება უკან ეს სოფელი მიწყივ მბრუნავი!..

როცა დავყოვნდით მოგვისია ჟამმა ჭაღარა,
თუ სიყვარულით ზეცამ ფიფქი გადმოგვაღვარა?!

27. 12. 03.
მოსკოვი

* * *

ადამიანო, რად არ იშლი მხეცის ბუნებას,
შენ სილამაზის რატომა ხარ ასე მგმობელი?
მითხარ, რად გიჭირს სიკეთისკენ შემობრუნება,
რატომ ხარ, ასე უცნაურად, დაუნდობელი?!

ო, იქნებ დღემდე ვეღარ შესძელ გარღვევა რკალის?
თუმც დასაბამით არ გქონია ამის სურვილი!
საითაც წახვალ, სისხლიანი მოგყვება კვალი,
გემსხვრევა თავზე გუმბათები ოქროცურვილი!..

ო, ეს პლანეტა რატომ უნდა იქცეს ჭაობად,
რატომ არ გინდა გახდეს იგი სამოთხის დარი?
აზრი დიადი, რატომ იქცეს არარაობად,
რატომ მოვშალოთ ნაფეხური მზისა და მთვარის?!

მე შენზე ვფიქრობ, მესმის ურჩი გუგუნი ღამის
და სირცხვილისგან დედამიწა გაწითლდეს ლამის!

28. 12. 03.
მოსკოვი

* * *

ცეცხლი ედება, მეგობარო, ჩემს სხეულს მკაცრად
და გულიც ერთობ მხოლოდ ცეცხლის ალმურში იწვის!..
ვერ იქნა, დღემდე ეს ტკივილი ოდნავ ვერ დაცხრა,
ვეღარ დავსძლიე, ამ ცხოვრების დღეები ბილწი!

ხანდახან მძიმე უჩვეულო შემიპყრობს განცდა,
ქარს დააქვს ველზე, მარად მედინს, სურნელი წიწვის...
არ ვიცი, ჩემზე ასე ძლიერ ღმერთი რად გაწყრა,
კაცი ვდგავარ და ბიბლიური ბუჩქივით ვიწვი!..

მე გავიარე საუკუნის წამება, ჯვარცმა,
რამდენჯერ გზაზე ულმობელი დავძლიე იჭვი!
ჟამი მიდის და დაუნდობლად ნიადაგ მძარცვავს
და ამ ქაოსში ხშირად თვალის გახელაც მიჭირს!

მივდივარ მარტო, უსასრულო გზებით წამების
და დღენიადაგ წლები არა, – მამსხვრევს წამებიც!..

30. 12. 03.
მოსკოვი

* * *

მზის სისტემაში ჩვენ სიცოცხლეს ამაოდ ვეძებთ,
თანამგზავრებით სიშორეებს ამაოდ ვკეცავთ!..
იქნება სული უმეგობროდ ვერა და ვერ სძლებს,
ან იქნებ სწრაფვა სიმაღლისკენ წყურვილად გვექცა?!

დედამიწაა ოაზისი ტრფობის, ოცნების,
ადამიანმა ოღონდ ისიც დაამახინჯა!
მივალ ამაყად, მიწავ, შენით განაოცები
და აღარ მინდა დაგამსგავსონ, დედავ, სახიჩარს!

რასაც აქ ვხედავ, ნუთუ იგი არაფერს ნიშნავს,
ნუთუ იმდენად ვერ ამაღლდა გონება კაცთა?
რატომ ვაქციოთ ეს ზღაპარი ფერფლად და ქვიშად,
დუმილის კლიტე, რად დავადოთ ყველაფერს მკაცრად?!

ადამიანო, ნუ მოიხვევ პირქუშ საბურველს,
არაა ძნელი მიწა ისევ გაუდაბურდეს!..

10. 01. 04.
მოსკოვი

* * *

ბევრჯერ დაცურდი, მეგობარო, მოლიპულ გზაზე,
საბედისწერო გაიარე შენ მაინც ხიდი...
რამდენჯერ იყავ ულმობელი ტკივილით სავსე,
მაგრამ ცხოვრების მღვრიე მორევს არ შეუშინდი!

გადაგდიოდა ქარიშხალი კივილით თავზე
და თეთრ პერანგზე ბევრჯერ გაჩნდა ზოლები სისხლის!..
ბრძოლის ველიდან არასოდეს არ მდგარხარ განზე
და ბოროტებას უცქეროდი მუდამ ჯამ ზიზღით!..

იდექ ამაყად, არ გიცდია უკანდახევა,
მოჰქონდა დღეებს უდაბური ქარები ქვიშის!..
მუდამ შეტევამ შენ სიცოცხლე გაგინახევრა,
თითქოს ამ ქვეყნად, მეგობარო, ბრძოლისთვის იშვი!

მაგ შემართება და სიმტკიცე იქცა თქმულებად
და მომავალი შენ ამაოდ დაგემდურება!

19. 01. 04.
მოსკოვი

* * *

თემურლენგი

შენ ხალხთა სისხლით გახდი ერთობ გაუმაძღარი,
ო, ამ სამზეოს მოევლინე, როგორც ურჩხული!..
სიკვდილ – სიცოცხლის მოსპე თითქმის ყველა საზღვარი
და დღესაც კივის მიწა ხანძრით გადარუჯული!

იყავი წარღვნა უდაბნოდან გადმოსროლილი
და მოგუგუნე ულმობელი ცხელი ქარებით!..
ახლაც იჭრება შენი ხსოვნა სულში სოლივით,
სიკვდილს უგებდი კოშკს უძლეველს თავის ქალებით!..

შენ დედამიწას მოევლინე კანონგარეშე,
ცოდვით ხალხების ცა და მიწა მწარედ ატირე!..
შენ, ამ მიწაზე დაუნდობლად გადითარეშე
და სიცოცხლეზე უმოწყალოდ გადინადირე!..

დრომ თან წაიღო შენი რისხვა, ყველა ტიტული
და იზმორები სიშორიდან, უკვე ფიტული!..

23. 01. 04.
მოსკოვი

* * *

სულის სიღრმეში უჩვეულო ვიგრძენ ნათება,
მეყოფა დღემდე, რაც წამება გადავიტანე!
ჩემი ყველა გზა მხოლოდ შენსკენ მიემართება
და ბედისწერას კვლავ შევები ძალით ტიტანის!..

ისევ მეძახის იდუმალი შენი ხატება
და ლაჟვარდები ჩემი ზეცის ფერთა შრიალით!..
მზის ელვარებით ეს ღრუბლები გაიფანტება
და ჩემს მინდორზე აცურდება ლურჯი ნიავი...

აჟღურტულდება ჩემი ბაღის ჭრელი ჩიტები,
დაეკიდება რტოს მტევნები იასამანის...
მერე სიმღერის მიტოვება არ მოგინდება,
ტრფობამ არ იცის თუ რა არის დროის სამანი!

მე შენზე ვფიქრობ, საყვარელო, გაუთავებლად
და აღტაცებით ლამის არის ენა დამებას!

04. 03. 04.
მოსკოვი

* * *

ო, ეს დღეები, როგორც მარტის ფიფქები ქრება,
კიდევ ცოტა ხანს ბაღის კართან დაგელოდები!..
მე არ მოვითხოვ არავისგან დიდებას, ქებას,
მივდივარ გზაზე, გულზე მღვრიე სევდის მოდებით!..

ბაღს კვლავ მოადგა შემოდგომა ნაღველით სავსე
და არხევს ნელა შეღამების ნისლიან მანდილს...
ჟამი უჟმური დაუნდობლად სამსალას მასმევს
და ჩემს არსებას ფიფქებივით დარდები ბარდნის!..

ვერ გავიარე ეს ცხოვრება კაცმა მარტივად,
ბევრჯერ ავუნთე შენს ლამაზ სულს რწმენის სანთელი!..
ვიზიარებდი ჩემი ქვეყნის ჭირს და სატკივარს
და ჩემი ზეცა ივსებოდა ცისკრის ფანტელით!..

მე შენზე ფიქრით ეჰ, რამდენი ღამე ვათიე,
რაც ვერ შევძელი, ყოვლისშემძლევ, შენ მაპატიე!

07. 03. 04.
მოსკოვი

* * *

სიტყვა და საქმე სააკაძის ხმალივით გიჭრის,
ბორგავს ვეშაპი, მაგრამ ფარ –ხმალს არა და არ ყრი!
ჩვენ კარგად ვხედავთ, მეგობარო, თუ როგორ გიჭირს,
მსოფლიოს უხმე, მერამდენედ ჩაჰბერე საყვირს!..

ერის ტკივილი მწვერვალივით აზიდე მაღლა,
რომ შენი ხალხის გასაჭირი მსოფლიომ ნახოს!..
შავი ვეშაპი ჩასაყლაპად მოაწვა ბაღნარს,
შენ კი ხანჯალი მკერდში – გულთან უმარჯვე ახლოს!

ეს მერამდენედ გადავურჩით ნანგრევად ქცევას,
ერთობ გაწამებს პოლიტიკა ხალხების ჩაგვრის!
ჩვენ ხომ ერი ვართ საამაყო და არა სქემა,
კვლავ ვდაგავართ მედგრად იალბუზზე რუსთველის ჩანგით!..

შენ უტევ მძლავრად ბედისწერის ულმობელ ტრიალს
და მოაქვს ისევ გაზაფხულის სურნელი ნიავს!..

19. 04. 04.
თბილისი

* * *

ვარდის ბაგეო! აწი ვეღარ მოიცლი ჩემთვის,
ღაწვო მწყაზარო, უკვე ვეღარ გეამბორები!
დროო, ღიმილით ჩემს ჭაღარას რად შეაჩერდი,
რატომ დამიშრე საუკუნოდ ტრფობის მორევი?!

სული წამებით იფოფრება უკიდეგანოდ,
დღეებს მაისის სულ ამაოდ ვეჩურჩულები!..
საით გაფრინდი, ყრმობის ჟამო, დაუდეგარო,
რად შემატოვე მწუხარება ასე ულევი?!

ჟამთან ჭიდილში ვერას გაავხდი, დღეები რბიან
და ცა ოცნების მეძარცვება გაუხუნარი!
ვერ გავატანე სიშორეში ტკივილი ნიავს
და მე შემოვრჩი, გზას მოლიპულს, ასე მჭმუნვარი!..

რად ამიკივლე, დროო, სული ხანძრის მოდებით,
ო, სიყვარულო! აწი ვეღარ დამელოდები!

02. 06. 04.
მოსკოვი

* * *

ეწირებიან თაობები თქვენს გულზვაობას,
გინდათ სიკეთეს, რომ დაუსვათ ბოლო წერტილი!
არამზადებო! – თქვენ ვინა ხართ? –არარაობა
და ბოროტება უსაშველოდ თავაწყვეტილი!..

გადითარეშეთ დედამიწა ბნელი გუგუნით,
არაფერია თქვენგან უკვე მოულოდნელი!
არა აქვს ზღვარი საშზეოზე უგუნურებას,
სისხლის ზვირთებად და სიბილწედ ერთობ მოდენილს!..

რა ულიმღამოდ კრთება ცაზე რწმენის სანთელი?
გზები ოცნების და სიკეთის გინდათ მოშალოთ!
რა ვუყო ამ სულს, ჟამის მძიმე ბორბლით გათელილს,
რომ ცა ზღაპრული საუკუნოდ დამიკოშმარეთ!..

შეები ლექსო, სივერაგეს შმაგი კვეთებით,
ან გაიმარჯვებ, ან ბოლომდე მოიკვეთები!

08. 09. 04.
მოსკოვი

* * *

ამ პლანეტაზე მე ვიცხოვრე უმკაცრეს დროში,
ეს ყველაფერი ვინ მარგუნა? მითხარით, რაზე?
ჩემი ოცნების ცის თავანზე დაინგრა კოშკი
და მოვიქანცე ხეტიალით მოლიპულ გზაზე!..

ჩემი ქალაქი ვამპირების საბუდრად იქცა,
არ დამკლებია: ქარიშხალი, სეტყვა და თოში!..
შემომიტია მერამდენედ ტკივილმა ფიცხლად
და მე ვბრუნდები ჩემ სანუკვარ საქართველოში!..

სიკეთის ფესვი ვინ დაგლიჯა ხელით მსახვრალის,
ეს ვინ ამივსო ჩემი ბაღი სისხლის მორევით?
არ მინდა ვნახო, უკვე ჩემი ნამოსახლარი,
არც ის მინდორი – ნახტომებით ნიამორების!..

გემშვიდობებით სანახებო და ზღვის ნაპირო!..
და თან მიმყვება სევდა მძიმე და უნაპირო!..

25. 09. 04.
მოსკოვი

* * *

დადევი ფიცი შენ საფლავთან დიდი დავითის,
დაუჩოქე და ეამბორე მის დიად აჩრდილს!
მამულის ტრფობა უწმინდესი სანთლად აინთე
და შენ ამ ფიცის რაინდულად ერთგული დარჩი!..

უსულგულობით იდგა იგი დაღუპვის კართან
და კარგად ვიცით – რა ულმობელად ბრუნავს სოფელი!..
გადააფარა შენს გმირობას მფარველმა კალთა,
გამართე ბრძოლა მამულისთვის დაუნდობელი!..

შლიდნენ იალქნებს მოვლენები სისწრფით ელვის
და მხოლოდ ბნელი კოშმარული მეფობდა ირგვლივ!..
შენ ვაჟკაცურად საშსახურში ჩადექი ერის,
რომ არ ექციათ კართაგენის ნანგრევად იგი!

ო, ისევ რწმენის, გამარჯვების მუსიკა უკრავს,
ვერ გაიხადა საქართველო ვეშაპმა ლუკმად!

20. 10. 04.
თბილისი

* * *

ფრთებს შლის სუსხიანს ხეივანში ქარი ავყია,
მივყვები ბილიკს შემოდგომის მცირემოთოვილს.
დავდივარ ბაღში და ხეები ფოთლებს მაყრიან,
ხვალ ცხოვრების ხეს მეც მოვსწყდები, როგორც ფოთოლი!

იზიდავს მიწა ყოველივეს ძალით ზენარის,
დრო, ისევ მიქრის სიშორეში შმაგი ჯენებით!..
რად გახდი ასე, გულო ჩემო, მოუსვენარი?
უნდა იბრძოლო, სანამ აღარ ჩაესვენები!..

ო, როგორ გინდა ჟამის აღარ გედგას უღელი,
ბევრჯერ მოსწყვიტე ცის სინაზეს შუქის მტევნები!
შენ ბრძოლის ველზე სიმამაცით ხარ დაუღლელი
და რას დაგაკლებს თუ დემონი აგედევნება?!

შენ გრძნობ უთუოდ, თუ სიკვდილი ერთხელ მოგცელავს,
მერე ვერასდროს ველარ შეძლებ უკუმოქცევას!

24. 10. 04.
მოსკოვი

* * *

დროისკვეთებას ვეღარ უძლებს ფუჭი დიდება,
ცახცახებს იგი საცოდავად სიკვდილის კართან!
წარმავალია ყველაფერი კაცობის გარდა,
რომელსაც ვეღარ შემობედავს გაბედითება!

ნაფეხურები რაინდული რჩება ნიადაგ,
რომელიც სულაც არ მოითხოვს ტაშს და შექებას!
სხვას კი ყველაფერს ჟამი სადღაც მიერეკება,
მხოლოდ კაცობა უძლებს მარად თქეშს და ნიაღვარს!

იცის ცხოვრებამ: ამაღლებაც, რბევაც, დაცემაც,
გვახარებს დილა ვარდფურცლობის, როცა თენდება!..
ო, თქვენ რომ არა, ეს პლანეტა მოითენთება,
თქვენი წყალობით მიწა სუნთქავს სხვა გატაცებით!..

თუ არა თქვენი შემართების ნაღდი ბუნება,
ვერ აიცდენდა ეს პლანეტა განადგურებას!

01. 11. 04.
მოსკოვი

* * *

ანგელოზებო, დაგიმსხვრიეს სივრცე ფერადი,
ეძებენ, ახლა თუ ვინ არის მტყუან–მართალი!
უკეთესია ქარიშხალი დაუბერავდეს,
რომ მტვრად აქციოს ჯოჯოხეთის ეს სამართალი!..

ის აღმოცენდა ნანგრევებზე ბნელი ძალების
და ბოროტებას ბოროტება უდევს საფუძვლად!
მას ვეღარ შველის ხელოვნური ფერიცვალება,
მხოლოდ ამოთხრა–ამოძირკვა უნდა ნაფუძარს!

ეს სისხლიანი ნაფლეთები დახოცილ ბავშვთა
გამოფინეთ და შეახედეთ მსოფლიო კარგად!..
ქვეყნიერება სინდისისგან ნუთუ მთლად დაშრა,
რომ ყველაფერი არსებული სახეს რომ კარგავს!..

შენ წყევლა–კრულვით მოგიგონებს ყველა თაობა,
დასაბამიდან რადგან იყავ არარაობა!..

09. 11. 04.
მოსკოვი

* * *

შენ ისე ღრმა ხარ, ქართველო ცაო,
შენ ისე ღრმა ხარ,
სამკვიდრო შენს ქვეშ მტრად შემოსულმა
ვერავინ ნახა...

ანა კალანდაძე

საუკუნენი გადმოვლახეთ ბრძოლით, ყიჟინით,
მტრებს მტრებად ვცნობდით და მეგობარს კიდევ მეგობრად!
შეხედე, ეს ვინ გადაგვიდგა გზაზე გიჟივით
და რა ულმერთოდ, უმოწყალოდ გადაგვეღობა!..

გვეგონა უკან მოვიტოვეთ წლები ულრანი,
მაგრამ დემონმა ისევ მღვრიე ფრთები გაშალა!..
შეშფოთდა ძლიერ, როცა ქედი არ მოვუხარეთ
და ჩაგვიხერგა უსაშველოდ ყველა გზა–შარა!

ტანი ზღარბივით შეუმოსავს ეკალ–ბარდებით,
იბერება და თავის კანში ვეღარ ეტევა!..
მოისურვებს და ყაჩაღივით მოგივარდება
და ყველა ფრონტზე დაუნდობლად იწყებს შეტევას!..

სხვა გზა არაა – საქართველო უნდა გადარჩეს,
ის ამ ველურსაც გამოუტანს ალბათ განაჩენს!..

05. 01. 1998.
მოსკოვი

* * *

ო, ასე უღვთოდ ვინ წამგლიჯა ღმერთის წყალობა?
შავი დღეები ჩემს ქვეყანას ახსოვს მრავალი!..
ჩემი სამოთხე სისხლით, ეს ვინ დამიჭაობა,
მზე გაზაფხულის, ვინ ჩამიქრო ამომავალი?!

მხარე ზღაპრული დაამსგავსა არარაობას,
ნისლი წითელი კვლავ გადადის ზღვაზე ზმორებით!..
ო, როგორ უჭირს დღემდე სუნთქვა მიწას ნაომარს,
შეწყდა გალობა ჩემს ბაღებში იადონების!

ვინ მომიდრიკა მწარე ფიქრით მთები მაღალი?
ვინ შემატოვა ტკივილები გაუყუჩები?
მოდით, იხილეთ ამ ველურთა ნაყაჩაღარი,
რომ უცოდველთა სისხლით მორწყეს გზები, ქუჩები!..

ჩემი მამული, სისხლის წარღვნით, ეს ვინ წალეკა?
შურისძიების ზარო, მითხარ, როდის დარეკავ?!

09.01.05.
მოსკოვი

* * *

შენს სიახლოვეს მე თავს ვგრძნობდი, ვით თევზი წყალში,
რომელიც ცდილობს არ გასცილდეს ჯადოსნურ სამანს!
მწუხრის ნიავი შენს ყვავილნარს ცრემლებით ნამავს,
მოვა ზამთარი და გულცივად ყველაფერს წაშლის!..

იმ დღეთა ხსოვნა ცისარტყელას იალქნებს გაშლის,
რომელიც მუდამ სიშორეში მიეფინება...
შეხედე, ერთი, ამ ზვირთების პირქუშ დინებას,
არარად აქცევს, მეგობარო, ის დროთა კავშირს!

კვლავ ირხევიან მოგონების თეთრი ჩრდილები,
რომელსაც მიაქვს მწუხარება, სხვა არაფერი!
ის ზეცა ჩაქრა ვარდფურცლობის შუქით ნაფერი,
რადგან ყოველი რღვევა–დაშლას ემორჩილება!..

სულო, რას უცდი? – სამზეოზე სანამ ტრიალებ,
დროს არ მოეშვა და ბოლომდე გაატიალე!..

30. 05. 05.
მოსკოვი

* * *

შენ უიმედოდ ყრუ კედელთან მიმდგარხარ ჟამის
და ზვირთთა მღვრიე მოზღვავებას ვეღარ ანელებ!
ო, რა ულმობლად მიგუგუნებს დღეები შავი
და სულის აფრებს დრო გიწეწავს აუტანელი!

შორს, შორს მიცურავს განთიადის ღრუბელი მრეში,
ეს რა ულმობლად მოიქანცე დღეთა ჯენებით!..
არ დაგკლებია: ქარბორბალა, ყინვა და თქეში,
ბობოქრობს ჟამი უსაშველოდ შენაჩვენები!

შენ ცრემლიანი გაურბიხარ ნიავის ალერსს,
რადგან ხარ კაცი მოფერებას შეუჩვეველი!
რამ შეგაყვარა უჩვეულოდ ღამე და მთვარე
და უცნაური მდუმარება შორი ტყე–ველის?!

ვერ იქნა ვეღარ დააშსხვრიე საკანი რკინის,
დგახარ მდუმარედ, მაგრამ სული საშინლად კივის!..

15. 08. 05.
თბილისი

* * *

მიქრიან დღენი სიშორეში კივილით, ქშენით,
შენ კი დაღმართზე გადაღლილი ღელვით ეშვები!..
ფრთებს კეცავს სული სამზეოზე, ვერავინ გშველის,
მიდიხარ მარტო და არავინ გენუგეშება!

მიქრიან დღენი!.. უკვე ფინიშს უახლოვდები,
არავინ უწყის, თუ რა არის ამ მიჯნის იქით!..
უიმედობას შეუტიე, ნუ დაღონდები,
თავს ნუ დაიღლი, მეგობარო, ამაო ფიქრით!

მოვედით ღელვით, ქვეყანაზე ბრძოლისთვის ვიშვით,
იარე მშვიდად, ნე იქნები განახელები!
ნურც დაღონდები თუ სიკვდილმა შეგბედა ქიში
და განშორების დაგიქნია ჟამმა ხელები!..

აქ ყველაფერი კვლავ მორჩილებს ნგრევას, შენებას,
ფარდობითია სიცოცხლე და გადაშენებაც!

04. 09. 05.
თბილისი

* * *

ამ ქვეყნად მხოლოდ ერთხელ მოდის ადამიანი
და ბედისწერის განაჩენი არავინ იცის!
ვინ უწყის, ვისი, სად ჩაქრება დილა მზიანი,
სად გადაგვჩეხავს უფსკრულებში ქურანა კვიცი?!

ბედნიერებას რა ხშირად სცვლის უბედურება,
მოულოდნელად დაგატყდება ცხოვრება რისხვით!..
შეხედე, როგორ იცვლის ნიღაბს დედაბუნება
და რატომ გიკვირს, თუ შეჩერდა ხმაური სისხლის?!

ფერიცვალების მოლოდინში სული გრძნობს ტანჯვას,
დინებას დროის, ის ვერასდროს დაემალება!
ვერ დაეწევი სიშორეში გაფრენილ მარჯანს
და სულ ამაოდ რეკავს მკაცრად სულის ზარები!..

მოხვალ ცოტა ხნით, ტკივილებით იხეტიალებ,
რას იზამ, როცა ყველაფერი ასე ტრიალებს?!

05. 09. 05.
თბილისი

* * *

ისევ ამხედრდნენ შემოდგომის ქარები ურჩი,
რომ შეუცვალონ ფერი ამ ჩემს ყანებს, ყამირებს!
ხედავ, ყვავილებს უკვე თვალის გახელაც უჭირთ,
მოვა ზამთარი თოვლს და ყინვას ააყვავილებს...

ო, მოდის ჟამმი უცნაური ფერიცვალების,
შეხედე, მზეს ვინ დაულეწა ოქროს მშვილდები?
სიცოცხლე, ისევ ირღვევა და კვდება წვალებით,
მოქრის გრიგალი ტკივილის და არ დამშვიდების!..

რბიან დღეები სიშორეში კენტი და ლუწი,
სხივგაძარცული მზე სექტემბრის ღრუბლებს ეფარვის!..
საით მივდივარ, რომელი გზით, არავინ უწყის
და რჩება დღემდე ყოველივე გაუგებარი!..

დავდივარ ჩუმად და თვალებზე ცრემლს ვერ ვიშრობ,
ნუთუ ყოველი, ასე ერწყმის ღელვით სიშორეს?!

07. 09. 05.
თბილისი

* * *

ცის სიშორეში ღრუბლის თეთრი მიცურავს ტივი,
მიყვარს შეფოთლილ, ტოტებგაშლილ ხეებქვეშ დგომა...
ჩემს სულში უკვე გაზაფხულის ჩიტუნა ტირის,
მტკვარს გადავცქერი სევდიანი, ვით შემოდგომა!..

ჩემი თბილისის ისევ ვეტრფი ქუჩებს, ხეივნებს,
თუმც რამდენ რამეს რა უღმერთოდ ეცვალა ფერი!
დუმს სული მკაცრად, ის არარის დღეს მოზეიმე,
წავიდა ჟამი სიყვარულის და აღმაფრენის!

გულხელდაკრეფით ვხვდები მთიდან მონაბერ ნიავს,
ვდგავარ მღელვარე და თვალებზე ცრემლშეუშრობი!..
და მამჩნევია ეს რამდენი ჭრილობა ღია,
მაგრამ ვერ ვშველი უჩვეულო სატკივარს მშობლის!

დავალ მწუხარე, ვერ ვიშორებ ნისლის საბურველს,
ნუთუ ჟამთა სვლა ყოველივეს აუდაბურებს?!..

09. 09. 05.
თბილისი

* * *

ნაღვლიანია დედამიწა შეღამებისას,
როცა სერავენ არემარეს გრძელი ჩრდილები...
ბევრი გელოდე, მაგრამ ნახვა აღარ მეღირსა,
ვდგავარ ბექობზე გადაღლილი, ფიქრით ვილევი!..

აქ ყველაფერი ჩემთან ერთად მიედინება,
რა შორს ირხევა ჰორიზონტზე ჩემი საწყისი!..
საით მივყავარ ო, ამ უჟმურ მღვრიე დინებას
და რატომ გახდა ყოველივე გაუსაძლისი?!

მზის ბილიკიდან გადავდივარ მთვარის ბილიკზე,
ვუცქერ და ზღვაზე ცარიელი ნავი ქანაობს...
ო, ეს რამდენჯერ ამიცრემლა ჟამმა პირიმზე
და სევდიანი ჩემი ფიქრი შორს მიქანაობს!..

რა მემართება? – ასე დარდით რატომ ვივსები?!
რა დრო გასულა, – სივრცეს აღარ ვეხალისები!

12. 09. 05.
თბილისი

* * *

ო, დედამიწის დაღუპვის წინ ჩემი აჩრდილი
ნანგრევის ლოდზე ჩამოჯდება სევდანასვამი!.
დარჩება გზები გადახანძრულ, გადაჩრდილული,
დაფარავს ზეცას ყორნის ფრთები მრუმე სავსავით...

გაბზარავს კოსმოსს ხმა ზარების უკიდეგანოდ,
მზე ძოწისფერი კვლავ აიკლებს სივრცეს ბღავილით!..
შორს, ჩამიქრება მოქათქათე მთვარის ზეგანი
და ატირდება ჩემი სატრფო – მინდვრის ყვავილი!..

ცის უფსკრულებში შთაინთქმება ხმები დიადი,
დაიწეწება ჩემი სულის რბილი ქსოვილი!..
ჩვენს ნაკვალევზე რა დარჩება? – მხოლოდ წყვდიადი!
ჩაქრება სივრცე სამუდამოდ, მოოქროვილი!

შენ მზის სისტემის სათაყვანო იყავ ასული,
ცის უფსკრულებში ჩაიშლები მზეგადასული!..

14. 09. 05.
თბილისი

* * *

უნდა დაინგრეს კართაგენი...
სციპიონ აფრიკელი (უმცროსი)

ამ ღრმა ჭრილობებს გამიმრთელებს აწი ვერვინ,
მთელი სურათი ტრაგედიის მეშლება თვალწინ!..
როცა ქარები ჩრდილოეთის დაუბერავენ,
რად უსველდება ჩემს ქვეყანას ცრემლებით ღაწვი?!

სისხლის ლანქერმა გადარეცხა ჩემი მთა–ბარი,
მახსენდება და ზღვა კვლავ იწყებს გრიგალში კივილს!..
ჩემი მამული, ისევ ბორგავს სისხლით ნაბანი
და მერამდენედ სულში სევდის აცურდა ტივი!..

ო, აფხაზეთო! ვინ აგანთო შურისძიებად,
ეს ვინ გაგხადა ასე გიჟი, სულით სნეული?
მაგ ახირებას, რომ იცოდე შეეწირები,
მაგრამ ფერფლისგან კვლავ აღსდგება შენი სხეული!..

შენ ნაწილი ხარ საქართველოს განუყოფელი
და რატომ გახდი ასე უღვთოდ დედისმგმობელი?!

15. 09. 05.
თბილისი

* * *

ამოდის მთვარე ცის თავანზე ღაწვებმწყაზარი
და ათოვს მთა–ბარს მოცისფერო შუქის ხავერდი...
დგანან მდუმარედ ო, ეს მთები უზარმაზარი
და მთაზე ფიქრებს ბავშვობიდან შემოვაბერდი!..

როგორ გაუძელ ამდენ ტანჯვას, მამულო ჩემო?
ხან ხმლის კვეთებით, ხანაც კიდევ მონის უღელით!
დასაბამიდან ბოროტების ეომე დემონს
და შემართებით დგახარ დღემდე მკლავმოუღლელი!..

კვლავ შლი იალქნებს სიშორეში სამოგზაუროდ
და უჩვეულო სურვილებით ისევ ინთები!..
ხან ჩრდილოეთის ქარი გიტევს, ხანაც ზღვაური
და ვერ დახურეს მაინც შენი გზები დიდების!..

შენ, ამ პლანეტის მემკვიდრე ხარ, თანაც თამამი
და წინ მიგიძღვის სხივნათელი დროშა თამარის!..

16. 09. 05.
თბილისი

* * *

ამ ჩემს ფანჯრებში გარიჟრაჟი ისევ იღვრება,
მოდის აპრილი და მოლურჯო ფრთებს შლის ნიავი!
ციმციმებს ზეცა, სივრცის ყველა კარი იღება,
გადითქარუნეს რა ულმობლად, წლებმა სიავის!..

მაგრამ მამული ვერ მიქციეს მაინც იავარ,
თუმცა ბორგავდა ჟამი მღვრიე, დაუნდობელი!
კაცი ფიქრისგან დავემსგავსე პირქუშ იანვარს,
რადგან ვხედავდი ჩემს მინდორ–ველს გვამებმოფენილს!..

რა შორს წავიდნენ ის დღეები შმაგი ჭენებით,
ო, ახლაც მესმის სიშორიდან მსხვრევა ზარების!..
სივრცე კვლავ ბორგავს კოშმარებით შენაჩვენები
და ნაკვალევი დარჩა მხოლოდ დინოზავრების!..

ვეთაყვანები სამზეოზე ისევ სამებას,
მზე კვლავ ამოდის, მრავალტანჯულს მოგესალმება!..

20. 09. 05.
თბილისი

* * *

რად განიძარცვე ასე უღვთოდ, ხეო მაღალო?
ირხევი ქარში ჩრდილოეთის –შავი მანდილით!..
ნუთუ დაბნელდა შენთვის უკვე მთელი სამყარო
და დგახარ მარტო რუხი ნისლით შემობარდნილი!..

მზე არ ამოდის და გევსება სული ნაღველით,
სად გაიფანტა იდუმალი შუქი ცხოველი?
შენ უძლეველი იყავ და თან ბევრის მნახველი,
ახლა სად არის ო, ის ღელვა დაუცხრომელი?!

დგახარ ბექობზე მოცახცახე, თვალცრემლიანი,
უბრალოდ ჩქამიც გაკრთობს ხშირად, არვის ენდობი!
არ გიშრიალებს ხავერდოვან რტოებს ნიავი,
რად გახდი მსხვერპლი ტკივილის და უიმედობის?!

იყავ ზღაპარი, საოცნებო ქნარი მგოსნების,
მოვა აპრილი და სიმწვანით შეიმოსები!..

06. 10. 05.
მოსკოვი

* * *

აღარ შემოგრჩა რტოები თითქმის,
შენ უმოწყალოდ გრიგალთან შეხლილს!
ღრუბლებში მთვარე მიცურავს თითბრის,
გიახლოვდება ელვა და მეხი!..

მიწა ცახცახებს უზომო შიშით
და სივრცეს ერთობ ეცვალა ფერი!..
მე ვხედავ, მუხავ, ბრძოლისთვის იშვი,
იქეც სიმბოლოდ, შენ ჩემი ერის!

ეს მერამდენედ ცის რისხვას უძლებ,
კვლავ მოესწრები ტოტების გაშლას!..
დროსა და სივრცეს ეომე უძღებს
და არ დანებდე რღვევას და დაშლას!

შენ შემართული კვლავ დგახარ მედგრად
და ვერ გილეწავს გრიგალი ბექთარს!

12. 10. 05.
თბილისი

* * *

რომანტიკული გზები განვლე ჩემი ცხოვრების,
მე არ ვიცოდი თუ რა იყო კრთომა და შიში!
მშობლიურ ჭალებს საუკუნოდ ვემახსოვრები
და გაზაფხულზე ოკეანეს – ზღვის პირა ქვიშის!..

ვბრუნავდი წრეში მეგობრების, საგსე ოცნებით,
რა დამავიწყებს ერთგულებას მათი გულების!..
ვრჩები იმ ჟამის სილამაზით განაოცები,
მოჰქონდა დღეებს სიყვარულის თაიგულები!..

ახლა კი რა ვარ? – თუმც არ მინდა ამაზე ფიქრი,
ვინ შერჩენია ო, ამ სოფელს ბოლომდე რწმენით?!
ფერიცვალება წუთისოფლის საოცრად მიკვირს,
რომ შემატოვა მხოლოდ ცრემლით თვალები სველი!..

სულაც არ ვცდილობ დავუმოკლო დღეებს სადავე,
ო, რა შორს დარჩა ის სილაღე და სისადავე?

15. 10. 05.
მოსკოვი

* * *

მოგსდევს დემონი ულმობელი გაჩენის დღიდან,
მზის სისტემაში შენ სიცოცხლის ზეიმად იშვი!..
მიექანები და არ იცი რა არის შიში,
ისევ უბერავს გაზაფხულის ნიავი ზღვიდან...

შენ სიკეთის გზით კვლავ მიარხევ იალქნებს ფერადს,
დროით და სივრცით არ გიგრძვნია რა არის მოღლა!
აღზევდა დღემდე – ეს რამდენი შური და ბოღმა,
და ფრთებიც ძლიერ შეეკვეცა შენს აღმაფრენას!

ვერ იქნა გზები ბოროტების ვეღარ დავხურეთ,
ო, თუმცა რწმენა სიყვარულის ძალუმად ფეთქავს!..
ღამეებს, ისევ შენზე ფიქრით ვათენებ თეთრად,
რომ დროის ელვამ არ მოგტაცოს მთვარის საყურე!

დღეს ხომ აქ შფოთვენ, ხვალ კი გავლენ მთვარის ყამირზე,
ჩემო პლანეტავ, რომ გაქციონ ბირთვულ სამიზნედ!

25. 11. 05.
მოსკოვი

* * *

მიაყურადე, ცა ფარული ცრემლებით ირწყვის,
რასაც ჩადიან, არის თუმცა არაახალი!
მიქრის პლანეტა დემონების სიცილ–ხარხარში,
არავის ესმის უსაშველო ტკივილი მიწის!..

აფეთქებებით თქვენ ბირთვულით ზეიმობთ, რატომ?
როცა მას მოაქვს ბოროტება აურაცხელი!..
არცერთ ატომისტს აღარ ვხედავ დღემდე დარცხვენილს,
თუმც კარგად ვიცით აფეთქებით რა მოაქვს ატომს!..

გაუხუნდება სამოსელი ცასა და ხმელეთს,
ეს, რომ ვერ იგრძნო, შენ უთუოდ ბრმა უნდა იყო!
როცა სიცოცხლე აღტაცებით გვეძახის, გვიხმობს
და მზე და მთვარე სიყვარულით არიგებს ფერებს!..

უსახურებავ, დემონური გრძნობა დაიცხრე!
ფრთხილად, სიცოცხლევ! თორემ რღვევას ვეღარ აიცდენ!

28. 11. 05.
მოსკოვი

* * *

მიდის ცხოვრება და თან იცვლის ფერს და კალაპოტს,
ხან ცისკარს ვუხმობთ, ხან ვირხევით მწუხრის ჩრდილებად!..
რამდენიც გინდა ეფერე და ელაპარაკე,
ის შენს სურვილებს არასოდეს ემორჩილება!

როცა გრიგალი მოვარდება, ზღვა მოგუგუნე
მღვრიე ზვირთების მოზღვავებით ხეთქავს ჯებირებს!..
ვიღაც გვაბრძოლებს! საუკუნე ცვლის საუკუნეს,
მაგრამ ბოლომდის არასოდეს გვამარჯვებინებს!

მზერით ვაწყდებით, ყორნებივით ღრუბლებს აშლილებს,
სივრცე ცახცახებს! ულმობელი შიში გვედება!..
ცა კი მიწასთან ფარიკაობს ელვის დაშნებით,
ო, ასეთია წუთისოფლის შემოქმედება!

მზემ სიშორიდან სიბრალულით ბევრჯერ დაგვხედა,
როცა ცხოვრებამ დაგვამსგავსა ბებერ სახედარს!

03. 12. 05.
მოსკოვი

* * *

ო, სულში თითქოს დოქით სევდას ისევ მისხამენ,
როგორ ბობოქრობს უმოწყალოდ ჟამი წყეული!..
კვლავ ეხეთქება ამ წყვდიადში ჯებირს მრისხანედ,
ზღვა მარად ურჩი, კალაპოტში ვერ მოქცეული!..

მე შენზე ვფიქრობ, ტანჯვის ოფლი მწყდება შუბლიდან,
დრო მიქანაობს... დღენიადაგ განსჯას ვუნდები!..
თუ ავიშალეთ, მეგობარო, ერთხელ სუფრიდან,
აქ, ხელმეორედ ვერასოდეს ვერ დავბრუნდებით!

ვართ გახლართული ბედისწერის ქსელში ნიადაგ,
აიკლეს სივრცე შემოდგომის მღვრიე ქარებმა!
მატარებელი ჩვენი უკვე აცდა ლიანდაგს
და უფსკრულისკენ მთელი ძალით მიექანება!..

ღამის კოშმარებს კვლავ გაურბის სული ეული,
ამ წუთისოფლის სივერაგით გადარეული!..

10. 12. 05.
მოსკოვი

* * *

მიმართულებას ეს ცხოვრება ნიადაგ იცვლის,
ხან აღმა მიდის, ხან კი დაღმა მიექანება!..
დღეს ფრთებს შეგასხამს, ხვალ რას გიზამს, არავინ იცის,
ხან ნიავს გირხევს, ხან აგიკლებს ზამთრის ქარებით!..

მოულოდნელად გადაგივლის თავზე ზვირთებად,
როცა სიცოცხლის აფრებს გაშლი კაცი ხალისით!..
და შენ ყოფნიდან არყოფნაში გადაირთვები
და ყველაფერი სიშორეში წავა თავისით!..

მიხვალ ბილიკზე, ჟამი ყორნის თვალებით გიმზერს,
პირდაბჩენილი უფსკრულები გიახლოვდება!..
მხოლოდ ლექსები სიყვარულის ჩავწეროთ ფირზე,
რომ იგრძნოს სულმა უჩვეულო ცეცხლის მოდება!

სანამდის ვცოცხლობთ, თავს ნუ ვიღლით ამაო ფიქრით,
არავინ იცის, მეგობარო, საითკენ მივქრით!..

11. 12. 05.
მოსკოვი

* * *

ერთი მითხარით, აქ სად არის დემოკრატია?
არ ჰგავს ცხოვრება ღვთაებრივი ნებით ანაგებს!
თავისუფლებას ვეძებთ ყველგან გზებით მარტივით,
მაგრამ მსოფლიოს იარაღის ძალა განაგებს!..

კაცობრიობა ოსტატია ნგრევის, შენების,
ო, აქ რაც ხდება, ვერ აღრიცხავ იმას ციფრებით!..
ამაოდ ვტკბებით ცის და მიწის ფერთა მშვენებით,
რადგან განაგებს დედამიწას ლიუციფერი!..

ბნელმა ძალებმა ეს პლანეტა გაინაწილეს,
იდგამენ გვირგვინს საიმედოდ, ღმერთის სახელითl..
დაიმორჩილეს საუკუნოდ დრო და მანძილი
და ვხედავ მხოლოდ დემონების თვალებს გახელილს!..

ჭეშმარიტებას აქ ვერავინ გაეკიდება,
ამაოდ ვისმენ სათნოების ხოტბა–დიდებას!..

12. 12. 05.
მოსკოვი

* * *

ჩემს ბაღში ისევ სუსხიანი ზამთარი მოდგა,
არ შერჩათ ხეებს სამოსელი ტანზე ფოთლების!
მივაყურადებ, მესმის მძაფრი წუხილი, მოთქმა,
დაცხრა მდინარე, არაერთხელ შენაშფოთები!..

ჩემს ბაღში ისევ ო, რა მკაცრი ზამთარი სუნთქავს,
აჰა, საცაა, დაიწყება ფიფქების ჩქამი!..
ღრუბლის მორევში მიირხევა ფერმკრთალი თუთა
და მოლოდინში გატრუნულა ეს გრძელი ღამე!..

მოფრინდებიან განთიადზე თეთრი ჩიტები,
დაიზნიქება მათი ფრთებით ტოტები ხეთა...
ვდგავარ სევდისგან უჩვეულოდ განაფითრები!

და, როცა ბაღი მოირთვება ფიფქებით თეთრად,
აცახცახდება წყარო ისევ მთელი სხეულით,
სიმს ააკვნესებს ფაშარ თოვლში სკვინჩა გრძნეული!..

25. 12. 05.
ბანძა

* * *

ო, გულო, იქნებ მოიქანცე ბრძოლით, შეტევით
და ამ უაზრო თამაშიდან გასვლა მოგინდა?
ვერ გაარღვიე ჯებირი და ზედ ეხეთქები,
ეს თავგანწირვა, მე არ ვიცი, თუ რას მოგიტანს?!

ასე უზომოდ ვინ აგანთო ბრძოლის სურვილით?
ბევრჯერ ჩაები ფიცხელ ომში შეხლა, კვეთებით!..
ისევ გეძახის მამულის ცა ოქროცურვილი,
იქით მიიწევ უჩვეულო თავგამეტებით!..

იბრძოლე მედგრად, სანამ შენში სისხლი ხმაურობს,
საომარ ველზე იყავ მუდამ მიუსაფარი!..
გამარჯვებული სული მარად შორს მოგზაურობს,
რა მოხდა, თუკი დაგაყარა ნისლმა ფაფარი?!

ჟამის გვირაბი გაიარე ბრძოლის საყვირით,
რომ დავიწყებამ არ ამოგდოს პირზე აღვირი!

27. 12. 05.
მოსკოვი

* * *

კაცობრიობის ისტორია შობეს ომებმა,
არაკაცებო, თქვენ რით დგახართ მხეცებზე მაღლა?
ო, ლამის არის, ეს პლანეტა წალეკოს წარღვნამ,
თარო, ამაოდ იზნიქება ბრძნული ტომებით!

გაჩენის დღიდან მტრად ექეცით დედა–პლანეტას
და აჩანაგებთ ყოველივეს, რასაც ეხებით!
გათელილია უმოწყალოდ თქვენი ფეხებით,
ო, ამ ვეება დედამიწის ყველა განედი!..

სამოთხე მიწის ვერ იქნა და ვერ შეიფერეთ,
იზმორებიან ველ–მინდვრები სისხლის ტბორებით!..
ეს რა ცოდვა გჭირთ დასაბამით მოუშორები,
ო, ლამის არის ფერფლად იქცეს ეს ბიოსფერო!..

სიცოცხლევ, რწმენას შენ ამაოდ ეპოტინები,
შორს მიირხევა ყოველივე თავის დინებით!..

30. 12. 05.
მოსკოვი

* * *

ყინვის ბეტონში ჩაჭედილა მთელი ქალაქი
და ლამის არის სისხლმა ერთობ შეწყვიტოს დენა!
დაყრუვდა სივრცე, სულს არ ძალუძს აქ აღმაფრენა,
ვინ იცის იგი რა ვეება სატკივარს მალავს?!

მზე ვერ ამოდის ამ უმკაცრეს ყინულის შიშით,
ქუჩაში მხოლოდ მანქანების განგაში ისმის!..
უიმედობის სულს ედება ცახცახით ნისლი
და ჩიტუნები ვერ იტანენ წყურვილს და შიმშილს!

წარსული უკვე მისცემია აქ დავიწყებას
უიმედობას შეუპყრია ქალაქი ერთობ!..
ისიც ჩამქრალა, აქ რომ ადრე შუქურა ენთო
და დგას პირქუშად მხოლოდ ცივი კედლების წყება!..

მზე გაძარცულა და შიშისგან მთვარეც ილევა,
ამის მნახველი კაცი ნაღდად გადაირევა!

04. 01. 06.
მოსკოვი

* * *

პირქუშ კედლებთან დაბოლმილი ვდგავარ ეული,
დრო ისე მიდის, როგორც ქარში ღრუბლები შავი!..
ვაწყდები სივრცეს კაცი მღვრიე ფიქრების ზვავით
და დაშჩხავიან ყვავ–ყორნები ცოფმორეული!..

გავცქერ ამ ბუნაგს!.. კაცმა ღელვა ვეღარ დავმალე,
ბრძოლის ველიდან მოაქვთ ხორცი სვავებს ბრჭყალებით,
ყველაფრისადმი სიძულვილით განიმსჭვალები, –
თავისუფლების, რომ გახედავ ცოცხალ სამარეს!..

ის ბოროტების შეკრულია ყველა ნიშანით,
ტანში გაჟრჟოლებს, შემოგხედავს როცა უბრალოდ!
სტრიქონებს ლექსის ისე ვისვრი, როგორც ყუმბარებს,
რომ ეს კედლები ჩამოირღვეს ჩამოიშალოს!..

ფრთხილად იარე! არ მოგედოს თავად ხანძარი,
თორემ იქცევი გორმახებად ფერფლის, ნაცარის!..

10. 01. 06.
მოსკოვი

* * *

კეთილი ერთობ დავიწყებას ეძლევა უკვე,
ეს ცისქვეშეთი, ვინ აქცია დემონთა ბუდედ?!
გახედე ამ გზებს, ღვთის დაწყვევლილს, სასტიკად მრუდეს,
რომ ბოროტება ბოროტებას კვლავ გუნდრუკს უკმევს!..

ეს უღმერთობა, ღმერთის სახელს რად ეფარება?
თქვენგან ჩადენილ დანაშაულს არა აქვს კიდე!..
კვლავ დიდ ტაძარში დადიხართ და ლოცულობთ კიდეც,
რომ გაიხადოთ ქვეყანაზე ღმერთი მფარველად!

დღემდე, ვით შესძლო ამ პლანეტამ დაღვრილი სისხლით
ასე გაჟღენთვა, მერე მისი უჩინარყოფა?!
ამ დანაშაულს, მაგ თქვენს ხელებს ვერავინ მოჰბანს
და თქვენს ნაკვალევს ღმერთი მაღლით დაჰყურებს ზიზღით!..

ვეძებ სათავეს ბოროტების, – ვეღარ მივაგენ!
და რასაც იგი იმსახურებს ლექსით მივაგე!..

31. 01. 06.
მოსკოვი

* * *

მზე ამოვიდა, ხეებიდან იღვრება თოვლი,
მივდივარ ამ თეთრ ხეივანში დაღლილი ფიქრით!..
ვერ გამიგია, ეს დღეები თუ საით მიქრის,
ხან მრისხანებით ულმობელი, ხან კიდევ თრთლოვით!

ვხედავ მსოფლიოს ამბოხებულს, განგაშებს სივრცე,
ნგრევას და ხანძარს ამ მიწაზე ბოლო არ უჩანს!..
ო, ეს დღეები სიშორეში მიქრიან ფუჭად
და ჩემში მხოლოდ აურაცხელ სატკივარს იწვევს!..

ცხოვრების მღვრიე ოკეანე აწყდება კედლებს
და ქარიშხალი უკვე სივრცის ლამობს დაშრეტას!
ტაძარი ხალხთა მეგობრობის ვეღარ აშენდა
და წუთისოფლის სილამაზეს ამაოდ ვენდე!

ადამიანო, ამ მიწაზე იარე ფრთხილად,
თორემ გრიგალი ატომური ჩაგიქრობს დილას!

06. 02. 06.
მოსკოვი

* * *

როგორც რაინდი ტრიბუნალის წინაშე იდექ,
გასამართლებდა მართლის თქმისთვის, მსაჯულთა ბანდა!..
ო, ეს რამხელა სატკივარი შენ ერთმა ზიდე
და ჩამოხიე ბოროტებას ბოლომდე ფარდა!..

მართლმსაჯულება ქვეყნიური სიბილწედ სცანი,
მის გზა–ფარსებზე რა ამაყად გადინადირე!..
შენ ტიტანივით აღიმართე და მთელი ძალით
უსამართლობას ცხვირ–პირიდან სისხლი ადინე!..

და სიცოცხლეში საუკუნის გასცდი სამანებს,
შენი სახელი განახლების სიმბოლოდ იქცა!..
ზრახვა "მამათა", რადგან ცოცხლად დაასამარე,
ვერ შემოგბედავს დავიწყებას – ეს დედამიწა!..

დრო, ერთ ფოთოლსაც ვეღარ მოსწყვეტს მაგ შენს დიდებას,
რადგან შესძელი უღმერთობის გაბედითება!..

12. 03. 06.
მოსკოვი

* * *

რა დაგიშავათ ამ პატარა გოგონამ, ნეტავ?
მშობლების თვალწინ, რომ ულმობლად აკაფეთ დანით!
განბანეთ სისხლში კალმახივით მფეთქავი ტანი,
დავალ მდუმარე, ვერ ვიშორებ ტკივილს და სევდას!

შეხედეთ, დღემდე ქუჩა როგორ ცახცახებს შიშით,
შეხედეთ ხეებს, ნანახით და განცდილით მოხრილთ!
კვნესის მიდამო და მევსება სხეული ბოღმით,
არამზადებო, მხეცის გულით, ნეტავ სად იშვით?!

ამ პატარას ნეშტს ო, თერთმეტი ჭრილობა მიაქვს,
რას უცდი, ყველას გასაგონად, იყვირე გულო!
ასი ათასჯერ გადამწვარო და გადახნულო,
არ შეურიგდე საუკუნის ჭრილობებს ღიას!

თუ ეს შური და სიძულვილი ვერ ამოვბუგეთ,
მაშინ ქვეყანა დაღუპულად ჩათვალეთ უკვე!

27. 04. 06.
მოსკოვი

* * *

შენ გული გტკივა შემუსრული ამდენი განცდით,
რატომ და რისთვის ყოველივე? – განსჯას ვუნდები!..
უნდა იყვირო განწირულმა, ვერ გაჩუმდები,
და ლამის არის წამებისგან ორბიტს რომ ასცდე!..

ვხედავ უსაღვრად მგლოვიარეს, გული ღონდება,
ო, ყველგან მეფობს: ბოროტება, სისხლისღვრა, ომი!..
აქ ყველაფერი არ ყოფნის ზღვარს უახლოვდება,
რაა მსოფლიო ისტორია? – ბრალდების ტომი!..

გულის სიღრმიდან ლამის ლავამ იფეთქოს სისხლის,
ჩემო პლანეტავ! ეს რამდენი ტკივილი ზიდე!..
ვერ იქნა დღემდე ბოროტებას ვერ განერიდე,
შენ ხომ მხსვერპლი ხარ უცოდველი, შურის და ზიზღის!

ო, დგანან ისევ მგლოვიარედ მთები მაღალი,
მიგაქვს სხეული ნაძარცვი და ნაყაჩაღარი!..

14. 05. 06.
მოსკოვი

* * *

მიყვარდა შენში ხმა მუდამჟამს თავისუფლების,
ხან ბულბულივით მოგალობე, ხანაც მყივანი!
ეს იყო შენი მოუდრეკი სულის სუფევა,
ო, შემართული ცისქვეშეთში, როგორც მყინვარი!..

დაუნდობელი მტერი იყავ ჩაგვრის, მონობის,
არ გაგივლია სამზეოზე გზა უფერული!
სწვდებოდა მწვერვალს სიდიადე შენი გონების,
გზას იკაფავდი ჯაჭვარდნით და დავითფერულით!..

მზე დაგცქეროდა იმედივით დიდი თამარის,
დიდხანს ბორგავდი სასიკვდილოდ ხელში ურჩხულის!..
ბარბაროსებმა გადმოლახეს ვრცელი ტრამალი
და წალკოტები შეგვატოვეს გადარუჯული!..

ერკინებოდი შენ გრიგალებს – მუხა ბებერი,
რადგანაც გქონდა სული მარად აუღებელი!

05. 06. 06.
მოსკოვი

* * *

ნუ დავაჩქარებთ მშობლიური პლანეტის სიკვდილს,
ო, ნუ ჩამოვჭრით იმ ტოტს, რაზეც ლამაზად ვზივართ!
კაცთა ბუნების სივერაგე საოცრად მიკვირს,
მივდივართ სადღაც, და არ ვიცით საითკენ მივალთ!..

შეხედეთ კარგად დედამიწას უკვე ფერმიხდილს,
აწამეს იგი დემონებმა, – ვერაფერს გახდა!
ნუ დავაჩქარებთ მშობლიური პლანეტის სიკვდილს,
თვითონ ბუნება, ლამის არის, გადიქცეს სახტად!

დავგლიჯეთ მკერდი სალოცავი, რომლითაც ძუძუს
გვაწოვებს იგი, გადავთელეთ მძიმე ჩექმებით!
ალბათ მიწაზე, მანამ აღარ მოვიშლით ძუნძულს,
ცის უფსკრულებში სანამ აღარ გადვიჩეხებით!..

ამ ცის დედოფალს ტრფობით უნდა ვადგამდეთ გვირგვინს
და ლამის არის მზის სისტემას მოვგლიჯოთ იგი!

10. 06. 06.
მოსკოვი

* * *

ვაი – პოლიტიკოსებს

ეს მერამდენედ უმოწყალოდ დაღვარეთ სისხლი,
დავითის მიწის მწარედ ხვნეშის ყოველი გოჯი!
ათიათასჯერ ღირსი გახდით წყევლის და ზიზღის,
სულით ღატაკნი და გონებით ნიადაგ კოჭლნი!

თქვენ არცხვენთი დიდი პუშკინის და ტოლსტოის მხარეს,
ო, რა ულმობლად ამიჯანყეთ ეს გული მკერდში!..
დღევანდელი დღით ცოცხლობთ მხოლოდ,
ვერ ხედავთ ხვალეს, –
გზაჯვარედინზე ყრია თქვენი ცოცხალი ლეში!

ბედდასწყევლილნო, რამ გაგხადათ ასე სატანა?
კაენის გზაზე მიბარბაცებთ, ჯალათნო, ოდით...
ტანით ვეება, რამ გაგხადათ სულით პატარა?
რად დამილეწეთ ჩემი ბალი – ეს ატმის ტოტი?!

ქუჩაბანდებში ვხეტიალობ მიუსაფარი
და შფოთავს გული დღენიადაგ სისხლით ნაბანი!..

05. 08. 06.
მოსკოვი

* * *

ო, რა ულმობლად დაგეღალა გული ამაყი, –
ცხოვრების პირქუშ ჯებირებზე შეხლით, კვეთებით!..
ვერ წაშლის ხსოვნის სილამაზეს ქვა და ბალახი
და მდუმარების ქსელში აღარ ჩაიკეტები!

შენ ბედისწერის მოზღვავებას ებრძოდი მედგრად,
არ გიცხოვრია ქვეყანაზე შიშით, ცახცახით!
შენ არ ხარ, მაგრამ, ო, ის გული კვლავ ჩვენში ფეთქავს
და რაინდული სიყვარულით მერმისს გასძახის!..

არ გიკვნესია ჟამის ხეზე ობოლ ჩიტივით,
ჩამოტყდა ტოტი და გაფრინდი მიუსაფარი!..
მე ბილიკებზე შენს ნაფეხურს ისევ მივსტირი,
დასრულდა ჩვენი მეგობრობის მოკლე ზღაპარი!

ვეღარ გაწვება შენს საფლავზე ნისლი ძაძებით,
რა შერჩა სივრცეს? – სევდიანი რხევა ნაძვების!..

29. 03. 07.
მოსკოვი

* * *

ამერიკელი მსახიობი ქალის – გრეის კელლის
და მისი მეუღლის – მონაკოს პრინცის
საფლავზე აწერია:
"სიჩუმე, პატივისცემა."

ნუთუ სიჩუმემ არ დაგღალა ამდენი ხანი?
შენ, დედოფალო სილამაზის, სიცოცხლის რხევის!..
სად არის ახლა ის სინაზე, ხავერდი ტანის
და ლერწამივით მოგალობე სიმაღლე ყელის?!

ო, რამ დაშრიტა ბაგეები სავსე ღიმილით,
ასფოდელოსის ველზე, იქნებ ყვავილთა ჩქერში
მიცურავ ქალი... სად ხოხბების ისმის ყივილი,
და მიირწევა სიშორეში ღრუბელი მრეში...

შენ გაზაფხულის მოშრიალე იყავ ღვთაება
და შენი ხსოვნით დედამიწა იდუმალ კვნესის!..
ო, შენი წასვლით აფროდიტეს ენა დაება,
როცა სიცოცხლეს უცნაურად ჩაუწყდა ფესვი!

ამ სამყაროში თუ რა ხდება არავინ უწყის,
მხოლოდ დღეები ცვლიან ერთურთს კენტი და ლუწი!

18. 04. 07.
მოსკოვი

* * *

ჩამოდის თოვლი, აქ მოსკოვში, აპრილის ბოლოს,
თოვლის ბალიშზე კვლავ რამდენი დაფორთხავს ყვავი!
ო, ეს დღეები ჩემს ტკივილებს აშიშვლებს მხოლოდ,
კვირტების ნაცვლად ყველგან თოვლის ფიფქები ყვავის!

მივალ ქუჩაში, სულის ხანძარს არავინ მიქრობს,
მზარავს ქალაქი, ისე როგორც საფლავის ლოდი!
და ტკივილებით დაცხრილული მამულზე ვფიქრობ,
ვის ველოდები, როცა ბოლო არ უჩანს ლოდინს?!

ფიფქები უხვად ეფინება ქუჩებს, შენობებს,
აპრილის ბოლოს –ეს რამდენი ფანტელი მოდის!..
გული ვერ უძლებს ამ ბობოქარ დროს უშენობით,
ო, ეს წამება დამთავრდება, არ ვიცი, როდის!

სულის აუზი მერამდენედ მევსება ცრემლით,
არარაობის შემძლეობას ბოლომდე ვწყევლი!

24. 04. 07.
მოსკოვი

* * *

შენ ჯოჯოხეთის ჩაირაზე შვიდივე კარი,
აწი იალქნებს სივერაგის უკვე ვერ გაშლი!
წახვედი, მაგრამ ო, რა შავი დატოვე კვალი,
რომელსაც დროის ნიაღვრები ვერასდროს წაშლის!

დემონურ ძალებს უერთგულე ბოლომდე კაცმა,
რა ურჩი ფრთები დააფარე სიცოცხლეს ფერადს!
და ახლა, როცა ქარიშხალი იმ დღეთა დაცხრა,
ნერონის გვერდით, თავდალმა რომ კიდიხარ, – მჯერა!

დემოკრატიის შენ სახელით ჯიუტად მოხველ,
შენგან ჩადენილ ბოროტებას ვერავინ მოთვლის!..
შენ ისტორია თემურლენგის შეგარქმევს ბოკვერს,
რომ სპირტით მთვრალი, გახდი უკვე სისხლითაც ლოთი!

ლოცვა – კურთხევა რას გიშველის დაწყევლილს ბედით,
შენ გაინაღდე სამყოფელი ნერონის გვერდით!

28. 04. 07.
მოსკოვი

* * *

ყოფნა–არყოფნის მძიმე სევდა რად დაგეუფლა?
შენ არ გამქრალხარ, დაიშალე მხოლოდ რითმებად!..
განვლე მოკლე გზა, მაგრამ მაინც მადლობა უფალს,
რომ დავიწყებით ის არასდროს დაიბინდება!..

ო, ვინ ჩასწვდება ყოვლისმომცველ იდუმალებას,
ვინ გაექცევა სიშორიდან ქარებს მობერილს?
რატომ გვიზიდავს სილაჟვარდე ოქროსთვალება,
ვინ არის ნეტავ სიდიადის შენის მფლობელი?!

გრძნობას, — სიმშვიდეს რად ანიჭებს უსაზღვროება?!
მიდის სიცოცხლე სიშორეში, როგორც სიზმარი!
ილეწებიან ჩვენი ყოფნის ქარში რტოები
და აქ მიწაზე რჩება გზები ნათილისმარი!..

არავინ უწყის საით მავალთ, როგორ მოვედით,
იქნებ სულია ყოველივეს წინამორბედი?!

10. 05. 07.
მოსკოვი

* * *

კვლავ ითვლი დღეებს უკანასკნელს და ტკივილს შენსას,
ო, მე ვგრძნობ უკვე სამზეოზე არა აქვს ზღვარი!..
შენს სადღეგრძელოს სიყვარულით ბოლომდე შევსვამ
და განშორების, ვიცი, კიდეც დარეკავს ზარი!

შენა ხარ ჩემი ბედნიერი დღეების მოწმე,
როგორ იქნება არ მიყვარდე, ძვირფასო ჩემო!
ბავშვობის თბილი ბილიკები ცრემლებით მოვრწყე,
შენით ვიგრძენი წუთისოფლის ფერი და გემო!

ვინ მოიგონებს ო, იმ ლამაზ დღეების წყებას,
ჩაბარდა ყოფილს, — ყოველივე, რაც იყო წინათ!..
შენს სანახებზე დავიწყების ბინდები წვება
და მე ჩამომდის თვალებიდან ცრემლების წვიმა!..

მე კვირტი ვიყავ, შენ გამშალე და მზე მაცხუნე,
ოღონდ ის წლები ხელმეორედ რად მომაწყურე?!

10. 06. 07.
მოსკოვი

* * *

რად მოუსიე ჩემს ცას, ქარო, ღრუბელი ურჩი,
რად ამიტირე ვარსკვლავები სულისზიარი?
რად გაუხუნე მზეს აპრილის სინაზე ფუნჯის,
ჩემი მთა–ბარი, ასე რატომ გამიტიალე?!

სიცოცხლის ველზე ეს რამდენი კივის მდინარე,
ედება სივრცეს ჟრუანტელი მთების გუგუნის!..
რად შემიშინე იალქნები შეუშინარი,
შევრჩი ტრამალებს უსხივოსნოს ღამის უკუნით...

ზღვასა და ხმელეთს რად მოედე ასე ავბედად,
ვინ მოგანიჭა, დაუნდობელს, ამის უნარი?!
მითხარი ქარო, შეუძლები, როგორ გაბედე,
რად გამიხუნე – ეს ჩემი ცა გაუხუნარი?!

საიდან მოდის ო, ამდენი შიში და კრთომა?
დრო მიაბიჯებს გზაზე, როგორც ურწმუნო თომა!

14. 06. 07.
მოსკოვი

* * *

დღეებს მიმავალს მოგონების ცრემლებით ვნამავ,
ამ გულს აჩნია ყოველივე, ძმობილო, ცხოვლად!..
აქ ჩვენს ნაკვალევს მოვარვარე დაფარავს ლავა
და ნასახლარზე არ დარჩება უბრალო ხსოვნაც!

ო, ყოველივე არსებულის დაშლა და რღვევა
დიალექტიკის კანონია! – წაუვა ვერვინ!
ჩვენ სამუდამოდ ორთაბრძოლის ჭიდილის ტყვე ვართ
და მხოლოდ ხსოვნა შემორჩება დროებით მერმისს!..

შიშით დაზაფრულს ვერ უშველის ცრემლი და მოთქმა,
როგორ არ მინდა, რომ ამ მიწას კრონოსი ერქვას!
სული ამაყი იმუქრება, ნიადაგ შფოთავს,
დრომ, რომ ლამაზი საბუდარი უქცია ფერფლად!..

ააღორძინებს დრო ყველაფერს, მერე კი ღუპავს,
სხვა რაღა დაგვრჩა? – სული უნდა მივანდოთ უფალს!..

20. 06. 07.
მოსკოვი

* * *

ცახცახებს მიწა ო, ამდენი სისხლის ღვრით, ომით,
და იმზირება ჩაღამებულ თვალებით სველით!..
ვინ მოთვლის დღემდე თუ რამდენი ამოწყდა ტომი,
ისევ გვეძახის ათასობით საბრძოლო ველი!..

ხალხები, ასე ვინ ააცსო შურით და გესლით?
სისხლის მორევში კვლავ მიცურავს სიცოცხლის ტივი!..
დასაბამიდან ათასობით ჩონგური კვნესის,
ასი ათასი ისევ ტირის გიტარის სიმი!..

გონიერების აქ სად არის ვრცელი სინათლე?
კაენის მოდგმა კვლავ ატარებს სამოსელს მხეცის!..
ო, ვამბირებო! ამდენ ცოდვას საით მიათრევთ,
მშობელი მიწა, რომ გახადეთ ცივი და ბერწი!

კეთილი ბოროტს, ნუთუ ისევ ამაოდ ებრძვის?
მორალს კითხულობ? – მიაყარე კედელზე ცერცვი!..

23. 06. 07.
მოსკოვი

* * *

მსოფლიომ ო, რა ავბედითად იცვალა ფერი?!
საავდრო ღრუბლებს ისევ ვხედავ საომრად აშლილს!..
ჩაკვდება სულის საბოლოოდ აქ აღმაფრენა
და ჩვენს ნაკვალევს სამუდამოდ გრიგალი წაშლის!

ო, კვლავ ირხევა საომარი დროშების წყება,
შეხედე, მთები ისევ იხვევს ძაძებად ნისლებს!..
რა მოგვიტანა, ყველამ ვიცით, მრისხანე წლებმა
და ყველა სახის იარაღი ჟღარუნობს ისევ!..

კვლავ აგანგაშდა უჩვეულოდ სივრცეში მარსი
ატომურ დენთით,– კარგად ვიცით თუ ეს რას ნიშნავს!
სიცოცხლისა და სიყვარულის მოშალოს გარსი
და სილამაზე შეუერთოს შლამსა და ქვიშას!..

აქ, ორი ძალა დაუნდობლად ერთმანეთს ებრძვის
და რა დარჩება საბოლოოდ? – ქვიშა და ძეძვი!..

25. 06. 07.
მოსკოვი

* * *

მზის სისტემაში ერთადერთი შენა ხარ მხოლოდ,
ო, ანთებული სიყვარულის, სიცოცხლის ჟინით!..
არავინ უწყის, სად ჩაქრები, ძვირფასო, ბოლოს
შენი ლამაზი ოცნებით და ტკივილით ხშირით!..

სიცოცხლე, შენ ერთს შემოგყურებს თვალებით ბავშვის,
ვით მშობელ დედას, მოთაყვანეს შენი ბუნების!
მიდიხარ მედგრად, მიირხევი სიცოცხლის მარშით,
ო, ავსებული მზის და მთვარის ნაფეხურებით!..

ზოგი მზის ცეცხლის სამეფოა, ზოგი ყინულის,
შენ ელემენტთა ჰარმონიის სარტყელში ცურავ!..
ო, შემოგყურებთ სიყვარულით თვალებხილულნი,
ფერიცვალების ისევ არხევ ჯადოსნურ სურათს!..

დრო ისევ მიქრის სიშორეში ო, როგორც გიჟი
და შენ ცახცახებ დღენიადაგ სიკვდილის შიშით!..

10. 07. 07.
მოსკოვი

* * *

შენ მაგრძნობინე ამ ცხოვრების ფერი და გემო,
მზე ირხეოდა გაზაფხულის ზეცის თავანზე...
მე ხელთან ერთად, გულიც გთხოვე, ძვირფასო ჩემო,
ორივე ერთად სიყვარულით შემომთავაზე!

ჩვენ არ გვაკრთობდა წუთისოფლის ბრუნვა–ტრიალი,
შეუპოვრობით გადავლახეთ მთაც და ბექობიც!
ამ ბილიკებზე ეჰ, რამდენი ვიხეტიალეთ
და ვარდფურცლობის სილამაზეს დავუმეგობრდით!..

ნუთუ ჟამთა სვლა აფერმკრთალებს ხსოვნის სურათებს?
მახსოვს, ძვირფასო, ერთმანეთით როგორ ვთვრებოდით!
ხან თავთუხების უსამანო ზღვაში ვცურავდით,
ხან ცის სინაზეს უჩვეულოდ ვეფერებოდით!..

ახლა ბუნება ო, ჩვენს რღვევა – დაშლას აპირებს,
ნუთუ გავსცდებით სამუდამოდ ხსოვნის ნაპირებს?!

11. 07. 07.
მოსკოვი

* * *

შენს ყოველ ნაბიჯს შხამიანი დრაკონი გესლავს,
რომ აღარ შეხვდეთ გაზაფხულის პირზე ალიონს!
ნახე, მტარვალმა ჩვენი სისხლი რამდენი შესვა
და კვლავაც უნდა, მეგობარო, იგი დალიოს!..

ფერს იცვლის მუდამ ისე, როგორც ქამელეონი,
სხეულთან ერთად უნდა სულიც გაიყოლიოს!
უკვე იმსხვრევა ტკივილისგან ქნარი ეოლის,
ჩამოიქროლებს, სადაცაა, კიდეც ბორიო!..

ო, ეს ზღაპრული სილამაზე, როგორ დალეწა,
იმზირებიან საცოდავად ნასახლარები!..
თხოვნით, მუდარით რას შეასმენ შენ ამ გარეწარს,
ნუთუ ამაოდ სიშორიდან რეკავს ზარები?!

დრო მიდის მკაცრი ნაბიჯებით, მრისხანე სახით,
და რას ჰგავს ხალხი? – დასაღუპად განწირულ ნახირს!

12. 07. 07.
მოსკოვი

* * *

ჰოი, მამულო, თუ დავინგრე,
კვლავ ამაშენე!..
ს. ჩიქოვანი

პირველი ღამე მე უსივრცოდ გამიჭირდება,
არ დამაყარო, შემოდგომის ნისლო, ფაფარი!
ადგილის დედავ, მხოლოდ შენი კალთა მჭირდება,
ანგელოზებო, თქვენი ფრთები გადამაფარეთ!..

პირველი ღამის გამირღვიე, მთვარევ, კოშმარი,
ნე მიმატოვებ სიკვდილისგან ძლეულს, მოცელილს!
ო, ერთხელ კიდევ დამირხიე ფერი შროშანის,
არ დამივიწყო, მზეო, შენზე მუდამ მლოცველი!..

თუ დამარღვევდი, მაშინ, მითხარ, რისთვის მაშენე?
რაზე ამინთე სიყვარულის თეთრი ლამპარი?
ადგილის დედავ! შენი ხელი შემომაშველე,
არ წამეშალოს ჩემი ცის და მიწის ზღაპარი!

ჯერ გულმოდგინედ ქსოვ და მერე თვითონ შლი ნაქსოვს,
გულუბრყვილობა ო, ამგვარი არავის ახსოვს!

19. 07. 07.
მოსკოვი

* * *

შენი თვალები მე არასდროს დამავიწყდება,
რამ დამავიწყოს, საყვარელო, მაგ გულის ფეთქვა?!
ჩემი ცხოვრების სილამაზე შენით იწყება,
ვით გაზაფხულზე იდუმალი თამაში ფერთა!..

ახლაც, ძვირფასო, იმ დღეების შრიალი მესმის,
იმ ხეივანში დღესაც ლურჯი ხავერდი წვება!..
ჩვენ სიყვარულის უნაზესი ბადაგი შევსვით
და აღტაცება უჩვეულო მოვისხით ფრთებად!..

დღეს კი ეს გული ვეებერთელა ტკივილებს იწოვს
და იმ დღეების საოცარი ხატება ქრება!..
ვინ გამიხადა ეს ბილიკი ო, ასე ვიწრო,
საით გაფრინდა ვარდფურცლობის დღეების წყება?!

დავდივარ უხმოდ და საწუთროს ვუცქერი იჯვით,
ო, იმ დღეების დავიწყება საოცრად მიჯირს!

23. 07. 07.
ბანძა

* * *

რატომ შეჩერდა შენი ქროლვა ჟამის წინარე,
საით გაფრინდი, რომელი გზით, სოფლის სტუმარი?
ამ ცის ქვეშეთში შენი სულის კივის მდინარე,
რამ დაადუმა გული მუდამ დაუდუმარი?!

ო, გადალახე შეუპოვრად ზვირთი რამდენი,
უტევდი მედგრად მობობოქრე ჟამის ქარტეხილს!..
დაეცი, მაგრამ გადმოღვარე რწმენის ნათელი
და ლექსებს შერჩა ღვთაებრივი შუქის ნატეხი!..

მიდის ცხოვრება... ზვირთი ზვირთზე მიიგრაგნება,
დრო ვერ დაფარავს მაგ ნაკვალევს აღბეჭდილს მტკიცედ!..
საშველად კაცთა გამოგგზავნა თითქოს განგებამ
და გააჯერა რწმენის შუქით ჟამი და სივრცე!..

შენ ერთხელ მოხველ და ვერასდროს მოხვალ მეორედ,
მაგ სიდიადეს, ნუთუ ვერვინ გაიმეორებს?!

04. 08. 07.
მოსკოვი

* * *

მახსოვს, წვიმისგან გვიფარავდა ფოთლები ხშირი,
ნიავი მინდვრის ირხეოდა მოლზე ფრთასველი...
ჩვენ ერთმანეთი რა საოცრად გვიყვარდა, ლილი,
დღემდე ამ ტრფობის საიდუმლო ვეღარ ავხსენი!

საიდან მოდის ყოველივე ო, არც კი ვიცით,
რას გვიამბობენ ვარსკვლავები იდუმალ კრთომით?
ჩვენ ნაწილი ვართ ამ მიწის და სულიერ სივრცის,
ხან მზე გვიტაცებს სილამაზით, ხან კიდევ თოვლი!

აქ ყოველივეს უხილავი განაგებს ძალა
და ერთმანეთთან აკავშირებს აწმყოს და მერმის!..
სიცოცხლის ჟინი მოკვდავთ მუდამ გვედება მძლავრად
და ნაკვალევი რჩება მხოლოდ გაფრენილ მერნის!..

რა არის ტრფობა? – იდუმალი მუსიკა სულის
და ის სიცოცხლეს სილამაზის დინებად უვლის!..

09. 08. 07.
მოსკოვი

* * *

შენ დამიფარე, ძლევა მეც, დათრგუნვად მე სატანისა.
შოთა რუსთაველი

რასაც მკარნახობს შთაგონება, მაზე ვწერ მხოლოდ,
ნიადაგ ვებრძვი უსასტიკეს დემონურ ძალებს!..
უკან დახევა არ იქნება, თუნდაც ჩამქოლონ,
მე, მას ვასრულებ, ყოვლისშემძლევ, რასაც შენ ბრძანებ!

სულაც არ მაკრთობს გზის და სივრცის უდაბურება,
აღმავალი მზის ნატერფალი რწმენას მიმატებს!
ეს შემართება შენ მაჩუქე მხოლოდ, ბუნებავ,
და ვიცი, სადმე გადავყვები კიდეც სიმართლეს!

ასე მოვდივარ დასაბამით ქროლვით, კვეთებით,
მზვერავს გზადაგზა ათასობით თვალი მსტოვარის!..
ხშირად კივილით შემზარავით სივრცეს ვედები,
ნუთუ კვლავ ვრჩები კაცი, ისევ გზაუპოვარი?!

დღეს ცისკრის ჩიტი ხის ტოტიდან მომესალამა,
ჩემი თვალები ისევ რწმენის ცრემლმა დანამა!..

12. 08. 07.
თბილისი

* * *

მე ამ ცხოვრებამ დაუნდობლად მომქანცა უკვე
და ახლა იგი, მხოლოდ ბოლო რაუნდზე მიწვევს!
როგორმე უნდა, რომ ამ მიწის მაქციოს ლუკმად
და ხელში დაშნით უკვე ბოლო შეტევას ვიწყებ!..

ო, როგორ მიჭირს! თუმცა დარტყმას ვპასუხობ დარტყმით,
და აჰა, უკვე ბედისწერას მივენდე თითქმის!..
ვერას გახდები ქვეყანაზე მარტოდენ ნატვრით
და სადმე რისხვით კლდეს მიგახლის უდაბურს, ზვირთი!..

ჩემი აქ ყოფნის ო, ეს ლექსი მიიღე ნიშნად,
ვერ ვნახავ ათრებს ზღვის სივრცეში ამაყად გაშლილს!
ო, საბოლოოდ შევერევი შლამსა და ქვიშას
და აურაცხელ ნაწილაკად ბუნება დაშლის!..

სიკვდილი თუკი შლის და არღვევს ყოველგვარ კავშირს,
ის სიცოცხლეზე უძლეველი ყოფილა მაშინ!

10. 08. 07.
მოსკოვი

* * *

ისევ რეკავენ გამუდმებით და სევდას ღვრიან
ხსოვნის ზარები – ნაგასაკას და ხიროსიმას!..
ვინ მოგიშუშებთ, ქალაქებო, ჭრილობას ღიას,
დაე, იდინოს თვალებიდან ცრემლების წვიმამ!..

რაც მოხდა იგი სამარცხვინოდ ეყოფა კიდეც
ქვეყნის მესვეურთ, რომ ტრუმენის გონებით სჯიან!..
ცოდვის კითხვაა, რომ ბირთვები სიცოცხლეს მკიდეს,
კვლავ ისმენს ჟამი სისხლიანი ანძების ჭრიალს!..

მიწას ცახცახით მერამდენედ დააწყდა ძარღვი,
ვინ ემუქრება რღვევა – დაშლით სიცოცხლეს დიადს?!
შენ, ბოროტებავ, მესვეურო მსოფლიო წარღვნის,
ო, ლამის არის შეუერთო სიცოცხლე წყვდიადს!..

გაჩენის დღიდან დასწყევლილი ვყოფილვართ ბედით
და რამეს შველის ბრძოლის ველზე კივილი მხედრის?!

17. 08. 07.
მოსკოვი

* * *

ჩემი ცხოვრების მიწიერის მთავრდება ჟამი,
გული ჩერდება და პლანეტა ისევ ტრიალებს!..
თავზე ორბივით დამტრიალებს ღრუბელი შავი,
ვგავარ დონკიხოტს უგზო – უკვლოდ მოხეტიალეს!..

მასვეს ღიმილით დემონებმა რამდენი შხამი,
მეგონა ვიყავ აღჭურვილი ყველა უფლებით!
ვერ გავარღვიე უშავესი ბურუსი ღამის,
მომავალს მაინც სიყვარულზე ვესაუბრები!..

ყველა ბილიკი, უკვე ღელვით შემოვიარე,
ვერ მოვიშორე გზიდან კაცმა თვალი მზაკვარის!
ბევრჯერ ოცნებით ავედევნე მინდვრის ნიავებს,
ვეფერებოდი ჩემი ყრმობის ცისფერ ნაკვალევს!..

ვინ მოთვლის აწი, თუ რამდენი მსხვერპლი გავიღე,
მაგრამ აქ ყოფნა, მხოლოდ ლექსით დავათარიღე!

31. 08. 07.
მოსკოვი

* * *

გამოფენა: “ძველი ქალაქი”

ძველი ქალაქის ვაკვირდებით ხედებს ოვალურს,
ო, ეს ცხოვრება, მეგობარო, არის ბანაკი!..
თუმც მის გაცნობის, უსათუოდ ჩვენ ვართ მოვალე,
ხვალ ჩვენც გავხდებით მოქალაქე ძველი ქალაქის!..

თვალს ვერ ვაშორებთ: რა რხევები!.. რა სილამაზე!
და შემართება ვაჟკაცური გვხიბლავს უზომოდ!..
ამ ქალბატონებს ვაცქერდებით, შევშფოთდით რაზე?
დროს ყოველივე ო, რა მკაცრად გადაუზომავს?!

მიდის ცხოვრება საოცარი ფერიცვალებით,
კრთება სიცოცხლე!.. ცა დაისის ბინდით აივსო!..
რა სევდიანად იმზირება ჩვენი თვალები,
რად სურს ბუნებას რღვევა – დაშლით გაგვითავისოს?!

ამ სილამაზის, ასე შეცვლა, ეს ვინ ინება?
ფერიცვალებით ვზომავთ უკვე დროის დინებას!..

18. 09. 07.
მოსკოვი, ბოტანიკური ბაღი

* * *

ჩემი ცხოვრება ნუთუ უკვე ყოფილად იქცა?
მე, როგორც მსურდა, ვერ გავტეხე ისე ყამირი!
გულამღვრეული, შეშფოთებით დავცქერი მიწას,
რომ ყვავ–ყორნები კვლავ იკლებენ სივრცეს ჩხავილით!..

ბევრი ვეომე ბარიერთან დემონებს ბოროტს,
ჟამი მიდის და სევდა ისევ სევდას მოება!..
ნუთუ ყველაფერს უმოწყალოდ ეღება ბოლო
და სამუდამოდ რჩება ხელში ამაოებას!

ვერაფერს ვუგებ სოფლის ბრუნვის უთავბოლობას,
ხან თრთოლვით გავსებს, ხან ბობოქრობს მღვრიე მორევი!..
ბრძოლა ვარჩიე, მეგობარო, მაინც მონობას,
რადგან ბრძოლაა ეს ცხოვრება დაუცხრომელი!..

უნდა ეკვეთო მთელი ძალით ზვირთთა გრეხილებს,
თუნდაც დაეცე ბრძოლის ველზე ფრთამოტეხილი!

19. 02. 08.
მოსკოვი

* * *

რას ჩამოვყევით ამ მიწაზე, რომელ დინებას?
სადაც კივიან განუწყვეტლივ ურჩი ქარები!..
ო, ეს ცხოვრება, ვინ გვიქცია ამგვარ დილემად,
დავდივარ ჟამის ბილიკებზე ნაფერმკრთალები!..

სული ფერს იცვლის, რომ გაექცეს სიკვდილის კლანჭებს
და ტოვებს სხეულს უსაშველოდ ნარბევს და დაცლილს!
ამგვარ ბრუნვისთვის წუთისოფლის, რა ვუთხრა გამჩენს,
რაც კი გვიბოძა, მას უხეშად ხელიდან გვაცლის!

არავინ იცის, აქ სიცოცხლე რა გზებით იშვა!
შეხედე, ეს რა სივერაგე ნებივრობს ირგვლივ?!
ჰორიზონტებზე ქარებს დააქვთ უდაბნოს ქვიშა
და მზეს სიცოცხლის ემუქრება ჩაქრობით იგი!

ამ ვრცელ მიწაზე ჩვენ მოვდივართ მხოლოდ დროებით
და ვხდებით მერე ჩუმი მსხვერპლი უსაზღვროების!..

04. 05. 09.
მოსკოვი

* * *

ქანაობ სადღაც ტყის სიღრმეში, თუ მის ნაპირას,
ჰორიზონტიდან ამოზიდულ მზე გადგამს გვირგვინს!
აჰა, საცაა კაცს სიბერე გამინაპირებს,
ჩემი ცხოვრების იხურება ლამაზი წიგნი!..

ვდგავარ ბექობზე, მზე ეშვება ზღვაზე ნოემბრის,
ო, ამ ბილიკებს ალბათ დიდხანს ვემახსოვრები!..
გულზე ტკივილი ულმობელი, ისევ მომება,
რომ იხურება ვრცელი წიგნი ჩემი ცხოვრების!..

უცნობო ხეო! შენ მექცევი ალბათ სასახლედ,
ვინ მოთვლის, დღეო, ეს რამდენი სევდა მათოვე!..
ველარ ვიპოვი საუკუნოდ ბილიკს დასახევს,
როდესაც ჟამი დამადუმებს, გამიმარტოვებს!..

და რა დარჩება? –მხოლოდ სული სევდით ნაოსი!
როცა ჩემს სხეულს ჟამი ერთობ მოაქაოსებს!..

09. 05. 97.
ბათუმი

* * *

მე ვგრძნობ უზომოდ დაიღალე, ო, გულო ჩემო!
შენი ცხოვრების ტრაგედია მხოლოდ მე ვიცი!
უტევდი მედგრად, წუთით აღარ დანებდი დემონს,
დარჩი ბოლომდე, მეგობარო, ერთგული ფიცის!

შენ დადიოდი ქარიშხლიან გზებით მიწაზე,
უმკლავდებოდი შეუპოვრად დელგმას მოვარდნილს!..
მხოლოდ სიცოცხლის, სიყვარულის ფერი იწამე
და შორს, სივრცეში გაფრენილი თეთრი ხომალდი!..

სულს მეამბოხეს სივრცეს ვერვინ გადაუზომავს!
ბევრჯერ იყავი დაგლეჯილი ღვარებით, სეტყვით!..
შენ დაიღალე, გულო ჩემო! კიდეც უზომოდ,
ო, მოვა ჟამი და მერმისი მადლობას გეტყვის!

დრო, ისევ მიდის სიშორეში ნაფერმკრთალები
და მამღვრევს, დედავ, სევდის ტბორი შენი თვალების!..

27. 06. 09.
მოსკოვი

* * *

მხრებზე ჰკიდია ჩემს ცას რუხი ნაფლეთი ღრუბლის,
ცახცახებს მიწა, საუკუნით ნაგრიგალევი!..
დავდივარ უხმოდ, როგორ მიხურს ფიქრისგან შუბლი,
ეს, ვინ აწყდება ჩემი ციხის მაღალ გალავანს?!

დრო, ხომ გულქვაა, მიდის იგი, და იალქნებზე
ისტორიული მოვლენების რჩება ლაქები!..
ო, საუკუნევ! დაბოღმილი ვსაუბრობ შენზე,
რად დამიმსხვრიე ბროლ–ბადახშით კოშკი ნაგები?!

გულო, სათქმელი თქვი ბოლომდე, აღარ დამალო!
რად გინდა იყო, შენ უბრალოდ შენაშფოთები?
ეს, ვინ ჩაგვიქრო მზე ცის თაღზე ამომავალი?
ადგილის დედის ო, რა მწარედ ისმის გოდება!..

შეხედე, ჟამი ნანგრევებზე მიიგრაგნება!..
რად გაგვიმეტე უსაშველოდ, ასე განგებავ?!

28. 06. 09.
მოსკოვი

สารบัญ

ო, თუ გინახავთ ამგვარი რამე?!

ბევრი რამ ხდება, ჰორაციო, ისეთი ქვეყნად,
რომ ფილოსოფოსთ სიზმრადაც არ მოლანდებიათ...

შექსპირი – "ჰამლეტი"

I

ცაო, შენა ხარ ყველაფრის მოწმე, მიამბე თუკი
გეყოფა ღონე,
აქ მიწა სისხლით
თუ როგორ მორწყეს
და მკვდრები როგორ აჭამეს ღორებს!
მითხარი, ცაო! სოხუმს და გაგრას როგორ დაეშვა
ბართლომეს ღამე?!
შენ ბევრი რამე
გინახავს, მაგრამ
ო, თუ გინახავს ამგვარი რამე?!
კვლავ ცახცახებენ შიშისგან მთები, მოდის სატანა,
როგორც მახარე,
როგორ ათრიეს
ქალები თმებით
და მერე სადღაც კუპრში ჩაჰყარეს!..
ახლაც ხარხარებს ბნელში სატანა და ხელში თმები
უჭირავს ბღუჯად,
გინახავს კაცი,
რომ გატყიურდეს
და მხარში სიკვდილს დაუდგეს ბურჯად?!

ცხოვრების, როგორ არ უნდა გწამდეს, ო, როცა უსმენ
მოცარტს და რაველს?
მაგრამ კაცის ხორცს
შამფურზე წვავდნენ,
ო, თუ გინახავს ამგვარი რამე?!
შენ ოსვენციმი გახსოვს მრისხანე და ბუხენვალდის
წყეული ღამეც,
ხახაში ბავშვის
სისხლს რომ ისხამდნენ,
ო, თუ გინახავს ამგვარი რამე?!
წითელი ნისლი ემოსა მინდვრებს, წითელი ორთქლი
ეფინა ხრამებს,
მაგრამ ქალებს რომ
ძუძუებს სჭრიდნენ,
ო, თუ გინახავს ამგვარი რამე?!
შენ გახსოვს ბევრჯერ სიკვდილის როკვა და უცოდველებს
თუ როგორ კლავენ!
მაგრამ კაცის სისხლს
რომ კაცი ლოკავს,
ო, თუ გინახავს ამგვარი რამე?!
დავცქერი მიწას დღესაც რომ გოდებს, მზეო, დახუჭე
თვალები ცხრავე!
გინახავს ბაბი იარიც,
ოლდეც,
მაგრამ თუ გახსოვს ამგვარი რამე?!
მიარღვევს ცეცხლი ქუჩებს და ბაღებს, თოკებით რკინის
სიცოცხლეს ჰკრავენ,
მაგრამ ბავშვებს რომ

აჭმევდნენ ძაღლებს,
ო, თუ გინახავს ამგვარი რამე?!
ამ მოზღვავებულ ტკივილს რით ვსძლიო? – არ მინდა წარსულს
ზურგი ვაქციო,
თუმცა ხანძარი
მედება მღვრიე
და უნდა ფერფლად გადამაქციოს!..
ცაო და მიწავ, აიდგით ენა!.. შემზარავ ცოდვის მოწმე
რომ გახდით,
იუდამ როგორ
ისწავლა ფრენა,
სატანამ როგორ დაიპყრო ტახტი?!
შენ ტამერლანის მხეცობა გახსოვს და შაჰ აბასის
მოვარდნა შავი,
მაგრამ გინახავს
წამება მსგავსი? –
დღეები სავსე ჭირით და შხამით?!
ო, არის ნგრევა, უზომო სისხლი, კეთილზე როცა
ბოროტი ზეობს,
მაგრამ თუ გახსოვს
ამგვარი ზიზღი,
არ დამიმალო, მითხარი, მზეო!..
შენ ხომ სოდომიც გინახავს შავი და კართაგენის
ნანგრევთა გროვაც,
მაგრამ ამგვარი
თუ გახსოვს ჟამი
და შავი მგლების ამგვარი ხროვა?!
საიდან?! როგორ?! საოცრად მიკვირს და მისდევს მსხვრევით

წამები წამებს!..

მაგრამ სიკვდილს რომ
ადგამდნენ გვირგვინს,
ო, თუ გინახავს ამგვარი რამე?!
ზათქით, გრაგანით მეოცე მიდის!.. ოცდამეერთის
კონტურებს ვხედავ,
დრო ვერ იშორებს
სისხლიან რიდეს
და კაცის გვამზე ყორნები სხედან!
ბნელში ვამპირი ისევ სისინებს, ქალაქი სისხლის
ზღვაში იხრჩობა,
ცაო, რაც ნახე
და რაც ისმინე,
არ დაუმალო მარადისობას!
უდაბნოდ იქცა ზღაპრული მხარე, დაწყდა სიმები
ცისფერი ქნარის,
ცაო, შენ იცი,
მითხარი ბარემ,
როგორ დახვრიტეს პოეტი ქალი?!
მან თურმე მშვიდად გახედა სივრცეს და შეაფურთხა
ატამანს ბანდის,
პოეტი ქალის
ნაბიჯი მტკიცე,
ასე ამარცხებს ყაჩაღს და ბანდიტს!
პოეტის სიტყვას ტყვია რას უზამს? იგი დაფრინავს
ღრუბლებზე მაღლა...
სიკვდილმა მძიმე
დაუშვა ღუზა

და შეესია ყორანი ბაღნარს!..

II

ტყვიას და მახვილს ვინც განერიდა, ის გახდა მსხვერპლი
თოვლის და ყინვის,
სვანეთის მთიდან,
სვანეთის მთიდან
ასი ათასი სიცოცხლე ყვირის!!!
ედება ჟრჟოლა თეთნულდს და შხარას, კიევიან ქარში
კლდეები ვერცხლის,
გრიგალმა კვალი
რაც უნდა შალოს,
ვერ შლის ნაკვალევს ბოროტი მხეცის!
ო, ახსოვთ – საკენს, ლათას და ჭუბერს ათასი ბავშვი
ყინულის მსხვერპლი
და მიაქვთ სადღაც
თოვლიან ღრუბლებს:
მოთქმა, კივილი და რწმენის ფერფლი!..
სად არის ღმერთი! სად არის ღმერთი! კვლავ ისვრის ქარი
ხოშხოშა შხეფებს,
მოირღვა მოთქმით
სამყარო თეთრი
და დააბიჯებს სიკვდილის მეფე!..
სულის ქვეყანა რატომ აქცია სიკვდილის ქვეყნად,
კაენის მოდგმავ!
რა უნდა ერქვას
ამგვარ საქციელს,
შურისძიება, როცა კარს მოდგა?!

იადონების იყო საუფლო, ერთად გალობდა აქ ცა
და მიწა,
მაგრამ სიმშვიდეს
ძილი დაუფრთხეს
                  და ეს ცხოვრება გახადეს ბილწი!..
ჟამი მიდის და სასტიკად ცხარობს, ვინ მოთვლის ახლა
                  ქვეყნის იარებს?!
შენ ბევრი რამე
გინახავს, ცაო,
                  მაგრამ თუ გახსოვს მსგავსი სიავე?!
მწარე ტკივილით დასკდნენ გულები, მოუცავს მხარე
                  დარდსა და ჭმუნვას,
ბაღი ლამაზი
დიოსკურების
                  ლეწა ურიცხვმა ნალმმა და ჯურვმა!
ო, შენი მიწის ყველა მტკაველი გამხდარა ბილწი
                  და სისხლიანი,
ჩამკვდარა სული,
ბორგავს მთა–ველი
                  და უფსკრულისკენ მიდის სრიალით!..
დღეს ამ ქუჩებში ვინ დააბიჯებს? მღვრიეა სივრცე,
                  მიწა თხიერი,
საფლავებიდან ისმის
ყვირილი, –
                  ო, აქ რა უნდათ გადამთიელებს?!
როგორ არ უნდა ენდო ქვეყანას ო, როცა უსმენ
                  ბახს და ბეთხოვენს?
ამდენი მკვლელი,

ეს ვინ შეჰყარა? –
ანდა საიდან გამოითხოვეს?!
სიცოცხლე ერთობ გახდა ტიალი, ამდენ ცოდვას,
ვით შემოინახავ?!
შენ ბევრი გახსოვს,
ცაო, ტირანი,
ო, მაგრამ მსგავსი თუკი გინახავს?!
მე ჯალათებთან რა მაქვს საერთო? ისინი მხოლოდ
ნასუფრალს ხრავენ,
მე პასუხს მხოლოდ
მათგან მოვითხოვ,
ო, ვინც დაუშვა ბართლომეს ღამე!..

III

ქალაქი სისხლის ლანქერით დალბა, ლექსში მე ამის
ხსენებაც მიმძიმს!
თქვენ კაცის სისხლს სვამთ,

ვითარცა შარბათს
და დასამხობად კეთილის იბრძვით!
თქვენ ხართ სისხლით და ლეშით უძღები, საკუთარ კანში
ვეღარ ეტევით,
მამულს ჭირი და
შხამი უძღვენით,
თქვენ, მშობლიური ხალხის მჟლეტელნო!..
რა ამღვრეული გზებით იარეთ, ძუძუ მოსჭერით
დედას საკუთარს!
თქვენ ხართ იუდას

სულის სრიალი
და ბოროტებამ ტახტზე გაკურთხათ!
თქვენ დემონების მოდით ბრძანებით და უცოდველთა სისხლში
რომ ფორთხავთ,
ნუთუ არ გესმით
რისხვა ზარების
და შავოსანი დედების მოთქმა?!
ო, ეს რა ცოდვა დაატრიალეთ, კივის ქუჩებში
სისხლის მეწყერი,
ფრთებს იქნევთ, როგორც
სვავი ტიალი
და სახეზეა, რაც კი შესძელით!..
მაგ ნამოქმედარს კარგად დახედეთ, ვერ გაექცევით
ცოდვებს მაცილნი,
თქვენ ჟამმა
ისე გაგათავხედათ,
რომ საკუთარ თავს უცქერთ დაცინვით!
კაცურ ბუნებას ერთობ დაშორდით და ბოროტების
დემონს ეღრიჯეთ,
ნეტავი დედებს საშოებიდან
საკუთარ ხელით ამოეგლიჯეთ!
შანთით ამოწვავს მოდგმა ადამის, რომ თქვენს ნაკვალევს
არვინ მოხედოს,
ალბათ გეყოფათ
თქვენ ეს "ნადავლი"
მოგეცეთ ვიზა საჯოჯოხეთოდ!..

IV

ზღვა უსაშველოდ ბორგავს და ხვნეშის, და ისვრის ზვირთებს
შეღებილს სისხლით,
ქუჩებში ხრჩოლავს
ურიცხვი ლეში,
ყველაფრისადმი ივსები ზიზღით!..
გემები სწყვეტენ ბაგირებს რკინის და შორს ბღავილით
შედიან ზღვაში,
პოსეიდონის თეთრონი
დაქრის,
სივრცეს ჭიხვინით აწყდება რაში!..
დემონი ფრთებს შლის საშინლად მღვრიეს, ჩამოუქროლა
სივრცეებს სუსხმა,
დამსგავსებია ქალაქი მღვიმეს
და დახოცილთა
იზრდება ნუსხა!..
ზღვა ისევ ბორგავს, ზვირთები მედგრად ეხეთქებიან
უდაბურ ნაპირს,
ირგვლივ კვლავ ხანძრის
აფრები ფეთქავს
და ქვემეხების გაისმის ზალპი!..
კვლავ დააბიჯებს სიკვდილი ყველგან, არ იცის რაა
ცოდვა და მადლი!
უნდა შესრულდეს
ბანდიტთა გეგმა
და კადრი ისევ იცვლება კადრით!..
ოცდამეერთის მიჯნაზე ხდება, რაც მოვისმინეთ და
რაც კი ვნახეთ,

სატანამ როგორ
შეისხა თრთები?! –
სიცოცხლემ როგორ დაჰკარგა სახე!..
ო, ცაო, შენ ხარ ყველაფრის მოწმე, მზეო, დახუჭე
თვალები ცხრავე!
თქვენ ბევრი რამე
გინახავთ მაგრამ,
ო, თუ გინახავთ ამგვარი რამე?!

15. 02. – 18. 02. 94.
ბათუმი

ს ა ძ რ ე ბ ი

ლურჯი მანდილით ამოდის მთვარე 9
მდუმარების წუთი 11
მზე სიყვარულის ზეიმობს 12
წითელი პლანეტა 14
რა გელანდებოდა?! 15
შენს სამსხვერპლოზე ვანთივარ!.. 16
აწყდება ფრთებით მაღალ საძრეკლოს 17
ხსოვნის სიმები 18
მე მახსოვს ღამე!.. 19
როგორმე გაუძლებ! 20
საქართველოს 21
ღელავს ზვირთების ურდო 22
***გულო, რის ეძებ მიზეზს?! 23
დინო ზავრი 24
ღიმილით შეხედა ჯალათებს 25
მეზღვაურის სიმღერა 26
შენ სხვა ხარ მაშინ1.. 28
ახლა შენთან მაქვს დავა 29
დაჰკრავს საათი! 30
ქარბუქი, სიკვდილის ქარბუქი!!! 31
ზღვა 32
მოდის საღამო 33
ჟამი აბრუნებს ბორბალს 34
ვდგავარ დანანებით! 35
ხიროსიმას ზარები!!! 36
შემომეშველე, ბერდედავ! 37
იყო ტკივილით სავსე 38

მიდის თავის გზით ყველა....39
გამოთხოვება....40
თეთრი დუმილი....41
კიდევ შორსაა....42
მწუხარე სერაფიმი....43
ახლა იდუმალ ოხრავს!......44
ქარს....45
რწმენა....47
გახსოვდეთ!!!....48
მზისადმი....49
ვაჟა–ფშაველას მონოლოგი....50
ხომალდი....51
ის მეძახის!......52
იქნებ გადავარჩინოთ?!....54
ყველას ეკუთვნის....56
საით მიემართება?!....57
სასაფლაოზე....58
იციმციმეთ....59
მგლოვიარე ფერები....60
მიასვენებდნენ პოეტს!......61
მიკივის გზას ელმავალი....62
თეთრი მხედარი....63
***ჟამი არ ინდობს არვის....65
ლურჯი ზმანება....66
არავინ იცის!....67
***ახლა სიზმარივით მოჩანს....68
სული ჟამმა ამიკივლა მძაფრად!....69
წინ ისწრაფოდა სამება....70
***ო, ეს ჭაღარა ტოტები....71

***ვინ იცის....72
თეთრი ხომალდი....73
მივდივარ მარტო!....75
ზვირთი განგაშით მოდის....77
მომეცი ხელი....78
***ტოვებს ნანგრევებს... 79
უსახელო რაინდები....80
ღრუბელს....81
ხსოვნა....82
***მოვედი ჩუმად....84
ზღვა ძლიერ ღელავდა....85
***ო, მაზიარე....86
სიჩუმე მითრევს!....87
ქალაქის სიკვდილი....88
ისევ იცინის პირიმზე....90
***გამოქცევია სული ჩემი....91
ციხე....92
თეთრი სტუმარი....93
ზღვა ღელავს....94
მირზა გელოვანს....95
არ გამეფანტოს!....96
ამოვა ქარი....97
***რად არ შრიალებთ?....98
იყო ორომტრიალი!....99
მე ვამსხვრევ სიცილის ტალღას....100
დარეკეთ, დარეკეთ ზარებო!....101
შენ გეძახი!....102
დავდივარ შენი სინათლით სავსე....103
დარეკავს ოდეს!....104

***ყვითელ ფოთლებზე ვწევარ 105
შავი გედი 106
თქვენ გვასწავლიდით სიყვარულს! 107
აიმღვრა სივრცე?! 108
მესმის ბღავილი ხარის!.. 109
აჩრდილი ზღვასთან 110
ბედისწერა 111
***ამ როიალის კლავიშებს 112
მე შევიყვარე შენი ჩურჩული 113
მე მინდა ვიგრძნო 114
პოეტი 115
ზღვის ტკივილი 116
დაღუპულია ვითომ?! 117
***ყველა იმედი გადაიწურა 118
წავიდა ის დრო!.. 119
შემოდგომა 121
მე ვამბობ ჟამის სამდურავს!.. 122
სივრცეს მიკიოდა სისხლი! 123
***ყინვამ შებოჭა ჩემი მდინარე 124
მე ლექსად დავიხარჯები 125
დრო და შენ 126
წასულა ჩემი თიბათვე 127
ის 128
დუმილის ზღვარი 129
მზეო, აღმართე ალამი! 130
გულს ღელვა მოეძალება 131
ზღვაზე წევს ხიდი 132
***შევაღე ფრთხილად განთიადზე კარები ბაღის 133
შენი აჩრდილი თანამდევს 134

ვერ მოვიშორებ!.....135
არ შეჩერდე!.....136
მთვარით შენაფერი.....137
სანამდის?!.....138
აჰა, მიიწურა!.....139
ჰამლეტი.....140
***მიუშვი ლექსის აღვირი.....142
შორს იწურება მზე ჩამავალი!.....143
მოვლალეთ გზები ბრძოლებით 144
მზეო, გაშალე ათრა!.....145
არ გაგიკვირდეს! 146
რეკავდა დროშა!.....147
თეთრი ზარები!.. 148
მუხა 149
ის რა გზებით მოვა?!.....150
ეს, სხვაა! 151
***აკაციების ტევრი... 152
როგორ მენატრები!.. 153
მოგონება 154
რამ შეაშფოთა?!.....156
ჯარისკაცის სიკვდილი 157
თბილისის კართან.....159
დასაბამიდან.....160
საითკენ მიხვალ? 161
ეს რა ხმა ისმის?! 162
ო, ჰორაციო! 163
არ დაგავიწყდეს! 164
ო, რას ფიქრობენ?! 165
... და არის ორთა მტრობა.....166

გათელე ჟამის უღრანი....167
რომ არ მოირღვეს კედელი რწმენის! 168
შემთხვევა ქუჩაში 169
მე არაფერი მეუცხოება....170
***ვიხსენებთ იმ დღეებს საოცარს!....171
წუთისოფელი....172
კვლავ ფრთების გაშლა ინებე 173
მზე ეშვებოდა ზღვაზე....174
რაღაც ეიმედება! 175
მითხარი, ქარო! 176
მამულს 177
გზა დამილოცე! 178
უდაბურ გრიგალში....179
გაქცევა 180
დაჭრილი ვწევარ!....181
შეხედე თვალებს! 182
მე სიყვარულის ფერი მაოცებს! 183
სადაკო სასაკი....184
მზეს ითხოვს!....186
ქრის იალქნების წყება 188
აქ ყვირის ჟამი!!!....189
აანთე გული!....191
მზეს ამოზიდავ ფრთებით!....193
ეს საუკუნე!....194
მე არ ვყოფილვარ!.. 195
ჟამი....199
მზე რომ არ გაუფერულდეს 200
დედამიწას 201
რატომ გაატან ქარს?!....202

მოზღვავდი ტკივილო!.....203
ხე სიცოცხლისა ყვაოდეს!.. 204
მეც ერთი ზვირთი ვარ დინების!.....206
ნუთუ?! 207
ეს რა ქარები უბერავს? 208
ვინ ემუქრება?! 209
გახსოვდეთ, ის ორი ქალაქი!.....210
მე იდუმალი ჩამესმის ლოცვა!.. 211
ბედისწერის დემონი 212
ბარიერთან, ანუ სიმართლე მალაპარაკებს!.....213
რაინდი 217
დუმილის ფარდა.....218
წიწამური.....219
არსაკიძის მონოლოგი.....220
სხვა იალქნებს გაშლის! 221
სიჩუმე არ უყვართ ათრებს 222
რატომ შეჩერდა გზაზე?! 223
ცვივა ფანტელი.....224
ნუ გამაგონებ! 225
***ო, მირიადი წელი ქმნიდა ამ ბავშვის სახეს. 226
ვუცქერ ცხოვრების დრამას!.. 227
რამდენ ქარიშხალს გაუძელ! 228
ვერას დააკლებს ზღვაური 230
გავშალოთ ათრა სამოგზაურად!.. 231
მე არ შემეძლო! 232
გრანადის მახლობლად.. 233
ვლოცულობ შენზე 234
მიაყურადე!.. 235
მესმოდა შენი ჩუმი ვედრება!... 236

მზე ბევრჯერ მოვა მოცხართან 237
თებერვლის ქარი....239
სად მიხვალ?!....240
***მიდიხარ ჟამით განაფიფრები 241
რამდენჯერ უნდა დარეკო ზარი! 242
ო, კიდევ ერთი სანთელი ჩაქრა!....243
რას შველის ლოცვა?! 244
ისევ მეძახის!.. 245
უცებ ღელვა მოზღვავდა....246
საუკუნის გრიგალები ჩადგა 247
ჩამოდის თოვლი....248
ძაღლი პატრონს არ ცნობს!....249
რეკონ ზარებმა!....250
ელეგია....251
ვინ ამიკივლა სისხლი?!....252
ისევ კივის მტკვარი! 253
აკივლდა ჩემი ქალაქი! 254
9 აპრილი თბილისში....255
თბილისი ცხრა აპრილის შემდეგ!....256
კივის ყოველი წამი! 257
დაეშვა ფარდა!.. 258
***ჩემს ცას და მიწას... 259
მაფშალიამ რად შეწყვიტა გალობა?!....260
ცხრა აპრილი 261
სევდიანი ქალაქი....262
დროშად გაჰყვებით მერმისს!....263
დღეო, რა სევდა მოდენე?! 264
ისევ ტკივილით ავენთე!.. 265
ნუ წამართმევ! 266

***ვხედავ, რომ ძალზე უჭირს....267
რეკავს ზარი....268
წლებმა მოიტანეს... 269
ჟამის მდინარე ბორგავს....270
მოვწყდები ჯიუხებს....271
როცა ზღვა ღელავს!....272
ნუ მახსენებ!....273
წინ წყალი!.. უკან მეწყერი!....275
იმედი 276
ჟამის ბორბალი 278
რაა ცხოვრება?!....279
შეათამაშე ცისფერი ტალღა 280
თქვენს ვაჟკაცობას დიდება!....281
ჩამოუყრიათ ფრთები არწივებს 282
რეკავს წამები!.. 283
მგლოვიარე ზარები....284
დალეწილია ზეცა მთლიანად!....286
გული ბოღმით მევსება! 287
გავჯერ ჩემი ბილიკი....288
როგორ გაცივდა შენი სამარე?! 289
რა ცოტა ხანს ენთო!.. 290
წეწავს დღეების აფრებს!.. 291
სივრცე ისევ შეარხია თოვლმა....292
ამაყად ვდგავარ! 293
ორი ქარიშხალი ბღავის....294
სულო, მომავალს აუწყე!.. 295
ძელქვა 296
მთვარე მიყურებს 297
მტკივა ნაიარევი....298

ისევ რეკავენ ზარები!.. 299
ხომალდის დაბრუნება 300
ო, ერთხელ კიდევ მანახა! 301
პირიმზე 302
გამარჯვებული ბრუნდება 303
ისევ ფრთებს შლის არწივი....304
რა უნდა გექნა მეტი?!....305
ნაკვალევი სოფლად რჩება 306
***შეეჩვია სული ჟამთან ჭიდილს....307
ქარი არხევს ფარდას....308
მოქრის შავი მხედარი....309
***ისევ შორს მიქრის იგი....310
***დროს მარცვლავს ისარი პატარა 311
მოადგა სარკმელს....312
აწყდება მზერა... 313
ვერ გავაპე მორევი....314
ისევ ხმა მესმის 315
რა უცნაურად რეკავს საათი?!....316
რად მექეც ჟამო დილემად?! 317
ო, რა ტკივილი ახლავს!.. 318
ვეღარ გადავლახე 319
***არ ეკარება ჩემს თვალებს ძილი 320
ათასი სიმი შეირხა....321
ო, დემოკრატიავ!....322
შორს, მზე ედება თხემებს... 323
ომებში დაბერდა....324
მიდის და მიეფინება... 325
ყორანი 326
მუზეუმში....327

ისევ გელოდება!.. 329
სფინქსის ნიღბით....330
მიდიოდით შეკრულები ფიცით!....332
სასაფლაოსკენ მიილანდები....333
აჰა, იწურება უკვე საუკუნე!....334
მგლოვიარე ქალაქი....335
ელეგია....336
მიდიან გზაზე....338
რა შეგრჩა?!....339
მტრედები....340
არ შეუშინდე!....341
კვნესის სულის ლერწამი......342
დალეწა ქარმა მაისის ბაღი....343
კვლავ ამიყვავე, ღმერთო! 345
შენ, როგორ უნდა გაუძლო, დღეო?!....346
რეკავს საათი!.. 347
სევდა ჩადგა....348
წევს სარეცელზე დაჭრილი! 349
ვინ მოგცა თოფი?!....350
გულზე თითქოს დამახალეს ტყვია! 351
დადის სატანა....352
ბალადა მამა–შვილზე....353
სისხლით დაიცავი ფიცი!....355
თვალები....356
ისევ ბრძოლის გეძახოდა ველი! 357
ეს რა ცოდვა ტრიალებს?!....358
გაუჩნდა ბზარი არწივის ყივილს! 359
ო, როგორ მტკივა!....360
მიაჟღარუნებს სიკვდილი დეზებს!....361

***შენ ერთადერთმა აიტანე აუტანელი! 362
აქ რა უნდა ბორბოტების დემონს?! 363
პატარა დევნილი 364
იქ, ზღვასთან ახლოს! 365
***სიყვრცე ისევ ღელავს 366
ო, კივის სული! 367
ვერ შეურიგდი! 369
რა ვუპასუხო?! 370
ქალაქი ხუთ დღეში დაბერდა! 371
ორი დიდი სისხლიანი დღე!!! 372
თეთრი როიალი 374
***ვდგავარ მიჯნაზე ორი ეპოქის 376
მზე გაზაფხულის მოვა ბდღვრიალა! 377
ბიჭო, სიკვდილს რა უნდოდა შენთან?! 379
სიკვდილს — სიკვდილითა სძლიე 380
დედა 381
შემოდგომის მზე მოჩანს 383
სოხუმი, 1993 წელი! 384
***უშფოთველად ვერ ვიხსენებ გაგრას 385
ვინ გაგიმეტა?! 386
ცხრა ძმის გეძახოდა სული! 387
გემი აღმართზე მოდის 388
მიქრის სადღაც ჩემი ეტლი... 389
ვერ გავკაფე მამულისკენ გზები 391
ბათუმი 392
ღამით 393
***სულს ლექსთან შებმა უჯდება ძვირად! 394
არვის ვახსოვარ! 395
წელი მიდის ძველი 396

ეძახის სული შორეულ ქარებს....397
თუ ვერ აამღერე....398
მზეს საით მიეჩქარება?!....399
რტო ჩამოტყდა ალუბლის!....400
არ გაქვს უფლება!....401
რა მინდა მაშინ?!....403
სულის აფრები....405
გულს სიყვარული დაემშვიდობა....406
ამაოდ გავცქერ!......407
უკანასკნელი ომი....408
რას უცდი სანჩო?!....409
საბას საფლავი....410
მივდივართ ორი....411
***რად შემაშფოთე ასე უღვთოდ... 412
ჩემი პლანეტა....413
***შენ დარჩი მარტო!....414
***გუშინ ისევ ქარბორბალა უტევდა 415
გულს!....416
ეს არის ბედის დაცინვა!....417
არ გაიკარო ნაღველი....418
შემოვრჩი მწუხრის ტრამალს!.. 419
სულს სტკივა შენი სიშორე!.. 420
როცა დარეკა ზარმა!....421
ამაოდ კივის მხედარი....423
კიდევ რა გველოდება?!....424
საუბარი საბას აჩრდილთან....425
რეკვიემი....428
გელოდები....429
ნუთუ ამაოდ ვაწყდები?!....430

დაიწმინდება, – როდის?!.....431
ორი ციკლონი.....432
***მე შვიდ ათეულ წელიწადს გავცდი.....433
***ყველგან მსდევდა.....434
***ბევრჯერ ჩუმად ოცნებების შემოგავლე ქარგა.....435
***ყოველ ნაბიჯზე.....436
შეჩერდი, გიჯობს!.....437
***შენ ეძებ ისევ ახალს.....438
მთაწმინდა.....439
ვიღაც გვეძახის!.....442
გაქრა ის ჟამი ფერადი.....443
***ვერ გაექეცა მუხანათის თვალებს!.....444
ორი გზა.....445
რადგან მოვედით!.....446
ჩემი ლამპარი.....447
ზამთრის მოლოდინში.....448
***სიცოცხლის ველზე კვლავ ანთია... 449
***ცა კვლავ იხურავს.....450
სანამ გული გქვია!.....451
***მე ის ცრემლები რამ დამავიწყოს!.....452
უგუნურებას არ უჩანს ბოლო!.....453
შეღამებისას.....455
ისმის შორით ზარის ხმა!......456
დიდგორის ზარები.....457
ზღვას.....458
მომყვება სიყრმიდან......459
პაატა.....461
თუ ამოვიდა!.....463
ფრთხილად!.....464

ზღვის სიზმარი 465
***ცა იღრუბლება ჩემი 467
ის მაინც გარბის 468
***ღმერთო მაღალო! 470
მიზანი 471
ხსნა, სად ვეძებოთ?! 472
მზე და ღრუბელი 473
რომ შერჩეს მიწას 474
ზღვას ისევ მოაქვს!.. 475
ყორანი 477
შენ გეუბნები... 478
მიქრის ჟამის კარეტა 480
***თქვენ გეუბნებით! 481
გაფრინდნენ, ნეტავ საით? 483
მარტის მზე 484
რეკავენ მთები! 485

ს ო ნ ე ტ ე ბ ი

***შენ ხომ სიცოცხლის სილამაზეს ეტრფოდი მუდამ 491
***ო, ეს მდინარე რა ულმობლად მიიგრაგნება 492
***დაეშვიდობე გაზაფხულის დღეებს სანუკვარს 493
***ჩვენი ბავშვობის სილამაზე საით კენ მიდის? 494
***მომწვანო ბილიკს ზღვისკენ მარტო გავყევი ღამით 495
***სად შეწყვეტს ღელვას ო, ეს გული, არავინ იცის! 496
***ვზივარ ნანგრევზე, ზღვა ბობოქრობს ლურჯი და ვრცელი 497
***ამდენი თოვლი, მეგობარო, ჯერ არ მინახავს 498
***ასე ულმობლად ვინ დანაღმა ცხოვრების ველი? 499
***ჩემ წინ ქარი ისევ არხევს ალვებს ტანადს 500
***ვერ ამოწურავს სათქმელს ჩემსას ჯერი ლექსების 501

***ტყე იხდის ტანზე შემოდგომის მთვარისფერ ფარჩას.....502
***ჩვენს შორის უკვე ჩაქრა თითქმის ყველა სანთელი.....503
***შენს ფანჯარასთან ვიდექ ჩანგით კაცი ეული.....504
***შერჩება მერმისს სტრიქონები სავსე განგაშით.....505
***ვეფერებოდი მე შენი თმის ლამაზ კულულებს.....506
***ვინ შეაჩერებს უთავბოლო ზვირთების რიალს.....507
***დგება ჟამი და შემართებას რაინდულს ითხოვს.....508
***ფერიცვალების აიწყვიტეს უკვე ქარებმა.....509
***ჩემი ცხოვრების შემოდგომა დამთავრდა უკვე.....510
***კვლავ შეღამების ბილიკს გავცქერ ფოთლებდაფენილს.....511
***შევედი ბაღში, შუქი თოვდა მოლურჯო მთვარის.....512
***არ ვიცი ახლა, ვის მოუხმო , ვის ვესაუბრო?.....513
***მახსოვს, დავქროდით ჩვენ ორივე ზღვაზე გლისერით.....514
***შენს ყვავილნარში ახლა უკვე არვინ მოდის.....515
***ისევ აცეკვდნენ ჩიტუნები მოლზე აპრილის.....516
***რატომ დაგჩემდა ხეტიალი მთვარიან ღამით.....517
***რა სუსხიანი და სასტიკი დღეები ბრუნავს.....518
***ჩემი ცხოვრების, როცა უკვე სამოც წელს გავცდი.....519
***ჩემს თვალთამზერას მიეფარა წლები ნათელი.....520
***ვეღარ ნელდება ჩემში ზვირთთა აბობოქრება.....521
***ვერ იქნა, ვეღარ მოვიშორე ეს ფუჭი სევდა.....522
***საიდან მოველ, ან საითკენ მივდივარ ნეტავ?.....523
***ზღვა გატრუნულა და სიზმარში იდუმალ ხვნეშის.....524
***შენ ბედისწერის ლაბირინთში იხეტიალე.....525
***როცა ისარი შეწყვეტს ცახცახს ჩვენი საათის.....526
***უჩემოდ, ვიცი, მკლავებს უხეშს რომ მოგხვევს ჟამი.....527
***ვდგავარ ზღვის პირას, ღამე ოხვრით ეშვება ზღვაზე.....528
***წუხელ სიზმარში ნაღვლიანი გამომეცხადე.....529
***დღეს ჩემს ეზოში ტყვიისფერი დუმილი სუფევს.....530

***ამიერიდან არ სჭირდება ჩემს კუბოს გახსნა 531
***ვდგავარ ეულად საუკუნის გადასახედზე.....532
***მეგობრებიდან უკვე თითქმის არავინ დამრჩა 533
***გადავუქროლე საუკუნის უღელტეხილებს.....534
***ვიღაც მომყვება და რა მკაცრად მითვლის ნაბიჯებს 535
***მდინარის პირას უჩვეულო რწმენით ვანთიავარ.....536
***საქართველოში ქართველს უკვე არ ედგომება 537
***დავალ თბილისში, მაგრამ ვეღარ ვპოულობ თბილისს! 538
***მზემ ცის სიღრმიდან რა უმწეოდ გამოიხედა.....539
***მოვედი შენთან ერთხელ კიდევ, მდინარევ ჩემო!.....540
***ცოცხალთა შორის, მეგობარო, შენ უკვე არ ხარ.....541
***ეს მზის სისტემა უშენოდ ხომ არაფერს ნიშნავს 542
***მინდა იმ დღეებს, საოცნებოს კვლავ მოვეფერო 543
***ო, აქ ბავშვობის ნაფეხურებს დავეძებ ისევ 544
***ბავშვობის დღეთა უჩვეულო მახსოვს სიამე.....545
***საწუთროს გზებზე ხეტიალმა დამღალა ძლიერ 546
***ო, თქვენი მოსვლით გაიფანტა ცაზე ღრუბლები.....547
***მოვიდა თოვლი და გათეთრდა ერთობ ქალაქი.....548
***ტრამალებიდან ნაზამთრალი მგლები ყმუიან.....549
***ჟამის მდინარე ისე სწრაფად მიედინება.....550
***შენ უმღეროდი გაზაფხულის მოსვლას მიწაზე 551
***უშენოდ რაა ეს ქვეყანა, ხომ კარგად ვიცით 552
***დრო ისე მიქრის, რომ მე თითქმის ვერაფერს ვასწრებ 553
***იმ დღეთა ხსოვნას დავიწყება ვერაფერს უზამს.....554
***ჩვენ გამოვდიავართ მოქანცული ბრძოლის ველიდან 555
***ფრთხილად დაადგით ამ მიწაზე ფეხი, იცოდე... 556
***შორს, ცის სიღრმეში ანგელოზთა გალობას ვისმენ... 557
***დადგება ჟამი ატომური მკაცრი დუელის.....558
***შენ გული გქონდა, საყვარელო, თბილი და სუფთა.....559

***შენზე სხივმნათი მე არავინ არ მეგულება.....560
***ტევტონთა მიწას მოსწყდა ერთობ სიკვდილი ქროლვით 561
***მას სათავისკენ კვლავ მოუნდა შემობრუნება.....562
***გიხურს გონება აზროვნებით, მიარღვევ შორეთს... 563
***რად შევეხიზნე ამ ვრცელსა და უდაბურ ტრამალს?.....564
***უშენოდ რა ვქნა, ახლა ძალზე შორსა ვარ შენგან!.....565
***დემოკრატიამ რა უეცრად დაკარგა ფასი.....566
***ძვირფასო, შენი სიყვარული რამდენს მავალებს.....567
***თუნდაც იარე ქვეყანაზე გზებით უვალით 568
***რა გეშველება, უმოწყალოდ გულო დაჭრილო!.....569
***ო, ისევ მიტევს ეს ცხოვრება ფრთებით მსახვრალით.....570
***ადამიანო, ავი ზრახვით ნუ აინთები!.....571
***ო, ქარი ისევ აშრიალებს მაღლობზე ვერხვებს 572
***იმ დღეთა ხსოვნა ჩემს გულს, როცა მოეძალება 573
***ისევ აცურდა შემოდგომის ღრუბელი ცაზე 574
***ასე საოცრად წარსულს რატომ ველაციცები.....575
***მე ჩემ წილ სივრცეს გავაჯერებ, ძვირფასო, დარდით 576
***თოვლმა დაფარა ჩემი მინდვრის მწვანე ხავერდი.....577
***ამ ცას და მიწას ალბათ დიდხანს ვემახსოვრები 578
***აქ ყველაფერი დროის ფრთებზე მიედინება.....579
***მე დავდიოდი ჩემს ქალაქში წუხელის სიზმრად.....580
***ვინ დამირბია უმოწყალოდ სულის სიმშვიდე? 581
***თოვს... გვიან ღამით აქ ყვავების არის ჩხავილი 582
***ჩვენ, ჩვენი წილი ოკეანე უკვე გავცურეთ 583
***ადამიანო, რად არ იშლი მხეცის ბუნებას.....584
***ცეცხლი ედება, მეგობარო, ჩემს სხეულს... 585
***მზის სისტემაში ჩვენ სიცოცხლეს ამაოდ ვეძებთ.....586
***ბევრჯერ დაცურდი, მეგობარო, მოლიპულ გზაზე.....587
***შენ ხალხთა სისხლით გახდი, ერთობ გაუმაძღარი.....588

***სულის სიღრმეში უჩვეულო ვიგრძენ ნათება 589
***ო, ეს დღეები, როგორც მარტის ფიფქები ქრება 590
***სიტყვა და საქმე სააკაძის ხმალივით გიჭრის 591
***ვარდის ბაგეო! აწი ვეღარ მოიცლი ჩემთვის 592
***ეწირებიან თაობები თქვენს გულზვაობას 593
***ამ პლანეტაზე მე ვიცხოვრე უმკაცრეს დროში 594
***დადევი ფიცი შენ საფლავთან დიდი დავითის 595
***ფრთებს შლის სუსხიანს ხეივანში ქარი ავყია 596
***დროის კვეთებას ვეღარ უძლებს ფუჭი დიდება 597
***ანგელოზებო, დაგიმსხვრიეს სივრცე ფერადი 598
***საუკუნენი გადმოვლახეთ ბრძოლით, ყიყინით 599
***ო, ასე უღვთოდ ვინ წამგლიჯა ღმერთის წყალობა? 600
***შენს სიახლოვეს მე თავს ვგრძნობდი, ვით თევზი წყალში 601
***შენ უიმედოდ ყრუ კედელთან მიმდგარხარ ჟამის 602
***მიქრიან დღენი სიშორეში კივილით, ქშენით 603
***ამ ქვეყნად მხოლოდ ერთხელ მოდის ადამიანი 604
***ისევ ამხედრდნენ შემოდგომის ქარები ურჩი 605
***ცის სიშორეში ღრუბლის თეთრი მიცურავს ტივი 606
***ნაღვლიანია დედამიწა შეღამებისას 607
***ო, დედამიწის დაღუპვის წინ ჩემი აჩრდილი... 608
***ამ ღრმა ჭრილობას გამიმრთელებს აწი ვერავინ 609
***ამოდის მთვარე ცის თავანზე ღაწვებმწყაზარი 610
***ამ ჩემს ფანჯრებში გარიჟრაჟი ისევ იღვრება 611
***რად განიძარცვე ასე უღვთოდ, ხეო მაღალო? 612
***აღარ შემოგრჩა რტოები თითქმის 613
***რომანტიკული გზები განვლე ჩემი ცხოვრების 614
***მოგსდევს დემონი ულმობელი გაჩენის დღიდან 615
***მიაყურადე, ცა ფარული ცრემლებით ირწყვის 616
***მიდის ცხოვრება და თან იცვლის ფერს და კალაპოტს 617

***ო, სულში თითქოს სევდას დოქით ისევ მისხამენ.....618
***მიმართულებას ეს ცხოვრება ნიადაგ იცვლის 619
***ერთი მითხარით, აქ სად არის დემოკრატია?.....620
***ჩემს ბაღში ისევ სუსხიანი ზამთარი მოდგა.....621
***ო, გულო, იქნებ მოიქანცე ბრძოლით, შეტევით 622
***კაცობრიობის ისტორია შობეს ომებმა 623
***ყინვის ბეტონში ჩაჭედილა მთელი ქალაქი 624
***პირქუშ კედლებთან დაბოღმილი ვდგავარ ეული 625
***კეთილი ერთობ დავიწყებას ეძლევა უკვე 626
***მზე ამოვიდა, ხეებიდან იღვრება თოვლი.....627
***როგორც რაინდი ტრიბუნალის წინაშე იდექ.....628
***რა დაგიშავათ ამ პატარა გოგონამ ნეტავ? 629
***შენ გული გტკივა შემუსრული ამდენი განცდით 630
***მიყვარდა შენში ხმა მუდამჟამს თავისუფლების.....631
***ნუ დავაჩქარებთ მშობლიური პლანეტის სიკვდილს 632
***ეს მერამდენედ უმოწყალოდ დაღვარეთ სისხლი.....633
***ო, რა ულმობლად დაგეღალა გული ამაყი 634
***ნუთუ სიჩუმემ არ დაგღალა ამდენი ხანი?.....635
***ჩამოდის თოვლი, აქ მოსკოვში, აპრილის ბოლოს.....636
***შენ ჯოჯოხეთის ჩაირაზე შვიდივე კარი 637
***ყოფნა-არყოფნის მძიმე სევდა რად დაგეუფლა? 638
***კვლავ ითვლი დღეებს უკანასკნელს და ტკივილს შენსას... 639
***რად მოუსიე ჩემს ცას, ქარო, ღრუბელი ურჩი 640
***დღეებს მიმავალს მოგონების ცრემლებით ვნამავ 641
***ცახცახებს მიწა ო, ამდენი სისხლისღვრით, ომით.....642
***მსოფლიომ ო, რა ავბედითად იცვალა ფერი?! 643
***მზის სისტემაში ერთადერთი შენა ხარ მხოლოდ 644
***შენ მაგრძნობინე ამ ცხოვრების ფერი და გემო 645
***შენს ყოველ ნაბიჯს შხამიანი დრაკონი გესლავს 646

***პირველი ღამე მე უსივრცოდ გამიჯირდება 647
***შენი თვალები მე არასდროს დამავიწყდება.....648
***რატომ შეჩერდა შენი ქროლვა ჟამის წინარე.....649
***მახსოვს, წვიმისგან გვიფარავდა ფოთლები ხშირი.....650
***რასაც მკარნახობს შთაგონება, მასზე ვწერ მხოლოდ 651
***მე ამ ცხოვრებამ დაუნდობლად მომქანცა უკვე.....652
***ისევ რეკავენ გამუდმებით და სევდას ღვრიან... 653
***ჩემი ცხოვრების მიწიერის მთავრდება ჟამი.....654
***ძველი ქალაქის ვაკვირდებით ხედებს ოვალურს.....655
***ჩემი ცხოვრება ნუთუ უკვე ყოფილად იქცა?.....656
***რას ჩამოვყევით ამ მიწაზე, რომელ დინებას?.....657
***ქანაობ სადღაც ტყის სიღრმეში, თუ მის ნაპირას? 658
***მე ვგრძნობ, უზომოდ დაიღალე, ო, გულო ჩემო!.....659
***მხრებზე ჰკიდია ჩემს ცას რუხი ნაფლეთი ღრუბლის.....660

პოემა

ო, თუ გინახავთ ამგვარი რამე?! 663

რედაქტორი
დოდო ნარმანია

კომპიუტერული უზრუნველყოფა : ნანა დუმბაძე
ეკა თანდილაშვილი
იზა ხარებავა

ყდის დიზაინი
ირაკლი უშვერიძე

გამომცემლობა „უნივერსალი"

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ქმნილ

ცოცხალ და მკვდარ თოხი ხელგვნი

ლევან
ბაბალიანი

ბაბალიანი
ეროვნული
ბიბლიოთეკა
||
ISBN 978-9941-17-807-4